

ქველი ქართული მხაგვრული მწერლობა

ე რ ჩ ი ლ ი ა ნ ი

ჴომი ჴოგა

გაგაასება თეიგუგაზისა და აუსთველისა

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. შინასოციალიზმის (აღმ. ბარამიძისა) .
2. გაბასკების იეიმიურებისა და რუსთველისა
3. ღარბანტი და შენიშენები
4. ლექსიკონი და საძიებლები

პ/მგ. რედაქტორი გ. ბარატიშვილი

გადასაცემი წარმოებას 25/VII 37.
შთაქმული № 1103.
შეცდომა 979
ტილოგი 1563.

სეკსიონური დასაბ. 26/XII 37.
ქ ფ 72 X 105.
ბ. ფ.

არჩილის ცხოვრება და შემოქმედება

I. არჩილის ცხოვრება

თუ კაცსა მიხედვს გრძლად ყოფნა
უცხოს თენსა და მიწებსა,
შარბათიც ჭქოვდეს სასმელად,
ნაღველად აღმოიწებსა.
არჩილი

არჩილი იყო უფროსი შვილი ქართლის მეფის ვახტანგ V-ისა, შაჰნავაზად წოდებულისა. შაჰნავაზი ირანულ ორიენტაციას ემყარებოდა და ფორმალურად მაინც მუსულმანურ რჯულს აღიარებდა. ქართლის მეფის სასახლე, რომლის საუცხოვეო აღწერილობა დაგვიტოვა განთქმულმა ფრანგმა მოგზაურმა შარდენმა, არ იყო მოკლებული აღმოსავლურ ბრწყინვალეობას. შაჰნავაზის საკარო წრე შესდგებოდა ერთი მხრით ქართულ-ქრისტიანული ღიადკაცური საზოგადოებრიობისაგან, ხოლო მეორე მხრით ირანულ-მუსულმანური მოხელეებისაგან. ქართულ-ქრისტიანული და ირანულ-მუსულმანური ადათ-ჩვეულებანი და გემოვნება თავისებურ გამოხატულებასაც კპოულობდა სამეფო კარზე. აქ იზრდებოდა მომავალი პოეტი და მეფე არჩილი. ამ პირობებმა გარკვეული დიდი დაასვა არჩილის საზოგადოებრივი და შემოქმედებითი ინდივიდუალობის შემუშავებას.

დაიბადა არჩილი 1647 წელს. შაჰნავაზის კარის პოეტის, ფეჰანგის, გაზვიადებული სიტყვებით პატარა უფლისწული მშვენიერი გარეგნობისა ყოფილა (შაჰნავაზიანი, 210):

ცისკარს უგვანდა ყელ-ყური, გავსით მთვარესა დარევედა;
ედემის მზავსად შვენოდა, სვრნელებითა დარევედა;
რა მოიზარჯა იგი ყმა, სულად თმნებდა დარევედა;

ბავში სათუთად აღუზრდიათ (იქვე; 223, 1-2):

სათუთად ხდიდენ მშობელნი, უნდოდით თვალთა საჩენდალ-
სატრფილო და სანდომი, დაშქართა გამოსაჩენდალ.

არჩილი მიუღია კარგი განათლება როგორც საერო, ისე სასულიერო (საქრისტიანო). ამზადებდენ სამეფოდ. საშხედრო-ფეოდალური სწავლა-აღზრდის საფუძვლად სარაინდო ზნეობა ითვლებოდა. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მოზარდის ფიზიკურ გაწაფვას და სამხედრო ჩვევებს, ასე იზრდებოდენ შაჰნავაზის შვილები, მათ შორის არჩილიც (შაჰნავაზიანი, 228, 1-2):

შვილებსა თვითო და თვითო თემია;
აღობენ სამამაცოსა ზენია,

მომავალ პოეტს ბავშობიდანვე ჰყვარებია საგმირო მოთხრობების კითხვა. ამ მხრით დამახასიათებელია ერთი ადგილი მისი მოგონებებიდან (ასლაძე, 58, 1-2):

ოდეს ყრმა ვიყავ, მიკოთხავს ამბავი მე საამისო, ¹⁾
უმჯობეს არეინ მსწავლიდა, მეგონა რამ საამისო.

არჩილი საბოლოოდ ჩინებული ვაჟაკი დამდგარა, ახოვანი და განათლებული რაინდი; ერთი სიტყვით, როგორც მაშინ იტყოდნენ ხოლმე, „ჩვე სრული“ (შაჰნავაზიანი, 628, 4). თვითონ პოეტი მოხუცებისას ასე ახასიათებს თავის ახალგაზრდობას (მეფეთა, 89, 7):

ვიყავ მხედარი კარგ სახედარი—ო.

ბაქარის სიტყვებით არჩილი იყო „ზედმიწვენილი სწავლითა სულიერითა და სიბრძნისა ცნობითა, და სამხედროთა და სამამაცოთა სიმსნეთა და ახოვანებათა სრულ“. ²⁾ ამასვე ადასტურებს ვახუშტიც: „ესე არჩილ იყო ახოვნებიანა, ზვენიერებითა, სიმსნითა და ყოვლითა სამხედრო-სანადიმო ზნითა სრული, რომლისა ისარი იბ (12) მუჟი სიგრძითა, შემმართებელი, ძლიერი, ლალი და ამბავი. მონადიმე და მოასპარეზე წარჩინებული და საღმთოთი აღმატებული“. ³⁾

ცხადი პოლიტიკური ანგარიშით შაჰნავაზმა ახალგაზრდა უფლისწულს დაუწინაშა ვამეყ დედიანის ქალი, მაგრამ „დადიანმა მეფეს შაჰნავაზს ფიცად გაუტეხა და მოყვრობიდაჲ ვაჟყარა“. ⁴⁾

როგორც უკვე აღნიშნული გვაქვს, საგარეო ურთიერთობაში შაჰნავაზი ირანს ემყარებოდა, საშინაო საქმიანობაში კი ის იბრძოდა საქართველოს გაერთიანებისათვის. ამ მიზნით შაჰნავაზმა ილაშქრა დასავლეთ საქართველოში და 1661 წელს იქ გაამეფა ჯერ სრულიად უსასაო; 14 წლის არჩილი. დასავლეთ საქართველოზე ადრითგანვე თავის პრეტენზიებს აცხადებდა ოსმალეთი. არჩილის იმერეთში გამეფებამაც ამ ნიადაგზე დიდი გართულება შექმნა. შაჰნავაზი 1663 წელს იძულებული გახდა ყენის (ირანის შაჰის) მოთხოვნით არჩილი უკან გეგეწვია. იმერეთის სანაცვლოდ ყენმა არჩილს აღუთქვა კახეთის ტახტი, ოღონდ გამაჰმადიანების აუცილებელი პირობით. არჩილმა იმგზავრა ირანში. მიიღო მამა მადიანობა, იწოდა შაჰნავაზარხანად და „ნაწყალობევი“ დაბრუნდა საქართველოში. რჯულის გამოცემა არჩილს შემდეგში სასინანულოდ გაუხდა (სანათლისღებო, 6, 1-2):

ნათლისღება შეეჯიგნე, სჯულს გარდავხედ სიკბაფეგბს,
დავეჯონე სატანასა ჩემს მოძღვრალს და თებუგბს.

1664 წელს არჩილი შეუდგა კახეთის გამგებლობას. თავის ახალ სამფლობელოს უფრო მომტკიცებისათვის და ერთგვარი ლეგიტიმური (კანონიერი):

¹⁾ საამი შაჰნავაზს გმირის სახელია, საამი იყო როსტომის პაპა. აქ იგულისხმება პრინციპული „სამაშინის“ წიგნი, რომელიც ჩვენ დრომდისაც არას მოღწეული (იხ. ალ. ბარამიძის „ფირდოუსი და მისი შაჰნავაზი“, ტფ. 1934, გვ. 49-51).

²⁾ ბაქარისეული ბიბლიის ბოლოსიტყვაობიდან.

³⁾ კართლის ცხოვრება, II, 126. იხ. აგრეთვე ანტონ კათალიკოსის „ილიასი“ (სტრ. 798) და იოვანე ბატონიშვილის „მცირე უწყება“ (სასტიკა 27).

⁴⁾ შაჰნავაზიანი.

უფლებების მოპოვებისათვის არჩილმა 1667 წელს ცოლად შეირთო თეიმურაზ პირველის (1589—1663) შვილის-შვილი (დათუნას ქალი) ქეთევანი. შარდენს მოთხოვნილი აქვს არჩილის რომანის საყურადღებო დეტალები ¹⁾, ოღონდ უცხოელ მოგზაურს ქეთევანი (თეიმურაზის შ.ილის-შვილი) არეული ჰყავს ნესტანდარეჯანში (თეიმურაზის ასულში). შარდენის სიტყვით: „ამ ახალგაზრდა მეფეს (არჩილს) გაგიჟებთ შეუყვარდა ბაგრატის (იმერეთის ყოფილი მეფის) ცოლი, ვადასწყვიტა მისი წართმევა და შერთვა“ (რუსული გამოცემა, გვ. 132 და 361). შარდენს კარგად სჯერდნია რომანის პოლიტიკური მხარეც: „ამ ქორწინებით არჩილმა შეაბინა კახეთის სამეფო, სადაც უკვე მეფის მოადგილედ იყო“-ო. ²⁾ ქეთევან დედოფალი იმ ჟამად ჭყვედ იმყოფებოდა ახალციხის ფაშასთან, შაჰნავაზმა დიდი სასყიდელი გაიღო სარძლოს დასახსნელად.

ახლად შეუღლებულმა არჩილმა „ჰყო სასახლე თელავს... და იყო შებენა და ნადირობა-ნადიმობასა შინა“. ³⁾ მაგრამ ასე დიდხანს არ ყოფილა. 1675 წელს არჩილმა დასტოვა კახეთი და ამ დროიდან მოკიდებული მთელი თავისი ძალონე მონადრომა იმერეთის ხელში ჩაგდებას. იმერთა დიდკაცობის დიდი ნაწილი წინააღმდეგა არჩილის მცდელობას, რადგან მას, როგორც ქართლის დინასტიის წარმომადგენელს, კანონიერი უფლებები არ ჰქონდა იმერეთის ტახტზე. ამ ფორმალურ გარემოებას კარგად იყენებდა იმერთა გვაროვნული არისტოკრატია მუდმივი შფოთვისა და შუღლის გასაღვივებლად. ადგილობრივ მკვიდრ ნიადავს მოკლებული არჩილი იძულებული ხდება მიჰმართოს ძალმომკრებას და თავისი პოლიტიკური იმედები, დაამყაროს უცხოეთის ორიენტაციაზე, ის ხან ირანის შაჰს სთხოვდა დახმარებას, ხან ოსმალეთის სულთანს, ხან ყირიმის ხანს, ხან კიდევ რუსეთის მონარქს. XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის განმავლობაში არჩილი ოთხჯერ იქნა ტახტზე აყვანილი და ოთხივეჯერ გაძევებული: მეორედ მეფობდა 1678-1679 წლებში, მესამედ—1690-1691-ში, მეოთხედ —1695—1696-ში, მეხუთედ —1698-ს.

მაინცაღამაინც არჩილის საბოლოო იმედად რჩებოდა რუსეთი: 1680 წელს დვალეთს შეხიზნული ის ელჩებს აგზავნის რუსეთს, შემწეობასა და მოსკოვში ჩასვლის ნებართვას სთხოვს მეფე თეოდორე ალექსის-ძეს. არჩილის წერილის დედანი ამჟამად დაცულია მოსკოვის ცენტრალურ საისტორიო არქივში (Грузинские дела, грамоты №№-17 и 18) და დათარიღებულია 1680 წლის 28 ნოემბრით. არჩილის რუსეთში გადასვლას, როგორც ჩანს, არ თანაუგრძნობდა ქართლის საეფო გვარეულობა. დასახელებულ არქივში მოიპოვება ერთი შესანიშნავი დოკუმენტი სათაურით: „Сказка терского толмача Семена! Дмитриева о бытии его в Грузии у царя Арчила“. ⁴⁾ ამ საბუთი-

1) Путешествие Шардена по Закавказью в 1672—1673гг., перевод Е. В. Бахутовой и Д. П. Косовича Тифлис, 1902, стр. 132, 197—198; აგრეთვე შარდენი, მოგზაურობა საქართველოში, თარგმნილი ფრანგულიდან ვასილ ბარნოვის მიერ, ტფ. 1935, გვ. 87—91 (რუსული თარგმანი უფრო სრულია).

2) მოგზაურობა, გვ. 197 (რუსული გამოცემის) და 89 (ქართული გამოცემის).

3) ქართლის ცხოვრება, II, 147.

4) Картон 20, №-2.

დან ირკვევა, რომ სიმონ დიმიტრიევი სპეციალურად ყოფილა მივლენილი დედალეთს არჩილის შუამდგომლობასთან დაკავშირებით. ელჩს საუცხოვოდ აქვს აწერილი დედალეთი საზოგადოდ და კერძოდ არჩილის ოჯახური ყოფაცხოვრება. დიმიტრევი, სხვათა შორის, შემდეგს გვიამბობს: „Приехали к Арчилу царю в Девлет (ე. ი. დეალეთს, ა. ბ.) из карталинской земли брат ево, Арчилов, родной меньшей царевич Левон... да с царевичем же Левоном приехал в Девлет к Арчилу царю зять их Малахей, да первой боярин Теймураз и иные знатные люди“. ეს დელეგაცია თურმე არჩილს არწმუნებდა რუსეთისაკენ გაშვებულების უაზრობაში და მრუთივით იმ სიფთაზედაც, თაც ამ გმზავრობასთან იყო დაკავშირებული. მოლაპარაკებისას დიდ მღელვარებასა და ხმაურობას ჰქონია ადგილი, რადგან, დიმიტრიევის სიტყვით, „брат ево (Арчила) царевич Левон и все с ним будучие учили говорить с великим шумом“. არჩილს თავის განზრახვაზე ხელი არ აუღია და თვისიანებს ცხარე ცრემლებით გამოთხოვევია („Учили все плакать“).

ოჯახობითა და ამალით არჩილი თერგს ჩასულა 1682 წლის ივლისის 30-ს, ხოლო ასტრახანს—იმავე 1682 წლის სექტემბრის პირველს. ¹⁾ მეფერს ამალიში ირიცხებოდა 162 ქალი და კაცი (არქივში დაცულია ამალის შუამდგენლობის სრული სია), ოჯახია წევრები იყვნენ: უფროსი ვაჟი ალექსანდრე (დაიბადა 1674 წელს, საშუალი მამუქა, ანუ რუსული წყაროებით მათე ²⁾ (დაიბადა 1676 წელს), ძუძუმწოვარი დავითი (დაიბადა 1681 წელს) და ქალი დარეჯანი (დაიბადა 1665 წელს), აგრეთვე ცოლი ქეთევანი.

რუსეთის მთავრობამ არჩილის შუამდგომლობა ნაწილობრივად შეიწყნარა. აღუთქვა მფარველობა, დაუნიშნა მასა და მის ამალას საზრდო, მაგრამ საცხოვრებელ ადგილად თერგი მიუჩინა, მოსკოვში მიღებაზე კი უაროუთხრა. არჩილი თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა, არა ერთგვის მიჰმართა მეფეებს (იოანე და პეტრე ალექსის—შვილებს) და კარის გავლენიან პირებს ხან დელეგაციების სა-

¹⁾ სხვათა შორის, ეს თარიღი მშენივრად ირკვევა არჩილის წერილიდანაც, რომელიც 1683 წლის 8 მაისის რიცხვით გაგზავნილია იოვანე და პეტრე ალექსის—შვილებს სახელზე. წერილი ასეა დათარიღებული: „დაიწერა წიგნი ესე დასაბამიჲგან წელსა შეიდიათას-ას-ოთხ-ოცდამეთერთმეტსა (7191—5508—1683), თვესა მაისსა რუსსა“. ხოლო წერილში ნათქვამია: „ოცდაათს ივლისს) თერგს მოველ... და ერთს სეკდებერს აქ აშთარხანს მოვედით, აწ რვა თვე გათავჯა და შეცხრეს თვეში ჩავდებით რომ აქა ვართ“ - თ. (Грамоты №-20), მართლაც. 1683 წლის მაისი მეცხრე თვეა არჩილის ასტრახანს ყოფნისა, რადგან იქ ჩასულა 1682 წლის 1 სექტემბერს. ამავე შიშარასის წერილი გაუგზავნია ჰეთევან დედოფალს „დედოფალ ნ.თალიას“ და სიფიოს სახელზე (იქვე) როგორც თავის ადგილას იქნება ნაჩვენები, არჩილმა ასტრახანში დაჰყო 1683 წლის მეორე ნახევარამდე (1685 წლის 14 დეკემბერს არჩილი უკვე მოსკოვშია, ამოიჯდ. არჩილს ასტრახანში უცხოვრია სრული სამი წელიწადი 1682 წლის სექტემბრიდან 1685 წლის სექტემბერ-ოქტომბრამდე და ათა 1681—1684 წლებში, როგორც აპდეხასს იყო მიუღებელი (იხ. პროფ. კ. კეკელიძის, ქართ ლიტ. ისტორია, II, 402).

²⁾ მათე მამუქას რუსული სახელია, ამიტომ ცდება ბ. ეს აძე, როდესაც ჩამუქა და მათე სხვადასხვა პირად მიიჩნია (შდრ. царевич имеретинский Александр Арчилович, Спб, 1913; стр. 6).

შუალებით, ხან კი წერილობითი მოხსენებით ¹⁾ და დაეინებოთ ითხოვდა მოსკოვში ჩასვლის ნებართვას. ამის შედეგად რუსეთის მთავრობამ ჯერ (1634 წელს) უფლისწულები ალექსანდრე და მამუკა გაიწვია, ხოლო უკანასკნელად მეფის თხოვნაც დააკმაყოფილა. დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ არჩილი მოსკოვს ჩასულა 1685 წლის დეკემბრის 14-ს. მიულოთა დიდი პატივით და ბრწყინვალე გამასპინძლებიან: სხვათა შორის, აჩალოს პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე მარტო „жаркие“ ყოფილა 13 სახელწოდებისა, ხოლო ოცდაათამდე „росское“. რუსეთის მთავრობა, ალბათ, ამით ფიქრობდა მშვიერი იმერთა მეფის მოკვადოვე-ბასა და მოხიბლვას. ²⁾

1687 წელს მოსკოვში ჩავიდა ქართლის მეფე გიორგი გაგზავნილი არქიმანდრიტი ლაგარენტი. გიორგი არჩილს იწვევდა საქართველოში მუსულმანების წინააღმდეგ შეთანხმებული ძალით საბრძოლველად. არჩილი დათანხმდა, დახმარება (ფულითა და ჯარით) გამოითხოვა რუსეთის მთავრობისაგან; ხანგრძლივა მოლაპარაკების შედეგად საჩუქარო ხარჯებს გარდა მიიღო 5.000 მანეთი და ორი ფეროსი შვილის (ალექსანდრეს და მამუკას) თანხლებით 1688 წელს საქართველოში დაბრუნდა. აქ არჩილი დარჩა 1699 წლამდე, დროგამოშვებით მეფობდა იმერეთში, რამდენიმეჯერ გაუჯანჯანა მოსკოვს ოფიციალური მოხსენება თავის საქმიანობის თაობაზე და შემწეობა ითხოვა.

1690 წელს არჩილი დიგორიდან ატყობინებს მოსკოვს, რომ 1689 წელს იანერის თემში „ჩემის საბატონოს უფროსი დაევიკრე“, მაგრამ მალე იძულებული გაეხდა სამეგრელო—აფხაზეთში გაეხლადკარა: „ასრე მოგვიტოლა საქმე, რომ მე შავის ზღვის პირს დავრჩი და ჩემი შვილები მთის ქვეყანას. ველარც მე ჩემს

¹⁾ ანუ „ჩაოპიტნებით“, როგორც იმ დროინდელ საბუთებშია აღნიშნული ეს უნდა იყოს ტერმინი ჩინურად „челобитная“-ს.

²⁾ სხვათა შორის მარი ბროსი შენიშნავს, რომ: „Что касается времени вызова Арчила в Москву, то я не имею об этом ни одного официального документа (О грузинском письме царя Арчила, УЗИАИ, Спб 1854, т. II, вып. 4, стр. 559). ამიტომ უდავლო არ იქნება აქ ორივედ არჩილის მოღვაწეობისათვის საბუთებიდან (მოსკოვის ცენტრალური არქივის წიგნი №-10, გვ. 25-26); РЧГ (1695), марта в КЗ (27) де великие государи и цари... слушав многократного челобитья Арчила царя и детей ево Александра и Матвея... приговорили: ево, Арчила, из Астрахани отпустить к Москве, А в приставах у него быть от Астрахани до Москвы боярина и воеводы князя Андрея Ивановича Голицына, тоярышу—думному дворянину Степану Богдановичу Довячкову“. თავის შერთე ჩაწერაში (Nouvelles recherches, 562) ბროსე ასახელებს სათანადო უქანს, თუმცა თვით რეპუტი არ მოჰყავს. ბ. ესაძეი (Царевич умеретинский, გვ. 5-6) არეოლი აქვს არჩილის მოსკოვში ჩასვლისა და იქიდან უკან გაშვების თარიღები, მისი სიტყვებით ისე გამოდის. თითქოს არჩილი მოსკოვს ჩასულა 1688 წლის აპრილში: „В апреле 1688 г. приехал в Москву сам Арчил“. სხვათა შორის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არჩილის ახალა 162 სულისაგან შედგებოდა, მაგრამ თავდაპირველად ის უფრო მრავალრიცხოვანი უნდა ყოფილიყო. ოქსეთის მთავრობას მოუთხოვია ამაღლის ნაწილის ასტრახანიდან უკან გაბრუნება. არჩილს ბრძანება შეუსრულებია. ამის შესახებ ის ეწერება მოსკოვს: „ჩვენს ყვეს ზოგსა საპოთელოში გაბრუნება ებძანა. ომერთმან ყოვლი მგავი წინაღმდეგობი ასე დაჯალღელოს ყოვლის სიყვითისაგან, რომ მე ყმაზე დამცრობილი ვიყო, მაგრამ ბრძანება ხელმწიფისა გავეთათებია და ზოგი გავეიშვია“-ო (Грамоты, №-21).

შეიღ თან მოველ, ველარც ეგენი ჩემთან მოვიყუ-ნე და წიგნი გაუგზავნე, თქვენ ისრეც ღვთის მოყვარეა და მოწყალეთა დიდს ხელწიფებთან წადით, ჩემს საქმეს—რომელსაც ღმერთი გააგებს—კრდე გაცოდინებ მეთქი. ჩემი შეილები ამავე წელიწადს (ე. ი. 1689 წელს) თებერვალს ოცს წამოსულიყვნენ მაგათის მეფობის დიდებულებასთან-ო. (საბუთები, № 24).

მოსკოვს დაბრუნებული მამუკა გარდაცვლილა 1693 წლის 23 მარტს. ¹⁾ ხოლო ალექსანდრე პეტრე დიდმა 1697 წელს თან წაიტანა საზღვარგარეთ.

1693 წელს არჩილს განუზრახავს რუსეთში გადასვლა, მაგრამ ჩერქეზთ ბატონმა ყილჩიყომ ყუენისა და შამხალის მიხეაით ჯერ ის უსიტუმრა პატივით²⁾, ხოლო შემდეგ მუხანათურად თავს დაესხა და შეიპყრო: „შეუპყრნეს ორთა კაცთა ხელნი არჩილს იმიერ და ამიერ და იწყეს სპათა არჩილისათა პურობა ჩერქეზთა“. არჩილს აქ დიდი მამაცობა გამოუჩენია, პირადად მიუღია მონაწილეობა ბძოლაში და მრავალიც მოუკლავს: „შემდგომად განვლო ბძოლითა მეფეზან რახმი მათი და წარვიდა ლტოლვით“. თუმცა საბოლოოდ მაინც ტყვედ ჩავარდნილა. ვახუშტის სიტყვით, არჩილი უხსნია ყილჩიყოს ცოლს: „ცოლმან ყილჩიყოსამან წარაუღინა მეფე ბასიანს და სპანი არჩილისანი დიგორს“. ²⁾ მაინცდამაინც არჩილს არ მოუხერხდა თერგისკენ გასვლა და ქართლში დაბრუნებულა. თვითონ არჩილი საინტერესოდ გადმოგვცემს როგორც ყილჩიყოსთან ტყვეობის ამბავს, ისე საერთოდ თავის გამოუვალ მდგომარეობას, მოსკოვს გაგზავნილ ერთ-ერთ მორიგ მოხსენებაში: „ჩვენი საქმე მრავალჯერ მოგვიხსენებია დიდის ხელწიფებისათვის. რაც ღონე გვექონდა, ამდენი ხანი არის ვეცადეთ ჩვენის ქვეყნის საქმესა, რომ ამ ჩვენის მძაფრის მტრის ხელით დაგვეხსნა და ჩვენი მკვიდრი ქვეყანა ჩვენ დაგვექირა და თქვენ დიდის ხელწიფებისათვის გვემსახურებინა; მაგრამ ჩვენი ძალი ამათს ძალს ვერ გაუვიდა და ორას და ერთს (1693) წელიწადს ხელწიფეთ თავი ველარ დაუკარით; და ისრე ისევ მაგათის მალალს ხელს შოგმართეთ. და ლაშქარი ველარ ვითხოვეთ, და დაგვედენ ყაბართოში შამხლის შვილი და ყილჩიყო მირზა და მოქლეც-ლარ მე და ღმერთმან და მაგათმა სიმართლემ მომარჩინა. აწ აღარც აქ დგომა შეიძლება ჩემგან და ვერც ულაშქროდ მაგათის მალალს ხელთ ქვეშ მოსვლა შეიძლება ჩემგან. ღვთის გულისათვის და მართმადიდებლობისა და ქრისტიანობისათვის ლაშქარი გვიბოძეთ და ამათის ხელისაგან დაგვიხსენით, და ლაშქრის თაობა ადლიგერაი მირზას უბოძეთ, რომ მან გამოგვიყვანოს. ღმერთი დაგიმადლებსთ, თორამ ჩვენი სამსახური რა იქნება.

დაიწერა დასაბამითან შეიდი-ათას ორას ოთხსა (1696). მაისსა ოცსა“³⁾

¹⁾ ასეთი ცნობა დაუკავს. დონის მონასტრის (მოსკოვს) შენატინაე (летописец. об. Б. С. Эсадзе. Летопись Грузин, 1. стр. 261). [Матий, царевич. сын царя Арчила Вахтангевича, имеретинской земли о лавателя; + 23 марта 7201 г. (1693). Сретенская церковь-ქ. შტრ. აგოთვეუ კ. ბუროკოვის „Северный архив“ 1824, 23—24, გვ. 208. მიტრ. ვეგენი, Историческое изображение Грузии, გვ. 34, შენ. მ. ბროსეს ძამუკა, გარდაცვალების თარიღად პრეჟად შეკთომით დამებული აქს 1695 წელი (О груз. пи. ѿм. 546). ნეორედ კი ამს ასწორებს (Nouvelles recherches, 568). არჩილს უმცროსი შვილი დავითი გარდაცვლილა ოსკოვს 1684 წლის 24 ოქტომბერს (Летопись Грузии, 1, 361). მ. ბროსე (О груз. пи. ѿм. 549, 568) და ბ. რსადი (Царевич имеретинский Александр, 2^ა) შეკთომით ათარიღებენ დავითის გარდაცვალებას 1709 წლით.

²⁾ კართლის ცხოვრება, II, 211—215.

³⁾ საბუთი № 27.

საბოლოოდ დაბრუნდა არჩილი რუსეთში 1699 წელს. პეტრე დიდმა არჩილი და მის შვილ ალექსანდრეს მისცა სამეკვიდროდ დიდალი მახულები (ახნაე-სათესით, საძოვრებით, სათევზო ადგილებით, ქარხნებით და სხვა.) ნიჟეგოროდისა და მოსკოვის მაზრებში (волости Терюшевская, Белогородская и Лысовская, село Всесвятское¹). ეს უხვი წყალობა იმითაც უნდა კოფილიყო გამოწვეული, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი პეტრეს სიყრმის მეკობრად და უახლოეს თანამშრომლად ითვლებოდა. ალექსანდრემ სეროიზული სახვედრო განათლება მიიღო სახლგარეგანეთ (ჰოლანდიაში) და რუსეთის სახელმწიფოს მთელი საარტილერიო საქმის უფროსად დაინიშნა გენერალ-ფელდცეხ-ნიჟესტერის წოდებით.

საცხოვრებელ ადგილად აირჩია არჩილმა სოფელი ვსესვია (ცკოე,²) რომელიც ამჟამად ქალაქ მოსკოვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარე-უბანია ლენინგრადის შარა-გზაზე და რამდენიმე კილომეტრით არის დაშორებული ცენტრიდან. საერთოდ მოხუცების დროს არჩილს საკმაოდ მყუდრო და მდიდრული ცხოვრების პირობები შეეცნა, რაც დიდად ნატანჯ-ნავაგლახევეს და მშობლიურ ნიდავს როწყეტილ პოეტს ვერ ახარებდა, მით უმეტეს, სულიერ სიმწვილეს ვერ უქმნიდა. იშვიათი პოეტური ძალით აქვს აღბეჭდილი არჩილს ეს გარემოება:

სიღარიბე და მწირობა პირველ აბრაჰამ ვერუა;
აუ კაცა მრხედეს გრძლად ყოფნა უცხოს თუ სა და მიწებსა,
შარბათი ცაქონდეს სასმელად, ნაღველად აღმოიგებსა.

სიცოცხლის ბოლო წლები მოუწხამა არჩილს მისი უკანასკნელი შვილის ალექსანდრეს დაღუპვამ. ალექსანდრე ბატონიშვილი 1700 წლის 19 სექტემბერს ტყვედ ჩაუვარდა შვედებს ნარეასთან ბრძოლაში. 1701 წლის 28 მაისს ალექსანდრე სტოკჰოლმში ჩაიყვანეს, იქ მან დაყო მთელი ათი წელი. თუმცა ალექსანდრეს შვედები შედარებით კარგად ეპყრობოდნენ, როგორც გამოჩენილ გენერალსა და დიდ გვარიშვილს, მაგრამ თავისუფლებას მოკლებული ცხოვრება მისთვის მაინც ძლიერ საძნელო გამზდარა. ალექსანდრე ხშირად ავადმყოფობდა, ნერვიულობდა, სასოწარკვეთილებას ეძლეოდა. არჩილს არა ერთგზის მიუშარათავს შემწეობის თხოვნით როგორც პეტრესთვის, ისე კანცლერისა და სხვა დიდი მოხელეებისთვის, ტყვის დახსნა მაინც არ მოხერხებულა. 1706 წლის 2 თებერვლის თარიღით არჩილს იშვიათად გრძნობიერი წერილი გაუგზავნია პირადად კარლოს დიდისაგან (შვეციის კოროლისთვის) და შვილი შეუუედრებდა. იმ დროიდან ამონაწერი ამ შესანიშნავი წერილიდან, რომელიც მთლიანად გამოაქვეყნა აკად. მარბ ბროსემ (О грузинском письме, 548—549):

„Многие скорби и болезни угрожают ему (Александру) изнеможением и преждевременною смертью; нас же, в случае потери сына на старости, печаль низринет в могилу еще скорее, чем разорение и

¹) იოვავე ბატონიშვილის მოწმობით, არჩილმა „მიიღო მეფეთა რუსთაგან ბატონი და თედვათხი თათის სული ყმა რუსეთსა შინა“ (საისტორიო მასალანი. I, 27).

²) თვითონ არჩილი ამას უწოდებს „ვსესევკა“ - (ადაათნი, 37, 4). ეს სოფელი ზოგან იხსენება ვსესვიატსკოდ, ზოგან კიდევ ვსესვიატსკოდ.

бедствие страны нашей. Посему мы и все наше семейство смиренно преклоняясь, просим ваше королевское величество излить на нас милосердие, которое есть удел вашего величества, и оказать нам милость, даровав нашему сыну свободу в обмен на несколько офицеров вашего королевского величества, равных нашему сыну по летам и по настоящему чину, дабы старость наша не лишена была сего последнего утешения“.

პირველად არც ამ თხოვნას გაუჭირია, ხოლო 1710 წელს ალექსანდრეს დროებითი თავისუფლება მიუღლია შშობლებისა და ოჯახის სანახავად, მაგრამ ეს ზედნიერება არ დასცლია და გზად გარდაცვლილა ქალაქ რიგას, ნეშტი გაუმოყვებრებით მოსკოვს და დიდი პატივით დაუსაფლავებიათ დონის მონასტერში. ¹⁾

ყოველივე ამასთან ერთად არჩილი თვითონ დაავადებულა რალაცა საშინელი სენით. 1707 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ წერილში (პეტრე პირველის მიმართ ალექსანდრე ბატონიშვილის საქმეზე) ის, სხვათა შორის, იწერება: „Обременен прелютыми скардами хираграю подагрою и иными ведущими житие мое ко вратам смертным“. არჩილს დიდად აწუხებდენ შვილის (ალექსანდრეს) მოვალეები. უკანასკნელად დიდი ზარალი მოუვიდა ვსესვიატსკოვს სასახლის გადაწვით (ვინ იცის, რამდენი ხელნაწერი შთანთქა ამ ცეცხლმა!). ერთი სიტყვით, საერთო ანგარიშში „მსახვრალი“ გამომდგარა ემიგრანტი მეფისა და პოეტის ცხოვრების ბოლო წლებიც. მაგრამ ის ქედს არ იხრიადა, სრულ სასოწარკვეთილებას არ ეძლიოდა და ნაღვლით სავესე მიანიც ნაყოფიერ ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა.

მოსკოვში საბოლოოდ დამკვიდრებისას არჩილს ხელი მიუყვია ქართული სტამბის მოწყობისათვის და უკვე 1703 წელს ამ მხრით ყველაფერი მზადაც ჰქონია.

¹⁾ აქვე მომაქვს ამონაწერი ამის თაობაზე დონის მონასტრის მატინეჟან: „Марта 29 погребено в донском монастыре царевич Милитинский Александр Арчилович (первый генерал—фельдцеймейстер русской артиллерии, при Петре Великом) под соборною церковью, что сделана палата под алтарем; а тело его привезено из шведския земли из Стогольнова. А представна тело царевича 1710 г, Февраля 2 числа. При том же его гробе по изволению батюшки его погребены тела братьев его царевичев: Матасия (г. о. маметаши, а. б.) и Давида и его царевича Александра жена первого брака. А перенесены же их тела из Новодевичьяго монастыря апреля 5, 1711 году. (Летопись Грузии, I, 338). აღსანიშნავია, რომ აკად. ა. ბროსეს გამოქვეყნებული ცნობით 1711 წლის 18 დეკემბერს თავადი ივანე ტრუბეცკოი, ავტომონ გოლოვინი და კ. ა. ხილკოვი ხელწერილს აძლევენ შვეიცის სენატს: „Отпущаются отсюда и ныне в Русь при гробе царевича меретинского с человеком его Варлаамом Санковым, его цаоского величества подданные работники люди, для обережения гроба (ჩამოთვლილია პირები) на размену шведских невольников равночинца“ (Histoire de la Géorgie, II, 352). მოტანილი დოკუმენტი მოწმობით ალექსანდრე ბატონიშვილის გადარსვენებასა და დასაფლავებას მოსკოვში ადგილი უნდა ჰქონოდა არა უადრეს 1711 წლის დასაწყისისა. სხვათა შორის, ალექსანდრეს პირველი ცოლი, Феодосия Ивановна Милославская (იქვე, 364) იყო პეტრეს ახლო ნათესავი. ალექსანდრეს ძეივე ცოლი ყოფილა ვინმე Гликерия Ильинична, გარდაცვლილა 1720 წლის 23 ივლისს (იქვე). ალექსანდრე ბატონიშვილს შვილი არ დარჩენია ალექსანდრესა და არჩილის შსახებდ მოკლე, მაგრამ საყ რადღებო ცნობები მოეპოვება ვოლტერს (Histoire de Charles XII, ლაოფისის გამოცემა, გვ. 49—50).

1703 წლის ივლისის 2-ს არჩილს მოუხსენებია თეოდორე ალექსის-ძის გოლოკეინისათვის: „При сем вашей милости доношу прошение мое. Прешедших в повелесея нам от высочайшия державы печатать книги на нашем языке ради церковныя и гражданския пользы нашему Иверскому народу, а наипаче в тиранстве под турком и персом с, щым, кои зело великую скудость книг духовных имеют, и тогда начатое дело недостатком литер и людей, к делу приличных, остановилось. А ныне за божеею помощью литеры нашего диалекта построились изрядно и художники к делу обретаются искусные“. ამიტომაც არჩილი წუამდგომლობს მეტის წინაშე: „Дабы повелел в своей царской типографии на нашем языке несколько книг церковных напечатать“ სახელმწიფო ხარჯზე. ¹⁾ თხოვნა შეწყენარებული ყოფილა.

გოლოკეინი ატყობნებს არჩილს 1703 წლის 11 აგვისტოს თარიღით პეტროპოლიდან: „А что, государь, изволил ты ко мне писать о позволении печатания книг и о том указ монаршеской послал уже наперед сего к Ивану Алексевичу Мусину—Пушкину. Велено дать позволение печатать и на то употребить некоторое число денег ис казны его монаршеской.“ ²⁾

¹⁾ Каутон 27, № 2.

²⁾ ამ ამონაწეოვის კარბად იმტომ დაივსესუე, რომ მათ დიდი მნიწენლობა აქეს ქართული სტაბის ისტორიისთვის ჩვეი მ.ს.ღები აჩრწულდა: რომ დიდ გუგუნბრბას, რააც სათავე ჩასცა პ.ლოენმა. როგორც ცნობილ ა, ბროსეს გამოცემას „erepiska gruzinских царей с русскими государями“ დართული აქის დაახებლებული პლოენის მიერ შედგენილი მიწიხილვა მისკოვის ცენტრ-არქივის საართულოს საქეებ-სა. ხვეით დამოწკიკლი არჩილის წერილის შ.ხარაო პლოენს ასე აქეს ჩადნოცე ული: „В другом письме Арчил просил Головина о издании в Московии у государя повелении напечатать в типографии несколько церковных книг на грузинском языке, для всеобщего употребления в его отечестве. В Грузии же печатание ограничено по недостатку литер и людей“. (გვ. XXV, დაყოფა ჩვენია. ა. ბ.). ამვე შეცდომას იხეობს, პლოენის დამოწმებით. დ. კარიაშვილი: „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია. ტფ. 1929, გვ. 44). აღსანიშნავია, რომ სტამბის აკოხებით არჩილი დაიხტეგეგუნულა მისკოვში პირველად ჩასვლისას. ქართული ბრედის ჩანთხმას ჩვეუ იხავით ე შედგენია, ა საქეში არჩილი. თვის დიდი დახარება ვაწვეია ბლოანდ: რდ სწავლულ რომენტალისს და გააჩინილ სახელმწიფო ოლიაწე Nicolas Wizen-ს (1640—1719). ვიტცენს ვეჯიზნის დიდ ანანი წიგნი „Noord en Oost Tartarye“, რომლის მე ამე გამოცემა დაბეჭდილა აიტერდას 1785 წელს. ვიტცენის წიგნში მოთავსებულია არჩილის პორტრეტი (აქედან გადაბეჭვა არჩილ. ინს) პირველ ტომში), არჩილის ვიტცენისადმი გაგზავნილი წერილის სრული პირი—ფაქიმილე, მეორეწერილი ლათინურად და ვრცელი საისტორიო ხასიათის ცნობიი საქათველოს შესახებ. ვიტცენს ახლო ნაცნობობა და კარგი ურთიერთობა ჰქონია არჩილთან. სფიოეოლი ხდება, რომ დასახებლებული წიგნის საქართულოს რსახე ი მასალა არჩილმა იაწოდა ავტორს. სხვათა შორის, აღ. ვაგარელიც ასახელებს ერთს »Краткая история Грузии.« ს „составленную со слов царя Арчила“ (Ню-ые Архивные материалы, 1. 2). ბლოანსაში ყიდნისა ვიტცენის სტუმართოყვარობით უსარგებლობა პტრე დიდის ხბლებელს ალიქს დრე ბტ-ნ.სელოს ლათინურად დაწერილ თავის მეორე წერილში არჩილი იადლობას უცდის ვიტცენს ალექსანდრესთვის აღმოჩენილი შეწყეობის გამო არჩილის ქართულ წერილ დიდი მნიწენლობა აქეს ქართული კულტურის, ეთნოლ ქართული წიგნის ბტცენის სტორიო. თვის. აღ წერილიდან იოცევა. რომ მისკოვის ქართული კტ.ბნის ისტორია XVII სუჯენიდან უნდა დაეცეოა დაქარა XVII დან. ვიტცენის წიგნსა და არჩილის წერილს პირველად ვუვარდელა. იაქეთა ქართულტიტგ-გლევის დრე ბრთმელმა ნო.მაგუმ აკად. მ. ბროსენ (Histoire de la Géorgie II, p. 351—352). ბროსეს ცნობეხე მივიჩითთა ქრ. შარაშიემ.

ამ სტამბიდან 1705 წელს გამოვიდა „დავითნი“. არჩილის ინიციატივით და მისივე უშუალო მონაწილეობით დაშადა და გამოსაცემად ქართული „ბიბლია“, რომლის ბეჭდვა შემდეგში განახორციელა ბაქარმა (174) წელს.

სიკვილის მოლოდინში არჩილს დაუტოვებია ანდერძი პეტრე დიდისთვის, ¹⁾ უთხოვნია დარეჯანის მკვეიდრედ დამტკიცება და, როგორც საკუთარი ოჯახისა, ისე მთელი ამაღის მფარველობა. აი ერთი ადგილი ამ ანდერძიდან: „В руце твои предаю дом мой и сущих в нем. Тебе оставляю нищии, сыры и пришельцы; ты буди им помощник и не остави их во время старости, внегда оскудевати крепости их“ (ст. 211).

როდის გარდაიცვალა არჩილი?

ვახუშტი ბატონიშვილის მოწმობით არჩილი გარდაიცვალა ჩლიბ, ე. ი. 1712 წელს²⁾. ამავე თარიღს დებს ზოგიერთი ისეთი ჩველევარიც, რომელსაც უშუალოდ უმუშავია არჩილის მდიდარ არქივზე. ³⁾ ვახუშტისა და ბროსეს წყალობით აღნიშნული თარიღი დაკანონდა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. მაგრამ ეს თარიღი მცდარია. დაქვრივებული დედოფლის, ქეთევანის, წერილიდან ჩანს, რომ არჩილი გარდაიცვლილა 1713 წლის 16 აპრილს. ამ თარიღით დედოფალი ოფიციალურად აცნობებს მთავრობას: „В 16 апреля господь бог друга вашего, ⁴⁾ а моего сожителя от суетного и многобедственного жития взять благоволил“. ⁵⁾ ოღონდ აქ ერთი გარემოებაც აის აღსანიშნავი, სახელდობრ ის, რომ ქეთევანის წერილი არქივში დაცულია 1712 წლის საქმეებში. მაგრამ ეს გაუგებრობის შედეგია (შესაძლებელია ამ გაუგებრობამ შეიყვანა შეცდომაში ბროსე, ცაგარელი და ესაძე). იმავე არქივის სხვა საქმეებიდან ჩანს, რომ 1712 წლის 18 სექტემბრის თარიღით არჩილს არზა მიუერთებია მთავრობისათვის სასამართლოს თაობაზე. იმავე წლის 23 სექტემბერს არზას მოპყლია არჩილის სასარგებლო განკარგულება. ⁶⁾

მაშასადამე, რახან არჩილი ცოცხალია 1712 წლის სექტემბერში, იმავე წლის აპრილში გარდაცვლილად მას ვერ მივიჩნევთ. ამიტომაც ქეთევან დედოფლის წერილი უნდა დათარიღდეს არა 1712-ით, არამედ 1713 წლით. ამასვე საფუძვლით ადასტურებს დონის მონასტრის არა ერთხელ დამოწმებული მემბრანი: — „1713, апреля 16 преставился на Москве Милитинский царь Арчил Вахтангеевич, а погребен в донском монастыре, в церкви сретения господа нашего Иисуса Христа, что построил он же царь Ар-

¹⁾ П. Бутков, История о духовном завещании имеретинского царя Арчила („Северный Архив“ 1844, XII, № 23-24, стр. 203-222).

²⁾ ქართლის ცხოვრება, II, 225.

³⁾ მაგალითად აკად. ბროსე, О грузинском письме, გვ. 549, აღ. ცაგარელი (Новые архивные материалы, 192) და ბ. ესაძე (Царевич имеретинский Александр Арчилович, стр. 28).

⁴⁾ წერილი გაგზავნილია „გავრილთ ივანოვიჩის“ სახელზე.

⁵⁾ Картон 29, № 2.

⁶⁾ Картон 29, № 1.

ჩილ, გდე პოგრებენი დეტი ეგო. А погребен Арчил Вахтангеевич апреля 19^ა 1).

თვითონ ქეთევან დედოფალი გარდაცვლილა 1719 წლის 16 აპრილს. 2) არჩილს დარჩა მხოლოდ ერთი ქალი, დარეჯანი, რომელიც გაუთხოვარი გარდაიცვალა 1740 წლის 6 ოქტომბერს 3). უშვილოდვე მიიცვალა 4) ალექსანდრე ბატონიშვილის მეორე ცოლიც. ასე საბოლოოდ გადაშინდა რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში თავდაპირველად. საკმაოდ მრავალრიცხოვანი არჩილის ოჯახი.

II. არჩილის შემოკვამლება

სხვას ზღაპოულს ამბავს ეყუდ

მართალი ამბავი ვარჩიე გასალექსავად

ა რ ჩ ი ლ ი

არჩილის ნაწერების კრებული ცნობილია „არჩილიანის“ სახელწოდებით. 5 დიდი იდეური სიღრმით აღბეჭდილი „არჩილიანი“ მრავალფეროვანია თემატიკურ-შინაარსეული მასალით და საყურადღებოა ფორმით. კრებული შეიცავს უმთავრესად საერო ხასიათის ტექსტებს, თუმცა ავტორი „საკაცოსაც“ (ე. ი. საეროსაც უწოდებს და „სამლოთსაც“ (ე. ი. სასულიეროსაც):

საღმთოაჲც გეტყვისთ, საკაცოსც, ორიჲჲ ნაკაჲკალია. 6)

„არჩილიანი“ ავტორს დაუდგია მოსაგონარ-სახსოვარ წიგნად. გრძნობიერი სავედრებელი სიტყვით მჩაჰმართავს არჩილი თავის მკითხველებს (სანათლისღებო, 25,3-4):

მოგართვი ჩემად სახსოვრად, ძმანო და ჩემნო დაო, და, 7)
მომიკონებდით აა წიგნით ტკილადრე, არ სააოჯა.

„არჩილიანი“-ში შემავალი ტექსტები შეთხზულია ავტორის ემიგრანტული ცხოვრების პირობებში. ამ პირობების ელფერი კრებულს ძლიერ დასტყობია. თუ ავტორს დაუჯერებთ, მისი ლიტერატურული მოღვაწეობა ემიგრანტული ნაღველის შენელების სურვილით ყოფილა გამოწვეული: ნაღველის რასმე საქარ-

1) Летопись Грузии, I, стр. 358-359. (სრულიად სამართლიანად 1713 წელს სთელის არჩილის გარდაცვალების თარიღად მიტრ. ევაენი (Историческое изображение Грузии, 35), პ. ბუტკოვი („Северный Архив“, ст. 2-8), პ. იოსელიანი (არჩილის მოკლე ბიოგრაფიაში, რომელიც წინასიტყვაობად აქვს დართული პლატონისვე გადაწერილ არჩილის ერთ ხელნაწერ კრებულს, № 2294) და აგრეთვე დ. კარიჭაშვილი (ქართული ჭიგნის ბეჭდვის ისტორია, 48)).

2) Летопись Грузии, I, 359.

3) იქვე, I, 361.

4) 1720 წლის 28 იელისს (იქვე, I, 359).

5) „არჩილიანი“ ს ტექსტური შედგენილობისა და ქრონოლოგიის საკითხებზე იხ. ალ. ბა-რამიძის „არჩილიანის ტექსტისათვის“ („არჩილიანის“ I ტომის წინასიტყვაობა).

6) სიტყვა სანათლისღებო, 42, 4.

7) ჩვენ გვჯანია, რომ ამ შემთხვევაში უნდა იფულისხმებოდენ არა ნამდვილი დაძმანი, არა-ჰედ აერთოდ მკითხველები.

ვებლად მე ეს საქმე ვიმეგობრე“ო. ეს მომენტით პოეტს მიიჩნია მბატკრული პა-
სუხისმგებლობის შემამაუბუქებელ გარემოებად:

ცუდად ყოფნით ამის მეტი სხვა ვერა-რა ვიმეუხეყო.

გალექილი „ვისრამიანის“ წინასიტყვაობაშიც არჩილი პოეტური მოხდენი-
ლობით იმეორებს (52,1-2):

ცუდად ყოფა მომეწყინა, სულა ფიქრთან დაშალაძა,
ლოხეს ვეძებ ლხეისასა, არაუც მოკვდევ ამ-ლდა.

ასევე მეორეგანც (იქვე, 56):

ამად ვშვრები, შავან ნისლმან დაჟრა და დამბნელა,
მუჟუს ვაქნევ წხოროსასა ღონედ რასმე ხელა, ნელა;
ევებ ერთა გხას წამ-ყუნოს კარგსა სამემ, საუ ნათელა,
კიონი ჩემნი არ წაძიხდე, ან სულ ჯავრან არ წა-თელა.

აღნიშნულ კითხვას ავტორი უბრუნდება სხვა ტექსტებშიც:

რა ვნა, ჩაირი მით ვიყე, საქმე დაძვირდა საქნელ.დ. (სანათლ. 43,1).
ამად მივწყვენაირს ხელი, აშთაო.ნ.ან მოაწყინა. (საძიჯნურონი 46.4).
თუმც უკვებ ვარ, ვამჯობინე უქმად ყოფ.ს ისევ შრომა (აქადაზიხი. 1,1).

„ვისრამიანის“ ეპილოგში არჩილი ვრცლად ლაპარაკობს ლიტერატურული
მუშაობისათვის მოუცლელობის შესახებ (715-717).

სკლ ყველას თქმა უხანომა უმმან ამად არ მიაქალა,
სიყვდიო.ან და მწუთაოვიამ, რაც წინ ძეფაო. ამაქალა;
ჩეთ საყოლოთ და სახეოწიფლოთ დია შორს სამ გამაკალა,
დილას ღობისა მოპანორა, აწუხბრ ტარ ლხედ მომაკალა.
აას.ქეითაოც ვ ტყუოდი ასეო თუ უუკეთესა,
აქაიდის ვერვის მიოემო, თუც ძ ელად ვისე ვეთეს.
მე კოლონ ჩინი ვამგზავსე მახვოლსა უომკეთესა,
ქაშან და სოფლის ბოუფამაა ოდენ ეს ვაითკვეოესა,
სადლა არს ქ.ში ამისდა, რაქგაო ვეყანას უოოა,
ხხეადახვა კირმან, სიკედ-ღმან ღაინთა ზმა გამოფარა.
დაბრუნდა ეტლი ჩკულმა, დლოთი-დღე უარ-უარა.

„ვისრამიანის“ ნაწილობრივად გალექსვის შემდეგ არჩილს თითქოს განზრა-
ხეაქ ჰქონია თავი დაენებებია ლიტერატურული საქმიანობისათვის: „ამიერი-
გან ვლუმენი ლექსთა თქმა—შაირობასა“-ო; ჩავგამ ეს განზრახულობა მას სის-
რულეში ვერ მოუყვანია, თუმცა „ვისრამიანი“ საბოლოოდ დაუმთავრებელი და-
რჩენია.

* * *

არჩილი რუსთველისა და თეიმურაზის პოეზიაზე განსწავლული ხელოვანია,
ის განუზომელი პატრივისციემით ეპყრობოდა ქართული სიტყვის ორივე დიდ ოს-
ტატს, განსაკუთრებით კი რუსთველს. არჩილია— კრიტიკოსმა არ შეიწყენარა მთელი
რიგი პოეტებისა მხოლოდ იმიტომ, რომ „შოთას რად ვერ წაბაძესა“-ო. არჩილ-
სვე ეკუთვნის მკვეთრი ლოზუნგი:

ვინ ვერ მიჰყუს რუსთველის თქოლსა, გარდმობრძანდეს ასე აქეთ,
მელექსოა არ შეშეხის, დააყენეთ მისაბაქეთ.

ასევე დიდად აფასებდა აჩილი თე-მურაზ პირველსაც. „ბატონი კი შეუ-
დარო. სხვათ რუსთველი გაუთაო“ ო. მას თი-ოქოს უქირდა კიდევაც არჩევანი.
და სწორედ ისაა განსაკუთრებულად აღსანიშნავი, რომ თუცა არჩილი ქედს
იხრიდა რუსთველისა და თეიმურაზის მატერული შემოქმედებითი ღირსების
წინაშე, მაგრამ ამასთანავე ცხადლივ და გაბედულად უაწყაფხა მათ ლიტერა-
ტურულ მიმართულებას. არჩილი იწუნებდა რუსთველისა და თეიმურაზის მოპარ-
ხებულ ფანტასტიკას, „ნაქორ-“ და ნატყუარი ამბების წებთაყაწი სლებდა
მათ ბრალს. ერთგან ავტორი მოჰრიდებლად აცხადება:

ჯართვალთ ენითა ზელე-სე ვერ გდ-რევის ა ორსა;
რუსთველსა ვნა - რორთისა ზეფეს ადვინსა ნაიორსა,
ერთაიერათს რად ვ-ია-ებთ? უნაძს უყაფდენ ამორსა|
იტყვიან უკლოდ ამ-აჟა სპარსთა ნათქვასა, ია კორსა.

არჩილი კატეგორიულად უარყოფს ყოველგვარ მოგონილსა და ზღაპ-
რულ ამბავს და ამის სანაცვლოდ იცავს მართალი ამბის პრიორიტეტობას.
არჩილი ერთგვარად ჰკი ხავს ზღაპრულ თემებზე მომუშავე წყერლ ბს, ის ჰდ-
მოუხრებლად ემიჯნება ამ მხრით თვითონ რუსთველსა და თეიმურაზს. რუსთვე-
ლისა და თეიმურაზის „გაბაასება“-ში ვტორო ასე ასაბუთებს თავის შეხედულებ-
ას: „სხევას ზღაპრულს ამბავს ესევე მართალი ამბავი ვარაიე
გასაღექსავად და არცა რა ამაში ტყუილი სწერიოა ერთის,
შეფისა და რუსთველის პირდაპირ გაბაასების, მეტი-სა-
ქათველოს ამბავსაც კარგად და მართლა მოგახსენეის“-ო.

მოტანილ ნაწყვეტში საყურადღებოა ზღაპრულისა და მართლის
შევეთრი დაპირისპირება. რასაკვირველია, მეზღაპრებდალ ნავულისმწვია თეი-
თ-ან მოცილე თუ მობაასე პოეტები, რუსთველი და თეიმურაზი. ეს კი დიდად
გაბედული ნაბიჯი იყო. რჩლის მხრით, არჩილმა შესძლო საყოველთაოდ ბრ-
ნეული ავტორიტეტების დაუზოგ-ეუ გაკორტ-კება. არჩილმა შესძლო მათგან
გამიჯნება(ს.) იმავე „გაბაასება“-ში ატოლი რამდენივეჯერ უპრუხლება აღძრულ
ბრ-ბლებას. ერთგან საკმაოდ გამომწვევი ტონით წერა:

ვევე ესე ჩემი ნათქვამი კარგი რამ მოსაგნარი,
არ ცაკიცხავი ამბავი, ამო და მოსაწონარი,
არც სხვათ ზღაპრულთა შაირთა ტყუილად გასაგნარი,
ესევე ვაოჩივე დუმილსა, წარწყმედაო ყოვლი მცონარი

ქალილით ამბობს არჩილი სხვაგანც: „რაც მასლოდა, ან მენახა, ამბავი
ვთქვი მე მართლებიო“-ო. არჩილი საყვედურით ალაპარაკებს რუსთვე-
ლის მოპაექრეს (369):

ყოთს დიდმარხვაში ნაგებს ვდიქ, რომელ არს ბოსტან-ქალაქ,
აღდგოჰაც იქ აჰადვიზ-დენ, ჩევი ახალი ასაქი.
რ-(ს) აქივე იხდს, აოაბსა, ესე სჯობს, შენცა ეს აქი!

ამრიგად, არჩილი—აივ ვთქვათ—თავისუფრი რეალისტური მიმართუ-
ლების დამცველია. რასაკვირველია, აქ არ შეიძლება ლაპარაკი რეალიზმზე რო-

1) დამახასიათებელია, რომ საქართველოს ზნეღებში არჩილი ირონიულად შენიშნავს
„მოზღაპრებთა“ შესახებ (75,2); მოზღაპრებდაც ივარგებს, საძილოდ არაქია.

გორც გარკვეულ სალიტერატურო მიმდინარეობაზე, ან სალიტერატურო სკოლაზე. მაგრამ არჩილს უთუოდ შეეერთად ახასიათებს რეალისტური აზროვნობა, „არჩილიანს“ ცხადლივ აღუბეჭდია საგანთა და მოვლენათა რეალისტური ასახვის თვალსაზრისი. „არჩილიანში“ საქმაოდ არის მომარჯვეებული რეალისტური შემოქმედებითი მეთოდის პრინციპები. მეტის თქმაც შეიძლება, სულხან—საბა ორბელიანთან და დავით გურამიშვილთან ერთად არჩილი თავისებური კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელი ხდება ქართულ მწერლობაში.

არჩილი იმასაც იწუნებს, რომ რუსთველმა და თეიმურაზმა თავიანთი უზადლო ნიჭი შეალიეს „სპარსთა ნათქვამი“ ამბების დაპუშავეებას, თავის მხრით კი ის გვიპრდება „საქართველოს ამბავის“ თხოობას. მაშასადამე, რეალისტურ პრინციპთან ერთად არჩილი ქომავობს ეროვნულ თემატიკას.

ეროვნულ—რეალისტური თვალსაზრისიდან გამომდინარე პოეტი თანმიმდევარია ენის საკითხშიც, ის იცავს ენის სიწმინდეს (პურიზმს). არჩილი უარპყოფს თეიმურაზის ნარევე, ბარბარისმებით სავსე სტილს. ერთგან („სამიჯნურონი“, 3) ცხარე გამოჯავრებით ეკამათება თეიმურაზის „მაჯამას“, ჰკმობს „მაჯამას“ როგორც უცხო წარმომობილობის გამო, ისე, და განსაკუთრებით, ენობრივი სარჩულეს გამოც:

მკიოხველ—მოარგპნულნო, მაჯამას წილ მეც ეს მამირომევია,
ჩემი და ჩემჩავერად, აოვისთვის წამირომევია;
ძით ქვამს ქართულის ენითა, სხვა ენა არ ურევია;
ვიც, შეიტყოათ უცდურად, თუ სიტყვა ამიოვეია-ო.

„გაბაასებაში“ არჩილი მწარედ აყვედრია თეიმურაზს რუსთველის პირით: „მძიმედ განს ენა ქართველთა, მაშ, ბძანე არაბულითა“-ო. არჩილი აქ თავს ესხმის თეიმურაზის ცნობილ განცხადებას: „მძიმეა ენა ქართველთა“ და „სპარსთა ენისა სიტკომან მასურვა მუსიკობანი“-ო. 1) ერთგან თვითონ თეიმურაზსაც უხდება აღსარების თქმა:

მე ოდენ ქართულს ენასა მარილად უოთე სპარსული,
თათრულიც კამიოვეია, მიქია მათი არსული.

დამახასიათებელია, რომ თეიმურაზს აფარებული არჩილი არც რუსთველს ინდობს ამ მხრით:

რაც ენა ყველა ვითქვამს, სოხური და მეგრულიცა...
ლაზოდა საიქვი, შემოიღე ჯავ-ხური ენა მამე-ო.

არჩილი სრულიად არ უარყოფს უცხო ენების საქიროებას, პირიქით, ის პირდაპირ აცხადებს, რომ ენის ორგანომ: „ბევრი სხვაც უნდა იცოდეს, სრულ არ უბნობდეს ქართულად“-ო (ასოთა რვათა გვამისათა, 10, 1-2). უცხო ენებისა და მწიგნობრობის ცოდნა არჩილს სანაქებო ზნეობადაც კი მიაჩნია (ზნეობანი, 31, 1-2)

ენა და წიგნი რამდენი ვინც იცის, ეუც იმდენად
ჩაკავდოთ თვითთა ზნეობად, სხვის ქვეყნის ამბავ მოსმენად:

1) თეიმურაზ პირველად, თხზულებათა სრული კრებული აღ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, ტფ. 19:4, (ლელილ—ძეგნზნარი, 4, 1-2).

მაგრამ უცხო ენების ცოდნა ქართულის საზიანოდ არ უნდა იქნას გამოყენებული, სამართლიანად ასკვნის ავტორი. რუსთველისა და თეიმურაზის „გაბაასება“-ში არჩილი კატეგორიული ტონით აფრთხილებს მკითხველს:

გნუ გონით, სხვა ენა მეც არ ვიყოფე სხვასაგვით,
მაგრამ ცუდია გარევა ქართულს ენაში სხვას ვით—ო.

ამრიგად, არჩილი იცავს რეალისტური თვალსაზრისით გაშუქებულსა და პურისტული სტილით დამუშავებულ ნაციონალურ თემატიკას. არჩილი ამ თავისი შეხედულებით ულტრა-ნაციონალური დასის იდეური ზრახვების გამომხატველი ხდება და ცხადლივ ოპოზიციონაში უდგას თეიმურაზის მიერ განმტკიცებულ ლიტერატურულ მიმართულებას. არჩილის გამოსვლა სრულიად ბუნებრივი და კანონზომიერი რეაქცია იყო სპარსული „ზღაპრებით“ მოპარბებულად გატაცების პირობებში. მართალია, ნაციონალურ—ისტორიული თემატიკა არჩილამდეც შეადგენდა ქართული მწერლობის საგანს (ამ მხრით პიონერი იგივე თეიმურაზია), მაგრამ არჩილის განსაკუთრებული დამსახურება ისაა, რომ მან ახალი მიმართულება თეორიული არგუმენტაციით განამტკიცა; ის რაც შემთხვევითი იყო წინად, არჩილმა შევსებული შემოქმედებითი პრინციპის სიმალდემდე აიყვანა. შეიძლება ვადაუქარბებლად ითქვას, არჩილმა მოახდინა ადრინდელ ლიტერატურულ შეხედულებათა სრული გადაფასება. არჩილის თვალსაზრისი ახალი იყო და თავის დროისათვის გაბედულიც და პროგრესიულიც. არჩილის გამოსვლა მაჩვენებელი იყო ქართველი მოწინავე საზოგადოებრიობის ეროვნული თვითშეგნების გზაზე შედგომისა, იდეურად მომწიფებისა და კულტურულად ზრდისა.

რუსთველისა და თეიმურაზის თავისებურ შეფასებასთან ერთად არჩილი იძლევა სხვა მრავალი მისი წინამორბედი და თანამედროვე მწერლის დახასიათებას სპეციალურ ტრაქტატში „ძველთა და ახალთა საქართველოს მელექსეთათვის“, რომელიც „გაბაასების“ შესავალ თავს წარმოადგენს. არჩილის ეს ტრაქტატი პირველი კრიტიკული მიმოხილვაა ძველი ქართული მწერლობისა. თვითუფლ მწერალს ჩვეულებრივად მიძღვნილი აქვს თვითო სტროფი. ავტორი ახერხებს მოკლე და სხარტულ დახასიათებას. შეფასებისას არჩილი დიდ სიმკაცრეს და ერთგვარ „სიტუნწეს“ იჩენს. არჩილის ცნობები განსაკუთრებით საყურადღებოა ისტორიულ—ლიტერატურული თვალსაზრისით, აქ ვხვდებით ზოგიერთი უცნობი მწერლისა, თუ უცნობი ძველის სახელსაც. ზოგიერთი ძველის ისტორიულ—ლიტერატურული კითხვის განსაზღვრა მთლიანად არჩილის ცნობებზეა დამყარებული. სანწუხაროდ ტრაქტატის სია მეტად უსრულია. მაგალითად, კლასიკური პერიოდიდან იქ დასახელებულია მხოლოდ ჩახრუხაძე (და რუსთველი), „როსტომიანის“ გამლექსავად მიჩნეულია მხოლოდ ხოსრო თურმანიძე და ა. შ.

* * *

ქართული ისტორიულ—ნაციონალური ეპიკის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს არჩილის ანა ერთხელ დასახელებული „გაბაასება“ ~~თეიმურაზისა~~ და რუს-

თველისა¹. გარეგნულად ესაა მუნაზარეს ტიპის ნაწარმოები. ¹) ავტორი პირისპირ აღაპარაკებს („აბაასებს“) რუსთველსა და თეიმურაზს, თვითოეული იცავს თავის ლიტერატურულ ღირსებას და ებაძვრება მობაასეს. გარდა ავტორის შესავლისა და დასკვნისა, „გაბაასება“ შესდგება თერამეტი სიტყვა—პასუხისაგან. ბაასისა და შეკამათების წესით აჩიოს საშუალება ეძლევა გამომავლავნოს თავისი საკუთარი შეზღუდვებანი მოპაექრე პირების მიმართ. ერთი ზეხედვით ისე გამოდის, თითქოს ავტორი განზეც კი იღვეს, მაგრამ ფაქტობრივად რუსთველისა და თეიმურაზის სიტყვა—პასუხში დასაშულია და ეროვნებად გადაწყვეტილია კიდევაც ყველა ის კითხვები, რომლებიც აღეგუება აჩიოსა და მის თანამედროვეთ. საკითხი ე. წ. კლასიკური პერიოდის ლიტერატურული მემკვიდრეობის გადაფასებისა, როგორც ჩანს; მომწიფებულნი უნდა ყოფილიყო ქართულ ლიტერატურულ წრეებში. არჩილის გამოსვლა დროულად პასუხობდა საცილობელ კითხვას. ავტორი პირდაპირ ამბობს „გაბაასების“ წინასიტყვაობაში: „გაბაასება მეუის პატრონის თეიმურაზისა და მელექსეთ დასაბამის რიტორის რუსთველისა ამ მიზნით (იგნა), რამეთუ მათ მელექსეთ შედარება მრავალჯერ მასმოდა მე მეფეს არჩილს“-ო. ავტორი თითქოს ცდილობდა ნეიტრალობა დაეცვა: „ბატონი და რუსთველი გავაბაასე და ორისავე ვთქვი, რომელს უფრო მართებდა მელექსობის გამოჩენა, და თქვენ გაარჩიეთ უმჯობესი“-ო. ასევე ორპოფულ დასკვნას იძლევა ის პაექრობის დასასრულსაც:

ორთავ უხამს დიდი ჰება, მუნეღთ დოდა სობრძნეს ზოსცემს,
მათი ტკბილი მერყვილია თიჯნოთ გულსა ლხიას გსკემს;
თემ უხვია თეიმურაზ, მაგრ ნ სობრძნეა კ არ გსკემს.
ერკინება რუსთველსა მდგორად, შეიტყვეთ თე ვინ დააცემს!

კამათი იწყება თეიმურაზის მკლდური სიტყვებით:

რუსთველო, ყური მომიპარ, გადრი-ნ შე და შენაო,
ზოგა ბენ გაქებს, მე რეტყვის. „შოთამ გაჯობა ბეაო“,
ხას კიდევ გამაგულისეს, ¹) მათი მომინდა შეკაო,
საკედავ-დ გამოე მეტო, ან ამოვართქა ენაო.

რუსთველის პასუხი მოკრძალებულია: „მე რას ღირსვარ თქვენს დარებას, იმხანავი შემადარონ“-ო, თუმცა თავის დიდ პოეტურ ღირსებასაც გრძნობს და მკვეთრად აცხადებს (სხვების საყურადღებოდ?):

ჩემი თანა ვერად ბოკონ, ულ ხმელით მოიარონ,
სულ მელექსეთ მიუფროსონ, ვით ირ აელთ მღვდელი პარონ.

საერთოდ რუსთველის ყოველ სიტყვა-პასუხს ახასიათებს რიდი; კრძალვა და მოპაექრისადმი განუაზღვრელი პატივისცემის გრძნობა. ამის შესახებ არჩი-

¹) მუნაზარეს შესახებ იხ. აღ. ბარამიძის თეიმურაზ პირველი (თეიმურაზის თხზულებათა კრებულში, გვ. 211).

²) აქ არჩილი გაადევლით აგონებს მკითხველს თეიმურაზის საკუთარ სიტყვებს (მაჯამას ბოლო-იტყვაობადან):

ლეკი ჩეთა სჯობს გვარად და ტკბილად სასწენლად ყურისა,
მაშინც რუსთველსა აქებენ, შე იმან გამაგულისა.

ლიც ხაზგასმით ამბობს: „ნახეთ, რუსთველი მეფესა რა ტკბილად გასიტყვებოდეს, ესათნოება, ეკრძალვის“-ო. რუსთველის მოკრძალება და თეიმურაზის რიბი გამოწვეულა მათი საზოგადოებრივი მდგომარეობის სხვაობით. „თქვენ ბატონობა შეგშენის, მე ყმა ვარ შესაფერი“-ო, ეუბნება რუსთველი მეფეს, ხოლო მეორეგან მეტ თავმდაბლობასაც იჩენს: „ისიც ავად ჩაპმართევს, რომ აქამდი არ დაგიომე; ასრე მმართებს, ფეერთთა გბანდე გარმორტყმული არდაგით მე“. მაინცადამაინც დიდი კრძალულების მიუხედავად რუსთველი უკან არ იხევს თავისი ლიტერატურული პოზიციიდან და თეიმურაზს თავმომწონედ გადაჰკრავს:

საქართველო სავსე არის, ჩემი წიგნი ყველგან გაჰქუსს,
მე ვარ ძირი ლექსის თემისა, მელეჟქენი ჩემზე შეაობს.

თეიმურაზი არ დებულობს ამ დებულებას და პირველ მთქმელობას აკუთვნებს ჩახრუხაძეს:

ჩახრუხაძემ უწინ არ სთქვა, რად იპარავ პირველ თქმასა?
რას მიგრჩი ზას რატორსა, არ ანებურ იისა მასსა?
ვეპე, მას დარჩის ხორჯელობა, დაიხრის შენი ზასა,
თორემ ვპყრობოთ ქორანიკონს, გაგიჩნდების შენი ზასა.

თეიმურაზი სხვა ბრალდებასაც უყენებს რუსთველს: „ერთი ამბავი აიწყე, ბოლოც სხვათ შევითავესა“-ო, ¹⁾ ამასთან „რაცა სთქვი, იძულეობთა, თამარ შეფემან გიბრძანა“, ხოლო მე „ჩემის ნებით გამოვსთქვი“-ო. ამასაც არ კმარობს გაკადნიერებული გვირგვინოსანი—პოეტი და რუსთველს მიახლის: „არ თუ მჯობდე, ვერც მდღერები“-ო. მეორეგან კიდევ მეტ თავხედობას იჩენს და მოპაექრეს უკადრისი სიტყვებით უმასპინძლებდა:

კაცი ამ ყოფნის პატრონი რად შეგედარო მე ვირეს“-ო.

მაგრამ უფრო საოცარი ისაა, რომ ერთ-ერთ ბოლო ეპოზოდში არჩილი პირდაპირ აღმაშფოთებელი სიტყვებით ალაპარაკებს მეფეს (1029, 4).

რუსთველს სხვა გზა არ დარჩენია, თუ არ ისევ თეიმურაზის საკუთარი მოწმობით სცადოს თავდაცვა:

მეფე მოწყალევე, თქვენს წიგნში მგონ ჩემი ქება სწერია—ო.

მოსწრებულმა მითითებამ თეიმურაზი უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო, მაგრამ ქედს მაინც არ იღრეკს და თითქოს ერთგვარ გამოსავალსაც მპოულობს:

მართალა, შენი წიგნი კარგი იყო აქამდისა,
ახლა ჩემმა დაჰკარბა, ამაღ ცრემლი ჩამეგდისა -ო.

თეიმურაზი იმასაც იკვებინს, რომ „საღეთო სწავლა“ ვიქადაგეო, რუსთველს კი მართოდ „საეროს“ უტოვეს: „საღეთოს სწავლით ვერ ამიხვალ, საეროვე შონახე“-ო. რუსთველი იძულებული ხდება თეიმურაზის ეს შენიშვნა წილილს:

¹⁾ იგულისხმება „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელება—ჩამატებათა ისტორია.

„საღვთოა შენთვის დაიჭირე და საერო მე მიბოძე“-ო. არაილის აზრით საკითხის ამგვარი გადაწყვეტა დიდ უპირატესობას ანიჭებდა თეიმურაზს, რადგან:

ორი არის სიტყვის ცოდნა: სამღვდელო და საეროო,
სამღვდელოსა ძეო დინარე საეროსა მოერიო.

თეიმურაზი გამარჯვებას ზეიმობს, რიხიანობს და ზეაობს:

რუსთველო, სიტყვით დაგაბი და შემოპყრხარ. გაჯრამდი.
შეიედარე და ერა ჰქმენ შენ შემოწდობა ბეჯამდი;
ლომი შევდარა ნადირს არა სკამს დიდთაგაი მცირეს გოჯამდი,
აწ მევდარს რა გიყო, თვაოდ—და, თუ ცოცხალ იყო, ზეგვ.მდი-ო.

რუსთველს თავდაცვითი უნარი აკლდება, უფრო საეჭვო ხასიათის არგუმენტაციას იშველიებს და საყვედურს უთვლის თვითონ არჩილს:

ოუ ავად ვთქვი, თარა მიფე საჯილდოო რასთვის მამცა?
გინ შენს თავსა მახაასებს, მილალატა, დანა დამცა“-ო.

თეიმურაზიც ახელებს რუსთველს (904,4):

ვინ გვაბასებს, ის არის შენის სისაღიხა დამიევი-ო.

ბოლოსდაბოლოს რუსთველი თითქოს პოულობს სანუკეარ ფორმულას თვისი პოზიციის განსამტკიცებლად:

სვისგან ჩუხ ქებას წყინულობ, მე ვითლა გაგაგულისო?
თქვენს უკეთ ღეისი ვის უთევამს მიჯტურთ, ან მარგე სულისო,
მაჯრამ ნაყოფი მოგვისთვლავს მის, ჩემგან უანერგ ულისო!

მთელ გრძელ პაექრობიდან ჩვენ განსაკუთრებული მნიშვნელობისად მიგვჩინა სწორედ ეს სიტყვა, ჩვენ აქ ვხედავთ არჩილის შეხედულებათა მთავარ გასაღებს. არჩილს მართლაც დიდ პოეტად მიაჩნია თეიმურაზი, რომელსაც ბადალი არ უნდა ჰყავდეს თანადროულობაში, რომელსაც თანაბრად ეხერხება სამიჯნურო თემატიკის დამუშავება და სულის მარგე „რიტორება“, მაგრამ მაინცაღამინეც თეიმურაზის პოეზია რუსთველის დანერგილი მშვენიერი ხის ნაყოფიაო. ამ დასკვნით არჩილი ცდილობს თეიმურაზსაც საპატიო ადვილი მიაკუთვნოს ქართულ მწერლობაში და რუსთველის მიმართაც ღირსეული მსაჯი გამოადგეს..

„გაბაასების“ XV, XVII და XVIII პასუხში დაწვრილებით გადმოცემულია თეიმურაზის ცხოვრების ამბავი, ანუ ფაქტობრივ საქართველოს თითქმის ერთი მთელი საუკუნის (XVI საუკუნის გასულისა და XVII-ის პირველი ნახევრის) ნამდვილი ისტორია. ამასთან სწორედ ეს პერიოდი საქართველოს ისტორიაში ერთერთი ყველაზე უფრო მღელვარე და ყველაზე უფრო საშინელი თავისი შედეგებით. მეორე მხრით რუსთველიც გვიამბობს თავის დროინდელ ამბავს. უკანასკნელს ნაკლები მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ შემთხვევაში არჩილი ემყარება ოფიციალურ საისტორიო წყაროებს, კერძოდ „ქართლის ცხოვრებას“, ავტორი საგანგებოდაც კი შენიშნავს: „მის ჟამის ნაქპარნი ომნი და მის დროთ საქართველოს დიდებულთ ნაქპარნი სრულნი, რომელნი სწერია ცხოვრებასა შინა საქართველოსასა ვრცელად, აწ მე შემოკლებით ვთქვა ლექსად“-ო. თეიმურაზის ამ-

ბავი კი წარმოადგენს საინტერესოდ და ორიგინალურად შედგენილ საქართველოს (კახეთის, ქართლის და იმერეთის) ისტორიას.

თეიმურაზის შესახებ არჩილს ექნებოდა სახელი და მრავალფეროვანი წყაროები: ჯერ ერთი ის იყო თეიმურაზის უმცროსი თანამედროვე, მეორეც მან ცოლად შეირთო თეიმურაზის ღვიძლი შვილის-შვილი; მასასადამე, არჩილის განკარგულებაში იქნებოდა ოჯახური გადმოცემები და სხვა ინტიმური ხასიათის მასალები. არჩილი მთელი 12 წლის კანშავლობაში (1664-1675) კახეთს განაგებდა და თეიმურაზის მახლობელი თანამშრომლების წრეში ტრიალებდა. თეიმურაზს ხანგრძლივად უხდებოდა იმერეთში ცხოვრება, ხოლო არჩილის მოღვაწეობაც უმთავრესად იმერეთთან არის დაკავშირებული. არჩილს შეეძლო დაწერილობით გაეგო თეიმურაზის ცხოვრების ბოლო წლების ამბავიც (ე. ი. ირანში ყოფნის დროინდელი ამბავი), რადგან 1663 წელს ¹⁾ მას ყაენის კარზე მოუხდა წასვლა და იქ მაჰმადიანობაც კი მიიღო. ჩვენ იმასაც ვფიქრობთ, რომ არჩილს პირადადაც უნდა ენახა თეიმურაზი, ერთგან ის აშკარად ამბობს:

თავად ბატონი მეც ვნახე სიბერით მჯდომი კეზოთა,
ველარ ცხენს ჯდომის შემოღები, მტერხედ—ვაი—ჟუშბოსა;
მისებრი საეღლაწიფოსა დედამ სხვა ვედარ შობოსა,
აკცი რას გაიგონებდა მისის სიტყვისა უტებოსა!

მართალია, ეს სტროფი გვხვდება თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ თხრობაში, მაგრამ აქ კუბო ძველი ქართული მნიშვნელობით არის ნახპარი (ნიშნავს ტახტრევანს, პალატინს). თან ლაპარაკია კუბოში „ჯდომიზე“, რაც, ცხადია, მკვდარზე არ ითქმის; კუბოში ჯდომა დაპირისპირებულია ცხენზე ჯდომასთან. სიბერით მოუძღვრებულ თეიმურაზს ცხენზე ჯდომა აღარ შეეძლება. უკანასკნელი ტაყბით ავტორი უეჭვოდ გვიდასტურებს, რომ მას მოსმენილი ბქონია „ბატონის“ ტყბილი სიტყვები.

მაშასადამე, ცხელაფრიდან ჩანს, რომ არჩილი თეიმურაზის ცხოვრების საუკეთესო მცოდნე უნდა ყოფილიყო. როგორც ნამდვილ ისტორიკოსს შეეძენის, არჩილს შეუმოწებია თავისი ცნობები და ახალი მასალები ბეჯითი კვლევა-ძიებით შეუკრებია. ამის თაობაზე არჩილი დაწვრილებით გვიამბოს „გაბასეღის“ წინასიტყვაობაში: „მეფის თეიმურაზის ამ ქვემოს ხსენებულთ სახელთა და სარჯულთა ამბავი თვით მნახავთა და თანნახლთ მის ყმათ ქართველთა და კახთაგან ისმენოდა, არა ხოტბა—არამედ მართალი. ²⁾ რამეთუ ათორმეტ წელს კახეთს ვმეფობდი, მისნი დაზარდილნი და ნამსახურნი დარბაისელნი გვერთს მამოლენ, ვკითხავდი ნაქმარსა მეთისასა და მიამბობდეს—ო. არჩილი არც იმას ივიწყებს, რომ მკითხველი საგანგებოდ გააფრთხილოს: მართალია, ეს ამბავი აღუწერე „მოწყენილობის“ ეპოსს, მაგრამ უსაქმურობასა (და არასერიოზობაში) არავინ ჩამომართვასო; „ეგება მოცლით ყოფას მიაჩემოთ, მაგრამ არ ვიყავ უსაქ-

¹⁾ ამ წელს გარდაიცვალა თეიმურაზი ჯალაქ ასტარაბადში.

²⁾ საბოტრო მწერლობის ბოლებს ვაგებისათვის დიდად საყურადღებოა ეს დაპირისპილება. არჩილი სხვაგანც (ეფისრაჰინი 721, პ) ამბობს: „კიტხვავე უყეთუთა ც უდ ხოტბის მელ ქლთბასა—ო.

მოდ, ოღონ ნამუშავევი ეს გამოჩნდა“-ო. "გაბაასცების" ლექსითს ნაწილში არა-
ერ ხელ გვაგონებს ავტორი:

მეფეთ ამბავი მეფემან შეკრიბა საქართველოთა.
რაც ხაზმოდა, ან მუახხ, ახვავი ვსტყვი მე მართლეთი.

ისტორიული ამბების გადმოცემისას არჩილი არ იჩენს პასიურ ობიექტი-
ვისტობას და სრულიად არ კმაყოფილდებოქრონიკური ეპიზოდების
უბრალო აწერით: „ზოგთ ვაქებ და ზოგთ ვაძაგებო“ — კატეგორიულად აცხა-
დებს პოეტი. ამდენადვე „არჩილიანს“ აქვს მამხილებლობითი ხასიათი. ავ-
ტორი პატრიოტულ ალტყინებაში მოჰყავს გიორგი სააკაძისა და ზურაბ ერ-
თავეის გმირულ საქციელს (გიორგიმ და ზურაბმა ფოიად სახიუთათო აჯანყება
მოაწყვეს ირანის საოკუპაციო ჯარის წინააღმდეგ და საქართველოს დროებითი
განთავისუფლება შეძლეს. გიორგიმ მსხვერპლად გაიღო ირანში მიქვლად
დატოვებული თავისი შვილი, ხოლო, ზურაბმა ცოლი გასწარა. პოეტო მათურ-
ვალე და მღელვარე სიტყვებით ეხმაურება ამ ამავეს და შთამომავლობას ანდერ-
ძად უღებს მათ მაგალითს:

ესე სა-მე ზოურავმა უცხო ჰქმნა და საკვირვალო,
ვით შემართა ამ საქმესა, აოის თემ: ეა გუოდ რვალის
ეს ყვილასგაა უანელეა, სხვა სახელიც ქმნა მოაგალი,
უსაცილოდ მართალია, არ ტყუილი, არ საკრძალი.
სა-უღოსთიხ მათ ცოლშეოლი ორთა; დასთჳეს, ეს იყოდეთ,
ვინ არ მიყვეთ მათ საქმესა, არ იყოთ, — ომ დიდად სკოდეთ?
სჯულია და ქვეყნათვის რა იქმნების რასაც მყოდეთ?
აწ ეს ქმნით, ქართველებო, ან დერძსავით შვილს ეტყოდეთ!

მოტანილი ნაწყვეტი დიდი ოსტატობით შედგენილი პატრიოტული
მოწოდებაა. თავისი იდეური სიმდილით ეს მოწოდება თვალსაჩინოდ გამოირჩევა
იმდროინდელი საერთო დაცემულობისა და სულიერი სილატაკის ფონზე.
ავტორიც მშვენივრად გრძნობდა, რომ სააკაძის თავდადება ერთგვარ გამონაკ-
ლისს წარმოადგენდა, ხოლო გაბატონებული საზოგადოებრივი ფენის უმრავლეს-
ობას ზნეობრივი აღვირახსნილობა და უპრინციპობა ახასიათებდა. არჩილი მწვა-
ვე გულისტკივილით ჩივის „საქართველოს ზნეობა“-ში:

ვარ ხედავთ, მარტო ჩვენს ეამში რამდენი ავი რამ იქნა,
რაც რუ-ფიცოა. რა ხაკვა, უნამუსობა რა იქნა!

ქვეყნის დაცემის უპირობეს მიზნად არჩილი თვლიდა თავდაზნაურული
კლასის დაცემას. ამიტომაც ის ხშირად საკმაო აიცხადით აშიშვლებს ამ კლასის
ზნეობრივ სიმდაბლეს და დიდაქტიკურ — დამარიგებლობითი ტრაქტატებით
(„საქართველოს ზნეობანი“ და სხვა) გამოსწორების გზებსაც უსახავს. ლევან
დადიანის სიკვდილის ამბებთან დაკავშირებით არჩილი მოგვითხრობს:

აწაღდებიან თავადნი, ერთიმეორეს გაიტანს,
ერთიმეორის სიკვდილად მოვაგმნავს მოიტანს.
ერთმანეთს ზოცა დაუწყეს, თავს აზორობებს მოიტანს.

საყოველთაოდ ცნობილია არჩილის შესანიშნავი სიტყვები, გამოწვეული ზურაბ ერისთვისა და გიორგი სააკაძის ფეოდალური ქიშპით:

ასე უჭირს საქართველოს დიდებულა, გენამცირეთა,
ახრავდებიან, იტყვიან: „უჩუქოთ ვინ იძღვრეთა“.
მდაბალს კაცს ახრავდებიან. იტყვიან: „უაჩიკრეთა“
კაცს უფობს საქმე კეთილი ანგააო-ძოგულ ძვირეთა!

ეს სტროფი საშინელ განაჩენს იძლევა „ანგაარ“, „გულძვირ“, ეგოისტ, ყოყონა და ტრახახა თეადაზნაურობის მიშართ. არჩილმა დადი ტემპერაჟენტით და გულახდილობით ამხილა ყოველკვარ საზოგადოებრივ გრძნობას. მოკლებული, გულზვიადი და ზნეწამადარი არისტოკრატია. თეიმურაზის პირით იეტორი ცხადლივ ამტკიცებს, რომ საქართველოს უბედურება შინაგან განაეთქილებასა და გაუტანლობაში უნდა ვეძიოთ და არა. საგარეო გაათულებაშიო:

მტერი რას უზღის იმდენსა, რომ ემა პატრონზევ ნიღებს!
მძღაერისა მტრისაც ვაგვე ერთს რასმე გზასა პაიღებს,
თუ კაცი ზიგნით საქმესა აიშჯის, იწას მოიღებს.

პოეტი კარგად ხედავდა, თუ რა მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა ერთსულოვანი და ეროვნულ — სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით გაშსკეალული საზოგადოება, მაგრამ სადღა იყო ეს ერთსულოვნება და ეროვნულ — სახელმწიფოებრივი იდეალი? ამის სანაცვლოდ თითქმის ყოველი დიდებული საკუთარი ანგარებიანი თვალსაზრისით მოქმედებდა, მუდმივი შუღლითა და ქიშპობით კიდევ უფრო ასუსტებდა ისედაც უძლურ სახელმწიფოებრივ ორგანიზმს. ფეოდალურ გაუტანლობასა და კინკლაობას თავი ვერ დააღწია ვერც არჩილის სანაქებო გმირმა გიორგი სააკაძემ. სახელოვანი მარაბდის შემდეგ გიორგიმ ბაზალეთის მიდამოებში იშიშვლა ხმალი აწ უკვე თეიმურაზ მეფისა და აღრინდელი მოკავშირისა და ნათესავის, ზურაბ ერისთვის წინააღმდეგ. ეს გარემოება აღარღებს პოეტს, ამაში ხედავს უმედო მომავლის მრისხანე არჩილს. არც თეიმურაზი იყო ამ მხრივ უნაკლო, კიდევ მეტიც, არჩილი ხშირად აგვიწერს მეფის ავზნე, მუხთალ საქციელს. თეიმურაზმა არად ჩააგდო მისთვის ერთგულად ნამსახური ერისთავი და საკუთარი სიძე ზურაბი, მიჩენილ პირებს ლალატით მოაკვლევინა ის საფურცლეს, ¹⁾ არჩილი ვერ მალავს თავის აღმოფოთებას და თეიმურაზს ასე ალაპარაკებს:

ვირე ცოცხალვარ, ვინანი, სამუდმოდ ცრემლი მდია - და,
რათ მოვკალ, ვით შემოვი აღ შვილის უჩჯობი, ძმიადა,
ნამსახური და ვლავ სიძე, სრეთე აქეს მადგმისა და;
ღეთისა მეშინი და კაცთა მრცხვენის ამისა მყოფელსა,
გული გამაგდეს, ხელი შეგახვეს მე მის ლაფიოცა გულთა მსობელსა-ო.

¹⁾ სხვათა შორის, მინდა გისარგებლო შემა ბიევი და აქ გავასწორო თეიმურაზის შესახებ დაწერილ ნარკვევში (თეიმურაზ პირველი. ტფ. 1-34) დაშეებული ერთი უნებლიე lapsus-ი. სახელდობრ ნარკვევის 174 გვერდზე მოთავსებული დავითის დახასიათება მიწეცისა და კლუარევის გლხოობის წიგნიდან შეგებება არა თეიმურაზის ძამა და ვითა, არამედ თეიმურაზის შვილ და ვითა.

არჩილი იმასაც ამჩნევს, რომ მუდმივმა გარეშე, თუ შინაგანმა ომებმა მშრომელი მოსახლეობა ფიზიკურად გაწყვიტა, ხოლო ეს გარემოება ქვეყანას საშინელ ხიფათს უმზადებდა, რადგან: „თუ ამოსწყდეს გლეხიკაცი, საქართველო დაძაბუნდა“. სამწუხაროდ ეს თავისთავად მარტოე და შესანიშნავი აზრი სრულიად არ სწვდებოდა ანგაარებით დაეადებული თავადანააურობის გონებას. ისედაც შემციირებულ მოსახლეობას თავადანააურობა სასაქონლო ნივთად ჰყიდდა უცხოეთის ბაზარზე. არჩილი ღეთიურ სამართალზე მითითებით აგონებს ზნედაცემულ საზოგადოებას ამ სამარცხვინო საქმის შესახებ, მაგრამ რა უასი უნდა ჰქონოდა იმქვეყნიური სასჯელით დაშინებას, როდესაც ამ ქვეყნიური ცხოვრებისათვის ხელსაყოელი სარფიანი კომერცია ყველაფერს წყვეტდა. „სოფლისა და კაცის“ ბაასობიდან არჩილი გვამცნებს სოფლის პირით:

იმერეთს, ოდიშს, გურიას, კახეთსა, ანუ საქართლეთ,
ვინ ჩემის ცრუ-ღიდებისად აქ რამე იუსამართლეო,
ტყვევ სტყვევნივეთ, ზაკეთით იფიცეთ და ამხანაგი მოხაფლეთ,
რამე მიუვთო უფალსა, ბრძანეთ, თუ რითა განმაჯალეთ?

უთუოდ დამახასიათებელია, რომ არჩილის მოწმობით საზოგადოების (თავადანააურობის) ზნეობრივ დაცემულობას ერთგვარად ჰქონია ადგილი საქართველოს ყველა კუთხეში („იმერეთს, ოდიშს, გურიას, კახეთსა, ანუ საქართლეთ“). არჩილის სიტყვების სრულ დადასტურებას ვპოულობთ გახუშტის საქართველოს ისტორიაში. XVII საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების იმერეთის შესახებ გახუშტი გვიამბობს: „არაღარა იყო პირმტკიცეობა; არამედ (იყვნენ იმერნი) განრყენილნი, ფიცისმტეხელნი, ტყვის-მყიდველნი, მზღომნი, მკრეხელნი, უკეთურნი — არა თუ წარჩინებულნი, განა მდაბიურნიცა“-ო. 1) უკეთეს სურათს არც ქართლ-კახეთი იძლეოდა: „ჟამთა ხანებთათა შემოხდა უზეტეს პირველისა ქვეყა და ზნენი ყიზილ?აშთა; და დაუტევებდნენ ქართულთა, იწყეს კეკლუცობა განცხრომა, მათებრ სმა-ჰაჰა, სიბილწე, ტყვის ყიდვა, მრუშება ვიდრე სოდომიადმდე. რამეთუ პატრიისათვის და როქათათვის იქმნებოდინ მამადიან და მიიღებდინ ყენისაგან როქიკსა“. 2)

არჩილის აზრით იმდროინდელი საზოგადოებრივობა თავის უფლებას აგებდა ძალმომრეობასა და უსაპართლობაზე. ამ შეხედულებას მკაფიოდ ვამოხატავს კაცის სიტყვები სოფლის მისამართით („გაბაასება, 230):

სოფელს, სად იშვება აგრე ნეფობა, მთავრობა,
მაშული, ანუ სალარო, თუ გინდა დიდი-ჰაპრობა?
აგრე სიმართლით ვინ იპყრობს, ან ერთსა ვინ შეიწრობა?

ძალმომრეობა — თვითნებობას მიჰმართავს და ანგარებას შეუპყრია გაბატონებული საზოგადოებრიობის როგორც საერო, ისე სასულიერო ფენის წრეები.

1) ქართლის ცხოვრება, II, 216.

2) ქართლის ცხოვრება, II, 131.

იმევე „გაბაასებიდან“ გაკვირვებულნი კაცი იროხიულად ეკითხებ-
თავის ახირებულ მოპაექრეს (232,233):

ვინ დაგიჯეროს, სოფლო, ჩემეს ნუ უნდა მეფობა,
სახელი კრწოლა, ლ.წქო. ბა. კელავ ლხინი, ვარლთა მკრეფობა?
თავად თ—მთავართა მთავოროა, ნუ უნდა საქმის ხელთკონა.
ახევაება და სიხდიდროე, ქრშებები, ნუ დაბაქონა,
ბეუვის დიდდინი სახელო, სულ უმცროსთ აჯეროქონა;
თუ ეს არ იპყონ, მან, უთხარ, თუ თავი რითღა იქონა?

არჩილი სხვაგანც ეხება სასულიერო წოდების ანგარების კითხვას და დარი-
გებას იძლევა: „ნურვინ ქრთამითა დაიპყრობს, ნურც დიდგვარობით საყდარსა“—ო.
მეფეთა ქებასა და სამხილებელში არჩილი თუმცა დიდი აღმ-
ფოთებით, მაგრამ კონკრეტობას მოკლებული ზოგადი შტრისებით მწვავედ ამ-
ხელს ზოგიერთ მეფეთა ზნობრივ თვისებებს (74):

ვიეთა ხელაყეს, ცუდს საქმეს მიჰყვეს,
რჩეულთ მეფეთა არაჲ საქაოსა,
იმღერეს ცოფად ცოდვილთ საყოფად,
საგიობელად ებასა, ქრ.რას;
ვეო ანათობდეს, აიად შფოთობდეს,
შიბაძეს დათანს მიწად დამთქნაოსა,
ცოფად ისროკეს, ცუცხლი იბოღეს,
არსად შეგვიდეს მდინარე მთქნარსა. 1)

ავტორი არ ზოგავს არც თავის სამხილებელ სიტყვებს (ასღაათნი, 13):

მივდრკით მეფენი თანად და ეონი და ძღუდელნიც ჩვენთანა,
გვაძხვლენ ჩვენი საქმენი, ვით დავითს მაშინ ნათანა.

საქართველოს ცხოვრების სინამდვილე გაუტანლობისა და ზენდაცემულო-
ბის საშინელ სურათს იძლეოდა (ამ სინამდვილითაა განსაზღვრული პოეტის შე-
მოქმედებითი ინდივიდუალობა), არჩილი იშვიათი მიუღვარლობითა და პატრიო-
ტული გულის ტკივილით ავეიწერს საქართველოს ცხოვრებას მწუხარე ამბავს,
მახინჯ მოვლენებს აძაგებს, ებათა-ქებას უძღვნის ეროვნულ გმირებს და, რო-
გორც აღვნიშნეთ, მათ სამაგალითო საქციელს ანდერძად უღებს შთამომავლო-
ბას. არჩილის რწმენით უკვე ქრებოდა საამაყო ძველი გმირული სული და იმის
სანაცვლოდ გაბატონებული საზოგადოებრივი კლასის შეგნებაში ფებს იკიდ-
ბდა ვიწრო წოდებრივი თვალსაზრისი, უკიდურესი ეგოიზმი, „უჩემოთ ვინ იმ-
ღერეთას“ ფილოსოფია. ამიტომაც პოეტი დიდაქტიკოსს მხოლოდ საოცნებო
იდეალად ეხატება ზნესრული გმირის რომანტიკული საბე (სოფ. და კაც., 279):

ვას, ვას, რა სანატრელია ზოგე ასეთი ჩქარველი,
სოღმტყიცე სათნობითა, გიღს სა არ მკაცრველი;
ცხენ აბჯარ დაუყოლებელი, მაჰაიო, არ გაიღწეველი,
მისის სჯულითა მტერიჲა ზებრძოლი, სახლ-დასკრეველი. 2)

1) ამ თხზულებაში არჩილი დიდ ხოტბასასწავს აღგუანდრე მაკრწინოს, სოლომონ გბრა-
ელთა მეფეს, კონსტანტინე დ და, დავით აღმაშენებელს, თარას, გიორგი ნესაშეს, შამაიას, პეტ-
რე ცარს და სხვ. ავტორი განსაკუთრებული რწმენით იხსენებს პეტრეს, რომელსაც პირადად
ხდებია, მაგრამ „ასეთს დროს შევეფიდი ველარვის, ყოფა აჩსთვის დაწარება“—თ—მწუხარებით
დასძენს.

2) „თიმურაზისა და რუსთველის გაბაასებას“ გარდა თავისი ზოგად-ისტორიული ინტე-
რესისა, დიდი წინაშელობა აქვს კერძოდ როგორც თეიმურაზ პირველს პირველბაიისხოვან
სამიოგრაფიო წყალოს.

არჩილის სოციალური იდეალია პატრიარქული (ბატონაქური) ინსტიტუტი და ამ ინსტიტუტის საფუძველზე აღმოცენებული ფეოდალური მონარქია. თავისი დიდაქტიურ-აღმზრდელობითი მოძღვრებით არჩილი ემსახურება პატრონ-ყმურ რეჟიმის განმტკიცებას. ყმებისგან პოე უი თხოულობს ჩვეულებრივსამუშაო წარმშეურებელ მორჩილებასა და თავდადებულ ერთგულებას: „თავის პატრონსა და მონდით კარგ-გულად, ნუ ავირეთა“-ო ისწავლება ის (-კაცის და სოფლის ბაასი“, 274, 3). ქვეყნისა, პატრონისა და სჯულისათვის თავგანწირვა „არჩილიანის“ ზნეთსწავლულების საფუძველია. ეს შეხედულება მკათიოდაა გამოხატული აღნიშნული ბაასის შემდეგი ტექსტით:

შეირტყთ სარტყელი შჯულისა, სიმანისა, გულადობისა, თქვენთა ქვეყნისა სომარის, თფეთა გრუ-ფლობისა; (ხეი, ახჯარი ჩაიწყუთ სლაშრო, ნადირობისა. რასცა დაქირდეს პატრონა, სჯობს, ვინც მალ მიწრობისა. სიხარულით წადით ლაშქარს, თუკა სისხლი გენოხეოფეს, ქვეყნისა და პატრონისთვის სასჯელს არვინ შეუღონდეს, გინცა მოკვდეს სჯულისათვის, დაიჯერე, ესე ცხოვრდეს.

მსგავს დარიგებას იძლევა პოეტი სხვაგანც („ლექსნი ასეულნი“, მეორე):

ვერიდნეთ შურსა, ვეკრძალნეთ ცოდვასა მაკვიდებელსა, პატრონთა ორგულებასა სიკვდილის შემძინებელსა...

მაგრამ ერთი იყო პოეტის იდეალი და მეორე ცხოვრების სინამდვილე. პოეტის თვალწინ გაელიშმა ისტორიამ არა ერთი და ორი მაგალითით ცხად-ჰყო პატრონყმური ჯრჩობისა და წინააღმდეგობის შემთხვევები. თუმცა არჩილი დამაჯერებლობითი ტონით გვარწმუნებს: „ყმას პატრონზე გავმარჯვოს, ღრ გვასმია ასრე ძველად“-ო, მაგრამ ამ მხრითაც უნდა ჰქონოდა მას მიღებული კარგი გაკვეთილი, აკი ერთგან დიდი მწუხარებით გვიამბობს:

თუ ყმა ბატონს მოერევა, აჯას აღარ გამოართვაჲს. ბევრია რომ ღმერთსაცა ჰკმობას, პირში სულსაც ამოართვაჲს:

სოციალური კიბის საკითხში არჩილი უფრო გვაროვნული პრიორიტეტობის თვალსაზრისისაკენ იხრება, თუმცა დიდ როლს ანიჭებს აღზრდას, პირბღღირსებას, ზნეობრივ სიფაქიზეს. ამ მხრით საყურადღებოა შაპ-აბას ყაენის ჭირით გამოთქმული შემდეგი სიტყვები:

კაცი უნდა ან გჯარად და ან სწავლაში გაიზარდოს, თუ იზრძნეში გაიწვრთნეჲს, უკვარობან; გაიერდოს, თვარ უგვაო გვარიანსა ცუდად ვინმე შეუფარდოს. უგვარო თუ არას იწვრთოს, სიკეთე ვით გა მარდოს?

„ასდაათ“ ლექსში (20) პოეტი სასოწარკვეთილებით იძახის: „უაზონი გავეილადღეს, უმეცარნი პატივს იცნეს—ო. ან და კიდევ (იქვე, 37):

კაცნი მდიდარნი ქვე ჩასხდენ ქვეითნი, უხუზლახნი, ახვეარდენ ცხენთა რაინდთა მონანი უაზნოი, სიბრძნის საქმეთა შეესწრნენ თავხედნი, უმეცნონი.

არჩილი კატეგორიულად ჰგობს „ხელით“ (ე. ი. თანამდებობით) „ახნაურ-
შეილობას“, ჰკიცხავს ყოყმობასა და ამპარტაქსულ ქედმბლობას, ჰკილავს ბა-
ჭიობას („ზნეობანი“, 53):

ვინ ხელით ახნაურუვილობ, გარეულე, წადი იქით
რად ვგოიო, უგუნუო, ბოძის ვო გ.ნმე მაგით იქით?
თუ არ დშულით, ნოწერთა გიჯობთ ჯოხითა და გინდა ბაჭით!

გვაროვნულ ყოყმობას არჩილი უპირისპირებს პირად ღირსებას, პირად
უნარს, პირად დამსახურებას: „ნურც ვიქებთ მამა-პაპასა, ბრიყვი ვიყვნეთ თუ
გვარიან“-ო („ასდაათნი, 14, 1-3). პოეტის საგანგებო აღფრთხილებს სიმონის
სეწით დაავადებული ეკლესიის მსახურთ: „წუწინ ქრთ.მითა დაიპყრობს, ნურც
დიდგვარობით საყდარსა“-ო. „ვისრამიანით“ მხილებულია საქმედლეობის ფა-
რისელობა (739):

ბეოო, თუ სოფელს ვერა სთობ, კწულოთ რას იბერები?
თუ რამ იცოდე, გვიბრძახე, თოა ცუდად :უ იბერები.

არჩილის ზრეტსწავლულებს ნამდვილ პრაქტიკულ სახეობმდგენელოს წარ-
მოადგენს „საქართველოს ზნეობანი“ და „სოფლია და კაცის გაბაძაების“ ზო-
გიერთი თავები. ცალკე სენტენცია-ნეგონებანი გაბნეულია აგრეთვე აეტორის
სხვადასხვა ძეგლებში (განსაუთრებით სამივე ასეულ ლექსებში). ზნეტსწა-ლუ-
ლების პრაქტიკული დანიწნულების თაობაზე საგანგებო ლაპარაკია „საქართვე-
ლოს ზნეობებში“:

ეს უხდა კაქმან იცოდეს, მის-მას დრო რაა საქნელი,
ხუაას მიწეზობთ, ისწავლეთ, - ეს არი თქვენი მსწავლეელი.

ან და კიდევ:

ბევრი კაცი იმიზნებს, არა მყავდა მომეღლიო,
ზნეობა რამ დაძღწავლა ხარისხ-ხარისა ამფლდლიო,
ახლა რაღა პასუხი გაქვსთ, ან თქვენი მსწავლეელი
ვინ არ იწერთა. ძალმოჭყდები, ხუ ხარ ხანის წამელელიო.

ასევე „ასდაათ“ ლექსშიც (64):

დღი ძე სავშე მათ წოლის ამ სოფლიოთა მოწესეთ:
მეფეთ, ნხედართა, მღვდელთ-თავართ და მონაზონთა მოწესეთ;
გეპართ, მუშაკთა გლახაკთა, - თვით თვით თქვენ გაიწესეთ,
ვიხარ იცოდეთ, ამიერ მითქვამს და ეს დაიწესეთ.

„არჩილიანის“ ზნეტსწავლულება ჰგულისხმობს უწინარესად ყოვლისა თა-
გდახნაურულ კლასს, ხაწილო ბრიჯად აგრეთვე სამღვდლეობასა და ვაქრებს-
გლებკაცობა და საერთოდ მწრომეღლი საზოგადოებრიობა გამორიცხულია არ-
ჩილის ტრაქტატიდან, თუძცა წრომის („მუშაკობას“), როგორც ზნეობის ერთ-
ერთ მნიშვნელოვან მხარეს, აეტორი არ ივიწყებს და განყენებულად ქებასაც
კი უძღვნის:

მუშაკობა კარგი ხნა, ხ. დგონობა და სარჩრობა.
ბარვა, წიდვნა, ხენა და რეს.ა. ჩქის და სთელია მილ-მის დრობა,
კაცის შემაღს და გახარებს მოსაღლის ბევრის ზოსწობა.
ვის მუხა ჰყავს, თვითთა შერებ, ურევია ახარქრობა.

დამახასიათებელია, რომ „მუშაკობაშიც“ ავტორი კარგ ზნეობად თვლის „ზედგომობასა“ და „სარქობას“ (ე. ი. უფროსობას, მეთაურობას). პოეტი კიდევაც ჰკიცხავს ისეთ პირს, რომელსაც მუშა ჰყავს და თვითონ კი „შერება“ (ე. ი. შრომობს). ერთი სიტყვით, შრომის შეფასებაში არჩილი თავადაზნაურული კლასის თეოსოლოგიადან გამაღდის. შრომის სანაცვლოდ თავადაზნაურობას სხვა რამ მოეთხოვება, სახელდობრ, ზრდილმა არისტოკრატმა კარგად უნდა იცოდესო ლაშქარ-ნადირობის წესები, ამასთან:

შვილდონობა და ბურთობა, ღიშღრა, ტკიპი ბანია,

ზა, სიცილი და ლაღობა, ესეც რამ კანს გვანია.

ვინ ყველას ექობს, რა არის, მაშ, თუ არ ბრიყვი სვანია!

კარგმა აზნაურისშვილმა უნდა იცოდეს „გარიგება მარაქისა, მის-მის ალაგს კაცის დასძა, სუფურის ბარაქიანობა, საამოფრო კამა და სმა“. რასაკვირველია, „ბევრ-გვარ უნდა ხილის დაქრა, ბექის მოთლა, დანის მოსმა“-ო, სრული სერიოზულობით აცხადებს ზნეთმასწავლებელი. აბა რა ფასი აქვს ისეთ გვარი-შვილს, რომელმაც:

არ იცის ზმა და ხუმრობა, არც ესმის, ვერ აიტანსა,

აზნაურშილად არ ვარგა, ჯარში ნუხლს არ მოიტანსა,

გარო რასვე შემოიჩინა ლავს, ვერას გაიწყობს კი ტანსა.

.....

ცხენსა და ქორს ვერ ეწყობა, მწევარსა ვერცა მყეფარსა.

ზნეობის სანაწებო თვისებებია ხელკაშლილობა, უზეობა, პურადობა და მისთანანი. „ძუნწი საფუძველს აღიფხვრის და უზვი ამგებელია“-ო, ამბობს არჩილი (მეორე ასეული, 26,4). ზრდილ არისტოკრატს მეშვეენის, თავმდაბლობა, კრძალვა, სიტყვატკბილობა, ამასთან მამაცობა, მხნეობა და ა. შ. ავტორი ვრცლად ჩერდება ბატონყმური ურთიერთობის საკითხებზე და გარკვეულ ნორმატიკულ კოდებსაც ადგენს. ეს კოდექსი საგანგებოდ ითვალისწინებს საკარო ეთიკეტის წესებს, ხაზი ესმება მეთობის უზენაეს წარმომომას („მეფე სიმართლის მსაჯული ღეთისაგაბ დაიბადება“-ო), აღნიშნულია სამეფო პარტივის ფორმები. არჩილი კატეგორიულად თხოულობს ბატონყმური პრინციპით ხელმძღვანელობას პრაქტიკულ ცხოვრებაში, „უფროსულ-უმცროსულ“ წესრიგს და მისთანებს. „სოფლისა და კაცის ბაას“-ში კაცის შეკითხვაზე სოფელი იძლევა პრაქტიკულ დარიგებას, თუ როგორი უნდა იყოს მეფე, დიდებული, მღვდელ-მოდღვარი, ვაჭარი და საერთოდ ყოველი ადამიანი. მეფეს შეშვენის ჰუმანიურობა, მოწყალეობა, მოსამართლეობა და სხვა მსგავსი თვისებები. ასევე თავადაზნაურობასა და სამღვდელეობას. სოფელის პირით ავტორი ჰკიცხავს ისეთ მებატონეს, რომელსაც „ამბანაგი სძულს, ყმაზედან ძვირია, არ იეფ არსა“. ღარიბებისა, დავრდომი ლებისა და ქვრივ-ობლების შეწყალება და ქველმოქმედება მიჩნეულია საუკეთესო ზნეობრივ თვისებად; სამაგიეროდ დაუნდობლად არის დაგმობილი სიძუნწე და სიხარბე:

ოდეს ვახთ ვე ვინმე კაცი აგრე გასდილია,

ავიგდო და გავიცინო, ეს ჩემი დაქადილია.

¹ თემუკა სამოსითა და გარეგნული მოკახველობით ბაქიობას არჩილ გმობს და პირდაპირ ამბობს (ს. და კ. 290):—„საკაცო მუდამ საკმელი მკონია ზნე-ეთილობა“-ო.

რად არ იცის უკუნურმან, არა მაგად მიეცეპის,
სიმდიდრე და საქონელი თუკა რითჲე მიეცეპია,
უხამს მისცეს უქონელთა...
ამად მიეკა ღეთისაჲან, ამ სახეჲ ასე გაყოლო,
ამ ერთით გააოხს არდნენ ღარიანი, ყველას აყოლო.

პოეტს ერთგვარ უსამართლობად მიაჩნია, რომ „უმცოსთ ბევრი აქეთ, მრავალნი რჩებიან პატა-პატიო; ზოგთ აქესთ შემკული სასერო და სხვათა არც კუპატიო“. მაგრამ ამის წინააღმდეგ ამხედრება იქნებოდა უარყოფა მთელი იმ სოციალური წყობისა, რომლის საფუძველს თავკამოუებით იცავს ავტორი. ამიტომაც აღნიშნული სოციალური უქულმართობის გასამართლებლად სოფელი იშველიებს შემდეგ კურიოზულ არგუმენტს:

ყოველთ თჲ სწორად მოგეცესთ დიდება ეგ საპატიო,
აღარცა ღმერთსა უხადლით, და არცა ის საპატიო.

ეს კია, რომ ავტორი თხოულობს გლეხობისადმი ღმობიერ დამოკიდებულებას და ძალადობის აღკვეთას: „გლეხს ძალი მოაშორეთა“-ო აცხადებს კატეგორიულად (სოფ. და კაც. ბაასი, 260,2). ოღონდ ღმობიერებისა და მოწყალების ღირსია მხოლოდ პატრონის მორჩილი და ერთგული, ურჩი და მემამბოხე მკაცრად უნდა დაისაჯოს (მეორე ასეული, 49,1—3):

უღელი და აპაური კარგად მონდრეკს მალას ქედსა,
აგრეე მონას გვემა გვერდსა: ურჩსა საქმით, ჩნა-ყბუესა.
კარგს წყალობას ხუ მოაკლებ, აეს-საბევროს დასადებას.

ან და კიდევ (იქვე, 72,1—3):

რამა ო პირმან კაღნიერი პატრონს სიტყვა შეჰკადროსა,
ვერა სცნობდეს შეატყვისსა სიტყვა-ჩევისა ძან მის დროსა,
ერთ წამს მიხედეს შურისგება, რისხვით მასზე იავდროსა.

ასეთივე აზრია გამოთქმული „ახლად შემოღებულ ანბანთქებაშიც:

გვეპა რამს პატრონისაგან ყმისა მის შეუპოესა.

არჩილის ზნეობრივი მოძღვრების კოდექსში საპატიო აღიცილებილი აქვს დათმობილი სწავლა-განათლების საქმეს, მწიგნობრობას, პოეზიას, პალეოგრაფიის საკითხებს და დეკლამაცია-დიქციასაც კი. ავტორი აღთქმად იძლევა: „სანამ ვცოცხალვარ, ვსწავლულობ, ეს მცნება არ დავივიწყო“-ო და მკითხველშიც ცდილობს სწავლისადმი სურვილის აღძვრას. პოეტი მოპარბებული თაიმდაბლობით დასძენს, რომ „არცინ მყოლია მსწავლეელი“ და პირადად სიბრძნეს ვშორავო. ხოლო სიბრძნე ყვილა ზნეობაზე უფრო მნიშვნელოვანად მიაჩნია:

სიბრძნეს ვერ სწორავს ვერა-რა, არც ისე მოსახმარია,
მისი წაყოფი ბევრია, ძირი აქვს არ განმზარია;
სად ჭახვალთ, თან გამოგყვებათ, საგძლადაც, მგონ, სახმარია.
სხვა დავრჩება და ის არა, გვერდთ გახლავს, ცათა კმარია.

არჩილი ამ მართით ისე შორს მიდის, რომ ბრძენ მონას უგნურ მეფეზე მალა აყენებს (ასნი ორმუხლნი, 63): „სჯობს მონა ბრძენი უგუნურს მეფესა მოხუცე-ბულსა“, რადგანაც „მცდეს გვირგვინი ვერ ბრძენ ჰყოფს, ზუნებთ თუ არ ჰქონდესა“ (ასდაათნი, 4,1).

აეტორს არ მოსწონს არც უნებისყოფა, პასიური ბუნების მქონე ბრძენი (ასეულნი, 56,1):

არ მოაწონს ბრძენა ძლიერი მორჩილი უკუნუაისა-თ.

არჩილი პირველი მწერალია საქართველოში, რომელიც თავისი პოეზიით სწავლა-განათლებისადმი მშურვალე მოწოდების სანაქებო საემეს ენსაზურება („სხვათაც მოუწოდ სასწავლოდ, ვარ მათი მალლად მზობარია“-ო (ზნეობანი 100,3). ეს ხასი შემდეგში განაგრძო და იშვიათი ოსტატობით გაამსხვილა დავით გარამიშვილმა („სწავლა მოსწავლეოა“).

განათლებისა, სიბრძნისა და ზნეობრივი ცხოვრების საფუძვლად არჩილის კოდექსით მიზნულია ტრილიგია, კე-ძოდ ქრისტიანული რელიგია. თავის მხრით სწავლა-აღზრდა და გონებრივი განვითარება რელიგიური აზროვნების საუკეთესო წყაროდ შეიქნება, — ასეცნის აეტორი — რადგანაც სიბრძნე ადამიანს „საფუძვლად ღეთს შრს დაუღებს, ზედ სიყვარულსა აუგებს“-ო. აქიდან მოდის არჩილის დიდაქტიკურ-მორალური შეგონების რელიგიურ ქრისტიანული სარჩული. მოთმინება, თავშეკლება, ზომიერება, ვნებათა-ღლების დათრგუნვა, სულიერა ცხოვრების იდეალიზაცია და მისთანანი არჩილის დიდაქტიკური მოძღვრების მნიშვნელოვანი მხარეებია. ზნესრული და ზრდილი ადამიანის იდეალური სახე პოეტს ასე ეხატება:

კაცო უნა პირველ იყოს მართალი და ღეთის მოპიში,
სჯულ-მტკიცე და ძოსამართლე, ნათლისღების ეფვას ნიში.

„საღეთო“ ზნეობას აეტორი „საკაცობოზე“ მალა აყენებს:

თავსაც საღეთო სჯობს, ბოლომაც, კაცთა ზნე-საქმე რაც არი.

როგორც ამ ნაკვეთის პირველი თავიდან ვიცით, არჩილმა თავის დროზე გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით თვითონ ჰგმო ქრისტიანობა და მაჰმადიანობაზე გადავიდა. ეს მას შემდეგში სასინანულოდ გაუხდა. რელიგიური ხასიფათის ურეაც „არჩილიანს“ ძლიერად აფერეანებს: „ემბაზის შემგინებელი წმინდა მკავ მტრისგან ძლეული“-ო — სთხოვს პოეტი ღეთისმშობელს, რადგან „უნებამან გულისთქმათამან ჩამაგდო ცოდვის უფსკრულსა“-ო („საქებელნი და სავედრებელნი ღეთისმშობლისანი“). დამახასიათებელია იქვე შემდეგი ტაეპიცა:

უშველე არჩილს, მარიამ, ლექსს გიმკობს ვედრებისასა

1) არჩილია პოეზიის დიდაქტიკური მხარე კარგად შეუმჩნეიათ ძველი ქართული მწერლობის მოამბეებსა და დამფესებლებსა. ვახტანგის სიტყვით (Опн. зание, II, 401): მეფის არჩილის სარჯელი სწავლაა დუცხობელი.

ანტოა კათალიკოსი მადლფარდოვანად იუწყება („წყობილსა რეკობა“, 799, 1-2): მეფობითნი და საპატრონო-ცმობითნი ქცეულებანი განკარგნა აღწეოილით-თ. ენცო-

პირად ცხოვრებაში არჩილს არ მოსწრებია ცოტად თუბევრად ხანგრძლივად წყნარი და მშვიდი დრო; მან გადაიტანა დიდი შფოთი, მღელვარება, დაუდგრომლობა, ბრძოლა. პოლიტიკური მოღვაწეობის ასპარეზზე არჩილს ცხარე შეხლა-შემოხლა უხდებოდა თავის მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეებთან: თანამშრომლებისა და მომხრეების მუდმივი გადაჯგუფება კიდევ უფრო უქიწავებდა მეჩუყესა და სახიფათო მდგომარეობას. პოეტი-მეთე ხშირად გამხდარა ფეოდალების ფარული შეთქმულების ინსერკპლი (რასაკვირველია, დაინტერესებული მეზობელი სახელმწიფოებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა არჩილის პოლიტიკურ კარიერაზე). გაუტანლობა, ოჯგულობა, ღალატი არჩილის საზოგადოებრივი წრის უკუტრენგელ სენს შეადგენდა. მგრძობობიარე პოეტის გულმა კარგად აულო ალოო გაბატონებული საზოგადოებრიობის მდებალ ეგოისტურ ზრახვევებს, თავდაზნაურული კლასის დიდი ნაწილის დაცემლობა პოეტმა საკუთარი თვალეებით ნახა. ბოლოსდაბოლოს თავის საზოგადოებრივ-პოლტიკურ იღვალეებში დამარცხებული და იმედ გაცრუებული არჩილი იძულებული ხდება დასტოვოს სამშობლო მხარე და გაიზიაროს ემიგრანტული ყოფის მძიმე ხვედრი. ამიტომაც პოეტის როგ რც პირადულმა ყოფამ, ისე მისი საზოგადოებრივი წრის სინამდვილემ საჭირო ნიადავი შეამზადა იმისათვის, რომ უარყოფითი დამოკიდებულების გრძნობა აღძვროდა წუთისოფლისა და ადამიანების მიმართ (როდესაც ვლაპარაკობთ ადამიანებზე, მხედველობაში გვაქვს გაბატონებული თავდაზნაურული კლასი: პოეტის წარმოდგენა „ადამიანებზე“ ამ კლასზე წარმოდგენით განისაზღვრებოდა). არჩილი თითქოს ზიზლით უცქერის ადამიანს, ადამიანი პოეტს მიაჩნია პირუტყვეულ-ველური ინსტინქტების მონად („იცის ბრძენმან“, 5, 1. 2):

რანი ვართ კაცი? — ცუნდრუკნი, არა თუ საწყალო ზელნი,
წუწკნი, მიმღონი სოფლისნი, თვისის სჯულია მგმობელნი-ო.

და განაგრძობს, რომ ადამიანი: „გარდასრულთა ყურს არ უგდებს, მის წინ მყოფთა ბრძენთა სიტყვებს ერიდება, ვითა ბნელი ნათელს ელტვის... ღმერთს არ ეწიშვის, უძლებობით მუცელს ჰმონებს“. პოეტის შეხედულებით სიცოცხლე წამერთია, სიზმარია და ზღაპარია („ლექსნი ასდათნი, 74):

ცხოვრება ჩვენი კვალს ჰგავს ზღვაზედა ნავთ მავლისასა,
გინა სიზმარსა ამაო, წუთ-ერთ, ძილ-მოკლისასა,
ღრუბელს — ქართ მიმოკვეთებულს, ანაზდა, დასავლისასა,
ზღაპარსა დაუჯერებელს, მემუცლეთ გამომთქმლისასა.

აქიდან მოდის არჩილის ზალღლიანი ლირიკა: ერთი მხრით „უბედო ბედის“ ჩივილი და მეორე მხრით საერთოდ წუთისოფლის გმობა. თავის სამფლობლოს მოკლებული და უცხოეთში გარდახვეწილი პოეტის განცდებში მძლავრად არის ჩაქცეული პირადული შრვის სამსალა. მოგონებანი ახალგაზრდული უღარ-

კლოპედისტის და კრიტიკოსის იოვანე ბატონიშვილის თქმით: „ამან (ე. ი. არჩილმა, ა. ბ.) აღსწერა კვლად ზნეობითი სწავლა ქართველთ ქცეულებისათვის“ (საისტორიო მასალანი, I, გვ. 27).

დელობისა, მშობლიური ქვეყნისა, ოჯახური გარემოსი, ადრინდელი იმედებისა და გატაცებისა. „სიტყვა სანათლისლებოს“ დაუტავს ავტორის ლირიკული აღსარების მშვენიერი ნაწყვეტი, რომელსაც აქ ჭარბად დავესესხებით:

მიზნა გაგიტყდეთ, მოძღვარნო, სახიერ სხეუც რამ მინდაო,
ემანი მიჩვეო მშვიდობით და მათთან ჩემი ჟინ დაო;
რა მათ მოეშორდო, სიბნელემ თვალები დაჰიბინდაო,
ყორმიზად აყვავებული გული ნაღველმან ჩნდაო.
სხვანი რამდენნი საყოლნი და ყრმანი ჩემთან შესდილნი,
ზოგნა ჩემნი გამადელნი და სხვანი ჩემნი დასდილნი,
კამყოლ-მუსიაბები, ძოლხანე, თან მოლიმილნი,
იმერნი, კახნი, ქართველნი ვისითაც მქონდა ქაფილნი.
მახსოვს ღზინი და თამაშა, დღე და ღამე წართვით მღერა,
მხეტია სრვა და ნადირობა, თაფი ლალად მოჰელერა,
ბურთაობა, მინდორობა, კვლავ ნადიმი, ჰადრაჟ-მღერა,
უხეობა და გასაცემი, სრულ ვითა ვთქვა, მოკელე რა?

ეს მოგონებანი ავტორს აღუძრავს მწარე თიქრებს; მით უმეტეს, რომ თუქრმე:

აწ იგინი ¹⁾ უჩემობით არა სწუხან, ისრეე ზმიან;
ვინ ასპარეხს ასპარეზობს, მერმე სმენ და მღერენ, ზმიან;
მე აღარვინ მომიგონებს, არ ვიცი, თუ რად მიხშიან
ბუტბუტობენ ზოგიერთნი, მგონი აქ ხანს ბევრს დახშიან-ო.

„მეფეთა“-შიც არჩილი ნაღვლიანად გადმოგვეცემს თავის მწუხარე განცდებს და უფერულ აწმყოს ახალი პირობებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ლექსიკით უპირისპირებს ადრინდელ მზიარულ ყოფას:

მე ტიტა პიტია და პური სიტნა
უფროს ვირჩივე ცრეთა საზოდელსა,
სიტკბო დამჭარდა, მექმნა ბაჟარ-და
საღეჯლად სულა არ გასაზრდელსა.
ვიყ-ვე მხედარი, კარგ სახედარი,
აწ. ვეპობ, შევგავ კაცს არადელსა.

მწარე სიტყვებით განავრძობს პოეტი თავისი უნუგეშო ყოფის გამოტირებას:

ვაი ჩემს დროსა, სადღა მდრო სა
სულ ძოღრუბლული დღედ ნათლისადა?
მწუხარ-მესწორობილსა, ბნელთ შეპყრობილსა
სადათ ვეწოი უანს დილისადა?
საღ შეისწაო, არლა ვისწაო,
მე სადაურ სადმე ეცელი სადა?
მეფიდ ვიწოდე, ვერ გავიწოდე
ფეხი ჩემისად გუუებისადა,
დავდევ თავი, არ ავად ავი,
საარაკოდა ქვეყნებისადა.

¹⁾ ე. ი. პოეტის მახლობელი („გამსდელ დასდილნი“, „კამყოლ-მუსიაბები“, ნათესავ-მეგობრები და სხვ.)

პოეტი ქვევითაც კონტრასტული სახეებით უპირისპირებს საოცნებო ნაშრომს უმსგავსო აწმყოს (აქაც გარკვეულად შელანდნება ერთგვარი „ოჯახური“ მოტივირების მხარეები):

ოდეს ვპვრეტდით ურთიერთს მამაჩენსა მინარულსა,
სად წავიხდეს იგი ჟანი, ვინა ვხედავთ აწ რომელსა?

ეს სტროფი იხურება საუცხოვო რუსთველური ტაეპით (მოხდენილ ადგილას კი არის გამოყენებული):

ნუცა ზტირი, ნუჯა მიჯლოვ, ჩემო, ჩემსა სიყვარულსა!

საყურადღებოა, რომ თავისი უნუგეშო ხედრის სიმწარეს არჩილი სხეებს აბრალებს და საკუთარ საქციელში ზნეობრივი თელსაზრისით საჩოთირო მომენტს არ ხედავს. პოეტი გულწრფელად მიჰმართავს „მნახავთ,“ რომ დაუზოგავად ამხილონ კიდევ, უკეთუ საძრახის მოქმედებას მოუძებნიან:

ჩემს გარდა სხვათა, ჩემთა მნახვთა, მამხილონ, ავი ვიხევეყვ სადა-ო.

რაც შეეხება ბრძოლის ველიდან გაქცევის და უცხოეთში გარდახვეწას, ეს იძულების შედეგი იყო და არა ნებაყოფლობით გადადგმული ნაბიჯიო (როგორც სხვა მრავალ მეფეს ჩაუდენიაო):

მრავლთ მეფეთ დაჟგდი უმიხეხოთ მეფობანი,
ჩემი რად გკვირსთ იძულებით საყოფთა გარიდებანი-ო.

მით უმეტეს, რომ უთავბოლო ხეტიალით „აღვირჩიე მე სამარე“ და „ყოლისავე აღსასრულად ესე ვპოვე მოსახმარე“-დო. პოეტი გაბოროტებით ესხმის თავის (პოლიტიკურ?) მოპირდაპირეთ, რომელთაც ასე მოუშხამეს ერთ დროს მისი ტკბილი ცხოვრება:

ჰოი ჩემს სევსა. სად გადამსევსა,
მე სადაური სადით არესა,
ბნელსა ჩამსევსა, სისხლი მომსევსა,
მგონია ესეც არ მაქმარესა.
მათი ნაქმარი, აჟად საქმარი,
სულა მე დია დამაბარესა.
სოცო ხლე ჩემი, არ ასაჩემი,
რომ ხედავთ, ასე დამამწარესა!

სევედა-ნალეელით შეპყრობილი პოეტი თავის მძაფრ განცდებს ცხარედ ამჟღავნებს სოფლის გმობაშიც („სიტყვა სანათლისღებო“, 23):

სოფელი სულამ ტრელობით, მიკვირს არ ცხრები რად არა?
არ მოვსთელი უზნა სიმუხთლეს, რაები მიყავ, რა და რა!
ვერვინ მოკირჩა უვნები, ცუდად ირბოლა, რა და რა;
თუ არ უცებმან, წარმავალს ჭინ წარუალი რა დარა?

ადამიანთა გაუტანლობისა და სოფლის მუხთლობის თემაზე მთლიანად აგებული არჩილის „გაბაასება კაცისა და სოფლისა“. რუსთველისა და თეიმურაზის გაბაასების მსგავსად ავტორი თითქოს აქაც თავისებურად ეხმაურება ლიტერატურულ საზოგადოებრიობაში აღძრულ ამ მეტისმეტად მტკივნეულ კითხვას:

სოფელს კაცი, კაცს სოფელი მუდამ ზრახვენ სიმუხთლესა,
ერთად ხავეფი. თუ შენდ იტყვი, არ ამბობენ სიტყვას მთელსა:
ორნივე სწორად მოინდომებს ხარ ბნელსა და ხაი ნათელსა.

ავტორი ჩვეულებისამებრ აქაც განზე დგომასა და ნეიტრალიზაციას ჩემდღობს:
„აწ მე ვიტყვი მათ საქმესა, თქვენ შეიტყობთ უმართლესა“. ან და კიდევ:

მათი საქმე მათ იუბნან, ნუ უდგავართ ჩვენ ნურც ერთსა,
სოფელბან და კაცბან სიტყვა თვით მიუგონ ერთმანერთსა;
გაუსინჯოთ, რას იტყვიან ერთი-ერთზედ თუ რა ერთსა,
მეგრე გავტვით სამართლთა, მადლი მივცეთ უფალს - დმერთსა.

პირველ საბრალდებლო სიტყვას ამბობს ადამიანი. სოფელი ერთი მხრით თავს იცავს ადამიანის—მისი აზრით—უსაფუძვლო ბრალდებისაგან, მეორე მხრით კი თვითონაც შეტევაზე გადადის და მტკიცე არგუმენტაციით საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში აყენებს ფიცი მოპაექრეს.

კაცის სიტყვით სოფელი „ტრელია“, მუხთალი, ცრუ... ადამიანთა ცხოვრება განუწყვეტელი ტანჯვა-ვაებაა. წუთიერსა და მოჩვენებით სიხარულს მუდმივად თან სდევს აუტანელი გასაჭირი და მწუხარება. ადამიანი საცოდავი იონაა ბუნების მრისხანე ძალებისა. წუთისოფელი ისე უწყსოდაა გარიგებული, რომ ზოგიერთნი (საზოგადოების უმცირესი ნაწილი) განცხრომითა და ნებივრობით ცხოვრობენ, ზოგიერთნი კი (საზოგადოების უდიდესი ნაწილი) უბრალო ლუკმაპურსა და თავშესაფარ ადგილს არიან მოკლებულნი:

ზოგს ამდენს მისცემ, სოფელი, რიცხვსა არ შეაგებინებ,
ზოგი სიყმილით მომეზარი გყავს, ნაცუნელს მოაძებნინებ,
მრავალთა სახლს არ აღირსებ, ვრთს ცამდის ააგებინებ.
ძველს თავადს ღაღანიძესა ქვეშ კილოას დააგებინებ.

მაინცდამაინც განცხრომა მუდმივად არვის შერჩება, მეფენიც და დიდებულნიც სოფლის მტარვალური ქცევის მსხვერპლი ხდებიან, მათაც საბოლოოდ დიდი განსაცდელი მოვლით ცხოვრების გზაზე. ერთი სიტყვით, სოფელი რალაც საშინელი მაჯალაჯუნაა, რომლის მსახურალი ხელი ადამიანს განუზომელი ტანჯვისა და წამების ტვირთად აწევს დასაბამითვე, შეუძლებელია იმისგან თავის დაღწევა. ამასთან წუთისოფელს თავისი მიმზიდველი მხარეებიც ახასიათებს, სოფელს ხანის ხნობით სიტკბოც სჩვევია, ბედნიერების მირაჟიც. მაგრამ სწორედ ესაა საბედისწერო. ბუნებით მლიქვნელი და ცბიერი წუთისოფელი კაცს ცთუნებით ჩაითრევს ბოროტების ქსელში, შემდეგ კი მოულოდნელად უმუხთოლებს და სამუდამოდ დალუპავს. სოფელი ორიპირია, მზაკვარია, მუხანათია. ამრიგად, ადამიანი სოფელს მძიმე ბრალდებებს უყენებს¹⁾. სოფელს ეს ბრალდებანი სასაცოლოთაც არ ჰყოფნის. კაცს არ ავიწყდება, რომ მისმა წინაპარმა საკუთარი საქციელით დაიმსახურა სავალალო ხვედრი: ადამისა და ევას სულწასულობამ ადამიანთა მთელი მოდგმა ცოდვის ალმურში გახვია, მაგრამ ქრისტემ უკვე გამოისყიდა პირველი შეცოდებაო. განგებამ ადამიანი „უფალყენა“ ნივთთა და უნივთოთა ზედა, მისცა „უფლება ყოველთა“, ყოველი არსი მას „მორჩილობს“, დამონებია. ადამიანმა ვერც ეს სიკეთე შეიღირსა, მდობიო ენებათა-ღელვის აყოლებით, უგნურებით, უძღებებით და საერთოდ ზნე-

¹⁾ სხვათა შორის, კაცო იზსაც ბრალად დებს სოფელს, რომ (318, 1):
ბატონს გახდის უყმოდ და ყმას ოხრად დასევამ უპატრონოსო.

წამხდრობით ახლაც აგრძელებს თავის საძრახის და საკიცხ საქციელსო. ამიტომ რა შუაშია სოფელი? სოფელი ხომ კაცის ბედნიერებისათვის არის შექმნილი, რად ვერ სარგებლობს ის არსთა შორის თავისი განსაკუთრებულად პრივილეგიური მდგომარეობით? რად აპყობია ქვენა-ბიწიერ გრძობებს და ღვთიურ სიბრძნეს დაშორებია? — აქ მარხია ადამიანის გამოუსწორებელი შეცოდების სათავე. ეს არის მიზეზი ადამიანის ტანჯისაო, სოფლის პირით ასკვნის ავტორი. ადამიანი უნდა განიწმინდოს ბოროტი ზრახვებისაგან, სულიერად უნდა განსეტყვდეს, ეზიაროს. უმაღლეს სიბრძნეს და მაშინ სოფელიც გახდება მისი ნების ანსრულებელი მორჩილი ყმაო. ადამიანმა უნდა ჩაიხშოს ვენებათაღელვა, დაითმინოს, თავმდაბლობა გამოიჩინოს. ასეთია არჩილის მიერ დასახული ადამიანის ხსნის გზა. მაინცადამინც ამისათვის სრულიად არ არის საკირო სოფლის უარყოფა, მატერიალური სიკეთის აბსოლუტური გმობა და ამქვეყნიური ცხოვრებიდან გაქცევა. ოღონდო, აფრთხილებს სოფელი ადამიანს, მთავარია ზომიერება (ხოლო უძლებება და სიხარბე დამლუპველიაო), „რომელმან ზომით, სიმაჩთლით მიხმაროს, განალამც ვარგვარ“ო სიამაყით ამბობს სოფელი. „საქართველოს ზნეობებშიც“ გარკვევით არის ნათქვამი (97,1—2):

ნუ გეშინიანთ, არ გიშოისთ,¹ სოფელი ნურვის გინდაო,
ცოლი და ხელიო, მამული, მმა, სახლისკაცი, გინ დაო.

კაციც იძულებული ხდება გულწრფელად აღიაროს სოფლის უპირატესობა:

სოფელი, კიდევ გიზრახავ, არც გაჯეფლება უშენით,
არას ვარგივართ, შენ არ გვავე, ვით სახლის ზეცყე უშენით.

„ასდაათ“ ლექსშიც არჩილი გარკვევით იზიარებს სოფლის მიღების თვალსაზრისს, ოღონდ თეიმურაზის მსგავსად სოფლის ნიეთიერი მხარის ზომიერად გამოყენებას თხოულობს (78):

რადგან ჩვენია სოფელი, მაშ, გვიხამს კარგა ხმარება!
ყოველი ნიეთი მის-მის დროს კაცთაგან მოიხმარება.

კაი ზნე არის კაცისა სიბრძნესთან კარგ სახმარება.

გამარჯვებული სოფელი თავმომწონედ იკვების:

ძართალს გეტყვი: კარგი ვარ და დიად ძნელად დასათმობი,
პირველ ტბილი, საამოვნო, მერმე ანჩხლი, დაუთმოი.

დარცხენილი კაცი კი ამის შემდეგ დარჩებას სთხოვს მოპაექრეს:

ვით უხამთ შენი ხმარება დიდ-ხელმწიფეთა, მეფეთა,
მთავართ, დიდებულთ, სჯულის — თავთ, მღრღელთა არ სისხლთა მკვფეთა, —
მოლაშქრე-მონადირეთა, ვაპართა ლართა მკრფეთა,
მდიდართ და გლახაკთ, მუშაკთა დილით-ღამემდი მყფეთა.

სოფელი სიამოვნებით ასრულებს კაცის თხოვნას და ვრცლად მოუთხრობს საყოფაცხოვრებო წესებს. ავტორიც დასასრულ გარკვეულად დგება სოფლის მხარეზე და თავის ამგვარ საქციელს შემდეგი მოსაზრებით ამართლებს:

რასთვის ტკონია სოფლისგან კაცი უტრუე, აწ ვიტყვი,
თუ სიტყვა კარგად გასიოჯო, დამემოწმები, შენც იტყვი:
ღვთის ბრძანებას გარდავიდა, მტერს უსმინა, ის მოსწონდა,
ამით სოფელს დაგვაშონა

¹) ნაგულისხმევია სიბრძნე.

არჩილის საბოლოო დასკვნით, ერთ დროს სოფლის ბატონად შექმნილ ადამიანმა ვერ შეიღირსა თავის მდგომარეობა და ბოროტი საქციელის წყალობით (ღვთის ურჩობით) თავისი ყოფილი მონის მონობისვე მიძე უღელში მოექცა. ადამიანმა თვითონ დაიმსახურა საშინელი ხვედრი და თვითონვე უნდა გამოისყიდოს დანაშაული მორალური განსპეტაკების გზით. ერთი სიტყვით, „გაბაასება“-ში ავტორი ავითარებს ცნობილ ქრისტიანულ თვალსაზრისს ადამიანის დანიშნულების თაობაზე. ამ თვალსაზრისზე დამდგარი პოეტი თავის შემოქმედებაში ანელებს ცხარე პროტესტანულ ცეცხლს, აქა-იქ რომ ძლიერად აჩენდა თავს. ქრისტიანული დოგმატიზმით შეიარაღებული ავტორი თუმცა სოფელს აძაგებს, მაგრამ განგებით განსაზღვრულ წესრიგს ვერ ეურჩება და თავის ნაღვლიან ლირიკას რელიგიურ-მისტიკური განწყობილებით აზავებს. ამიტომაც არჩილი არ არის პესიმისტურად მოაზროვნე პოეტი. მართალია, არჩილის პოეზიას კარბად ახასიათებს სევდა-ნაღველის მოტივები, მაგრამ სევდა-ნაღველი არ გადადის სრულ უსასოობასა და გმობაში. არჩილი ერთგან კატეგორიულად აცხადებს („ლექსნი ასორი მუხლნი, 100):

სოფელს ვაგინებ, მაგრამე მიყვარს და ვერ ვესხნება.

პოეტი სხვების წუწუნსაც კი ჰკიცხავს ამ მხრით („სანათლისღებო“):

სოფელმან ავ დროს მიმუხთლა, ცრუმ შემომყარა ესენი,

მაგრამ მე მისად საზრუნლად ვერ მნახოს სხვისებარ მკვენესენი.

დამახასიათებელია, რომ „გაბაასების“ წინასიტყვაობაში არჩილი ასე პასუხობს პოეტ დავით ჯაფარიძეს, რომლის ერთგებოვან ლექსს გამოუწვევია თვითონ არჩილის გამოსვლა კაცისა და სოფლის საპაექროდ:

დავით, უძრახეს სოფელსა, სხვათ ბრძენთა შენც ავითანეს,

მე არ ვემდურავი, მაგრამე მგონია მეც დამიტანეს.

როგორც აღვნიშნეთ, არჩილის შერიგება სოფელთან გამოწვეული უნდა ყოფილიყო მისი რელიგიურ-ქრისტიანული სოფელმხედველობით. ამ მხრით დიდურადღებებს იქცევს ერთი სტროფი „ასდაათ“ ლექსიდან. (30):

კაცი უნდა, ვით თავისა, სხვათაც აგრევე მოყვარე,

ჰე, უბედო ბედო ჩემო, ესე არსად შემომყარე,

მე გრამ არ ვთქვა სამდურავო, რადგან ასე დაძამყარე;

მხოლოდ მივის მეგობარი, ვინა შექმნა. ცათ სამყარე.

პოეტს სჯერა თავისი „მეგობრის“ (ღვთის) უსაზღვრო მოწყალება „ცოდვილთა“ მიძარათ (იქვე, 51, 1—2):

ცოდვილთ გვხადიან მოქცევად, ნუვინ წავიკვეთთ სასოებასა,

ფრიად ტვირთმიძიმეთ თუმც ყელსა დიდი დოლაბი გვებასა.

აგრეთვე (იქვე, 55, 1):

არ არის ცოდვა ასეთი, წყალობას სძლევედეს უფლისას.

ქვეყნიური ორომტრიალით დაღლილი პოეტი თავის „ცოდვილ“ სულს აძარებს იმ ყოვლად მოწყალე „მეგობარს“ („მეფეთა“):

განვლე მე ჩემი ცხოვრება მოწყენით, არა შევბითა,

მიჯანდოთ თავი უფალსა, აძაოდ ნულარ ვშერებითა.

არჩილი თუმცა მწვავედ შეებრძოლა ირანულ-ფანტასტიკური ყაიდის სა-
მიჯნურო-რომანულ პოეზიას, მაგრამ ბოლოსდაბოლოს მანც საკმაო ხარკი გა-
იღო ამავე პოეზიის წინაშე. ამის დამამტკიცებელია „სამიჯნურონი“ და გალექსი-
ლი „ეისრაამინი“. პირველით („სამიჯნურონი“) არჩილი ერთგვარად ემიჯნება
თეიმურაზ პირველს და იმის „მაჯამას“, მაგრამ ვერც გავლენას უარყოფს და
ვერც მოხარავლობას:

მ კ ი თ ხ ვ ე ლ - მ თ ა რ გ მ ნ ე ლ ნ ო , მ ა ჯ ა მ ა ს წ ი ლ მ ე ც ე ს ქ ა მ ი რ თ მ ე ე ი .

სამიჯნურო ლექსებიც სამ აგერ ქვემო ჩამოვლია,
ზოგ მიჯნურთა საქვე კარგი მამწონა, ზოგი ანიგდი,
ცოტა რამ ვთქვა, სრულ უთქმელი ვითომ არც ეს დამიკვდი-
აჲ, მიჯნურნო, სამიჯნურო ყური ამას მოუგდია!

სამიჯნურო მოტივებს პოეტი თითქოს იმისთვის გამოჰკიდნია, რომ „სრულ
უთქმელი“ არც ის დარჩენოდა. სამიჯნურო პოეზიის სანიმუშო ძეგლად არჩილს
მოაჩნია თეიმურაზის „მაჯამა“¹⁾:

სამიჯნუროსა ლექსებსა კარგად მოგვითხრობს მაჯამა.

არჩილის „სამიჯნურონი“ თეიმურაზის „მაჯამას“ ძირეული მოტივების უპ-
რალოდ გადამღერებს წარმოდგენს როგორც თემატიკის, ისე ფორმალური და-
მუშავების მხრით, თუმცა ომონიმურ პრინციპზე (ანუ მაჯამურ პრინციპზე) აგე-
ბული სტროფიკა აქ მხოლოდ იშვიათად გვხვდება. არჩილის „სამიჯნუროს“ არც
გამოკრებილობა ახასიათებს.²⁾ სამაგიეროდ არჩილი სავსებით იმეორებს თეი-
მურაზის მოტივებს: სილაშხისა და სიმშვენიერის განყენებულ მკობას, გარეგ-
ნულ-ხორციელი ათრიბუტების აღწერილობას, ბაგისა და ლენის ქებას და მი-
სთანებას. არჩილიც ამ მოტივებს თეიმურაზით აზავებს მელანქოლიკური გან-
წყობილების გამოხატველი სტროფებით. არჩილი ბაძაეს თეიმურაზს მხატვრუ-
ლი ხერხების გამოყენებაშიაც („სამიჯნურონი“ იმეორებს „მაჯამას“ ლექსიკსა:
ეპითეტებს, შედარებებს, მეტაფორებს, გამოთქმებს, ომონიმებს, რითმებს...).

აღსანიშნავია, რომ ავტორი თითქოს უარყოფს თავის საკუთარ მიჯნურულ
გაჭაბუკებას და ერთგან შენიშნავს: „ქორად მეც ვინმე შემწამის-ო. თუმცა სხვა-
გან გვიამბობს სატრფიალო ურვის თაობაზედაც:

ვნახე მიჯნური ფარული, შემაცობინა მაჯ-მა,
მეც ამიყლა ტირილმან, გგზომმან ჩათმან გარჯამა,
შეწყალე და გვერთ ზღემა ვერ პოვა ჩემმა აჯამა.

შესავალში არჩილი იხილავს სამიჯნურო „ზნეობას“ და მთლიანად იმყო-
ვრება რუსთველის მოძღვრებას ამ საგანზე.

¹⁾ დაბეჭდილია თეიმურაზ პირველის თხზულებათა კრებულში (აღ. ბარამიძისა და გ.
ჯაკობიას რედაქციით, ტფ. 1934 გვ. 113-125).

²⁾ თუმცა ქვესათაურად ავტორს მიუცია „ლექსნი აქა-იქ თემულები“, რაც თეიმურა-
ზის წაბაძვით არის გამოწვეული (შდრ. -გათავდა წიგნი მაჯამა, ლექსნი აქა-იქ თქმულ უ-
ბი“).

„ვისრამიანი“ თავისი ფანტასტიურობითა და ხორციელი ტრფიალების მოტივებით არა თუ ჩამოუყარდება, კიდევაც აპარბებს არჩილის მიერ ამ მხრით დაწუნებულ რომანებს. თვითონ გამლექსავიც გაცხარებით შენიშნავს ერთგან (43,2—3):

რამინ სად ნახეს ვაბუყთა ერთი სხვაზედ რითმე კლებული?
ან ვის რით სჯობდა დარეჯან, ზოლიხან ვადოზებელი?

ის ფაქტი, რომ „ვისრამიანი“ გაულექსავი რჩებოდა (ე. წ. ალორძინების პერიოდში წესად იყო მიღებული პროზული ტექსტების ლექსად გაწყობა), არჩილს ახირებულად აუხსნია, სახელდობრ, თითქოს წინამორბედ გამოჩენილ პოეტებს საამისო ძალა არ აღმოჩენიათ:

მაგრა ვერ შემლეს ვალექსვა, მათ დარჩათ ქვე ჩავებულღი.

ან და კიდევ:

ეს ქვე გულად მოიხდა, მათ ა) ამაღ არ შეემართათ,
სიხშო, სიხნელე ამბისა ლექითა ვერ დაემართათ,
თორემ ილდენთა მელექსეთ რად დარჩათ, რა დაემართათ?

არსებული „ხარეზის“ შევსება არჩილს თვითონ განუზრახავს „პირველ მიჯნურთ მკობართა“ წიბაძვით (14,2):

მაგრაჩ წაბაძე ბოძენთ კაცთა, ჩემს პირველ მიჯნურთ მკობართა.

არჩილი კარგათ გრძნობს „ვისრამიანის“ ვალექსვით გამოწვეულ უხერხულ მდგომარეობას და მოწინებით ბოდიშობს ღვთის წინაშე: „ვით გთხოო ქება (კეცხლისა მოსაეთა, შენს უცნობართა“-ო. პოეტი თავს იმით იმართლებს, რომ შეგობრებმა მიჩიფეს, უქმათ ყოფნას ისევე შრომა სჯობიაო (60 - 61) და „წაწყმედა ძალუც, იცოდე, ჯავრით თავისა წამებას“-ო; თუმცა მაინც ყოყმანობს და ვერ ივიწყებს (62,2): „ეს კიდევ მაყენებს, ვაქებდე რად წარმართებას“-ო.

მთელი რომანის ვალექსვა არჩილს ვერ მოუსწრია, ტექსტი გაწყობილია ნაბეჭდი გამოცემის ¹⁾ 118 გვერდის ფარგლებში (ე. ი. ვისისა და რამინის ერთგან შეყრამდე, თითონ ამ ამბის ჩართვით), თუმცა იმ თავითვე ნაფარაულები ჰქონია საქმის ბოლომდე მიყვანა:

რამინ ვისით არ დავავდო ლექსთა ჩემთა უნაწილად,
ჟანნი მათნი საკირონი გაუხადო საქორწილად-ო. ²⁾

ავტორს ერთგვარი ანდერძი დაუგდია (720,1):

რაც დარჩა, ამის ვალექსვას აღარვის დაგეცილებდო.

არჩილი ტექსტს სიტყვა-სიტყვით არ ლექსავს. ზოგ შემთხვევაში ტექსტს ჰკეცვავს, ზოგ შემთხვევაში კი ახალი დეტალებითაც ავრცელებს, ცალკე ადგილების თავისებურ ინტერპრეტაციას იძლევა. ზოგ შემთხვევაში ებრძვის და

¹⁾ ნაგულისხმევია რუსთველი, თეიმურაზი და არჩილის სხვა წინამორბედი პოეტები.

²⁾ ვისრამიანი, ტფ. 1884.

³⁾ შეაძლებელია ამით ნაგულისხმევი იყოს ვისისა და რამინის არა საბოლოო შედგენა, არამედ პირველი შეყრაც.

ეკამათება ძეგლის იდეურ მხარეს. ერთი სიტყვით, გამლექსავი თავისუფლად და თავისებურად ამუშავებს მასალას, ოღონდ საერთოდ არ შორდება დედნის შინაარსულ მონაცემს, არ არღვევს სუფეტურ წყობას და თანმიმდევრად მიჰყვება ამზის განვითარებას. ¹⁾ ეს კია, რომ ბოლოში ტექსტს დართული აქვს დედნისთვის უცნობი პატარა თავი: „ძიძის სალალობელი სიტყვა“. განსხვავებულადაა აწერილი ვისის და რამინის შეყრის სცენაც. ტექსტური შემოკლების გასამართლებლად არჩილი იმოწმებს რუსთველს (67,1):

გრძელი სიტყვის შემოკლება რუსთველისაგან მერგო წილად-ო.

გამლექსავი ვერ ურიგდება „ვისრამიანის“ ზნობას. გვერდს უხვევს დედაკაცის უარყოფითი დახასიათების შემკველ ადგილებს (გამოცემის გვ. 18—19). ქალ-ვაჟის სიყვარულისა და თრინველთა სამეფოს ურთიერთ სქესობრივი ლტოლვის ანალოგია მას ერთგვარად შეურბილებია (ზღრ. გამოცემის გვ. 98). სხვაგან დედაკაცთა საერთო კიცხვიდან „ზოგნი“ დაუცავს:

„რა კარგი არქვა მოაბადმან ოშანგს: დედანი ნებისაყენ უფრო იზიდვენ ვირე სახელისაყენო; დედანი უსრულად დაბადებულნია, მით მიწყვი თავისა წადილი მორიგეს. საწუთრო და საუკუნოს გასწირვენ ერთისა წადილისა გასრულეპისათვის და ამას აღარ გაიგონებენ, თუ ბოლოსა ეამსა მოვყენდებიო“.

(„ვისრამიანი“, გვ. 87).

მოაბადმან ოშანს უთხრა, ვით არს დედათ ვიარება:

უსრულს პირველ შესაქმითო ცთომა რათდა გებრალემა?

მა გ რ ა ზ ო გ თ ა ბ ა ნ ო ვ ა ნ თ ა ე გ ა რ ვ ი ს გ ა ნ ე კ ა დ რ ე ბ ა .

(არჩილი, 533,1—3).

არჩილი აღუშფოთებია და-ძმის შეუღლების მაზღეანურ წესს და ამისათვის სხვადასხვა ადგილას ურთავს (156,4; 160,1—2):

ან დედმაბათ, ან და-ძმათა ვით გაბედეს; ანა ლმერთო!¹⁾

დედმაძისად ძე სიძედ და ქალი რძალად იქმნას რათი?

ძმამ და ცოლად ვინ შეირთო, ან დამ ქმარად თავის ბრათო ¹⁾!

პოეტრი ძრახავს მოაბადის ახირებულ საქციელსაც (117,3):

კუთხოფიველი ხელმწიფე რას აქნევს ცოლსა ნათხოვებს?

დამახასიათებელია. რომ გამლექსავი ერთგან ასე ალაპარაკებს ვისს (609,4):

აუგს თუ არ გ-ნვეერძალო, მეღეჭე ლექსს გაოზომითქვაშ-ო.

აქა-იქ ქრისტიანული ელემენტებია შეტანილი მაზღეანურ-მუსულმანურ „ვისრამიანში“. მაგალითად, ერთგან რამინი ასე მიჰმართავს ძიძას (456,4):

ასე გამზდარსა მარჯე რა, თუ ღმერთი იცი სამებდად.

¹⁾ ვისრამიანის ვარიანტული ხაირობის შესახებ იხ. აღ. ბარამიძის „არჩილიანის ტექსტისათვის“, რომელიც დართული აქვს „არჩილიანის“ I ტომს.

¹⁾ ბრათი ნიშნავს „ნათ“-ს.

ბოლო ძიძა ვისს შემდეგი სიტყვებით საყვედურობს (660.1—3):

ერთა სიტყვახედა არ სდგები, ვითა წისქვილი იქცევი,
კამათელს ჰგეუხარ, შაშს დასევა, იაჟდ გარდაიქცევი.
მართლმადიდებლად ურწაუნო ვიდრეუდის არ ზოიქცევი?

არჩილის „ვისრამიანში“ ზოგჯერ შეინიშნება სრულიად მოულოდნელი ანაქრონისტული შედარებანი და ანალოგიები. აქ ასეთი ტაეპიც კი გვხვდება (372,3):

ვინ მას ემდურვის, დაინანს ბოლდანიათუვლახია..

ამ მხრით საყურადღებოა ვისის სიტყვებიც ძიძის მისამართით (584):

შენის რძით გაზრდას მიჯობდა, თუმც ძალის ძუძუ მეწოვა,
გულსა შენ ძიერ ლახვარი, ვინ თქვას, რამდენჯერს მეწოვა!
ძაგ საქმეს ჩემდა საქუელად არ მეტყვის ითუმიმეწოვა.
შენ, ხანუსისა ჩიქილა რად თავხედ შემოგეწოვა?

როგორც აღენიშნეთ, გამლექსავი აქა-იქ ზოგიერთი „ახალი თემატკური დეტალებითაც ავრცობს და ამდენადვე ასხვადფერებს თავის დედანს. საილუსტრაციოდ შემდეგ ადგილს დავიმოწმებდით:

„ვისსა წინაშე მივიდა ძიძა და იგი დაღრფილი დახვდა, ცრემლისაგან მიწა დაესოვლა. სარჩელი დაუწყაო. გარემდის ეყე? ანუ აწ რალა „კვიროსო? იგი კვლაცა გაუწყრა ძიძასა და ღმრთისა და საუკუნრსა შიშისა დაიწყო საუბარი“.

(ვისრამიანი, 109).

მირაფიდა, კარი დახვდა შიგნიდამე მოგდებული;
დაურეკა, გაკაულეს. ნახა 'ქალი ქვე გდებული.
ტიროდა და ფური ჰქონდა სხვის კერძ სითიე მიგდებული.
ჩაიშთო და მიჯდა კუთხეს, სიტყვა იწყო აგდებული.
გაიზმორა, დაამოქნარა, ამოიწყო მორულობა,
მერმე ხევე აღიხედა, იწყო მისივ მელულობა.
ხან კენეაოდა, ხან სულთქიდა, მოახსენის ხან ხუმრობა,
ჰრქვა: „ავია მაროდ ყოფა, სამედამო უსტუმრობა“.
გარდმობრუნდა ნამტირალი, ამო იწყო საუბარი,
უთხოა: „მგონი ბეგრჯერ მითქვამს, ნუ ხარ ცუდიო მოუბარი!
სულა მე რას მეუბნეცი, ზომ არა ხარ სხვათ უბარი?
რა ვახს ძირი გაზმობოდეს, იმას რალად ძირს უბარი?

(არჩილი, სტრ. 655-657).

იშვიათ შემთხვევაში გამლექსავს შეუცვლია მოქმედი პირის სახელი. ერთხელ შეცვლილია გეოგრაფიული სახელწოდებაც კი. ვიროს სანაცვლოდ ტექსტში იხმარება კვიროს. ¹⁾ მოაბადის რენილენციას პოეტი ხან მავრს უწოდებს, ხან მარავს, ხან ერთსაც და მეორესაც (209,1):

ურიცხვი შეკრბა ლაშქარი-მარავს და მავრის გარვბა.

¹⁾ ეს ნაბიჯი, ალბათ, გამოწვეულია ცნობილი ცხოველის სახელის მხგავსების გააო.

გორბი არჩილს გორბედ (გორბი) უქცევია. დედან ხელნაწერის გაყენებით გამლექსავს ერთგან უსწოროდ უზმარია გამოთქა „ფალავანთ ენა“ (86,2). თუმცა სხვაგან (88,2) მართებულ გაგებას იძლევა:

ფახფურ ენას ფალაურსა მუნ სპარსულად ათარგმნებდა. ^{*)}

არჩილი ცნობილია თავისი თარგმანებითაც, ასეთებია:

1. ალექსანდრიანი, განთქმული საგმირო რომანი ალექსანდრე მაკედონელის ცხრვრებიდან ფსევდო-კალისტენის რედაქციისა. თარგმანი შესრულებულია პროზით. გადმოღებულია სერბული ენიდან. არჩილის ნათარგმნი ტექსტი ჯერ ლექსად შეაწყო და შემდეგ პროზულადვე დაამუშავა XVIII საუკუნის პირველ ნეოთხედში პეტრე ჩხატარაის ძემ (იხ. ამის შესახებ ალ. ბარამიძის ქართული ალექსანდრიანი, „საქართველოს მუზეუმის მოამბე“, IX B, გვ. 41-50).

2. მსოფლიო ისტორია, ანუ ხრონოლოგია და საბაბითგან სოფლისა კონსტანტინე პალეოლოღამდე. პირადად არჩილს ამ უზარმაზარი თხზულების მეორე ნაწილი უთარგმნია. პირველი ნაწილის თარგმანი შეუსრულებია არჩილის მხლებელს რუსეთში მღვდელ მონაზონ ბაგრატ სოლოღაშვილს (პროფ. კ. ქეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, 358-359).

3. „აღსარება მართლისა სარწმუნოებისა წმიდისა კათოლიკე და სამოციქულისა ეკლესიისა“ იერუსალიმელ პატრიარქის ნექტარიოსისა (იქვე 1,358).

4. არჩილი გამოსაცემად ამზადებდა თავისსავე სტამბაში მოსკოვს ქართულ ბიბლიას. ამ მიზნით არჩილს შეუკრებია ბიბლიის სხვადასხვა ვერსიები, შეუდარებია ისინი სლავური ტექსტისათვის და ხელახლად უთარგმნია (სლავურიდან) ისოზირაქისა და მაკაბელთა წიგნები, რადგან უკანასკნელნი ქართულად ვერ უპოვია. არჩილის დამზადებული მასალა დაედვა საფუძვლად ბიბლიის ცნობილ ბაქარისეულ გამოცემას (იქვე. 1,358).

არჩილის შემოქმედების მხატვრული მხარის შესახებ ჩვენ მწერლობაში ორი უკიდურესი შეხედულება არსებობს. ერთი რიგის მკვლევარი სრულიად უარყოფენ ამ მხრით „არჩილიანის“ მნიშვნელობას. გ. წერეთლის სიტყვით: „არჩილიანს აკლია ღრმა გრძნობა და ის სიცხოველე, რომელიც კბადებს მალალს და ნამდვილს პოეზიას.“ ¹⁾ უფრო შორს მიდიოდა პ. უმიკაშვილი, რომლის აზრით „არჩილიანს“ აკლია ის-აღმაფრენა, ურომლისოდაც თხზულებაში ყველაფერია პოეზიას გარდა“ ²⁾.

ჩვენ დროში არჩილის მიმართ ნიპილისკურ დამოკიდებულებას ადგია პროეტი და მკვლევარი კ. კიკინაძე. უნდა პირდაპირ ითქვას, რომ უკანასკნელისთვის (კ. კიკინაძისთვის) არჩილის პროეტური ღირსების დისკრეტიზაცია ერთგვარად დაკავშირებულია „ვეფხისტყაოსნის“ ჩანართების საკითხთან. როგორც ცნობილია, არჩილი იძლევა პირველ ეკემპოტანელ დოკუმენტურ მოწმობას „ვეფხისტყაოსნის“ გამგრძლებლებისა და ყალბის მქნელების შესახებ, რაც არ ეგუება კ. კიკინაძის კონცეფციას: კ. კიკინაძეს მოჰყავს არჩილის ცნო-

¹⁾ დავითიანი, მესამე გამოცემა, 1894, გვ. XIX.

²⁾ იქვე, პ. უმიკაშვილის წინასიტყვაობა, გვ. X.

ბილი მოწმობა („ნანუჩას რუსთველის ნათქვამში ბევრი რამ ჩაურევია, საბრალოს ვერ გაუგია, წმინდა რამ აღმღვრევია“) და ყოვლად უსაფუძვლოდ ასკენის: „ვეფხისტყაოსნის მკვლევარებმა დაიხვიეს უნიკოპოეტის ეს ორი სტრიქონი ხელზე და მოისურვეს ამის საშუალებით პოემის ყველა სიმაგრეების აღება... არჩილ მეფის ზემოთ მოყვანილ ერთ უღაზათო თქმაში არც ერთმა მათგანმა უბრალო ექვიცი არ შეიტანა“-ო¹⁾.

დამახასიათებელია, რომ კ. კიკინაძეს გარკვეული ფორმალური თვალსაზრისით ერთმანეთისთვის შეუდარებია რუსთველი, თეიმურაზ პირველი, არჩილი, გურამიშვილი და ბესიკი. ობიექტურ სტატისტიკურ მონაცემს არჩილი ოეიმურაზის წინ მოუქცევია, რასაც გამოუწვევია მკვლევარის უკმაყოფილება.²⁾

მეორე უკიდურესობის გამოხატველია პროფ. კ. ქეკელიძე, რომელიც საერთოდ სამართლიანად ცდილობს არჩილის რეაბილიტაციას, მაგრამ ამ მხრით ძალზე აჭარბებს და სრულიად დაუმსახურებლად აყენებს ჩვენ პოეტს გენიალური რუსთველის გვერდით. პროფ. კ. ქეკელიძე წერს არჩილის „სამიჯნურონის“ მიმოხილვისას: „თავისი მოხდენილობითა და პოეტური მშვენივრით ეს ნაწარმოები, მსგავსად თეიმურაზის მაჯამისა, პირდაპირ შედეგურად უნდა ჩაითვალოს ქართულს პოეზიაში; ტყვილად კი არ იხსენებს ამაში არჩილი რუსთველს, მას სრული უფლება აქვს ამ ლექსით გვერდში ამოუდგეს ვეფხისტყაოსნის ავტორს. თხზულება შესწავლა სულ 46 ტაპისაგან, რომლებიც ერთი მეორეზე უკეთესია პოეტური თვალსაზრისით“-ო.³⁾

კარგი შეხედულებრსაა არჩილზე, როგორც პოეტზე. აკად. მ. ბროსე. ბროსეს სიტყვებით: „Этo был дурной христианин и дурной государь, но храбрый воитель и отличный поэт“⁴⁾. დადებით შეფასებას აძლევს არჩილს პავლე ინგოროყვა: „შეფე არჩილი, ავტორი ამ სტრიქონებისა (ლაპარაკია ნანუჩას ყალბისმქნელობის მოწმობაზე, ა. ბ.) რაც არ უნდა იყვეს, ნიკიერი პოეტი იყო და მას ჰქონდა იმდენი ესთეტიური ტაქტი, რომ აღშფოთებულყო იმ ბარბაროსული დანართებით, რომლებიც შეუტანიათ რუსთველის „წმინდა“ წიგნში ნანუჩას და სხვა ყალბისმქნელებს“.⁵⁾

განსაკუთრებული ფორმალურ-მხატვრული ღირსებით ვერ დაიკვების არჩილის ვერც „სამიჯნურონი“ და ვერც მისი სხვა რომელიმე ნაწარმოები. არჩილის შემოქმედების დიდ იდეურობას, სამწუხაროდ, ვერ ამშვენებს შესაფერისი მხატვრული სამოსი. პოეტური ოსტატობის თვალსაზრისით „არჩილიანს“ ბევრი აქვია. განსაკუთრებით აღსანიშნავია არჩილის ლექსების რიტმული მოუქნელობა,

¹⁾ აღიტრაცია ქართულ შაირში და დავეფხისტყაოსნის პრობლემა, ტფ. 1925, გვ. 40 (და-ოფა ჩვეია, ა. ბ. შდრ. აგრეთვე მისივე, რუსთველს გარეშე ტფ. 1928, გვ. 18-19.

²⁾ შდრ. იქვე, გვ. 27. (რასაკვირველია, ჩვენ ოდნავ იმის თქმა არ გვინდა, თითქოს არჩილი პოეტური ღირსებით თეიმურაზს სჯობნიდეს, მაგრამ მაინც საგულისხმობა კ. კიკინაძის დავიკრება).

³⁾ ქართული ლიტ. ისტორია, II, 417; დაყოფა ჩვენია, ა. ბ.

⁴⁾ О Грузинском письме царя Арчила, стр. 577, დაყოფა ჩვენია.

⁵⁾ რუსთველიანა, I, გვ. 5.

რითმული სიღარიბე და პოეტური ფიგურალობის უფერულობა (ავტორი ამ მხრით ან პრიმიტიულია, ან, და უმეტეს შემთხვევაში, ეპიგონურად იმიორებს რუსთველისა, თეიმურაზისა და სხვების უკვე გაწყალებულ შედაღებებს, მეტაფორებს, ეპითეტებს და მისთანებს). მხოლოდ ალაგ-ალაგ და იშვიათად ამჟღავნებს არჩილი გამომსახველობითს მოქნილობასა და მხატვრული გამოთქმის ენერჯიას; დიდი პოეტური ტემპერამენტით არის აღბეჭდილი „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასების“. ცალკეული თავები (მაგალითად, გიორგი სააკაძის თავდადება, მარაბდის ომი, გლოვა დედოფლისა და სხვ.). გულწრფელი და ამალღლებელი პათოსით სავსეა არჩილის პატრიოტიკა, ღრმა და ნაზია არჩილის ლირიკა. იშვიათად მოეძებნება, მაგალითად, ბადალი ქართულ მწერლობაში ჩვენი ნაკრევის ეპიგრაფად წამძღვა-ებულ ორ შესანიშნავ აფორისტულ სტრიქონს:

თუ კაცს მიხედვს გრადად ყოფნა უცხოთ თმისა და მ.წუბასა,
შარაათივ ჰქონდეს სასახელად, ნალეულად აღზოიწებას.

სიტყვამ მოიტანა და ცოტა რამ არჩილის აფორისტობის შესახებ. არჩილი დიდად ნაყოფიერი აფორისტიკა. მართალია, არჩილი ამ მხრით მოკლებულია რუსთველურ სიღრმეს და სიმკვეთრეს, მით უმეტეს მხატვრულ მოხდენილობას, მაგრამ თავის დროის კვალობაზე ჩვენი ავტორიც საკმაოდ ახერხებს ბრძნული (და ზოგიერთ შემთხვევაში გაბედული) აზრების სხარტ და პოეტური მოქნილობით გადმოცეას. არჩილის „ასანი ორმუხლნი“ მთლიანად აფორიზმებისა და სენტენციებისაგან შედგება. აი სანიმუშოდ რამდენიმე მაგალითი (16,58,63,67,86,97):

ეტლთა ბრუნვათა მსგავსია ამ სოფლის ლხინი და შებბა.
წამიერთ იცის ორივე, ამაღლება და დაშვება.
მეგორარი ბევრი უნდა, თანამხრაზი ერთი ოდენ.
სჯობს მორა ბრძენი უაწუნურს მეფესა მთხუციბულსა,
არ ვთხოვება კეთილი კაცსა ცოვ, ცნობა-ვნებულსა.
ბერს კაცს ნუ გიობ, ჭაბუკო, ნუთუ ზინც საუე დაბურდე,
დამწვარსა კვლად ნუ დასავე, დასამუშებლად დაბურდე.
უფაზოს მწუხარებისა ნირევე არის ნაყოფი,
გადუბჭირებს კვლუცთაც კმინვა და ავი სამყოფი.
შვილისა სიკეთისაგან იხა-ებს მ.მა ძღვეული,
კაცს უნდა სძულდეს საფაუე სხვის ქრთამად შემოძღვეული.

არჩილს მშვენივრად ესმის მხატვრული სიტყვის ადგილი პოეზიაში და ერთგან ლამაზად ამბობს („ამოცანა სათარგმანებელი“):

თქმას ლექსისას ეს ზნედა სჭირს, სიტყვას უცხოთ შემოიტანსო.

ის საგანებორდ აფრთხილბს კიდევ პოეტებს:

არსად წაგდეს ცუდი ვნა, ლექსობ ვინ თუ იაზიკობ-ო.

ყურადღებას იქცევს „არჩილიანის“ ლექსიკა. თავის ადგილას უკვე აღნიშნული გვაქვს, რომ არჩილმა პირველად წაოაყენა ქართულ მწერლობაში ენის პურიზმის პრობლემა. ეს პრობლემა მან თავისებურად გადაჭრა საკუთარი შემოქმედებითი პრაქტიკით, მაგრამ - უნდა მართალი ითქვას - გადაჭრა ცალმხრივად-

არჩილი საერთოდ გაურბის აღმოსავლური (ირანულ—თურქული) წარმოშობის სიტყვებს, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში აქაც კომპრომისი დაუშვია. ამიტომაც ირანული ლექსიკა, მართალია, გამონაკლისად, მაგრამ მაინც შეინიშნება „არჩილიანის“ ზოგიერთ ნაწილში, მაგალითად:

სრბა იქი-აქად, მარტოდ, ი ა ქ ა დ (მეფეთა, 101,3).

ი ა ქ ირანული სიტყვაა და ნიშნავს ერთს, ი ა ქ ა დ — მარტოდ.

შედარებით უფრო ხშირია ირანული სიტყვების ხმარება ვალექსილ „ვისრამიანში“ და ეს მაშინ, როცა ამისი საჭიროება დედნით (ე. ი. ქართული პროზული ტექსტით) არ არის გამართლებული. აქვე მოგვაქვს წმინდა ირანული სიტყვის ხმარების საწი შემთხვევა, არცერთ მათგანს პროზული „ვისრამიანი“ სათანადოდ აღილას მაინც არ იცნობს:

ჯერ კაბუჯა ქცევა ლალო, კარგ ან დამო, კარგ უსულო (358,4).

სახელოვანო კაბუჯო, აროდეს არსად ნ ა ქ ა რ დო (698, 2).

დროშა ტყეს გვანდა, ალაქი ფურცელსა ხ ა ხ ა ლო ე ა ნ თ ა (224,1).

სამივე დაყოფილი სიტყვა ირანულია და სწორი ტრანსკრიბციით არის ქართულად გადმოცემული. ირანულობას ამქლავნებს შემდეგი ორი დაყოფილი სიტყვაც (60,1;60,4):

მათ ზიჯხურთ ცრემლთა ნაკადმან მართ დაჰაიწყა ისა ლა.

ვოქვა, თუ ნუ ვოტყვი, რას მირჩევთ, ჰეი, არიფნო, ჩ ის ა ლ ა ?

ორგან არჩილი არაბულ-ირანული სახელწოდებით იხსენებს ქრისტეს („გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“):

რას შერჩი, რას გარდმეკიდე, სამართალი კნას ისამან (111,4).

წოიგონეთ მოწამენი, თქვენც ეწაეთ, ის ა ამეთ (551,2).

მაგრამ თუ ირანული სიტყვები არჩილისთვის მაინც შემთხვევითია, ეს არ ათქმის რუსულის შესახებ. არჩილის გვიანდელი ნაწერები რუსულს ბლომად შეიცავს, რუსიციზმებით გაჯენთილია არჩილის როგორც ნათარგმნი ძეგლები (მაგალითად, „ალექსანდრიანი“), ისე ორიგინალური თხზულებანი. აქ რამდენიმე დამახასიათებელ მაგალითზე მივუთითებდით:

1. ვეება კიდევ სხვაც რამ ვოქვა, სულ რუსთა ვნახო რა ც ა რ ი (ზნეობანი,4,4).

2. ბედნიერი აღარ იყოს, აღარც ეთქვას მას ც ა რ ი ც ა (ვისრ. 204,4).

3. ვინცა ვეშივით უფალსა. არ მივიწევით ბ ე ს ი ს ა დ ¹⁾ (ასდათანი, 104,4).

4. ივი ბოროტი, სატანას რ ო ტ ი (მეფეთა, 43,1)

5. მცემს რასმ იმედსა, სიტკბოთ იმ ე დ ს ა ²⁾ (მეფეთა, 62,7).

6. შიამის ხლება, მეამის ხ ლ ე ბ ა ოდეს ვისერი წინამდებარე (მეფეთა. 68,1-2).

7. არ წარვალ შაროს წინაზე. ვეპვ, ვკამო იქაც ი ე ხ ლ ე ბ ა (ვისრ. 665,4).

8. ნე ტიტა პიტნა და პ უ რ ი ს ი ტ ნ ა უფროს ვირჩიევ ცრეთა ს.ზრდელსა (მეფეთა, 89,1-2. ³⁾

1) Бес.

2) М е д.

9. მოვითე შემწედ ამისდა წჳინადათა კაცთა იკონი (ასეულნი, II, 65, 3).
 10. ძმაძ და ცოლაჲ ვინ შერთო, ან დაჲ ქმარად თავის ბრათი (ვისრ. 160, 1-2).
 11. ბაღდ მოვსდეს სან-ღირო, ეს დიღი ზღვა მოვირიბო (ვისრ. 65, 4).⁷

ვერსიფიკაციის ხაზით არჩილი ჩვეულებრივად იმეორებს რუსთველურ შაირსა და ჩახრუხაულს, ოღონდ ზოგიერთი გადახრებიც აქვს ამ კანონიზირებული მეტრებიდან. მაგალითად, პოეტი ხანდისხან იძლევა უშინაგანრიტმო ოცმარცლოვან „ჩახრუხაულს“ (98.1—2):

აღამისთგან მოაქამოჲდ იქმა დიდ-დიდი საკვირველუა.

სამაგიეროდ მოეპოება შინაგანი რითმებით გაწყობილი შაირის სტროფები (მაგალითად, 79):

რა არია, გარდარია ძის სწორება, მამის არო,
 მისი მცნება, შეტყნება კარგა ვერვინ ლოიხარო.
 ვლიდეს გხასა, არა მხასა. ვეო ნათელსა მიეკარო,
 კაცი თუ სცოთეს ბოროტისდა, უმჯობეა ის იკმარო. ⁸

„თამარიანის“ ცნობილი სტროფის „თამარ წყნარი“-ს წაბადებით არჩილს „მეფეთა საქებელსა და სამხილებელში“ შემდეგი ადგილი მოეპოვება (70):

გზნიერი, მე ვნიერი, ბედნიერი, კადნიერი,
 შვენიერი, ზეთიერი, არ-მცბიერი, სახნიერი,
 ნქონიერი, ენობიერი, ნაწობიერი, ნგრანობიერი.
 აჲღონი ეზი, ამქვეყნიერი, მონებრი არი გამკონიერი. ⁹

არჩილს შემოუღია ანბანთქების ერთი ახალი ფორმა „ანბანთ ქება ახალი შემოღებული“ (არჩილიანი, 1, 255—261). პირველად ვხვდებით „არჩილიან“-ში შემდეგში გავრცელებულ „ამი(ცანა სათარგმანებელ“ ლექსებს. არჩილსვე შემოუღია რალაც „ჩარხებერ მბრუნავი ლექსი“, რომელიც—უნდა მართალი ითქვას—სრულ უგემურობას წარმოადგენს (ამ ლექსს ჰბაძავს ვახტანგი, შდრ. Описание, II, 404). ვიტულოზობას იჩენს არჩილი, როგორც სამართლიანად აღნიშნა პროფ. კ. კეკელიძემ (ქართ. ლიტ., II, 419) აკროსტიხებით. იამბიკოებში ჩვენ ვხვდებით აკროსტიხოლ მთელ სტროფებს და, ერთ შემთხვევაში, ცალკე დამოუკიდებელ მოზრდილ ლექსსაც (შდრ. ჩვენი „არჩილიანის ტექსტისათვის“, არჩილიანი, 1, გვ. XV).

არჩილმა ბევრი რამ შეიძინა წინამორბედი ქართველი მწერლებისაგან, კერძოდ—როგორც არა ერთხელ აღვნიშნავს—ის დიდათ არის დავლებული რუსთველითა და თეიმურაზით, განსაკუთრებით უკანასკნელით. თეიმურაზის გავლენით არის დაწერილი არჩილის „სამიჯნურონი“, რომელიც ხშირ შემთხვევაში თავისი პროტოტიპის უბრალო პარაფრაზს იძლევა. თეიმურაზის გავლენით აქვს არჩილს

¹ Икона.

² ნაწარმოებია სიტყვისაგან Р х б а.

³ უკანასკნელ ტაეში შინაგანი რითმა დარღვეულია.

⁴ უკანასკნელი ტაეი დაწერილია ოცმარცლოვანი ჩახრუხაული საზომით. სხვათა შორის, ამ სტროფს ძლიერი ნ თესაობა აქვს „აზდულმესიასთანაც“ (შდრ. სტრ. 97, ნ. მარის გამოცემით, T P, IV, 1902).

გამოყენებული თვითონ „გაბაასების“ ფორმაც. ჩვეულებრივია არჩილისათვის თეიმურაზის პოეტური ხერხების გამოყენება. ისიც აღსანიშნავია, რომ ისტორიულ-ნაციონალური თემატიკის ჩანასახი თავდაპირველად თეიმურაზმა მოგვცა. რუსთველს პბაძავს არჩილი პოეზიისა და მიჯნურობის თეორიით, აფორისტიკით. მეტრიკით, გამოთქმებითა და პოეტური აქსესუარით...

მაგრამ თავისი მხრითაც ბევრი რამ მისცა არჩილმა ქართულ მწერლობას: ის გახდა ისტორიულ-ნაციონალური მიმართულების დამმკვიდრებელი და მეთაური საქართველოში. ოღონდ აქ არ შეიძლება არ მოვიგონოთ პოეტ ფეშინგის ღვაწლიც. ფეშანგი, ზედწოდებით ფაშვი ბერტყაძე, იყო არჩილის თანამედროვე მწერალი, კიდევ მეტი, არჩილისა და შაჰნავაზის კარის მგოსანი. ტრაქტატში „მელექსეთათვის“ ფეშანგს შემდეგი სტროფი აქვს მიძღვნილი:

ფეშანგიმ ფაშვი-ბერტყაძემ ახლა თქვა ფორმალიანი,
სონზიგან კ. რგად ჩააგდეთ სიმძიმით ვით ლიტრანი;
გებრალეზოდეს საბრალთ ცხვირ-მოჭრით თვალცრემლიანი,
მე ვათქმევინე, მაგრამე ვერა თქვა მარლიანი.

მოტანილი ტექსტიდან ჩანს, რომ ფეშანგს არჩილის დავალებით „უთქვამს“ საშუალო ლირსების მოთხრობა „ფირმალიანი“ (რომელიც, სხვათა შორის, ჩვენამდის მოღწეული არ არის). ეს საგულისხმო გარემოებაა. საქმე ისაა, რომ ამავე ფეშანგის ეკუთვნის დიდი ისტორიული პოემა „შაჰნავაზიანი“. უკანასკნელი მოგვითხრობს შაჰნავაზ მეფის (და აგრეთვე არჩილის) ცხოვრების ამბავს და ქრონოლოგიურად წინ უსწრებს „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასებას“. ¹⁾ ამავე დროს „შაჰნავაზიანის“ პროლოგში განხილულია და თითქმის გადაწყვეტილიც „არჩილიანით“ ცნობილი ზოგიერთი სეროზული საკითხი. ფეშანგი საყვედურით აღნიშნავს, რომ რუსთველმა, სერაპიონმა („შაჰნამეს“ ქართული რედაქციის ერთი ნაწილის გამლექსავმა) და თეიმურაზმა „აქეს უცხონი, ინდო და არაბელია, ზოგი სხვაც ვინმე. ახსენეს ცუდად ნადირთან ვლელია“. ფეშანგის აზრით რუსთველმა „შეატმასნა“ „ტყუილი“ ამბავი (10):

რას ეხელყვის საქებარად ტარიელ და აუთანდილი?
სად იცნობდეს უცხოს უცხო, ან ოა ნახეს მათგან ქნილი?
ყველა ტყვილი შეატმასნეს, ყოფილიყო გარდავლილი.

ამრიგად, „უცხო“ და „ტყუილი“ ამბის გმობითა და ისტორიული თემატიკის გამოქომაგებით ფეშანგის აზრი ემთხვევა არჩილისას (თუმცა, რასაკვირველია, ფეშანგი მოკლებულია არჩილის სიმკვეთრეს, სიზუსტეს, სისტემატიკას და თანამიმდევრობას. ენის პრობლემა მისთვის არც კი არსებობს). ამიტომ შეიძლება ბუნებრივად დაისვას პროორიტეტობის საკითხი. ამ საკითხს ჩვენ ფეშანგის ასსარგებლოდ ვერ გადავწყვეტდით მიუხედავად იმისა, რომ ქრონოლოგიურად „შაჰნავაზიანი“ უფრო ადრეულია, ვიდრე „არჩილიანი“. სხვა რომ არა იყოს რა, ფეშანგი იყო არჩილის ხელქვეითი პოეტი, მუშაობდა არჩილის უშუალო და-

¹⁾ შაჰნავაზიანი შეთხზულია დაახლოებით 1665 წელს (პროფ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, II, 346).

ვალებით და მითითებით. ჩვენ ისიც დაუგკრებლად მიგვაჩნია, რომ ისეთს. შე-
დარებით დაბალი ღირსებისა და დაბალი წონის პოეტს, როგორც იყო. ფეშან-
გი, სააკუთარი ინიციტივი. დაუგმო რუსთველისა და თეიმურაზის ლი-
ტერატურული მიმართულება. ასეთი კანდიდურებისათვის ფეშანგს არც პოეტური
ძალა ეყოფოდა და არც მოქალაქობრივი გამბედაობა. ჩვენი აზრით, ფეშანგი
უნდა ამჟღავნებდეს თავის პატრონთა წრეში (კერძოდ არჩილის წრეში) შემუ-
შავებულ საერთო შეხედულებას. ასეთი შეხედულება, ალბან, დროთა განმავლო-
ბაში მუშავდებოდა. აქი არჩილი თვითონ აცხადებს: „მათ მელექსეთ (ე. ი. რუს-
თველისა და თეიმურაზის) შედარება მრავალჯერ მასმოდა მე მეფეს არჩილს“-ო.
დასასრულ ისიც აღსანიშნავია, რომ შესაძლებელია არჩილი არც კი იცნობდა
ფეშანგის „შაჰნავაზიანს“- თავის ტრაქტატში არჩილი ამაზე სიტყვას არ სძრავს,
ხოლო სპეციალურად ჩერდება ნაკლები მნიშვნელობის მქონე „ფირმალიანზე“.

არჩილის უახლოესი მიმდევარია იოსებ სააკაძე (ტფილელი) თავისი
„დიდ-მოურავიანი“-თ. ეს შესანიშნავი (თუმცა ძალზე ტენდენციური) ისტორიუ-
ლი პოემა არჩილის უშუალო ბრძანებით ყოფილა შეთხზული. წინასიტყვაო-
ბის პირველსავე სტროფში იოსები პირდაპირ იმეწმებს „არჩილიანს“:

მეფესა „ართლის ცხოვრება“ ებრძანა ჯალქსულოით,
ზოგი რუსთველის ბაასი, კახთ მეფის საქმე სრულობით.

შემდეგ ავტორი უშუალოდ მიჰმართავს არჩილს:

მეფე, სიბრძნით აღსაესო, ხელმწიფეთა პირმშო შეილო,
ღრმის სიტყვის აღმომცნობო და ძნელისა გამადვილო:
„ცოტა სიტყვა ჯანმირატე“—გებრძანა თუ ჩემო ჩრდილო,
„შენ სიბრძნისა ვერ მიწოთომო, მაგრამ რიტორთ კაცთა ზრდილო“.

არჩილის „საქართველოს ზნეობათა“ შემდგომი დამუშავება უკისრია თეი-
მურაზ მეორეს (1700--1762) „ღლისა და ღამის გაბაასების“ სათანადო თა-
ვებში. თეიმურაზ მეორესვე ეკუთვნის არჩილით შთაგონებული „რუსთველთან
გაბაასება“. 1) აქ ავტორი მთლიანად იმეორებს თავის პროტოტიპს. დიდი გავ-
ლენა მოახდინა არჩილმა დავით გურამიშვილზედ. პროფ. ქუქელიძეს აღ-
ნიშნული აქვს ამ გავლენის მრავალი კონკრეტული ფაქტი. 2) გურამიშვილი
აგრძელებს და აღრმავებს არჩილით განმტკიცებულ ისტორიულ-პატრიოტულ მი-
მართულებას. გურამიშვილი იზიარებს და ავითარებს არჩილის დიდაქტიკას, მო-
ძღვრებას სწავლა-განათლების შესახებ. არჩილის მიხედვით არის შეთხზული
გურამიშვილის „სიკედლისა და კაცის შეღაპარაკება და ცილობა“ 3) და „კაცი-
სა და საწუთროსაგან ცილობა და ჰკობა“. 4) აქ გურამიშვილი იმეორებს არ-
ჩილის როგორც თემას, ისე იდეურ თვალსაზრისს. ერთი სიტყვით, გურამიშვი-
ლის პოეზია ზშირ შემთხვევაში მაართლაც უნდებდა არჩილის მიერ წამოწყებული

1) ტექსტი გამოვაკვეთეთ „ანთოლოგია“ მეორე წიგნში (II, 177--179).

2) ქართ. ლიტ. ისტორია, II, 459--463.

3) დაბითიანი, მესუე გამოცემა (აღ. ბარამიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით),
ტფ 1931, გვ. 186--192).

4) იქვე, 192--204.

პრობლემებს გარკვევას, მაგრამ -- თქმა არ უნდა. მოაფის შემოქმედებითმა გენიამ დიდად დაჩრდილა თავისი მასწავლებელი. არჩილის გავლენას არაა მოკლებული არც იესე ტლაშიძის „კათალიკოზ-ბაქარიანი“¹⁾ და არც ისტორიულ-ნაციონალური მიმართულებით აღბეჭდილი სხვა რომელიმე ნაწარმოები. ზნეთსწავლულება და წუთისოფლის არჩილისებური განსაზღვრავ ქართული მწერლობის შემდგომი თაობის ჩვეულებრივად დამახასიათებელი მხარეა. თუ ყოველივე ამას გავითვალისწინებთ, ცხადი გახდება არჩილის დიდი ღვაწლი ქართული მწერლობის წინაშე. „არჩილიანის“ პუბლიკაციით, ვფიქრობთ, ბოლო მოეღება არჩილის შეუფასებლობას, მით უსეტეს, მისდამი აშკარად ნიპილისტურ დამოკიდებულებას²⁾.

ალ. ბარამიძე

ბ ი ზ ლ ი ო ზ რ ა ფ ი ა .

დასახელებულა (თავარ) ნ. ბეჭდი ლიტერატურა³⁾.

1. Путешествие ШАРДЕНА по Закавказью в 1672 - 1673 гг., Перевод Е. В. БАХУТОВОЙ и Д. П. КОСОВИЧА, Тифлис, 1902 (ავრეთვე ამავე თხზულების ქართული გამოცემა, ტფ. 1935. რუსული გამოცემა ფრო სრულია).
2. (Митрополит ЕВГЕНИЙ), Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ее состоянии, СПб 1802.
3. П. БУТКОВ, История о духовном завещании имеретинского царя Арчила („Северный Архив“, 1824, XII, № 23 - 24, стр 202 - 222.)
4. Его же, Материалы для новой истории Кавказа, СПб 1869, I, II, III.
5. Акад. БРОССЕ, О грузинском письме царя Арчила к шведскому королю Карлу XII, от 2 Февраля 1706 года, и о пребывании царя Арчила в России (Ученые записки ИАН, т. II, вып. 4, СПб 1854).
6. მისივე, Histoire de la Géorgie, II. 1857.
7. მისივე, Nouvelles recherches sur l'historien Wakhoucht, sur le roi Artchil et sa famille, et sur divers personnages Géorgiens enterrés à Moscou (ცალკე ამონაბეჭდი, 1859, გვ. 533--575).
8. მისივე, Переписка, на иностранных языках, грузинских царей с российскими государями, СПб, 1861.
9. ვოლტერი, Histoire de Charles XII. «Bibliothèque Larousse». Paris.
10. Франциск ПЛОЕН, Исторический обзор дипломатических сношений между российскими государями и грузинскими царями и владетелями (დაბეჭდილია „Переписка“ ში გვ. ХСI).
11. А. ЦАГАРЕЛИ, Новые архивные материалы для истории Грузии ХУШ столетия (ЖМНП, 1883, I, стр. 117--137).

¹⁾ ტფ. 1907.

²⁾ ეს ნარკვევი პირველად წაერთვლი იყო რუსთველის სახელობის საკვლევ-ძიებო ინსტიტუტის ძველი ქართული მწერლობის სექციის სხდომაზე 1935 წლის 14 თებერვალს; შემდეგ უკრაინა ვრცლად საჯარო ლექციის სახით იქნა განმეორებული ქუთაისის პედინსტიტუტში 1936 წ. ნოემბრის 22-ს:

³⁾ საარქივო მასალების ფონდები და ნომრები ყოველ ცალკე შემთხვევაში ნაჩვენებია კოლოში.

⁴⁾ დასახელებული წერილის ფოტო-პირი ლენინგრადიდან მომაწოდა დოკ. შ. ძიძიგურმა (ტფილისში „Северный Архив“ არ იშოვება).

12. Б. С. Е С А Д З Е, Летопись Грузии, вып. I, Тифлис, 1913.
13. Е го же, Первый генерал-фельдцейхмейстер русской артиллерии при Петре Великом — царевич имеретинский Александр Арчилович; СПб 1913.
14. Ал. Х А Х А Н О В, Очерки по истории груз. словесности, III, Москва 1901.
15. Описание рукописей общ. расп. грам. II, 133—173.
16. ქართლის ცხოვრება; II, დ. ჩუბინაძის გამოცემა, სანკტპეტერბურგის 1854.
17. ცხოვრება მეფის თეიმურაზ პირველისა, აღწერილი: ლე. სად არჩილხაზან მეფისა, პ. იოსელიანის გამოცემა, ტფ. 1853.
18. არჩილხანი. ანუ მეფის თეიმურაზ პირველის ცხოვრება, გამოცემული ლეოვენტი მანიაძის — დიმიტრისაგან, ქ თაისი 1888.
19. ანტონ კათალიკოსი. წყობილსიტყვაობა, პლ. იოსელიანის გამოცემა, ტფ. 1853.
20. (იოანე ბატონიშვილი), მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის, (სისტორიის მასალანი, I, ტფ. 1913).
21. თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული აღ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, ტფ. 1934.
22. ფეშანგი, შანავეზიანი, გ. ლეონიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით ტფ. 1935. ¹⁾
23. ქართული სიტყვაკახული მწერლობის ანთოლოგია, II, ტფ. 1928.
24. იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, ტფ. 1897.
25. დავით გურამიშვილი, დავითიანი, აღ. ბარამიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით, ტფ. 1931.
26. თ. ყორდანი, მთავარეპისკოპოსი იოსებ სამებელი და ქართული სტამბის საქმე XVIII საუკუნეში. („ივერია“ 1884, № 2,3).
27. მისივე, მოკლე ისტორიული გამოკვლევა („ივერია“, 1885, № — 10)
28. გ. წიკოტელი, დავით გურამიშვილი და იმის წინა დროები („დავითიანი“ — პირველი გამოცემა, ტფ. 1870).
29. პ. უჩიკაშვილი, დავით გურამიშვილი და იმის დავითიანი („დავითიანის“ მეორე გამოცემა, ტფ. 1881).
30. აღ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვ. ისტორია, I.
31. ს გოგაძე, ჩვენი ძველი მწერლობა, ტფ. 1915 (I გამოცემა.), 1927 (II გამოცემა).
32. პროფ. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია I, 1923.
33. მისივე, ქართული ლიტ. ისტორია, II, 1924.
34. კ. კიკინაძე, ალიტერატურა ქართულ შაირში და ვეფხისტყაოსნის პრობლემა, ტფ. 1925. (შდრ. მისივე, რუსთაველის გარემო, ტფ. 1928, გვ. 18.)
35. პ. ინგოროყვა, რუსთაველია, ტფ. 1926.
36. დ. ქარიკაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, ტფ. 1929.
37. პ. შირიანაშვილი, ქართული სიტყვიერების განარკვი, ტფ. 1929.
38. თ. ბეგიაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, III, ტფ. 1931.
39. აღ. ბარამიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, დ. პ. ი. გამოცემა (ლითოგრაფიული), განაკვეთი X, ტფ. 1934.

¹⁾ ჩვენი ნარკვევი დამუშავებული იყო და პარკელ მოხსენებადაც წაკითხული (14. II. 35), როდესაც ეს წიგნი გამოვიდა. ვსარგებლობდი ს. იორდანიშვილის მიერ თავაზიანად მოწოდებული ტექსტის საკორექტურო ამონაბეჭდებით.

40. ა. შანიძე, აღ. ბარამიძე, ილ. აბულაძე: ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, ტფ. 1934 (I გამოც.), 1935 (II გამოც.) 1936 (III გამოც.), 1937 (V გამოც.)

41. აღ. ბარამიძე, არჩილიანის ტექსტისათვის („არჩილიანი“ I, წინასიტყვაობა).

42. მისივე, ქართული ალექსანდრიანი (საქ. მუზეუმის მოამბე, IX B, გვ. 41-50).

43. მისივე, ნარგებუნი (XVIII საუკუნის ლირიკული პოემა), ტფ. 1936.

44. მისივე, ფაქტები და ბენიშენები: 3. არჩილის წერილი ვიტცენთან („ლიტერატურული საქართველო“, 15, XI, 36, 16-21).¹



¹) აღსანიშნავია აგრეთვე ჩვენი წიგნის ბეჭდვის დროს გამოქვეყნებული საყურადღებო წერილი პროფ. ს. ჯანაშიასი: „შეხვედულება ფეოდალურ აღზრდისა და განათლების შესახებ და მათი წესები XVII საუკუნის საქართველოში (I წაელა აღზრდის ისტორია საქართველოში: მასალების კრებული, I, 1937, გვ. 23-33).

შ ე ს ა ვ ა ლ ი

1. სამგვამოვანო ღვთაებზე, ერთმანეროს არ შემდგომისო, მამავ მშობელო ძისაო, გამომლენელო სულისო, ერთხელმწიფებზე, ერთნებზე, სამხატო, ერთ-ღვთაებისო, და ყოველთ მოწყალე სიუხვით, უფრო შენთ მონდობილისო.

2. შენ სიტყვა-დაუსაბამო, რომელ აღმთქვა მამამა, ძეო, როს ეშევ ქალწულსა, იღუმა წმასნილობამა, სულო, მესამე გაგკვეამა ღვთისაგან გამოვლენამა, და განმიხვენ თვალნი გონების, დამიბრმო ჩემა ცოდვამა.

3. კადნიერება არა მაქვს მე თხოვად საწადელისა; «აფფოა ვიზახდე, დავჰკრევედე, ელისე ვით ხალენისა. ჩემთა ცოდვათებრ ნუ დამსჯი, მრჩობლთავე მე მოსენისა, და სულთა და ბორცთა კურნება, შენ წყალობა ყავ ჩემისი.

4. აღვახვენ ბაგე მწიკვლითა სავსე, არ მქონე წმიდებით, შენ, გიაჯ, მომცე სიზრძენი, თორ ვიქმნე გარ-გან-კიდებით. ცოდვის მოყვასნი მადლისას, მიკვირს, რად წავეკიდებით! და ის სასუფეველს იშოებს, ჩვენ ცეცხლსა წავეკიდებით.

5. ღმერთო, შენ შეჰქმენ სიბრძნითა კაცი ხატებად შენადა, ადამისითგან ყოველთა ძმა შეათვისე, შენა და. განამრავლე და განსთესე, ქვეყანა მით ჰქმენ შენადა. და ზოგთ მიეცე ყოვლი საწადი, ზოგთა ლახვარი შენადა.

6. შენ ხარ, რომელსა ვერ მიგწვთა ანგელოზთ დასი კაცებით, ქვეყანა, ზღვა და უფსკრული, ვით შეჰქმენ არსი ოცებით. ზოგთ ვისმე რამე უჩვენე, ცხადი იყო თუ ოცნებით, და მაშინც არ იქნა, სრულ ვერ გთქვეს, ვის სიბრძნე ჰქონდა ოცებით.

7. კურთხეულმცა ხარ შენ, ქრისტე, ნამის სწორო და სულისა, ვის ანგელოზნი ვერ გაქებს სრულ ყოფით ცხრად ასულისა. შენ, მზეო სიმართლისაო, აროდეს არ-დასულისა, და მომეც მე შენის ნებისა ყოფა ხელთ მქონდეს სულისა.

8. უქმის სიტყვისა მიცემად თანაგვაც მავიერისა, არ შერაცხს უქმად, დაჰფარავს, წყალობა შენმიერისა.

ნუგეზინის მეც, იმედი მომეც სიმართლის შხერისა,
და შენ ხარ მოწყალე ერთბამად—ყრმათ, ქაბუჯის და ბერისა.

9. ხამს სიბრძნესა იუნჯებდეს, ვინ არ მიჰყევს ამოებას,
სალეთო სრული, საკაცობო ერთმანერთზედ ა მოებას,
ყოელი ავი განიშოროს, კარგს საქმეს ზედ ამო ებას,
და განარჩევდეს დაღრმობილსა, ვინ ერთმანერთს ამოებას.

10. პირველ უნდა ღვთის შიშზედა კაცმან გული დაამყაროს,
სიყვარული მისი ჰქონდეს, სასოება არ გაჰყაროს,
სასოება უეჭველი, ყოლე იქვი არ შეჰყაროს,
და სიმდიდრესა არ დამონდეს, გლახაკთ მისცეს, ან საჰყაროს.

11. სიბრძნესა ვითხოვ, მან მომცეს დაუშრომელი ენა და,
გულსა ლახვარი მარიდოს, თვალთ ცუდი ცრემლთა დენა და,
მნებავს ამ ამბის დატებობა, ყურნი მამიპყრანან სმენადა,
და კვლავ მძლეველი მყოს მას ზედა, თუ ვინ გამომყევს დგენადა.

12. შენ არ გებოძა სადგურად, ვინ მომიყვანდა ამ ოსა?
მონა უხმარი, უღები, ვერ მივებაძო ამოსა.
მით შემიწყალე, ვერას ვიქმ საქმესა შენს საამოსა,
და შეპრისხდი, ქრისტე, ვინ შენი ღვთაება არ იწამოსა!

13. არ ძალმიც, რაზომ ვირჯები, სიბრძნისა კართა გაღება;
არც არას აქა ქონება, არც არას სხვაგან წაღება,
შეთხზენა სულნელთა. ყვავილთა, წალკოტ-ქმნა, ანუ ბაღება,
და სანოვაგეთა შეკაზმა საგემად ვისმე დაგება.

14. რადგან მარწმუნე ტალანტი, არ მიხმდა დამემალა მე,
მაგრამ დავჭფარე ბოროტმან, სიმედგრე დამე შალა მე,
აწ სინანული მომმადლე, ცრემლს ქვეშე დამემალამე,
და შენ უსასყიდლოვ მკურნალო, მეწამლე და მემალამე.

15. ვექვ ესე ჩემი ნათქვამი კარგი რამ ჰოსაგონარი,
არ საკიცხავი ამბავი, ამო და მოსაწონარი,
არც სხვათ ზღაპრულთა შაირთა ტყუვილად გასაგონარი.
და ესევე ვარჩიე დუმილსა, წაწყმდაო ყოვლი მცონარი.

16. სწორად უნდა ლექსი ვინ თქვას, მართლად სცემდეს, განა გაჰკრას!
თავი კარგად მან აულოს, ბოლო უხამს ზედ მოაქრას,
ვით ხუთძალსა გამართულსა ქვეიდამე ხელი აჰკრას,
და ტებილად იყოს გასაგონი, განა თავსა ვისმე დაჰკრას!

17. ზოგჯერ უნდა წასავლეღად, ვით კაპანმა კაცი აბას,
გულნი ასრე დაუყენოს, ეგონოს თუ თოკი აბას,
ერთი რამე საღალღობო ზედ ხუმრობა წამოაბას,
და მერმე კიდევ ძნელსა რასმე შეიქმოდენ მახე, ა ბას.

18. კიდევ ვისმე ღიღებდასა მისცემდეს და აამაღლოს, კვლავ სოფლისგან ნაღვლიანი მიწამდისინ დაამაღბლოს, დედ-მამასა აყოლებდეს, უუმოდ მათგან დააოზლოს, და ლხინი ქირად შეუუკვალოს, ემღურვიდენ მას საგამობლოს.

19. თვალად ტურფას სანახავსა მდარეც ვინმე შეურჩო, შეენიერთა შეამკობდეს, ღუბქირთ სახე შეურჩო, ლამაზებში შენ რასა იქ, არა გრცხვენის შე უჩიო? და იმათ ფასსა ვინ იზოვნის, შენი არის შაურჩო.

20. სალხინოს და სათამაშოს თუცა ქირი ზედ აბია, ხილნარი და ბალ-წალკოტი, ღვინო, ვაშლი, მახედ ბია, ნათესაენი შემოჰყაროს, მოყვასნი და ასაბია. და ბრძენნი სხედან სიბრძნის ქებად, ყმაწვილებო რას დარბია?

21. სხვაგან იყოს, ვით მორევი, არ ადვილად გასასვლელი, ქვეით ბაგეს შემოადგეს, არ ქოჩრამდის დასასვლელი. ბევრი ადვილ ვით თოხარიკს შარა ედვას წასასვლელი, და ვინ ამ სიტყვას არ შემჯერდეს. სასიკვდილოდ დანას ველი.

22. მინახავს მეღუქსებისა შედრაზედ დიდი ცილება, ზოგს მართლა დაიწუნებდენ, ზოგისა იყოს ცილება; მოდი ყველანი ვახსენოთ, ვაჟოთ მათი შემოყრილება, და ვის კარგად ეთქვას ვაქებდეთ, ზოგს ჯაქვს ვით ჰქონდეს ყრილება.

23. ვით სიბრძნით ხელყოს ფუტკარმან დატკობა გოლეულისა, ყვავილთ ნაყოფი შექარსა ამზავსა გარეულისა, მის გამო მეც რამ დავატკობ, მოდგმა მაქვს გვარეულისა, და ბრძენთაგან მოსაწონარი, არ ცნობად არეულისა.

პარი მორევი: ძველთ და ახალთ საქართველოს მელქსმითა

24. სხვას ღუქსით ჩანრუხადემა შეამკო მეფე თამარი, არ მეგბრალეზის საქებრად თამარი, მისი ამარი. ვა ამით, რომე სრულ ვერ ჰყო, ადრე უთხარეს სამარი. და მუდამ სხვას წიგნებს ვიკითხავთ, მაგრამ ისიცა სამ არი.

25. რო ს ტ ო მ ი ა ნ ი უთქვამსო თურმანიძესა ხოსროსა, სხვა წიგნი მაშინ ძვირობდა, დაუწერია მას როსა. დიდის საქმისა უცოდნი სჯერდებდა საქმეს მომცროსა, და ახლა ცულად ძეს, მაგრამე მოიხმარების ზოგს დროსა.

26. ნანუჩას რუსთელის ნათქვამში ბევრი რამ ჩაურეგია, საბრალოს ვერ შეუწყვია, წმინდა რამ აღმღვრეგია. მასთან რას სწერდა მის ღუქსსა, სირეგუნე მით მორეგია! და რუსთველი სიბრძნის ტბა არის, არცა თუ იგ მორეგია.

27. ჯაგლაგსა ფაენელისშვილსა არეინ ათხოვებს ყურსაო,
მის ვერცხლი დანუმსხვრევია და ველარ დაუყურსაო.
სულ მელექსენი შევჭყარე, მაგრამ ამ ორთა მშურსაო,
და რა დავაბრალო ჯაგლაგსა, ვერ მიჰყვეს ბედაურსაო.

28. ქაიხოსრომან შიგ-ჩართვით ლექსად თქვა ომანიანი,
ომანის სიმხნე, სიქველე, ჯაჰვისცმა მეემნიანი.
კარგად რამ უთქვამს, მის გამო არა ესთქვი მისი ზიანი,
და ყვაილშიც გამოერევა სულითა ქუფრი რიანი.

29. ფარსადანის-ძემ ნოდარ თქვა ქება კარგა ბარამ-გური ს,
შვიდთ იყულიმთა ხელმწიფეთა ხობტა სრული, არა გურის,
თვალნი თლილნი მოაფრქვიენა, გარევა ყო არ აგურის.
და მის ლექსისა სასმენელად მიპყრობა ხაშს კარგა ყურის.

30. ჩოლაყაშვილსა გარსევანს უთქვამს რამე-რავებია,
კიტრი ხილად რალას ვარგა; ვაშლი მოვა, რა ე ბია.
ესევე სჯობს, რაც მასმია მისგან მონახსენებია,
და გული კვდება ნარგისთათვის, თვალნი გაუშტერებია.

31. სულხან ვინ თანიაშვილი, მეც მახსონს, იყო ჩემობას,
ცოდნა მას ჰქონდა ბევრი რამ, მაგრამ სწამობდენ ჩემობას,
ამირან-დარეჯანისძეს უქებდა გამოჩვენობას,
და კარგად თქვა, მაგრამ ვერ გვიხაშს რუსთვლის თქმულთანა ჩვენობას.

32. ბარძიმ ვაჩნაძემ ესაამის წიგნი გალექსა ოდიშსა,
სხვას მელექსესთან ჯდომაში უხამს იხდიდეს ბოდიშსა!
თუ არ შეეჭლო, რასთვის თქვა, რად შეიქს საამბოდ იშსა?
და ვეპვ თუ არ ეთქვა, მით უთქვამს, საქმეს უზემდენ საშიშსა.

33. აწ სამებელი იაკობ ვახსენო ბრძნად მოუბარი,
ამჟამად მას მეცნიერნი არსად არა ჰყავს უბარი,
ხუცურის ენით მელექსობს, არის საეროს მგმობარი,
და სრულად ამისთვის არ ეაქე, რომ იყო ჩემი მკობარი.

34. ფეშანგი ფაშვი-ბერტყასძემ ახლა თქვა ფერიშლიანი,
სომხისგან კარგად ჩააგდეთ, სიმძიმით ვით ლიტრიანი;
გებრალეზოდეს საბრალო ცხვირ-მოჭრით, თვალ-ცრემლიანი,
და მე ვათქმევიენე, მაგრამე ვერა თქვა მარლიანი.

35. სხვათ მელექსეთ არ ვახსენებ, არც ბააკა დვალდიქსა,
არც დათუნა ქვარიანსა, შოთას რად ვერ წაბაძესა?!
რუსთველმა თქვა: კაცის-კაცად საქმე რამე დიდი ძესა,
და ხედავთ ვარსკვლავთ სიმრავლესა, ვერ ედრება შუქით მზესა.

36. ვისცა ეთქვას კარგად რამე, ნუ წაუხდენთ, თქვენცა აქეთ,
კარგი კარგად მოუწონეთ, ცუდის მთქმელი მო დაბაქეთ,

ვინ ვერ მიჰყევს რუსთელის თქმულსა, გარდამობძანდეს ასე აქეთ!
და მელექსობა არ შეშენის, დააყენეთ მოსაბაქეთი!

37. ქართველთ ენითა მელექსე ვერ ეღარების ამ ორსა,
რუსთველსა ენა რიტორსა, მეფეს—ალვისა ნამორსა.
ერთმანერთს რად ვაბაასებთ? უხამს უყოფდენ ამბორსა!
და სრულად იტყვიან უკლებად ამბავსა სპარსთა ნაქორსა.

38. ბევრჯელ მასმია ცილება, ამბობდენ, სჯობსო ეს მასო..
შედარებასა ნუ მოვშლით, უნდა თუ მათცა ესმასო,
ლხინსა გვიჩვენებს ამოსა და გაგვიკეთებს ე სმასო,
და ქართა უკუგვერის, სევდასა, გულთა ლახვართა ეს მასო.

39. ვინ ლალთან დადვა აყიყი, მის წყალ-ფერ გამომცემელი,
ან ტებილ-მეტყველსა ენასა უდრის გესლ-გამომცემელი,
ეგრეთ ვერ მივჰყვე რიტორთა, უცები, ბრძენთ-საცემელი,
და ბრძენო, გენუკავ, ტარიგსა არა ხამს გამომცემელი.

40. რად ხამდა, ეგზომ მუსიკთა მელექსეთ თავსა შევრევდე,
მათ მარგალიტთა ნაფრქვევთა ღორებრ ვჰსთრგუნედი, შევრევდე,
ან ვარდის ბალსა ბულბულის ნაყეფსა გავატევერევდე,
და მაგრამ ამად ვჰქმენ, სევდასა დავსცემდე, მიწყვი მოვრევდე.

41. მელექსენი ასე ითქვა, ბოლოც მმართებს შეუთაო,
ბატონი კი შეუდარო, სხვათ რუსთველი გაუთაო.
კარგადა ვთქვა ყველაკაი, არ მგონია ვნანუწაო!
და კიდევ რამ ვთქვა, რასა ბძანებთ, თუ ამხედ გავათაო?

42. სიბრძნის მცდელნო, ხელის-მკრელნო, გაიგონეთ, განა გესმისთ?
ორთა ბრძენთა მუსიკობა გულს გაამებსთ გან აგ, ეს, მისთ!
ტებილად არის შესახერეტი, სამსალებრივ განა გესმისთ?
და სიტყვა-შაქართ იადონთა მელექსობა განაგეს მისთ.

43. იციოთ, სიბრძნის არა მალავს მეფე, არცა დიდებული,
გულსა შინა დაფარული ამოილეს მიდებული,
მიჯნურობა მრავალგვარად თქვეს სახმილებრ კიდებული,
და ზოგნი მსიძავთ შეუდარეს, ზოგნიო კი დებული.

44. ყური მიჰყართ წადიერად, ნურსად წარხვალთ, აქა ვებით,
მას უბძანა თამარ მეფემ, ბატონმა თქვა თავის ნებით.
ბევრი რამ თქვეს მათ ამბავი, გარდალექსეს თარგმანებით,
და ამას უკან თქვენც მოგინდეს, მაგრა მევე დამანებით.

45. მეფე ბევრს რასმე შემოჰკრებს მიჯნურთა ერთად მკობასა,
არ დასწყევტს სიბრძნის წყაროსა, ენისა მუსიკობასა,
აქებს შეენება-სიტურფეს, სიფიცხე-კისკასობასა,
და თუმცა ეწყალვის, მაშინცა არ აკლებს ლახვარობასა.

46. რუსთველი მოკლის სიტყვითა მზესა ვით ათინათინებს,
მეცუ თეთრს ცრემლსა ლაწვზუნდა ფერად რად ათინათინებს;
შოთა ზის სიბრძნის ეტლზუნდა, თავსა მით ათინათ-ინებს,
და ბატონი სჩარხავს სიტყვასა, ავს კარგთქმად ათ-ინათ-ინებს.

47. თვალს მიჯნურობით დაბმულსა უნატრის ახლად ჩენასა,
უმზერდეს მიუცილებლად უწყვეტლად ცრემლთა დენასა,
ენას ხმარულობს, მუსიკობს, შუენდენდენ ყურნი სმენასა.
და მეც მათებრ მაქონ მსმენელთა, ვიტყოდე მათ ოდენასა.

48. ორი არის სიტყვის ცოდნა: სამღდელო და საერო,
სამღდელოსა მცოდინარე საეროსა მოერო.
ამათ ორივე სცოდნებიათ, დაუჩაგრავს მით სწორიო,
და თქვენც მოგსურდესთ მათი სიბრძნე, თუ ვინ ორშივე გაერიო.

49. აწ თქვენ გასინჯეთ, რომელსაც რომელი უკეთ სცოდნოდეს,
სამღდელო ანუ საერო, მის-მის დროს რომელს მოჰქონდეს,
ენას მსუბუქად ტკბილადრე, არ მობტყოდ მძიმედ მოსწონდეს,
და ამის შეტყობა მინდოდეს, ნუ მზრახავთ ეს მომნდომოდეს.

50. ენათა სწვეთენ გოლეულს, ბაგეთა აშაქარებენ,
ხელქმნილსა ხელქმნილისადა საძებრად საღმე არებენ,
მიჯნურთა მოტრფიალეთა მხეცებრ აგარეგანებენ,
და კვლაცა მებრძოლთა ძლიერთა დევთა სრვად ალაშქარებენ.

51. ვი'ა ვიწყო მათი შედრა უღარებდე კარგსად ავით
თუცა ვიჯდე სობრძნის ეტლსა, ვიხმარებდე კარგ სადავით,
რად ხამს ბრძენთა არ ხსენება, ვინ აჯობა ქიშპსა დავით?
და მნათობთ შუქი არ მოაკლდეს, დუხჭირთ ექმნას ტურფადა ვით.

52. მათ დაურჩათ ბევრი რამე, სიბრძნეს ბოლო არ მოეღოს,
მეც რამ ვიცი, არ დავჭფარავ, ცოდნას კარი არ მოეღოს.
აწ გასინჯეთ, თქვენს წინაშე ლექსი ტკბილი არ მომეღოს?
და მაგრამ მაშინც ამას ბძანებთ, მათგან რამე გარდმომეღოს.

53. გასინჯეთ, სიბრძნის ტრფიალნო, კარგად მითქვამს, თუ არ
მინდა თქვენ გამოგამჩვენო, არ მინდა დასაფარავადა.
ერთხელ ყოვლისა საქმისა ქარი მიქროდა არავადა,
და ბოლომდის არვის გაუშეებს სოფელი გამუმწარავადა.

54. მე ეს ბაასი მასმოდა, შემრჩა ერთს გულის ყურესა,
ვინ ბაასობდეს, ღვინოს სმენ და მე კი მამაწყურესა.
ოდენ შემოკრჩი ოსეთსა, მათ აღარ მომიყურესა,
და მარტო ლექსის თქმას დავსჯერდი, მე მისთვის მამასურესა.

55. ამას ის სჯობს ღვთის შიშზედა საფუძველი კაცმა აგოს,
სიწმიდითა შეიყვაროს, სასოება არ გარდაგოს,

მტკიცედ ჰქონდეს სარწმუნება, ამ სამსავე ზედ დააგოს,
და მერმე საქმე მისის ნებით წარემართოს, რაც გააგოს.

გაბაასება მეფის პატრონის თეიმურაზისა და მელექსეთ დასაბამის
რიტორის რუსთელისა ამ მიზეზით (იქმნა), რამეთუ მათ მელექსეთ შედარება
მრავალჯერ მასმოდა მე მეფეს არჩილს.

მეფის თეიმურაზის ამ ქვემოს ხსენებულთ სახელთა და სარჯელთ ამბავი
თვითმნახავთა და თან-ნახლთ მის ყმათ ქართველთა და კახთაგან მსმენოდა,
არა ხოტბა — არამედ მართალი; რამეთუ ათორმეტ წელს კახეთს ვემეობდი;
მისნი დაზრდილნი და ნამსახურნი დარბაისელნი გვერთს მახლდენ, ვჰკითხავდი
ნაქმარსა მეფისასა და მიამბობდეს. და როდეს კახეთით იმერეთის დასაქვრად
წამოველ, სამ წელ არა მცირე სარჯელი ენახე, და მეოთხეს წელს დავიქირე
ენკენისთვის; და თიბათვეს ხვანთქარი¹ სუაზს აქეთი ლაშქარი გამომისია, და
მეფე და გურიელი წინ მიეგებნეს და ზოგნი იმერელნი დარბაისელნი. და ყანმა
ადრიბეგანის ლაშქარი ქართლსა და კახეთს პირს მოუყენა. რომელიც იმერელნი
მე მახლდენ, ზოგთ იმათაც იქით ირჩიეს; და დვალეთს გარდმოველ, დედო-
ფალი იქ დავყენე და მე იქივ იმერეთს ჩაველ. და რვას თვეს ჩხერს ვიყავ და
ისევ დვალეთს წამოველ, და იქიდამ ოსეთს ფაიქომში გარდმოველ, და ერთს
წელიწადს იქ ვიდექ.

ვითაც მოწყენილის კაცის წესია, რაგინდარას მოგონება და ჯავრის დაუ-
მორჩილებლობა, სხვას ზღაპრულს ამბავს ესევ მართალი ამბავი ვარჩიე გასა-
ლექსავად; და არცა რა ამაში რუჟილი სწერია ერთის მეფისა, და რუსთელის
პირდაპირ გაბაასების, მეტი. საქართველოს ამბავსაც კარგად და მართლა მოგახ-
სენებს, ბატონებისა და დარბაისელთასა; ვითაც ამჟამად ასე სახელის მძებელი
კაცი არ გამოსულა, რომ მეფე თეიმურაზ, და მისი სახელი და სარჯელი არ
დავჰკარგე და ბევრისაგან უმცირესი ვთქვი; მიზეზად ბატონი და რუსთველი გაე-
ბაასე და ორისავე ვსთქვი, რომელს უფრო მართებდა მელექსობის გააოჩენა და
თქვენ გაარჩიეთ უნჯობესი. აწ ამაში ბევრი დასახედავი და ავისა და კარგის
გასარჩევი სიტყვები, ვეკობ, შემოხდა¹ საქართველოს ბატონებზე და დარ-
ბაისელზე², და ვინ რომელი აღირჩივოს, ის ქნას.

აწის ქორონიკონს ქვემო რუქსად მოგახსენებ, როდის ითქვა კიდევ ქვემო ერთი ლექსი
სხვა არის, ის გაუწყებბსთ. იმ ლექსს ზემოთ ორი³ ვალექსული იამბიკოთ რომ თაებოლო ლექსად
არის, ერთის ანბანთკებით რომ ცხრა ლექსია, ოსეთს და დვალეთს მითქვამს ორს⁴ თვესა. და
იმას ევეჰოთს აწ აშთარხანს⁵ ვამბობ. ევება მოცლით ყუფას მიჩემოთ, მაკარამ არ ვიყავ
უსაქმოდ, ოღონ⁶ ნამუშავევი ;ს გამოჩნდა, სხვა არა.

56. ბაასი შოთა რუსთელისა ნიდისგან თეიმურაზისა,
მათთა ენათა სიტკბონი ვსცან მამშვიდებლად ბრაზისა,

¹ შვიდა B.

² ორი უკანასკნელი სიტყვა აქლია A-ს.

³ ოთხი B.

⁴ ოთხი B.

⁵ აჯითარხანს A.

⁶ მაკარამ B.

არ-მოკლე სასაბრძნობელი, უგრძეა ბევრ მარახისა,
და მათებრ მეფე და ან მონა ბძანეთ, თუ სადღა რა ზისა?

57. მე მოვახსენებ მეფეს და რუსთველს წინაშე მჯდომარსა,
ვცილივართ და სრულ ვერ მიმხვდარვართ თქვენ სიბრძნით მოსაგონარსა,
ლარიბთა ლექსთა შეწყობას ბრძენთაგან მოსაწონარსა,
და ვინ სიბრძნეს ვეძებთ, გადარებთ, დავჰგმობთ უღებს და მცონარსა.

58. ბევრი რამ გითქვამს სამზღვარი თქვენს შუა რამდენი რამ ძეს,
ვინ ერთი ერთსა მოგიდგეს, დამედურება მამა ძეს;
დიდი იქნება ცილება, ზოგზოგი კარსაც განაძეს,
და გააჯ, თქვენ გარდაიწყვიტოთ, მე სათხოვარი მიბოძეს.

59. თვით შეექნათ მათ ცილება. სხვათ მელექსეთ არ ირევენ,
სიტყვას ღრმასა ბრძნად სასმენსა შეაწყობენ, არ ირევენ,
სწორს აასხმენ მარგალიტსა, არ თუ მრუდსა გაურევენ,
და მათსა პირსა ტკბილი წყარო წმინდათ მოსდის, არ ამღვრევენ.

60. ნახეთ, რუსთველი მეფესა რა ტკბილად გასიტყვებოდეს,
ესათნობება, ეკრძალვის, მას უნდა ეს ეტყობოდეს,
არა ჰყრის თავსა სამონოდ, თუმცა თუ დაეტყვებოდეს,
და ასრე სწადს, მუდამ გვერც ახლდეს, არც წამ არ გაეყრებოდეს.

პასუხი პირველი მეფისა:

61. რუსთველო, ყური მამიპყარ, გვადრიან მე და შენაო,
ზოგი შენ გაქებს, მე მეტყვის: შოთამ გაჯობა შენ აო,
ხან კიდევ გამაგულისეს, მათი მამინდა შენაო,
და საკვდავად გამოვიმეტო, ან ამოვართვა ენაო.

პასუხი პირველი რუსთველისა:

62. მე რას ღირს ვარ თქვენს დარებას, ამხანაგი შემადარონ,
ჩემისთანა ვერსად ჰპონ, სულ ხმელეთი მოიარონ:
გრძნებაც რამ ქნან, ცა ღრუბლითა შეპყრობილი მოადარონ,
და სრულ მელექსეთ მიუფროსონ, ვით ისრაელთ მღდელი არონ.

პასუხი მეორე მეფისა:

63. სრუ მელექსეთ უფროსობა რასთვის ბძანე, არ გმართებდა,
არ მეც მა თან დამატანე, ეგ მე ჯავრით ამანთებდა,
ვით ჩამო ვე, გითავმდაბლო, ჩემ კერძ მყოფთა ვერ ვავებ და,
და სხვას ვის გინდ რომ ეუფროსო, ბოლოს მოსულს არ ეძებ და.

64. არც მე მინდოდა ბაასი, მიტყვამს, აქედღეთ რუსთველსა, მას ხარბად ენა-მეტყველსა, ვით ტყბილი მოსდის თვე სთველსა. მაგრამ თიატრონს ავისებენ, ასპარეზსა და კვლავ ველსა, და ჰაასობენ და გვადრიან, ვხედავ ხანდახან თვალ-სველსა.

65. არ მცე მათთან ჩაგ-გდივარ ლექს(ს) ვინ ამბობს, შაირებასა, ზოგნი რასმე აასჯაუსებენ, ზოგნი სადმე ცუდად რებსა. მოცილეს გავს მოსატყუერად, ვინ არ ხედავს მათლა მხლრვებსა, და მე რომ მართლა ცა შეეაპკო, შეა მრევე, ვანცა მოავდრებ სა.

პასუხი რუსთველისა:

66. თქვენ ნუ აპყვები, იუბნან, ვინც უნდა თქვას რა გინდა რა, ზოგთ თქვენი თქვან და ზოგთ ჩემი, მაგით ვინ დაგვიბინდარა. თუ კიდევ ბაას მიბრძანებთ, მე აღარ მოვალ მანდ, არა. და ჩემსა დამეხსენ, მეფეო, და თქვენი არა მინდა რა.

67. ცუდად ლაებობენ, შენმა მზემ, ვინ შეადარა ბატონს ყმა? თქვენ ყურს ნუ უგდებთ, რაზომცა იძახოს ტბაში ბაყაყმა. სიტყვა-მცდარმან და უცებმან ცული თქვას, სიტყვა ამაყმა, და მათ რომ იუბნან, ჩვენ რა გვრჯის, ვინცა დაათროს არაყმა?

პასუხი მეფისა მესამე:

68. რალას უშველის, ამბობენ სიტყვასა ამისთანასა, ზოგი ხმამალლა ბაასობს და ზოგი იტყვის ბანასა. ზოგთ ჯავრი ამოატირებს, ლაწეთა შეიქმენ ბანასა. და აწ შენი მქები უფროა, ბოლოს დროს ჰყოფენ ნანასა.

პასუხი რუსთველისა:

69. სანამდის გავსძლებ პასუხის შენახვა-უთქმელობასა? ვიდრე დარევედეს სიფიცხე გულსა მი-და მო ლმობასა, მანამდი პასუხს არ ვიტყვი, შევეპყრა დიდს საღმობასა, და მერმე მეც ვიტყვი პასუხსა, შევსწირავ ღმერთს მაღლობასა.

პასუხი მეფისა მეოთხე:

70. რუსთველო, სხვათ შელექსეთა თუცა შენ გაგითავესა, მე არც გისწორებ, არ იცი, კარგა მქირს ან თუ ავ ესა, მე ჩემი ჯობნა მგონია, თუ სხვათ ვერ გამოგდავესა. და ერთი ამბავი აიწყე, ბოლოც სხვათ შეგითავესა.

71. ჩემოდნად შენ ვინ ჩაგაგდეbs, რაცა სთქვი—იძულებითა, თამარ მეფემან გიბძანა, ძალი გიყო თუ ნებითა. მე ჩემის ნებით გამოვსთქვი, სხვის ვისით მეთქვა თნებითა? და შენ არ გასტყდები მე გჯობდე, თვარ შემოგფიცავ ყმებითა.

პასუხი რუსთველისა:

72. ჯობნა მგონი არვინა თქვას, თქვენ რომ თქვენით თავს იმკობდ: ჩემი გმართებს სათნოობა, სხვათ მეღეჟსეთ ამაყობდე. მაშინც ისრევე მე მაქებენ, რაზომ გინდა მუსიკობდე; და თავსა არათ არ დაგიდებ გასწყრე გულით, ან სჯავრობდე.

73. მეფევე, სამართლით ბძანებდე, ხარ რაზომ შეუპოვარი, მეც რამ ცოდნა მაქვს, თქვენც იცი, არ პირუტყვი ვარ მძოვარი, ვსთქვი ჩეჟან უწინ ართქმული, არც შემდგომთ მოსაპოვარი; და თქვენ რა იზოვენ თქვენის თქმით, ბევრი ვჰქენ მე საშოვარი!

პასუხი მეფისა მეხუთე:

74. ვერ გედარო, რით იქნება, როგორ იტყვი, ჰაი ამას?! ერთის ამბის გარდაღეჟსვა არ მოჰხდება სჯობდეს ამ ას. სჯობს გამიტყდე, ჩამომეხსნა, თვარემ მოგ[გ]ერი თვალთა ნამას, და არ თუ მჯობდე, ვერც მედრებო, დავიფიცავ ჩემსა. მამას.

75. ერთი კაცი ძალის საქმით კარგს იქმოდეს ანუ ავსა, მას იმდენად ვინ ჩაუგდებს, ვინ მისცემდეს ნებით თავსა? რა გასინჯავ ჩემს საქმესა, ველარ ითხოვ აგრე დავსა. და რა შარვანდი მზისა მოვა, სხვა მნათობი ყველა დავსა.

76. ასრე არ გარდაგვიწყდება რაზომ გაგრძელდეს ბაასი, შინაგან მეელ-მტაცებელო, გარ ცხერის გმოსია დაბასი. ნაძლევი დავდვათ, გაჯობო, მომცემი იყო დაბასი, და ვერ გაგიტეხო, ტვირთითა ფლური გიბოძო, აბასი.

პასუხი რუსთველისა:

77. მეფევე მოწყალევე, თქვენს წიგნში მგონ ჩემი ქება სწერია, ხელმწიფევე სიბრძნით სავსეო, მეც რამ ვსთქვა მოსაფერია, თქვენ ბატონობა შეგშენის, მე ყმა ვარ შესაფერია. და არ დაიმაღლებ ამ სიტყვას, მაშ, ძალი გამოვერია!

78. საქართველო სავსე არის, ჩემი წიგნი ყველგან გაჰქუხს, ვის ლხინი აქვს, მას უბნობენ, ანუ გული ვისცა უწუხს, მხიარულად წაიკითხვენ, შასზედ თვალნი არვის უწუხს, და ნუ გასწყრები, ხელმწიფეო, მოვახსენებ კიდევ პასუხს.

79. მე ვარ ძირი ლექსის თქმისა, მელექსენი ჩემზე შენობს,
ამას ზედან რასთვის სწუხხარ, პირად მზეო, იკრავ შენ ობს.
ლექსი ჩემი საამოა, გან საწყინოდ მონაშენობს?
და ნუ ეპვ მჯობდე, სიხარულით ცუდად იკრავ დაბდაბ შენ[] ნობს.

პასუხი მეფისა მეექვსე:

80. ჩახრუხადემ უწინ არ თქვა, რად იპარავ პირველ თქმასა?
რას მიერჩი მას რიტორსა, არ ანებებ მისსა მასა!
ვეპვ, მას დარჩეს პირველობა, დაგიხიოს შენი მასა,
და თორემ ვპკითხოთ ქორანიკონს, გაგიჩნდების. შენი ბასა!

81. ერთი ვინმე ერთს საქმეზედ მოიცილიდეს, იყოს მანზე,
რად დალონდეს მისსა ქნასა, ოდენ იყოს მონახაზე.
კაცს რომ საქმე დაბლა ჰქონდეს, ვინ დააგდო მონახაზე?
და ვერ გაგტეხო, სისხლი ჩემი ხერიტე, ხორცი გაიმაზე.

82. თუცა შენ იყავ აქამდის უმჯობეს მელექსეთასა,
მთიები ცისკრის მასკვლავი შუქს მიჰყვეს ვითა მზეთასა,
მეხუ[თქ]დღეს ვინ შეადარებს ვინ მასთან ჰკრევედეს სეთასა?
და ზე ნუ მედრები, მიყვარხარ უფრორე ჩემთა ყმათასა.

83. სჯობს გამიტყდე, მართალი სთქვა, ისომ გჯობვარ, რას უარობ?
მე შენ გჯობდე, რა იქნება, სხვათ შენ სჯობხარ, არ უარობ.
გული ამას დააჯერე, ნულარ სკმუნავ, ნუ მწუხნარობ,
და ვეპვბ ეპვი შეგივიდა, პირველუმურად ველარ ხარობ.

პასუხი რუსთველისა:

84. მადლი რა გკადრო, თუცაღა გარსევანს ვსჯობდე, ან ბარძიმს,
ჩოლაყას-შვილს და ვაჩნაძეს რადგან მადარებ, არ მიმძიმს,
ერთს კოჩივარდას მქებარსა, მეორე აქებს მაშ თუ ღიმს,
და ნუ ბძანებ, გაგემარჯვება, თორემ მსმენელსა გაალიმს.

85. სწყლიანობ ჩეფევე, ჯობნასა არ ჰბრძანებ მართლის გულითა,
ერთი მე შეგრჩი არიფი, სხვა ყველა ა ნაბულითა.
თუ ვინ მაქებდეს, რა გაგვა, არ ვიყო დაკარგულითა,
და მიიმედ გჩანს ენა ქართველთა, მაშ, ბძანე არაბულითა!

86. ხელოსანი იმას ჰქვიან, უნახავად შექნას რამე,
ჩემგან უწინ ვის რამ გეთქვათ, ქართველთ ენით ვიწყე რა მე,
ჩემი თქმული სახედ გქონდა. მით რამ იტკებ, მით რამ ამე,
და სხვათ მელექსეთ უმჯობესო, თუ რ სწყარები, მე კი დამე.

87. პირველ ხელყოფა საქმის თქმულა შემდგომთა უძნელად.
სად არ ნათობდეს მზის შუქი, ყოველნი იქმნეს მუნ ბნელად.

შოთამ დაგასწარ მელექსეთ, თქვენცა მობძანდით თუ ნელად,
და მე ვთქვი სრული და უკლები, თქვენ მოგეც შესაძინელად.

88. რაც კარკია მის ქვეყნისა, ვიცი მეფეს მიერთმისა,
მაგრამ ამას ვერ მოგართმევ, არც სამართლით წამერთმისა.
არ მანებებ, ჰი, გლახ. რა ვქმნა, აღმოფხვრა არს წამწამ-თმისა,
და შემარჩინეთ, თუცა თქვენგან ჯავრი სხვას არ დაეთმისა.

პასუხი მეფისა მეშვიდე:

89. ვერ წაგართვამ, გაგიჩნდება რა ჩემს საქმეს ვიტყვი ყველას,
არა გდიო შესაპყრობლად, შავარდენმან ვითა ძერას.
რა სიტყვაა, ან ვინ იტყვის, დაუჩაგრავს ლომი მელას!
და ფეხზე ხელი არ მოგკიდო შენ, სოროში შემძრომელას.

90. ერთ ქვეყანას არ იყო და ვიჟს დაარქვეს მთვარისახარ,
თუ სცოდნოდათ მოახლობა და ენახათ ან ისახარ,
ვირსა რადლა დაარქვემდენ, აგრე ბრიყვი რასთვისა ხარ?
სხვა არ იყო. შენ გაქებდენ, რახე პირჯვარს დაისახავ!

91. ერთსა უმეფოს ქალაქსა რა მოურავი დაჯდესა,
მას აქებდენ და მონებდენ, ყოველნი მას იაჯდესა,
დარბოდეს მისგან წარგზავნით, გზირი თავს გაისაჯდესა,
და პატრონი მივა, დასჩაგრავს, ტახტიდამ ვირსა გაჯდესა.

პასუხი რუსთვლისა:

92. მეფე დიად ამიჩქარდა, თოჯი მკარით, ან გამისრეთ,
შემომკარით ხმალი თქვენი, ფრანგული და. ან გამისრეთ.
რასთვის ჩაეპყვე ბაასშიგან, არ ვჭგონებდი იმას ისრეთ,
და რამან კაცმან შემიბრალოთ, მტერთაგანმცა თქვენ მოისრეთ.

93. გავს შედრასა არ სჯერდება, ასე რივად ამიჩემა,
მტერი ამას ვერ მიზემდა, მე რომ საქმე მიყო ჩემა.
სხვათ მელექსეთ არ შეხედავს, ასრე სულ მე დამეჩემა,
და ან მე რალას მოვახსენებ, მიკვირს, რა სთქვი და მეჩემა.

94. უთქვამს ვისმე, ძველს შარას და ძველს მოყვარეს ნუ დააგდებთ,
ძველთგანვე მელექსეთა მამობილებთ და მე მადებთ.
რაც კარგი სთქვათ თქვენის ნებით, ისრევე თქვენვე მე დამადებთ,
და უწინ ყველამ შე მითავეთ, ახლა როგორ გარდამაგდებთ?

95. სხვა ჩემებრივ არ ნახულა, თუცა ბევრჯელ მონახულა,
წყალობითა შენახულა, არ თუ რისხვით დამარხულა.
ხმალი შენ გაქვს სისხლის მღერელი, მაგრამ ჩემზედ არ მიხულა,
და ბევრს დიდს დარბაზს აჯობინეს, მონახახეთ მონახულა.

96. შემძლე ცხენი იმას ჰქვიან, მალ მივირდეს მანძილამდის, თვარამ ზანტმაც წყნარა-წყნარა მიაწიოს მან ძილამდის. აქა-იქი შეჰკრებ რასმე ყვაევილებსა ენძალამდის, და იოსების ქებაშია ბებიასა გაზდილამდის.

პასუხი მეფისა შერევე:

97. ღმერთმან იგი შენ დაგმართოს, რასაც ჩემთვის განიგულავ, შენ ანჩხლობ და სჯაერაიანობ, მე მიძახი: განი გულავ, გულის კარი საორგულოდ გაგიღია, გან იგულავ, და თუმცა უწინ შენ გაქებდენ, აწყა ჩემგან დაკარგულავ.

98. გაიგონე შენც გასინჯე, მე ამათგან არ მეცალა, ბევრგნით საქმე გარდმეკიდა, ერთგნიე სიბრძნე ამეცალა. არას საქმით არ მამშორდა, არც ცოტადრე გამეცალა, და ჩემა მზემა, მთვარეს ლები დაანნივა, ა მეც ალა.

99. საღ მეცალა ლექსისათვის, ქირსა შინა გული იობს, სხეას ჩემდენი განსაცდელი ვის გარდაჰქდა, არ თუ იობს! ის მოიცილის საშიროდ, ვინ არ კმუნავს, ვინ არიობს. და ჩემს ჯობნასა ვეჰვე რუსთველი გულს აჯერებს, განაგიობს.

100. ვინ მოსთვლის ჩემსა სარჯელსა, ანუ ეგზომსა ქირებსა, ხან აღვილ გამარჯვებასა, ხან ძნელად გასაქრებსა, განსაცდელისა საკრველთა იგ ძნელად მონაქირებსა, და ჩემთა საყოლთა დახოცას, ბროლ-მინა განამჰკირებსა.

101. მე და შენ ვინ შეგვადარებს, საღ ჩემი საქმე, საღ შენი? თუ ჯობნა შენი ვინმემ თქვას, სიტყვაა არ მოსასმენი! სიყმაწვილითგან სიკვიდიდმდე საქმე მქირს თავსა საშენი, და ანოსწყდა ჩემი ქვეყანა, ოხერი ვერ ავაშენი.

პასუხი რუსთველისა:

102. მეფევე, დასწყნარდი, ნუ სჯაერობ, ყური მამიგდე, გონია, არ ხელმწიფობით მაჯობო, სხვითა ნურათი [გ]გონია, ნიადგ ჩემის ლექსისა ქება თქვენც გაგიგონია. და მე ათინას ვარ გაზდილი, შენ სამ-წელ გქონდა გონია.

103. ათინას თქმულა სიბრძნისა მოპონა-მოშოებანი, ჩემი ნათქვამი წინწილად, ტკბილ-გასაგონოდ ებანი, მალლა მოგძახისთ მელექსეთ, ეს კმარა თუცა ებანი. და მაგ საქმით თუ მედარები, სხვა გიჯობს ლონისძებანი.

104. თქვენს წიგნში დაგიწერია, ჰგულისობ ჩემსა ქებასა, სხვა მელექსენი, მეფეო, თქვენს მეტი ვერვინ მებასა.

არ ჩამოგივალ მაშინცა, ყელსა საბელი მებასა,
და თუ ვინ თქვას შენი ჯობნება, ნუ დამხსნი ცეცხლთა დებასა.

105. მო, ასრე ვთქვათ, თქვენი თქმული ჩემისთანა ვითამ არის,
v შევინახოთ საუნჯეში, მობარებით ვით ამარის.
მგონი წყრომა აღარ გმართებს, მიბრძანებდე ვით [თ]ამარ ის,
და უშვერი და შეუფერი სად რა მითქვამს, ვითამ ა რის?

პასუხი მეფისა მეცხრე:

106. მე მიზრახე ქვეყნის მოვლა, არ გმართებდა გოთქვა შენით,
მართალია ბევრი ვნახე ოხერი და მერმე შენით,
სოფლის საქმით შექცეულნი სიმთელით და ზოგნი სენით,
და ერთის ამბის გარდალექსევა რა ძნელია ბევრის ენით?

107. ქრისტე ბძანებს, შენც გასმია, დევნულთათვის ნეტარებას,
სხვა თუ რამე დავაშავე, მისთვისა ვიქმ მე ტარებას.
თუმცა მქონდეს, არას ვირცხვი, ცრემლთა მილის კარკარებას,
და მისთვის მიყვეს, რასთვის მიგმობ სიარულსა, კარ-კა[რ] რებას.

108. რაც ენაა ყველანა გითქვამს, სომხური და შეგზრულიცა,
ყოვლი არსი შეგიყრია, დაბალი და მალალიცა.
რა გინდ ბევრი ცოდნა გქონდეს, ვერ აპყვები ვინცა იცა.
და არ დასდგები, დაგარისხებ ვინ ეგვიპტე გააბიცა.

109. მე ოდენ ქართულს ენასა მარილად ურთე სპარსული,
თათრულრც გამირეგია, მიქია მათი არსული.
ამ სამის მეტი თუ ნახო, გინახავსმც ყმა-გაპარსული.
და ბაასის სთველი წაგიხდა და დაგისეტყვა მასული.

პასუხი რუსთველისა:

110. ჯაბანია იგი მოყმე, ვინ ქიშპისგან აღრე იძლევეს,
ხარბის კაცის წესი არის, თვით არ მისცემს, სხვისგან იძლევეს.
ნუ გამიწყარეს მეფე ჩემი, ვერ იშოვნი მაგით ნაძლევეს.
და ჩემს ლექსს[ს] თავი გასწყობია, ბოლოს თარგმანს ტანი აძლევეს.

111. დავითის ნათესავი ხარ, წართმა გასწავლა სხვისა მან,
ვის ერთი ჰყვანდა, წაგვარა პატრონმან ბევრის სხვისამან,
მაგრამ მან შეანანია, უჩვენა ცა რისსხვისა მან.
და რას მერჩი. რას გარდმეკიდე, სამართალი ქნას ისამან.

112. ვერცხლი არ არის, ტრფიალი ვერცხლისა გაძლა არაო,
რას მეცილები შენ ღმერთმა მეფობა მოგაბარაო,
უსამართლოსა მოცილე, კარგა ქნა, მან წაგვარაო.
და მე დამეხსენ და შეგამკობ, ვიტყვი, მელექსედ კმარაო.

113. თამარ მეფით აქანამდის ვიმატე და... და ვიკარგე,
რა მამხდარა მაგისტანა, ახლა როგორ დაევიარგე?
ტანი ზროდ ვსტქვი, ვის ვაქებდი პირი მათი გაუმანგე.
და თუ გამაგლო მელექსეთვან, შენ სამკვიდრო ლელვი დარგე.

პასუხი მეფისა მეათე:

114. რას მიზრახავ უსამართლოს, მითხარ, ვის რა გამოვართვი?
ვინც დამმონდა, დამმორჩილდა, მათ ბევრი რამ არ მოვართვი?
ძალად მიესცემ არვის არას, გაიგონე, არ ხარ დათვი.
და ბირთველმაც თქვა ჩემი ძვირი, ენა ძირში ამოვართვი.

115. მე რუსთველი ველარ მომყვა, სჯობს სხვა ღონე მოინახოს,
თვითან მარტო ველარ ბედავს, სრულ მელექსე მო ინახოს.
თუ ტყულიათ შემეჩემოს, მობრძანებს და მოინახოს,
და ლექსის ყანა მგონ წაუხდა, აწ მოჰკაფედეს მთაში ახოს.

116. ნუ მოჰკედები, ამას იქით ვერ დაეშველდეთ შუამავლით,
შენ დაშავდე შენის ენით, ვით მიმინო მხარზე მავლით.
გარდმეხვეწო ვერსად ვერა, სიარულით აგრე მავლით,
და კიდევ გული მამიბრუნდა, მოდი, თავსა შემომავლით.

117. ამ სიტყვასა ტუბილად გითხრობ, გაგებარდეს, არ გეტყვი ზარს,
თუ შენ მჯობხარ, გრემს მოგცემ და ზედ დაგიღებ მერმე ბაზარს;
თავსა ჯილით აღვიმალღებ, წამოგასხამ განა მაზარს!
და ბერი ხარ და ლიტრით მოგცემ სიჭაბუქის შენა ფაზარს.

პასუხი რუსთველისა:

118. შენ არა გაქვს, მე რას მამცემ, მავ ნაძღვეით არ იქნება,
მერმე ორივ ოხერია, ძნელი არის აშენება.
მე ეს მინდა, მიჯობნო და ჩამომყვე, დამართო ნება.
და სხვამც რა მინდეს მოსაცემი, ჩემი გული მისთვის დნება.

119. აღარ მინდა საშროვარი, გული ასრე შემიწუხდა,
ერთხელ მქონდა დარი მზითა, ცა რისხვითა არ მიქუხდა,
მამაძულვე ჩემი ყოფა, თვალნი მზერად დამიწუხდა,
და შენამდის სხვა მელექსე რუსთველს ბრძოლად ვინ მოუხდა?

120. აქანამდის არვის უთქვამს, შოთას ლექსსა შეუღარებ,
ეს არა სჯობს ცილებასა, მე ვიტყვი და თქვენ გაბარებ,
თუ რას ვიტყვი საგულისოს, მამკლავ, ვიცი, მას უღარებ,
და აქ აღარსად დამაყენებ, გარ გამაძებ, ცუდად მარებ.

121. ვიცი, ავალ ჩამომართმენ, რადგან სწორი სიტყვა გკადრე, მაგრამ რაღას გამოვიჩნდები, თუ მელექსით დაუვარდე? ვაუკაცები ვასახელე, ქალებს ლაწვი გაუვარდე, და მაშინ სცნობენ ჩემს ბაქებსა, თუ სხვას ვისმე გაუვარდე.

პასუხი მეფისა მეთერთმეტე:

122. შენ ასეთი სად რა გითქვამს, მე არ მეთქვას უკეთესად? ომი მისთვის არ გავლექსე, მე თვით ვექმენ მტერთა კენესად.. უცხოდ გიჩნდა, შენ მისთვის სთქვი მოუქმელი დანათესად, და ჩემთვის კეცხნად არ ჩაგეგდო, მაჯობებდი მაგით მე სად?

123. გამისინჯე, სად მმართებდა გუნებისა შემოკრება, თუცა მინდა გასაძებლად, მაგრამ სიბრძნე არ მეყრება. მამაგონდეს ჩემი საქმე, ბევრჯელ გულს შემომეყრება. და არც სულ ჯავრსა დავმორჩილდი, ლექსადა ვთქვი შვიდი კრება.

პასუხი რუსთველისა:

124. ველარ გავსძლებ მუქარასა, არ ვიყურებ ამბობ ტო რას. მარჯანი ვარ, მამიტო და მადვენო ჩიტსა ტორას, სხვაგნით სითმე გარდგივარდე, ველარ დამკრავ თავსა ტორას. და ყმანი ყველა გაგეცლებით, გაგიჩნდების იქ მარტო რას?

125. რაც არ გონია, ის იქნას, ძვირ იქნას მოგონებული, სიჩქარესა სჯობს სიწყნარე, უსმენსა გაგონებული. პატრონის ყმისგან ურჩობა[ს], უკეთეს დამონებული. და მაშა, სოფელმან დამაგდო მოწყულული, საარებული.

პასუხი მეფისა მეთორმეტე:

126. ლაზოდა სთქვი, შემოილე ჯავახური ენა მძიმე, ქისიყურად პასუხს მოგცემ, ამიხვიდე შენ ვინძი მე! ძოღან დიად მაწყენინე, მხიარულსა დამიძიმე, და სიტყვის უქმსა რადგან ცული სიტყვა წაგცდა, ნეტარძი მე!

127. უყურე ბრიყვსა მესხსა და ამაყსა, შეუპოვარსა, რაღას გელაყბო ჯავახსა, ღარიბსა, შე უპოვარსა, ტურას მძორისა მქამელსა, ზროხას ბალახის მძოვარსა, და ყბედსა, გულ-დიდსა, მტერობა აქლემისებრი მხსოვარსა.

პასუხი რუსთველისა:

128. რასთვის ჩამოგყევ შაასში, რად შევსცდრი, რა დამეფეთა? ხმალიც მოგეკრა საკედავად, გლახ, ხორცი ჩემი გეფეთა.

სხვა მონა ვინ შეეძარა კვიიანი თვისთა მეფეთა?
და ყვაემა-ყორანმა დამძახა, მო, ძალნო, თქვენც დამყეფეთა!

129. მეფეო, გრხამს დიდება, მუდამ ქვეშ ფენა ნახლისა,
შენმან მტერმან და ორგულმან თავი მიწასა ახლისა!
საღეთოს სწავლისა მოსურნე ყველანი შენ გიახლისა,
და თვით უწყი, სადა სწერია ძველი უმჯობეს ახლისა.

პასუხი მეფისა მეცამეტე:

130. მართალა, შენი წიგნი კარგი იყო აქამდისა,
ახლა ჩემა დააქარბა, ამაღ ცრემლი ჩამოგდისა.
მთვარე ღამის გაანათლებს, მერმე ჰფარავს შუქი მზისა,
და ჩემა წიგნმა დააქარბა, შენს წიგნს ვინც სწერს, ცუდათ ზისა.

131. ჰე, რუსთველო, მოიცადე; დადეგ, სიტყვა შეინახე,
საღეთოს სწავლით ვერ ამიხვალ, საეროვე მოინახე.
მალაღს საროს ვერ შესწვდები, გლახ, დაბალი მოი ნახე,
და ქრისტე არის მართლმსაჯული, მიციქულნი მოინახე.

პასუხი რუსთველისა:

132. მეფევე, არ იყო სათქმელრ წიგნის წახდენა თქვენგანა,
ჯავრითა ბძანებ მაგ სიტყვას, თვარა არ იცი შენ განა?
მე ეს მერჩივა მაგ სიტყვას, თავს გარდმოგეკრა დავანა,
და თქვენგან არ იყო სათქმელი, არ მიკვირს უპკოთავანა.

133. შენ უკეთ იცი, მეფეო, პტოლემეოსის ნაქნარი,
ვეზირთ უბძანა: „მირჩიეთ საქმე რა ჩემგან საქნარი,
ყველა წახდეს და იგი არ, ვით დავითს ებან ან ქნარი.
და ერთი რამ ბინდა დავაგდო, სოფლისგან არ-დასანთქნარი“.

134. ვეზირთ ჰკადრეს: „ხელმწიფეო, ერთობ ძნელი საქმე გვკითხე,
ერთს რჩევასა მოგახსენებთ, თქვენიცა გული გაიკითხე;
ჩსრაელთა წიგნებისა ბერძნულ ბრძანე წასაკითხე,
და თუ ვინ უკეთ მოგახსენოს ის ლომ ქმენ და ჩვენ კი გვითხე.“

135. არ დარჩეს დაურღვეველი ნაშენი ქვა ქვაზედაო“.
მაღლი უბძანა მეფემან: „მეც ავრე დამეხედაო,
მე თქვენი კითხვა კარგად ვპქმენ, არ ცუდად დამეყბედაო“.
და დასჯერდა მეფე რჩევასა, დაასკენეს ამაზედაო.

136. მოიხენეს ყოელი წიგნები წინასწარ-თქმულნი შესაქმით,
გამოსვლათ, მეორეს რჯულთა, მსაჯულთა, ნეშტთა; ეზრაჰით.

წარმავალს ცოდნას რას მისდევთ, წარუვალთ, ეს აქით.
და დიდი საუნჯე დაუგდეს, ბერძენთა დარჩა მას აქით.

137. დაუყვეს ყოვლი წიგნები მწიგნობრებს სიბრძნით ჭებულსა,
მისცემდეს თვითოს ყველასა მუნ მდგომთა ჩარიგებულსა,
გამოაჩინენ განმარტვით აქამდის ცუდათ ღებულსა,
და წილად ზედა ესაიასი სვიმიონ მოხუცებულსა.

138. იკითხა, პოვა ეს სიტყვა, შეიქნა განცვიფრებული:
აჰა, მიუღვეს ქალწული, შვას ძეო.— განკვირვებული
გაყურდა, ჩხრეკა დაუწყო: „არ იყოს ასო კლებული,
და თვარე ვინ ნახა, ვინა თქვა უნივთო განიეთებული?“

139. ამ სიტყვასა ვერ ვირწმუნებ, წაეკითხოთ ათასჯერა,
ვით ქალწულმან ქალწულებით ძე შობოსო, არა მჯერა.
ევმანოელ თარგმანებით ღერითი არის, ვით მჯერა?
და ხმამალმან ესაიამ რად დაწერა, გამაჯერა“.

140. მას მოუხვდა ანგელოზი: „რად არა გრწამს, რად მიზეზე?
დაწერე და, ვირ არ ნახო, შენ არ მოჰკვდე, იყო ზეზე,
ქებასა იშვას ზეთლემისას, სად მიუშვან ხარი ზზეზე,
და შემოქმედი ხორციით ნახო, აღარ ჰქონდეს თვალი მზეზე“.

141. ირწმუნა, გარდმოსთარგმნიდა; დაეხსნა ამ დაეებასა,
იშვა ძე ღეთისა ცხოველი, სოფელი დახსნა ვებასა.
სამოთხით გამოძებულნი ამად ვიქთ იქივ შებებასა.
და უძღურმან მკლავთა მიირქვა, ევედრა განტევეებასა.

142. თუ წიგნები წახდებოდეს, მაშ პტოლემოს ცუდად შერება.
ერთობ ასრე შემაწუხე, მამინდება სხვაგან რება,
ერთხელ კიდევ გამაგონებ, ხორცსა სული გაეყრება,
და ნულარ ბძანებ მაგ სიტყვასა, შენი კირი შემეყრება.

143. ამასაც ვიტყვი, მეფეო, თუ თქვენი ყური ინებასა,
მონანი შენნი ერთგულნი, რად გამოგართმენ სიგლებსა?
თხელს ქალაღს დაიწუნებენ, ეტრატზედ სწერენ წიგნებასა.
და თუ კიდევ ბძანებ წახდენას, საქმეს იქ დასაჟინებასა.

144. თქვი, რაც გინდეს საბრძანებლად, გარდამიწყდეს ერთხელ რამცა,
მას ვჰმადლობდე, ვინ ქვეყანა დაამყარა, შექმნა რამ ცა.
თუ ავად ვთქვი, თამარ მეფემ საჯილდოო რასთვის მამცა?
და ვინ შენს თავსა მბაასებს, მილალატა, დანა დამცა.

პ ა ს უ ხ ი მ ე ფ ი ს ა მ ე თ ო თ ხ მ ე ტ ე :

145. ბოლოს საღვთო შემოიღე, არ გიჯობდა მაგისი თქმა,
პასუხს მოგცემ ბაასისას, გაქნევიწო ვეკობ აღთქმა.

საღვთოთ მაშინც უეჭველად შემიძლია შენი დანთქმა.
და შენ ტალანტი დაგიმაღავს, მოვიპოვო ჩემი დრაკმა.

146. მართალია, არ წახდება ეგ წიგნები არაოდეს,
წყეულია იგი კაცი, არა სწამდეს, მაგას ჰგმობდეს,
ანუ მართლა არ ესმოდეს და მუცლითა მოზღაპრობდეს,
და არ ემთხვიოს სასოებით, ავად ხელსა მიაპყრობდეს.

147. ზოგი ახლავ აღასრულეს მეგ წიგნებმან თვისი თქმული,
სხვანი არის აღსასრულად, თუმც ჯერ არის დაკარგული.
რქა დონისაც არ წახდების, არც იოტა არს დანთქმული,
და მთქმელთ იზოფენს ცხოვრებისა წარუვალნი მუნ მამული.

148. კვალად მოვიდეს იესო მუნ აღსასრულსა ჟამისა,
ანგელოზთ დასი მოაყვება, ენახოთ დიდება მამისა,
მისთა დამსჯელთა წყეულთა ნიში ეჩვენოს ჯვარისა,
და მაშინ ტიროდენ ურგებად, დადენა იყოს ღვარისა.

149. სახარებას ხელთ დაიქვრს, ჯვარსა წინა მოიძღვანებს,
საყვირსა ჰკრავს ანგელოზი, შემოქმედი რა უბრძანებს;
ყოვლნი მკედარნი აღდგებიან, ვხნ იგლოვს და ვინ იხარებს,
და ცეცხლის აღი საშინელი ცოდვილთ მწარედ ამწუხარებს.

150. მაშინ დასხდენ მოციქულნი ათორმეტსა საყდარზედა,
ორ-ექვს ტომთა ისრაელთა მუნ განკითხვად მართალზედა,
მუნ ცოდვილთა თვალუხვავად ემზილება ზედი-ზედა.
და სხვათაც ჰკითხე, ვინც იცოდეს, თუ გაფრტყუენდე ამასზედა!

151. წინასწარმეტყველთ ექნება წიგნები მათი ხელთაო,
ეს ამისთვის ვსთქვი, გერწმუნათ, რად არ ირწმუნეთ ხელთაო,
სხვა რამ სიბრძნისა წიგნები არ გამოჩნდების ხელთაო,
და ცოდვილთ რაღა თქვენ მის მეტი: ვაი დამწვარო ხელ-თაო.

152. ზოგთ გონია, ცა-ქეეყანა ორივე წახდეს, განქარდესცა,
ორივე იქნას ახალიო, ესაიამ თქვა ესეცა.
დავითც ამას ემოწმების, ესრეთ სწერენ და მოსეცა,
და ცეცხლისაგან გამოხურდეს, შეიცვალოს უმჯობესცა.

153. შენ მარტო ეგ გისწავლია, მე გიაშობ თითო-თითოს,
უკეთა ვსთქვა, ყოვლმა კაცმა შენმან მკვერტმან მოითითოს;
ასრე ჯობნა დაგანო, შეგანატრო ცოდნით თვით ოს,
და გამოგადო სამყოფთაგან, სხვამ აღარეინ შეგითვისოს.

154. ათ-ათს გეტყვი მოსეს თქმულსა მცნებასა და წყლულებასა,
ძველთ წიგნთა და აწ ახალთა ერთადა ვიქ კრულებასა,
შვიდს მადლს სულის წმიდისასა გათავებით უკლებასა,
და ოთხთა ნივთთა სოფლისასა იგ არსამდის დგმულებასა.

155. პირველი წიგნი შესაქმე იტყვის არსა დაბადებასა, ცისას, მზისას და მთვარისას, ვარსკვლავთა ცეცხლებრ დებასა, ზე სამყაროსა, წყალს ქვეშე ზღვებს ქვიშით გარ მოდებასა, და მიწისგან შექმნას კაცისას სამოთხეს შიგან დებასა.

156. მეორე გამოსვლათაა ძეთაგან ისრაილისათ, მაშინ ქმნილს საქმეს მოგითხრობს მისვლამდე მთისა სინისათ, ვითარ წიალხდენ მეწამულს ფარაოს დასანთქამისათ, და ანუ თუ პირველ რა იქმნა შემდგომით-შემდგომისისათ.

157. კვალად მესამე რიცხვთაა, მუნ დათვლა ისრაილისა, მათ ტომთა იტყვის თვის-თვისად, ვინ ვიზედ მთავრებულისა, სიმშვიდეს, ხოლო სიცოფეს, ან ვინ-ვინ გააგულისა, და სახელის თქმაცა მწადიან არც მეტად, არც ნაკლულისა.

158. მეოთხე არის სახელით წოდებით ლევიტელია, ლევითგან ჩამოვიდოდეს ყოველი მაშინ მღდელია, ვით უხმდა მათ მსახურება, სიწმინდით მისი მთქმელია, და ზოგნი საესენი მადლითა, ზოგნი განმრყენელი მელია.

159. მეხუთე არის სხვა კიდევ წიგნი მეორეს სჯულისა, გამოსვლით ვიდრე მთით სინით მეტყველი მოკლედ თქმულისა. მაგრამ სჯულს ვრცელად მოგითხრობს, მთქმელია არ-ნაკლულისა, და ამ ხუთთავ წიგნთა უწყოდე მოსესად რწმუნებულისა.

160. მეექვსედ აწეს ჩააგდე მუნ თქმული ისრაელისად, ისრაელთ ვითარ შეიყვანს მთით სინით ქვეყნად აღთქმისად. მოწაფე არის მოსესი და სწორი მისვე ძალისად, და ვინ მზეს აყენებს გაბაონს, მთვარეს ველს იალონისად.

161. კიდევ სხვა არის მეშვიდე მსაჯულად სახელდებულნი, ვით დაემკვიდრნეს ქვეყანად აღთქმისად გამოძებულნი, ვინ დააყენეს მსაჯულნი სჯად მათდა გარიგებულნი, და ამათ მოგითხრობს განმარტვით, არ არის მღ-მოდებულნი.

162. ამის შემდგომად მერვეა წიგნი მოთხრობა რუთისა, ხილვადაც კმარა, სიბრძნედაც, მდინარედ იყოს რუთისა, დედაცაკობად ეყოფის, არ არის ხედვად ბრუთისა, და დედა არს იობედისა მეფსალმუნისა პაპისა.

163. რუთათ მით ითქმის, მოვიდა ისრაელთ შიგა მოაბით, თუ ვით მოვიდა ეს ქალი, ან რა ქნა თქვა რამ მოაბით. მე ეს მითქვამს და აწ შენ თქვი, ცხენით მოვა თუ მოაბით, და კიდევ სხვას გეტყვი წიგნებსა და თქვენ ამაზედ მოაბით.

164. ორნი არიან მეფეთა, ათს ჰყოფენ შესრულებულად, ეზრასი უკანასკნელად, შემდგომად ნეშტ წოდებულად,

ნე შ ტ ი 'ნარჩომთა აღწერა, მიზეზი არ დაკლებულად,
და რამეთუ ხუთი სხვა არის, სახელით ეს მოღებულად.

165. პირველ ღვაწლი იობისა და მეორე დავითისა,
შენც გასმია გოლიათსა ვით მძლე ექმნა დავითს ისა,
ან ვით ამკობს გალობასა, ან ახსენა დავით ისა,
და მამად ექმნა შემოქმედსა, იტომა და დავითისა.

166. სამია სოლომონისა ეკლესიასტე, იგავი,
ქება-ქებათა მაღალ არს ხედვითა, არ თუ იგ ავი,
წვრთილება სიბრძნის ტრფიალთა და სწავლა განარიგავი,
და ამოებს ამოებათო სოფელში ცუდად მბორგავი.

167. წინასწარმეტყველთ სხვა ხუთი თვით სახელებსაც გიამბობ,
ესაია და დანიელ, მე თუ არ გეტყვი, შენ ვერ მბობ,
მო ეზეციელს ვაქებდე, იერემიას შეგიმკობ,
და ოთხი ეს არის თვის-თვისად, შენ რასაც ამბობ, არაკობ.

168. კვლავ ერთ წიგნად ჩაგდებულა ათერთმეტთა რაც თქმულია,
ოსე, ამოს და აბღია იოველმებრ ქებულია,
იონა, ნაომ მიქია, ამბაკომ ხმა-მაღალია,
და მალაქია და ანგია, ზაქარია ვით ვმალაია.

169. ძველი წიგნი ოცდაორ არს, ვით ებრაელთ ანბანთ ასო,
წინასწარ თქვეს სულის წმიდით, ხილვის ერთით არ გაასო,
მუცლად ღება, შობა, ნათელა, ჯვარცმა, ძმრის სმა, ვინ ჯვარს ასო,
და სერობასა მოციქულთა ხორცს აქმევდა, სისხლი ასო.

170. მოციქულთ ეს შეიწყნარეს, მღვდელთმოძღვართა დაამტკიცეს,
სხვა რაც ძველი წიგნი იყო, ეკლესიას არა მისცეს.
სიკვდილს არ პრიდეს ქრისტესთვის და ლახვარი ხორცს გაიცეს,
და ქვე-მეთრევეთა მიწის ნაშობთ სუფევეანი მათ გაიცეს.

171. სხვა არის ახლის რჯულისა, იმასაც გეტყვი, მაცალე,
წვრილად მოგიბხრობ წიგნებსა, თუ თავი არ გამაცალე.
მე სხვაეც რამ ვიცი ბევრი რამ, რაც გქონდა, შენ კი დასცალე,
და მოდი, ეგ შენი ნათქვამი ჩემს თქმულზედ სართით გაცვალე.

172. ოთხი თავი სახარება სად დასწერეს, თუ იკითხავ,
მე არ გითხრობ, შენ არ იცი, ანუ სხვადა ვისდა აკითხავ.
თვით საქმესაც მოციქულთას კათოლიკეთ წავიკითხავ:
და ძნელ საქმესა შეეკიდე უმეტრულად, წლილო, ვით უხავ.

173. პირველად მათემ საღეთომა აღწერა პურიასტანსა,
სცან, იტალიას მარკოზ სწერს, ვიტყვი იმასთან მომტანსა.
ლუკა აქიას დაიწყო, სიბრძნესა სულ შიგ ატანსა,
და იოვანემა პატროს თქვა, ნეტავი იმის მამტანსა.

174. ერთი კიდევვე ესე ვსთქვა, საქმე ბრძენთ მოციქულთანი, მათ შვიდთა კათოლიკეთა არ უზის ბოლოს სულთანი, განუყოთ პეტრეს, იაკობს, იონეს იუდასთანი, და შემდგომ რიტორის პავლესი ეპისტოლ ათოთხმეტთანი.

175. ერთია იაკობისა ქრისტეს ძმად წოდებულისა, ორი პეტრესი თხემისა, მოციქულთ უმწვერვალისა, სამია მისი ნათქვამი, ვინ არის ძე ქუხილისა, და მხოლოდ იუდა მოშურნის ყოვლთათვის მიწოდმილისა.

176. ეს არის ახლის აღთქმისა წიგნები დამტკიცებული, იონეს გამოცხადებით ერთად გაცამეტებული, მთქმელი და აღმსრულებელი არ-ქმუნიეთ მყოფი, ვებული, და ახლა შენ ბძანე, რუსთველო, რად ჰყოვნი გაცოცებული.

წყლულეზანი ეგვიპტისანი:

177. მეგვიპტელთა რად ვერა ცნეს შემოქმედის რისხვა დიდი, წყალი სისხლად გარდაექცათ, დღე შეიქნა მათთვის ბინდი, მათ გულ-ზრქელთა უცნობოთა არ შეუშვეს მისი რიდი. და შენც თუ მათებრ არ გეშინის, მო, წაბძანდი, მათთან მიდი.

178. ბურნაკთა მიერ მოიცივა ჰაერი, მიწა და ველი, მათ მყვარი აღმოეცენათ ბოროტი მუნ მოსასრველი, ანაზღათ მწერი ძალისა გამოჩნდა ფრენით ფიცხელი, და ფანქალი კაცთ სხეულზედა სიმძიმე ჰქონდა მებრ ძნელი.

179. ოთხფერხთა ზედან ეწია სრულ ერთად მოსასრველია, წვიმას და სეტყვას საშუალ ცეცხლი აეგზო მწველია, მკალთაგან წარწყმდა მწვანელი, მოიშკო მუნ ყოველია, და კვლაცა პირმშოთა სიკვდილი მეთე სატანჯველია.

180. წყალი სისხლად გარდაექცათ, ისრაელნი წყლადვე სმიდენ, ველარც ახლოს გაუვლიდენ და ვერცა ვის შიგ ჩასმიდენ, ღამედ ექნათ მათ მზის შუქი, ისრაელნი დღედ ხედვიდენ. და შეანანა მოწყალემან, ველარ ისრე ხელს დასხმიდენ.

ათი მცნება მოსესი:

181. პირველ ღმერთი სხვა არ იცნა, იმას პატივ-ეც მხოლოდა, არა აღმართო მსგავსება ცუდი, უსულო ძელო და, ამოდ არ ჰყო ხსენება სახელი ღვთისა ძნელო და, და შაბათთა დაიმაჩხევდე, მღღელნი გყვეს სანატრელოდა.

182. მშობელთ პატივ-ეც, ევლტოდი საქმესა კაცის კვლისასა, უცხოს საწოლსა ერიდე, გული ნუ. გითქვამს სხვისასა;

რაც შენი გქონდეს დასჯერდი, ნუ ხელჰყოფ ზოპარეისასა,
და ცილისწამებას დაეხსენ, ნაბერწყალს სიკვდილისასა.

183. ოდეს დასხმიდა ამ მცენებას უფალი ქვის ფიცარზედა,
ის არის, სხვა არ სცოდნოდათ, ვინ რომ ზის ქერობინზედა.
მიკვირს, შემოქმედს რად სცელიან მომცროსა ხბოსა თავზედა!
და ჩვენ დავიწეროთ გულეზსა, თვალნი გექპიროს მაზედა.

შვიდი სულის-წმინდის მადლი:

184. შვიდს მადლსაც აგერ მოგიბორობ, სხვაგან ნულარ ჰყოფ ძებასა,
მადლი სიბრძნისა იოტებს კაცთა უგუნურებასა,
მადლი გულისხმისყოფისა განსდევს უგულისხმებასა,
და მადლი ზრახვისა დაჰფარავს გულის განმკითხველებასა.

185. ძლიერებისა მზნედა ჰყოფს და ძალს მისცემს უძლურებას,
მეცნიერთა მადლი ვის აქვს, უჩინო ჰყოფს უმეცრებას.
მადლი ღვთისმსახურებისა განაქარებებს საცთურებას,
და შიში ღვთისა ცოდვას დახსნის, მართლის გზისკენ აქნევს რებას.

186. რუსთველო, სიტყვით დაგაბი და შემოპყრიხარ გაქრამდი,
შემედარე და ვერა ჰქმენ შენ შემოწდომა ბეჭამდი.
ლომი მკვდარს ნადირს არა სჯამს დიდითგან მცირეს გოქამდი,
და აწ მკვდარს რა გიყო, თვარემ და, თუ ცოცხალ იყო, შეგქამდი.

187. ათინას გაზდა იჩემე, სთქვი რამე ათინურია,
რას ენით ლაპარაკობენ, სხვა აქვთ თუ ლათინურია?
ეს შენ მითხარ და მე გეტყვი ბერძენთა-ელენურია,
და ან სიბრძნე მათი რა არის, საჩინო, უჩინურია.

188. ელენთა სიბრძნის წიგნები ესე და სიციბილიასი,
ბირგვილიონი, ლალინოს, უშიროს, სიბილიასი,
არისტოტელის, პლატონის, ასკილპოს მკვდართ მისნობასი,
და იანესა და იამბრეს, ევსები კვლავ: საესებასი.

189. ესე არის სიბრძნე ბერძენთ, პირველ ფილასოფოსობა,
მკურნალობა, რიჯორება, მერმე ღრამატიკოსობა,
ქვეყნის ზომა, ვარსკვლავთრიცხვა, სიტყვის შეთხზენად მუსიკობა,
და ბრძოლის წესი ხელოვნება, ძნელია ნივთთ მეტყველობა.

190. ეს გარდარჩა ოთხს სტრიქონსა, თორმეტისგან მგონ ორი ეს,
ბუნებათამეტყველებას სიბრძნე არ დაუშორიეს;
აგრე რიცხვთამეტყველებამან თავი სხვათ ბრძენთა მორიეს.
და ვინც ეს თორმეტი შეკრიბოს, სრულ სიბრძნე დაუშორიეს.

191. ათინელთ სიბრძნე ბევრი აქვთ, ზღაპრული, შეტმასნილია,
ბერძენთ აქვს თორმეტი სიბრძნე მუნ ერთად შენათხზნილია,

არ მათებრ საგონებელი, საღეთო აქეთ განბრძნობილია.
და ეს უნდა კაცმან მოიმკოს, იმათგან დათერძილია.

192. რაც რამ კაცს დაემართება, ავი თუ უკეთესი რამ,
ვარსკვლავს და ეტლს აჩემებენ, ვინ თქვა ესე, თუ არ ვირამ?!
სულსა კარგი ვერვინ უყოს, თუ არ ღეთისა შენამზირაჲ,
და რადგან სულსა ვერ იცნობენ, მაშ გაუშვან, ვითა სირამ.

193. ცული არს მათი სიცოფე, ყოვლი არს ღეთის ბრძანებითა,
მრავალი სული იშვების ერთჟამ და ერთ წამებითა;
ზოგ-ზოგნი დიდად იშვებენ, ზოგნია გამწარებითა,
და ერთი დაჯდება ხელმწიფედ, სხვა ბევრი მის მონებით ა.

194. ესრეთ მწამს, უფალი აგებს საქმეთებრ კაცად-კაცადსა,
თუ მორჩილნი ვართ, ნუ ვიტყვით საქმესა ავ დასაცადსა.
ვინ ქირს დაეებათ, ვიქმოდეთ მისევე წყალობის მოცდასა,
და მხნედ მოვითმენდეთ, უღრტვინელად განსაცდელთაგან განცდასა.

195. იტყვიან ვისმე სახელით პასიფს, ასულსა მინოსა,
ეს ქალი იქმნა სიცოფით ზროხის ტრფიალი კუროსა;
გამოუტხადა ბრძენს ვისმე ხელოსანს დედლოზუროსა,
და მან ასეთი რამ შეჰმზადა, ვით კურომ ფურსა დედლოსა,

196. შეშისაგან ფური შექმნა, გარედამე არ მოყავროს,
დახატაო ზროხის სახედ. განა გარ არ შემოსტავროს.
შიგ შევიდა პასიბიო, კურო გავა და შეშჩაროს.
და მათგან იქმნაო, იტყვიან, სახელით მინაუტავროს.

197. ორფევი ჰკრავსო ებანსა, სიტკბოთ ჰყო ქვა შენაძრავი,
რით ირწმუნება ეს სიტყვა, ნივთი აქეს ქვასა უძრავი?
ყველა ზღაპრული ცოდნა აქეთ, მართალთან არ შესართავი,
და მუდამად ხელთა უქირავს ტყუელი მათ მოსართავი.

198. რუსთვლის ნათქვამი ზანდუქს ჰგავს მოზოთულსა ოქრო-თვლითა,
იაგუნდით და აღმასით სავსესა ჩანათვლითა.
კაზის ბატონის-მორთულსა ტკბილად რამ, მაგრამ ვლითა,
და არასფერითა სავსესა, არც ქვითა, არცა სალითა.

პ ა ს უ ხ ი რ უ ს თ ვ ლ ი ს ა :

199. სხვისგან ჩემს ქებას წყინულობ, მე ვითლა გზავატულისო?
თქვენს უკეთ ლექსი ვის უთქვამა მიჯნურთ, ან მარგე სულისო!
შვიდის სარწმუნოს კრებისა, ნიშები სასწაულისო,
და მაგრამ ნაყოფი მოგისთვლავს მის, ჩემგან დანერგულისო.

200. თუცა სჩხრეკენ ჩემს ლექსებსა, ვერ ჰპოებენ ვერსად ნაყის,
სადმე ჰპოონ ავად თქმული, ანუ წყალი ვინ დანაყის?

ბრძენი მიქებს ენის სიტკბოს, ხორხისა და მერმე ამ ყის,
და აელვარებს მიჯნურთ ქებას, ვით შელანსა შერთვა სამყის.

201. მოაბასითა, მო აბა სითა, მო ესო, მითხარ, ვით მოე კიდე,
მოაბასითა, მოაბასითა, მოესო ტვირთად, ვით მოეკიდე,
მოაბასითა, მოაბასითა, მოესო ცეცხლო და მოეკიდე,
და მოაბასითა, მოაბასითა, მოესო იფრდე ან მო ეკიდე.

202. ჩემს მოსწრებაში აროდეს კელავ მე ეს არ დამემართა,
სპარსთ შეტმანნილი ამბავი მე ლექსად არ დამემართა?
ასრე ვით გამომიმიეტე, ჯობნას მიპირებ მე მართ ა?
და ნულარ მიბრძანებ ჯობნასა, შუამავლად მყავს მე მართა.

203. ორსავ, მეფევე, ნუ წამართმევ, შეკირებულს ლხინ მიბოძე,
შენ გაქებდე, შენ განატრიდე, ხოტბა გკადრო, შეგიმიკო ძე,
მეომართა შეთხზენა ლექსთა ჩემთვის დასვი მაგრა ბოძე,
და საღეთო შენთვის დაიქირე და საერთო მე მიბოძე.

პ ა ს უ ხ ი მ ე ფ ი ს ა მ ე თ ხ უ თ მ ე ტ ე :

204. ჩემი საქმე ყველაკა ვსთქვა, კეცხნაშიგან ჩამეგდება,
მაგრამ შენი დადუმება სხვის საქმითა არ იქნება.
რა გასინჯო, შენც ჩამომყვე, პასუხის თქმად არ ეგება.
და თვარ ხმალ ხეტარმოტეხილსა, სხვა პირიმიცა ნუ ეგება.

205. ბრძენთა ჯობნა ვათქმევიწო, სხვა მის მეტი რამცა გიყო?
გაწყენიწო ასე, ვით მე გულს ლახვარი ვითამ გიყო.
მე ვარდსა ვპკერფე გაუფრჩინელსა, შენ ზამბახი გაგდიდყო,
და სულმობრძავესა დაგამსგავსო, რა გინდ რომე კარგად იყო.

პ ა ს უ ხ ი რ უ ს თ ვ ლ ი ს ა :

206. ხლართავ ლექსსა ასულს რათმე, მე რომ ვხედავ კიდეც დამას,
არ უშურებ, ა სულს დასდებ, მისგანც ელი ნაცელოს და მას;
აპა უქვრეტ ასულს ნორჩად, შენ საყვარლად აპა და მას,
და ესრეთ გიღირს, ასულს არჩევ და დააცილი, მისცემ დამას.

207. ჩემს ზამბახსა რა დააქნობს, არ გაუწვევტ მულამ ნამსა,
მიჯნური ვარ, ვის მნათობნი ვერ ურჩევნენს ვერცა წამსა,
დაუქრია გული ლახვარს შავთა რაზმთა წარბ-წამწამსა,
და ვით შემიქმნა მე ზამბახი, დიყად ვინ რომ სულს მიღვამსა.

208. თქვი რაც გინდა საბრძანებლად, გარდამიწყლეს ერთხელ რითმე,
ისიც ავად ჩამომართვეს, რომ აქამდი არდავითმე.
ასრე მმართებს ფერხთა გბანდე, გარმორტყმული არდავით მე,
და ერთხელ ფხად სთქვი ჩემი ცოდნა, ახლა ბძანე გინდა სითმე.

209. ორთავე უხამს დიდი ქება, მსმენელთ დიდსა სიბრძნეს მოსცემს, მათი ტკბილი მეტყველება მიჯნურთ გულსა ლახვარს გასცემს; თუმც უხვია თეიმურაზ, მაგრამ სიბრძნეს კი არ გასცემს, და ერკინება რუსთველს მედგრად, შეიტყვევით, თუ ვინ დასცემს!

ამბავი მოწყალისა და მოსამართლისა, სახელოვანისა და მრავალ-
ჯერ სახელოვნად გამარჯვებულისა, ბრძნისა რიტორისა და ფილო-
სოფოსისა მეფისა თეიმურაზისა, რომელი სიყმარაფვილით, ბაზრდით,
ვაჟატობით, სიბერით სიკჷლილაშადის უპრომა და ბარდაჷლოდა

პასუხი მეფისა მეთექვსმეტე:

210. ისმინე ჩემი ამბავი, სიყრმითგან ვით ვზი გოდებად,
სიბერით სიკვედილადისი სამუდმოდ ცეცხლთა მოდებად,—
მართალი არ თუ ტყუილი, არ მიზუნისა მოდებად.

და რაც მახსოვს, ყველას გაიამბობ, არ მინდა სხვაგან მოძებად.

211. პაპა ჩემი ჯდა ხელმწიფედ კაბეთს ღეთისაგან წყალობით,
მშვიდი, მოწყალე, მდაბალი, რჯულზედან ერთობ მკრძალობით;
ქერივთა, ობოლთა შემბრალე, არ იყო მათზედ ძალობით,

და კვლავ მშვილდოსანი უსახო, ცხენ-მაღე, მშვილდ-ფიცხელობით.

212. პაპის ჩემისა ქებასა ვერ ვიტყვი მე ერთხელადა,
ღეთის მოშიში და მორწმუნე, იგ არ თუ იყო ხელადა;
მტერთა მძლეველი, ძლიერი, ლომი მიაჩნდა მელადა,
და მუდამ მას ჟინად ნადირთ-სრვა აელო ერთობ ხელადა.

213. ოთხი შვილი ჰყვა, იმათი აწ მოგახსენო სახელი:
დავით, ერეკლე, გიორგი, იყენეს სიკეთის მსახველი.

მეთხე კოსტანტინია, სხვეფ კარგი, ქჷუა-ნათხელი,
და გულჯავრიანი, ამაყი, შეუპოვარი და ხელი.

214. მამაჩემსა საპატრონოდ ჰქვას უქებდეს, მერმე ბაქეს,
ერეკლესა სიუხვესა უწონებდეს, დიად აქეს.

გიორგისას მას უბნობდეს: იქ ტარიელ იყო, აქ ეს.

და როსაც არის მასცა გეტყვი, კოსტანტინეს ბოლოს საქმეს.

215. იგიმც ღლე დაიწყელება, როს მამამ მისცა ყენსა,
იგ მან ეშმაქმან გაზარდა, მით დაამსგავსა კაენსა.

ბოლოს გაიამბობ თუ ღეთისას საქმეს იქს როგორ საწყენსა,
და მთქმელთა და გამგონთ ორთავე სანაღვლოს ცრემლთა საღენსა.

216. ერეკლე სტამბოლს წავიდა, მამას შემოსწყრა თუ მამასა,
დიად ეწყინა მეფესა, დიდსა ჩავარდა კმუნვასა,

თეთრს წვერს იგლეჯდა, გაჰყრიდა, იტყოდა სოფლის მღურვასა,
და დედოფალს ვინ შეჰკადრებდა ამბავსა მის საკრულავსა!

217. ამხანაშვიგან ჟამთა წავლთ ალექსანდრე მოცაბერდა,
მას წინანდელს მისის ჟმისას სიკეთესა ვინმე აღწერდა!
ბერნი, მღვდელნი პატივით ჰყვეს, სრულად ჯარი შეყრიო, ერ და,
და მაშინ მისის ხელმწიფობით მხიარული ყველა მღერდა.

218. რა შეილებმან მამა ნახეს სიბერისგან დანავარდნი,
ბექწახრილი მოყვითანოდ, იქით-აქათ განავარდნი,
დრო მოუხდათ ავი რამე ერთმანერთხელ შენავარდნი,
და სოფლის ქარმან აღიტაცნეს, მათ შექმნათ განა ვარდნა?

219. ორნივე ძმანი წამოვიდეს ქართველთ მეფის შესაყარად,
თან იახლნეს დიდებულნი დაკაზმული ვით მაყარად,
წამოიღეს ორთავ ბევრი, მრავალი რამ იქ საყარად,
და ბორკილი აქეს თან უმცროსსა უფროსისთვის შესაყარად.

220. მივიდნენ, გაესალამნეს ძმისწული მამიდაშვილსა,
მოიკითხვედნენ ერთმანერთს, ღიმილით იჩენდეს კბილსა.
კარავს ჩამოხდეს ნადიმად, ლხინსა ნახვედნენ მუნ ტკბილსა,
და გათენებამდინ ზედწართვით მოინდომებდნენ არ ძილსა.

221. ახლა მეფე გამოვიდა, ბიძაშვილებს უდარბაზა...
ხილზედ დასხდეს, მოიტანეს უცხოები ბევრი მაზა,
ღვინოს სმიდეს მანაურსა, უკეთეს რომ ეგავაზა.
და ასრე დახვედნ ორნივე ძმანი, ვით მამისგან ეანდაზა.

222. ცოტა ხანი ამით წავლეს, ზედ მოაბეს ლხინი და ზმა,
დაღამდა და მოიტანეს სანთლები და მერე ბაზმა;
ლხინი ნახეს დიად კარგი, არ მოსწყინდათ ხანთა დაზმა,
და დილაზედა ძღვენი უძღვნეს, რაც მათ მისთვის მოეკაზმა.

223. მათ ისაქმეს მათი საქმე ფარული თუ ანუ, ცხადი,
კვლავ მეფემან დაჰპატიჟა, ლხინი მაქესო დასაქადი.
გიორგიმ თქვა: „აწ არა მცალს, კვლავ მე წავალ, აწ შენ წადი!“
და ჰაი, ძმაო, ძმის ლალატზედ შემოქმედსა რასთვის ხადი?

224. მას ჰქონდა ესე თათბირი აღრიდგან გამორჩეულად,
საქმე ერჩივა ბოროტი ეშმაკსა მას მისეულად;
ყმათ განდობოდა, ბევრი ჰყვა ბარამით მას მისეულად,
და ბარამ დავითთან აშხილა: „თავს ვერ ვიქ შენგან ეულად“.

225. რა მამაჩემს ესე ესმა, მიზმენ მაგას ვით ვითაო?
მტერი მოუკედეს დავითსა, გიორგი იპყრას ყმითაო.
აგრე ჯაბანი ვგონივარ, უმცროსი მე გავითაო?
და რასა იქ, კარგო გიორგი, რას ვეთესავთ, მოვიძქითაო!

226. ლხინით ადგა, წამოვიდა ჯავრიანი, გულით ბრაზი,
მოვიდა და შეუზახა: „ჩემო ძმაო, მანდა რა ზი?

შენ მე როგორ დამიქერდი, ბიჭი ვიყავ თუ ხაბაზი? —
და თვით შეიპყრა პატრონ-ყმინან, არ წაირთვა ტახტ-დარბაზი.

227. წამოვიდა მასვე წამსა, თუკა ბარგიც არ დაყარა.
მათ რომ მისთვის შესაპყრობლად მშვილდს ჩაეგდო, გარდუყარა,
ძმა ციხეში დაატყვევა, ყმანი კლდესა გარდმოყარა,
და მამას ტახტი გამოართვა, მაგრამ ღიღხანს ვერ ემყარა.

228. საქმე ეს ქნა ლეთის საწყენი, ეშმაკისგან ის იძლია,
მამას ბერსა ხელმწიფესა ბატონობა გამოსძლია;
გიორგისა სამართლით ქნა, არ მეფობა შეაძლია,
და მამაზედ არს დამნაშავე, თვარამ ძმაზედ უმართლია.

229. ექვსს თვეს კარგად ბატონობდა, ნადირობდის მოისრითა,
მერმე მოკვდა, მისნო მტერნო, მისგან აღარ მოისრითა!
ის სოფელმან გაისტუმრა, მოვალა როს, მო ის რითა?
და ისრევ ბერმან ხელმწიფემან დააშვენა ტახტი სრითა.

230. ცოტა დავრჩი მე ობოლი, თუმც არ ვჰყენდი ისრევ ძიძას,
პაპამ მისთან დამაყენა, დამანება მე არ ბიძას.
მანათიფა ნებიერად, ჩამაცმევდა ხამს, არც ძიძას;
და ჩემნი სწორნი ყმაწვილები ვერ შერებოდენ ჩემსა ბაძას.

ამგავი საზარელი და სამთხველად საქმელს, და სასმენლად საქაბელი, გიორგის
კამნისა და ლამაჟის უმრავლესი გამოვრდომილის კონსტანტინესი, რომელმან მს-
ვითარი განურახვა გულს იღვა და მოკლა ღვთისმორჩობა ხელმწიფე-სამა
აღმსახურად და ძმა თვისი გიორგი. უზურათ მანამანბასა ბელიარისასა!

231. ეს ამბავი ყაენს ესმა, კარგა წვრილად გაიგონა,
ამას ზედა ეშმაკისა საქმე იმან მოიგონა.
კონსტანტინეს დაუძახა, ამით თურე წაიგონა,
და აწყა დავრჩა კახეთიო, მეც შენ მოგცე მგონი, მგონა.

232. გამოგზავნა მან კახეთსა, ბოროტს საქმეს აბარებდა,
მამისა და ძმის სიკვდილსა უეკველად აბარებდა:
ალექსანდრეს ლალა-ფაშის ძეგლს საქმესა აბარებდა,
და რად იამა ულურსიძისა, ჩქარად მოვა, აბა რებდა!

233. მან ხალათი გამოგზავნა საქმისათვის არ სააზროთ:
მას სიბერე მორეცია, გიორგია მართლა საზროთ,
ორთავ ხიშტით დაუშინეთ, შიგავ დარჩეს, არ დააზროთ.
და თუ გიყვარვარ, მიგას ნუ იქო, ვარდი აღრე არ დააზროთ!

234. წამოვიდა, მოახლოვდა, მეფეს ესმა შვილის მოსვლა,
ერთი მკედარი მოაგონდა და მეორის სხვაგან წასვლა.
დაუკაზმეს ბედაურნი, მარქაჟები რახტით ასლა.
და გაზაფხულის ქამი იყო, მაგრამ ჯერ ვარდს არ ეფასლა.

235. რა გრემიდამე წაბძანდა და ჩაეგება ბაზარსა,
გულმხიარული, შვებული, თან არ იახლებს მოზარსა:
შვილს ვჰპოვებ მე დაკარგულსა უკვდავებისა მაზარსა!
და გამოვბრუნდები ალავერდს და წამოვიხსამ მაზარსა!

236. მივიდა და შეიყარნეს მხიარულად, უცხოოდ რამე,
მეფე იტყვის: „სახარების მამაგონდა ბძანება მე,
აწ უძღვები შვილი ვპოვე, ამეხილა თვალთა ბამე,
და ზეარაკს დავჰკლავე ქამებულსა, მეგობარხო, თქვენცა ამე“.

237. პაპაჩემი ბედნიერი სიბერისგან უძღურობდა,
მხეცთა მსვრელი მონადირე, ველთა ისრე ველარ რბოდა.
ვინ ბიძად მყვა მხნე, ძლიერი, იგ პირად მზე, ტანად ზრობდა-
და შვილისაგან მამა და ძმა სიკვდილს ვითმცა იაზრობდა?

238. მეფემ ჩაიცვა ხალათი, ცხენს შეჯდა მისაყესულსა,
ვერას დააზრდა საქმესა შვილს მაზედ გამოსეულსა.
მოვიდენ, დარბას გარდახდეს ქვეშსაფენ ოქროქსეულსა.
და არა ჰკვირ, მოჰკლავს მამასა და კახეთს გაჰხდის ეულსა.

239. მოიგონა, დასუბავდენ, საქმე მაქესო არ საჯარო.
მისი ჯარი გარეთ იდგენენ ერთმანერთზედ დასაჯარო.
ნიშნად თურე ესე მისცა, მისნი ყმანი გამოვყარო,
და შემოდით და დაუშინეთ თქვენ ხლმებით და მე ვხანჯარო.

240. მეფეს შერჩა რუსთველი და იმისი ძმა ყორჩიბაში,
სხვანი სადგომს წამოვიდნენ, კახნი იყვნეს თუ აბაში,
შევიდნენ და დაუშინეს, შიგ დაჩეხეს მის კაბაში,
და მამა და ძმა ორივე მოკლა, ერთად ჩაღვეს მოაბაში.

241. რუსთველი და აბელ, ძმანი, ორნივე თავსა დააჩეხეს.
ვის უქნია ამისთანა, ცა რისხვითა მოაქუხეს!
მას ანგელოზს ხელჰწითესა ასრე ხელი ვით შეახეს?
და მაგრამ იგი ეშმაკისას ვაათავებს დანამკვახეს.

242. რა ესე ქნა, ადვილად სჩნდა მას ურწმუნოს ყოვლი ავი-
მოინდომა დედაჩემი უცხო რამე შესართავი.
მოციქული გაუგზავნა, შეაძლია თურე თავი,
და შეუთვალა: „არ შემირთავ, ძალად გშოვებ, მითქვამს დავი!“

243. რა მივიდენ მოციქულნი, მოახსენეს შინით, ძრწოლით:
„უმართლე ხარ თუ დავგზოცო, რასთვის იქ არ დავიქოლით,
მაგრამ რა ვჰქნათ, მან ურწმუნომ გამოგვეგზავნა დიდის ძალით,
და ქრისტიანეთ არ საქნელი, ნასწავლი აქვს იმას მოლით“.

244. გაიგონა დედაჩემმა, ბძანა: „ესე ვით დავითმე,
ვინმცა მკადრა უკადრისი, დავივიწყო ან დავით მე?“

ვინ ჩიქილა შემირცხვინოს, ან სუმბული რომ დავეთმე,
და ღმერთმან მისის რისხვით მკითხოს, შემოუშვა იქვე სითმე“.

245. შეუთვალა: „ღვთის მგმობარო, მამის მკვლელო და ძმისაო,
ავის მქნელო, ავის მთქმელო, შენ უღირსო სულთდგმისაო,
ყოლის კაცის საძაგელო, სულ მოქმედო ავისაო,
და ღვთით აღრე, ვეპე, შეგანანო ჩემი თხოვნა დავისაო!“

246. მოციქულთა მიუტანეს მას ეს საქმე, დააჯერეს.
კიდევ ცდასა აპირებდა, მაგრამ სიტყვით შეიჯერეს.
მწვე გაჯერდა, თათრებიან ჯავრით გული გაიჯერეს.
და სხვას ამბავსა ჩამოეხსნათ, გაეთათათ მოდი ჯერ ეს.

247. ამ საქმეებს წინასხნითვე დედამ ყანს შემახვეწა,
აქ გიორგის შეუშინდა, ამად მისკენ გარდამხვეწა,
მან შემიტკბო ვითა შეილი, არ თუ შიშით მე დამხვეწა:
და გამეხარნეს მასთან მისვლა, ლაწვი ცრელმან არ მიხვეწა.

248. მე შერმაზან თან გამომყვა ზნეობისა სასწავლებლად,
მწერთნიდის საღეთო-საკაცობოს, თავი ჰქონდის თავსაველებად:
კირსა შინა გამამაგრის, გული ჰქონდის ვით სალებად,
და მამის და მსახურებდის, ლაწვითა მწკეპდის არ სალებად.

249. კოსტანტინეს თან ხლებოდეს შირვანელნი და ყაჯარი,
ბაზარს იდგა, წამოვიდა ეშმაკისგან დასაჯარი;
აქათ იმას შეეყარა თვისნი ყმანი, კახთა ჯარი,
და შებმულ იყვნენ, მოცაეკლათ, თუმც ეხმარა ხმალ-ხანჯარი.

250. ჩენცა გვესმა ეს ამბავი, რაც ქმნილიყო და რაც არა.
ყავს ვეხმე, მიმიყვანეს, მიმატანეს დანაც არა.
შერმაზან თქვა სახლთხუცესმა: „გითქვამს ცოდნა არამც არა,
და შენ ამათი დაგრეხილი საბელიო დაგეცა რა“.

251. შემომზახა: „მირზავ, იცი კახეთს ქმნილა დიდი ძალა!
შებმულან და კოსტანტინე მათ მოუკლავს მგონი მალა,
მეც მიამა, კარგა ქმნილა, მოინდომა რასთვის რძალა?
და ავის მქნელსა გარდაჰხდია, რა იქნება, ჩემი ნალა.“

252. მიბრძანა, თუ: „აქამდისცა მე მინდოდა შენთვის კარგი,
მოდი, მაღლი გარდინხადე, ეს წყალობა მტკიცედ დარგი;
რადგან შენი სამკვიდროა, ან მე რასთვის დაგიკარგი?
და ჩქარად წადი, მალ მიბძანდი, თუნდა კიდევ დაგრჩეს ბარგი!“

კარი პირველი

ბატონის თეიმურაზისა ჰანისაგან ტატილად საშუარი, წალოგის ნიჟისა და მრავლის იმედის დაპირება, და ქაღება, ბამოსტუმრება და ბრძელისა გზისა მოსწრაფებით სიარული, და შემოკლება და მათგან შრამიგვალად ქისისს მოსვლა

253. გამომისტუმრა, წამოველ, მიბოძა ბედაურები, ცხენები ოქროთკაზმული, არ იყვნენ უსუსურები; შესამოსელი სალუქი, მნახველთგან მოსასურები, და სუფრისა გაწყობილობა, ძურასა თასებ-სურები.

254. წამოვედით მადრიელნი, მხიარულნი დიდად მისგან; სიარულსა არ ვითმენდით, რა განათლდია ღამე მხისგან. შევამოკლეთ გრძლად სავლელი ისრე ფიცხლად ჩვენის სელისგან. და შექველად პატრონობა დაეპირე მალღის ღვთისგან.

255. ქისიყს მოველ ერთს სოფელსა უმეცარად, შეუტყობრათ, ერთი კაცი მოგვეგება, მართ ვეგონეთ ჩვენ მეკობრათ; რა გამიცნა, თაყვანისმცა, ენა იწყო შესამეკობრათ, და მადლი ჰკადრა შემოქმედსა: „ნეტარძი ჩემს ამდროთ მოყრათ!“

256. დაიძახა: „მე საბრალო არას ვღირსვარ პატრონისას, მოვახსენო, მობძანდების ჩემსა ვითა სართულისას. ჩამოხდებით, არას დაეკლავე, თავსა ვფიცავ შენის მზისას, და მეფევე, უწყი, ისერებდა ქრისტე სიმონ კეთროვნისას!“

257. მან შერმაზანს სახლთხუცესსა უთხრა: „შენ ხარ ჩემი ღონე, მოახსენე ერთი სიტყვა, უფრო ნულარ დამაღონე, თავი, სახლი, საქონელი ყველა თქვენს წინ მოვიძღონე, და ერთი ღვინო დამიღვივეთ, ხვალ წინ მეფე წამიძღონე!“

258. ვსთქვი თუ, რაღა გაეწყობა ასრე გულით მოპატიჯეს, მო, ვეწვიენეთ მხიარულსა, ნურას უზამთ საპატიჯეს. გარდაეპზე და კარს შევედით, ღობეს ვერვინ გარდაბიჯეს. და დაეჯე, გარე შემომისხდეს, ვგვანდი მთავარ ბაკით იჯდეს.

259. ღმერთს თურე წყალობა ექმნა, აღარ იღებდა ვახშ მითა, ბევრი რამ ჰქონდა მზას თურე, არ ვვიკეთებდა ხაშმითა; უცხოდ დაგვიხვდა მებეგრე მცირეს თავისის ვახშმითა, და მან აღრე აღარ გაგვიშვა ღვინითა ერთ სახაშმითა.

260. მოიყვანა ცხრა ყმაწვილი აკენებითა შიგ ჩაკრული, „ვიცი არას არ შეიძენი ძღვენი გიძღვნა თუცა სრული, სრულამც თქვენა გენაცვლების დედმამიან თქვენთვის სრული, და შენის კირის ჩვენ სანაცლოდ სული გვქონდეს ამოსრული!“

261. დილა გათენდა, ხმა გაჰხდა ყოველგან მოსვლის ჩემისა, მუნ სიხარული შეიქმნა გულით არ შესაჩემისა. ვინცა მნახედა მკვრეტელნი, ნახვამან გააჩემისა, და სხვანი ნახულნი ჩემთანა უკვირდის, არ ეჩემისა.

262. პირველ კაცი გამოგზავნე დედაჩემთან მახარობლად: ღმერთსა დიდი მადლი მიეც, აღარა ხარ საწყალობლად, შეგვიბრალა ვით გავხედედა შენ ქვრივად და მე, გლახ ობლად, და ჩემი აქეთ გამოგზავნა არ შეგექნა საბრალობლად!

263. მახარობელი მისლოდა, ბევრი რამ მას ებოძა და, მამული ანუ სასახლე, ქვიტკირი, არე ბოძადა; კვლავ ტურფა შესამოსელი ცუდ-მუდი არ ეძონდა და, და მას სიოხებითა სხვა ქალი ვერსად ვერ შეეძადა და.

264. თუმც ვაცნობე, ჩემი მოსვლა ასრე ადრე არ ეგონათ, — წყნარად მოვა, შექცევითო, სხვის ვისგანმე გაეგონათ; სრულად კახნი გრემს მიეხმო დიდებულად ჰყვა, ან მონათ, და თვარ აქ უნდა დამხდომოდა გამჩვენებით, მოსაწონათ.

265. დედაჩემსა მოახსენეს ჩემი მოსვლა ისრე სწრაფად, მას ენალელა, ვერ დავხვდიო ვით მიხდოდა კარგად აფად, კახნი ამად მოვაწვივე, მიმეგება, გამყვა სეფად. და მოურავი მამაგება სხვად დიდად და თემც არ მეფად.

ამა სრულ ერთპირად კახთ სიხარული და ბედისა და ეტლისა ნატრა თავისის მამკვიდრის ხალხფრის ვილინსათვის. კარბისა და ცხენ-კეთილ იარაღ-მარჯვის კაცით წინ მიგზავნა. ფრისაბანც მზავსნიერად გახარება, ლხინი და მოუფხენელი უპირველად მხარაშლება.

266. მასვე წამს თვით მოურავი თამაზ სულ მისის დროშითა, სხვა მოხელენი შინაყმით მოვიდენ კრძალვით, შიშითა, თქვეს: „ეწუხთო აქ არ დამხდომნი, სხვაფერ არა ვართ იშითა. და მე უაღერსო მათშიგან, კაცი დავაგდე იშ ვითა!“

267. მოვიდენ და ხელს მაკოცეს, ზოგნი თავსა მევლებოდეს. შენი მტერი ამას იქით შენის ხლმითო მძღველებლობდეს, თავს ათასჯერ განაცვლითო, დაჩაგრულსა ვინმე გგონებდეს! და შენ გასინჯე ამას იქით, თუ გრემს არ მიმესვლებოდეს!

268. ხუთს დღეს იქივ მოვისვენე შორის გზითა დაღალულმა, თავი კარგად მამაწონეს ჩემს წინაშე მათ მოსრულმა; მამკრალობა განგვაშორვა ხელიზედმან თვალთა რულმა. და დიად კარგნი ყმანი დამხვდეს მეტის-მეტად, ჩემა სულმა!

269. გაღმა გაველ, ენისელთა იქ დამიხვდა მოურავი, სრულ თავისის დროშის კაცით სიმრაველითა უამრავი;

კაცი თვალს ვერ გარდაწვდენდა, იდგნენ ვით ტბა საცურავი, და რა მოვიდენ, ტკბილად დავხვდი, მათ არ უთხარ სამღერავი.

270. ასე ვსთქვი, თუ: ერთს ბატონსა ამის უფრო რალა უნდა? თავადნი და დიდებულნი მოვიდიან ბუნდა-ბუნია, ანგარიში ძნელი იყო, დამთელელს გული დაუქმუნდა. და ისინიცა თან ვიახელ, ვინც გვერც მახლდა, არ დაბრუნდა.

271. დილას ადღეჟით წასავლად, ცოტადრე წავიარენით, ალავერდელი დიდებით მობძანდა, ითქმის არ ენით, მშვიდად ამბორი უყავით, შეყრა არ გავიმწარენით. და მერმე სხვათ უთხრა: „მობძანდით, აწე თქვენ შეყარენით“.

272. მამიკითხა: „აჰა, ბრძენო, თქვენ ამბავი თქვენი გვითხარ, შორის გზისგან დაღალულსა შემოგხედავ, ლომივით ხარ, ღეთის შიშსა და სიყვარულსა უეჭველად ვიცი მზა ხარ; და ის აქურთხა, შენ რომელი მოხველ და კვლად მოსვლად ხარ“.

273. ქიაურითგან წარსრულნი იმ ღამეს არბუხს დავდეჟით, წმინდის თქედორეს საყდარსა ვილოცეთ, ცისკრად ავდეჟით; ღმერთსა ვმადლობდით წყალობას, ხვეწნითა ცუდად არ ვდეჟით, და ავიყარენით, მივხარობთ, იქილამ წინარ წავედეჟით.

274. მუნით წავედით გრემისკენ, აწყა რუსთველი მოვიდა, სოულ ნაპირისა ლაშქრითა წითელი ეცვათ, მოვიდა; მათს ანგარიშსა დამთვლელი დათვლითა ვინ აუვიდა? და თუ მტერს მიადგენ ესენი, ვთქვი, ამათ სად წაუვიდა?

275. მოვიდეს და მესალამნეს, თაყვანისმცეს დას-დასებით, დიად ბევრნი შეყრილიყვნეს სიმრავლითა ათასებით. მხიარული სიტყვა უთხარ, შევიქმოდნი ღზინთა ვსებდით, და სიხარულით ენთებოდეს, სიმწუხარე დანავსებით.

276. რუსთველმან თქვა: „ვით ბრძანდები ღეთის წყალობით შენ მოსრულო? სახლთა შენთა სიმაგრეო, საძირკველო არ დაძრულო, ვარდო ახლა გაფურჩქნილო, თრთვილისაგან არ დაზრულო, და თვალად მზეო, ძალად ლომო, ნორჩო, ედემს ამოსრულო!“

277. დედის ნახვა მწვედ მინდოდა, თუმც გაფვრინდე ვით გავაზი. მომახსენეს: „რად დავაგდოთ ჩვენ ულხინოდ აქ გავაზი?“ დაუჯერე. გარდავხედით, მოუწონეთ, უქეთ ვაზი. და მათ ბევრი სვეს, მე წვრილად ვსვი, ვაშლი ზედა გავამაზი.

278. მეორეს დღეს გრემს მივედით, ჯარი დამხვდა ქალაქისა. ჩვენი ყოჯა, ერთგულთ ღზინი ორგულმანცა მალ აქისა. ფიანდახსა მიფენდიან, ხორა იდგის ნაქსოვისა. და თქვის: „მზე არის ქვეყნიერი, ნეტარ გავსო ესე ვისა?“

279. სრას მივიახეღ, გარდაეჰბე, დედოფალი დგა ქალებით, მუნ ბანოფანთა სიტურფე ჯარად დგეს ბროლ-ფიქალებით; ლაწვი—ბრწყინვალე ვარდები, არ ჰქონდა ცემა ნალებით. და ტან-ალევა, ნახნი, ზარიუნნი, მდედრანი, არ გულად სალებით.

280. დედა წინ წამომეგება, ღიმილს ცრემლსა ატანებდა. მამეხეია, გარდამკოცნა, პირ-ყელ მეკრდსა ატანებდა. მერმე მითხრა წავიდეთო, ხელ-ხელს წამომატანებდა. და შინ შევედით ქალებიან, სხეას ჯარს არ შემატანებდა.

281. მიბრძანა, თუ: „შეილო, მადლი ვის შენ მაგ დროთ მოუყრიხარ, ლეთით, მგონია, არა გპირს რა, მე რომ გატყობ აგრე ვით ხარ? შენიმც კირი შემეყრება, შემოგხედავ, დიდად ვიხარ, და სხვა სარჯელი არ გაჩნია, ცოტად პირზე შეუხრიხარ“.

282. გრძლად არ ვიტყვი მაშინდელსა შეებასა და გახარებას, დიდთაგან თუ მცირეთაგან შექირვების ცეცხლთა ესებას, დედისაგან ხელის წყობას, ნებიერად მოსვენებას. და მალ აღარეინ მოელოდა სოფლისაგან შეჩვენებას.

• 283. ორს კვირასა დედოფალი ყოიელს დღესა მასპინძლობდა, მაშინ პირს და მწუხარებას ათას წილად ლხინი სჯობდა; მას ჩემგმეტი არეინ შერჩა ძე, ასული, არც ვინ რძლობდა, და მაგრამ ბედს არ ემღუოდა, რა მე მიველ, ღმერთს მადლობდა.

აჲა მფრის თეიმურაზისაბან სრულ ერთპირად კახთა ალაფიღლით, ფრისკოვრ: საღთოთ კატთ ღა დარბაზის ირის შემოჰრა. მცხეთას მოსვლა, კათალიკოზ, მჲ: ვარაფრისკოვრუ და სულ კართველთ შემჰრა. მფრედ კართხეჲა, წირვა, ლხინი და მრავლის ბაცემა

284. ამავე ხანში მცხეთას მიველ და მეფედა დავეკურთხე. გამოველ და პალატს დავეჯე, ვინ მალირსა, ის ვაკტრთხე; მამა-პაპათ დანარჩომი დავეკირე ოთხივე კუთხე, და უსამართლო არეის უყავ, ქერიენი ობლით გავეკითხე.

285. წამოდგენ, მამილოცევედეს, თავი მინაცვლეს, სულები. მოყარეს ოქროს ნალბაქნი და ზოგნი მოყვითლულები, სხვა სურა, თასი, ჯამები, ყოვლფერი ვერცხლეულეები, და ათი გოდორი აიღეს მას დღესა იქ დადგმულეები.

286. ამით გარ გამოზიდვიდეს, იესებენ ფლურით ხელებსა; მესამედს კათალიკოზსა მისცემდეს, არ მოხელებსა; ორს წილს სუფრაჩსა, ერთპირად სულ ერთად ჩემს მოხელებსა. და იქ ცუდ-მუდს ვერას ჰპოებდი იარაღს განათხელებსა.

287. წამოველ გვირგვინოსანი, პორფირცმულ, ხელ-სკიპტრიანი, გამდიდრებული, სვიანი, მაშინ არ ვიყავ მტრიანი;

შეუპოვარი ღმერთს გარდა, არვისგან მქონდა ზიანი.
და მოველ და დავჯექ ტახტზედა ნათელმოსილი, მზიანი.

288. ცამეტის წლისა შევიქენ, რა ესეები იყო და,
ენადირობდი და ვიშვებდი, სხვა საქმე არ შევიტყო და;
საპატრონსა საქმესა სრულ დედოფალი იტყოდა,
და სრულად გააგის სამეფო და ურჩი მალ დაიტყოდა.

აქა დედოფლისაგან გუჩიელთან მოციმუღების ბაზაყნა და გიჟის თაიფურაჟისა-
თვის ძალის თხროვნა. მათგან დიდად განახრება. დიდის სიმდიდრითა და ზითვით
გამოსტუმრება, მოყვანა, გვირგვინის კურთხევა, მოლოცვა, ჟოჯოღი და მხიარუ-
ლება, სიმღერა, გუჩითობა და სროლა ჰაბახისა.

289. ამხანაშიგა მოვიწითე, სხვას ქებასა ვიტყვი არა,
მაგრა სხვანი მას უბნობდეს: „მზემ ღორუბელი მოადარა;
მისმან მზემან, ხმელეთზედა ვერვინ პოოს ამის დარა,
და თუ ეს არის ამისთანა, იქნებისო ამის და რა?“

290. დედაჩემი თვისად სასძლოდ დაემძახლა გურიელსა.
მალ მამგვარეს შესართავად, არ უხანეს მას ნათელსა.
შემომყარეს ეამიერად, მხიარულსა, ლხინთა მშემელსა.
და ეს სოფელი ველარ შეიქს სხვას მისებრივ სულიერსა.

291. ენა ვით იტყვის მაშინდელს ჩემსა ლხინსა და შვებასა?
ორმოცს დღეს ქორწილობასა, სახარულს, არ თუ ეებასა!
სრულ ვათავებით არ ითქმის, ზოგთა ვიქ გალადშვებასა,
და მაგრამ სოფელი მიპირებს ჩემთ სისხლთმსმელთ ზედ მოშვებასა.

292. თორღას ვიდექით ოდეს ვქენ ქორწილი, გამოჩვენება.
ცხადათ არ დაიჯერება, თუ იყო ძილ-მოჩვენება!
მუნ ორმოც დღემდის ზედა-ზედ სმა, ლხინი, არ მოსვენება,
და ბურთობა, ყაბახის სროლა, ვის რა ასპარეზს ენება.

293. დილას შეესხდით, ვინადირით, შუადღისას შემოვიქცით,
აწ ბურთობას ხელი მივწყვიტ, მუნ საძილოდ არ გავიქცით;
მერმე დავსხდით ერთაქამად, ლხინი ლხინზედ ზედ დავიცით.
და ვზემდით, ვმღერდით, ღვინოს ვსვამდით, ვირემდისი გარდავიქცით.

294. ძლივ ითქმის მაშინდელთ კაცთა სიკეთე, სიბევრენია,
სიმდიდრე, დიდებულობა, სიმძიმით ვითა ბრპენია,
ქება არ ითქმის ადვილად, არც მსუბუქ მოსასმენია,
და აწ ვაი მათსა მგონესა, რა ბევრჯელ ცრემლი მდენია!

295. სიმრავლით იყვნენ მრავალნი თავადნი, დიდებულნი,
კვლავ აზნაურნი მათ მსგავსად მასზედან მოკიდულნი,
შინაყმანი და მონანი. ბევრ-ბევრად, დას-დასულნი,
და სხვათ ვინ აუთათ სათქმელათ გარეშეთ ვინ მოსულნი?

296. ბანოვანთა სიტურფესა ვით შეუძლოს ენა მკებად? ლეთის მოშიშნი, რჯულ-მტკიცენი იესოსა ქრისტეს ნებად, იქ მოდიან ერთად შეყრას, დუხპირთ გარე გამოძებად, და ჩარიგდიან მის-მის ალაგს, მთვარე ქმნიან განქიქებად.

297. ზეთა ვთქვი რიცხვი დღეთა, ვირე იყო ქორწილობა, აწ გათავდა მისი საქმე, გაიყარა შეყრილობა; მაყრებიცა გავისტუმრე, ბევრი მიხვდა ლართ-წილობა, და დატვირთულნი საბოძვრითა, ვარ შეექნათ მათ წბილობა.

298. ვინ მამგვარა დედაჩემა ის რებეკა, თვითან სარა, ტბა-მელნისა უცხოდ რამე, გარ გიშრითა მოესარა; ბალთა შიგან ვყმაწვილობდით, სად რომ გვედგა ტურფა სარა. და ვა გაარმდა ეს სოფელი, ჩემთვის შემრჩა დიდხანს არა.

299. სხვა ქება ვით ვთქვა, თუ არის აუგი ჩემგან სათქმელად, არა ვსთქვა, მთვარე ვით შეეკმნა ვეშპისა გლახ-ჩასანთქმელად? ვსთქვა და სირცხვილად დამადვან, არ იყო მისგან საქმნელად, და ვითა დავმალო მთიები, ჟამი დილისა ვყო ბნელად?!

300. არას ვიტყვი, თქვენც გასმია ქება, არ თუ ცული ხობა: პირად-ბროლი; ბაგე-ძოწი, თვალეზია გიშრის ხობა, ხმა-ბულბული, საფირონი, შაქრისაგან უფრო მოტკბა. და მე არ მითქვამს ნაათალი, ბრძენთა უხამს იქ შემოკრბა.

301. სოფელს კარგად დაუწყნარდი, სამეფოსა გავაგებდი, ერსა ვსჯიდი სიმართლითა, საბოძვარს ზედ წავაგებდი, ეკლესიას დარღვეულსა საძირკველითგან აწ ვაგებდი, და ვიშვებდი და ვიხარებდი, ცულ-მულს არას შევიგებდი.

პარი მფონსაბან თამისის სიმფიღრისა, ნადიროზისა და ლხინის ამბავი

302. ამის მეტი სხვა რა არის წლის ბრუნვა და ანუ თარი, ოთხი არის, ვით ნიეთია, მიწა, ცეცხლი, წყალი, ქარი, გაზაფხული და ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი. და ამათ გამო იხარებენ, მიწის არსნი რაც რამ არი.

303. პირველ გაზაფხულს გიამბობ, სხვის დროსგანც უკეთესია, ამით იხარებს ყოველი დანერგულ-დანათესია, ნადირობა და ბურთობა, ლხინიც აქ უკეთესია, და ვარდზედან დაჰყეფს ბულბული, აღარვის ახსოვს ესია.

304. რა მარტი დადვის, მოვიდის, შეიქნის ირაობანი, ჩიტებმან შექნის გალობა, სიმღერა, კიკჭიკობანი. შეაწყვის მალალ-დაბალი მობანემ მობა ობანი; და აღონი დაშვენდებოდა, მკერეტთ ვიწყით მისი მკობანი.

305. იქ მოვა ყოვლი მფრინველი ხმელს მჯდომი, წყალში მცურავი; სონლული, ბარი, გავაზი, შავარდნით მოსასურავი; ვადვენებდით და ეხარობდით საწუთრო მოუმღერავი, და ბაზიერთხუცეს[ს] უმცროსით უბოძი დასაურავი.

306. ფიცითა მითქვამს, არ ვიცი მე რიცხვი ბაზიერისა, ბაზიერთ შიგა მდგომელი ოთხმოცი ანაწერისა, თავადნი, ახნაურ შვილნი, არ ჩოხა ამოწერისა, და ერთი ბაზიერთხუცესი, სიდიდის მქონე ბეერისა.

307. ასრე ჰყვანდათ დამართული მათ მფრინველები კაამყოლი, ზოგს იქივე დაიქერდეს, მალა ამსვლელს თან ამყოლი, კვლავ მხევეელს და მოთამაშეს იქით-აქათ მიმომყოლი, და ხობხისა და დურაჯისა ზოგთ გამბმელი, ზოგთ მიმყოლი.

308. ბედაურთ ქორთა სიმრავლე იყვის თულუნი მალეები, წითლები, მედიდურები, გამძლე, ხან შემომწყურალები. ახალს მწყაზრებსა შვენოდეს გვარი და ყვითელ თვალეები. და მიმინო, ფილო, მარჯნები, ვადვენეთ ხან ალალები.

ქარი მფრის ალემსანდრისგან ფარშამანგის დამირისა

309. პაპის ჩემის ბაზიერად (ვეკობ ქება თქვენც გასმოდეს) —მისგან იყენეს დანაზარდნი, იმას აქათ აწ მე მუმოდეს,— ფხიზელნი და უმთვრალონი, სამსახურს ვერ ამყობდეს, და იტყოდინ ირაობას, ფარშამანგიც მას მოსლოდეს.

310. ასრე მითხრეს, მინდვრის მცველმან ნახა უცხო სანახავი, მიირბინა მეფესთანა, მოახსენა უნახავი:
„ამ ფრინველმან შექმნა ასე ბევრნახული უნახავი.
და რა თქვენც ნახოთ, არ გაჰკვირდეთ, იყენეთ ჩემი დამზრახავი.“

311. თქვეს თუ, მეფე მასეე წამსა შეჯდა, ბრძანა იყოს რამცა, დაგვიზახეს ბაზიერებს, თან გამომყვეს ყველაკამცა, სრულ მფრინველები წამოახსით მედიდურნი, მერმე მალმცა, და დაბლის მპყრობნი და ამყოლნი მალა უნდა მიიკამცა.

312. მიბრძანდა მეფე, რა ნახა, გაჰკვირდა მეტადიო და, ზოგს ბოლო წამოებურა, ზოგი ხმამალა ყიოდა.
ბრძანა: „ვის გაუგონია ან ამბად აქამდიო და?“
და მეყოლუმან იკადრა: „გეგონათ ტყუილიო და?“

313. ბძანა: „მინახავს სადალაც სახე ამისი ნახატად, თვარ ვის ასმია ალონში. კვლავ მოსვლა აქ ამის მეტად? თვალნი დამიბა მშენებამ, ველარ მოვსხლიტე მე ქვერეტად.“
და გვიბძანა: თუ არ დამიქერთ, ცემით გაგხადო თქვენ რეტად.

314. მაგრა, ვა თუ ვერ შეიპყრან ბოლოდინი იგ მამლები, მოუტიოთ გავაზები, შავარდნითა სონღლები.“
— მოვახსენეთ: „დედალს ადრე დაიქერენ ეს მფრინვლები, და ზეით იმათ არ აუშვან, დავახვედროთ ძირს ძაღლები.“

315. მეფემ ბრძანა: „მე ეს მინდა სულ ცოცხალი დავიჭიროთ, შევინახოთ, მოვაშენოთ, ლხინად გვყავდეს, არ საჭიროთ. მო, ასე ვქნათ, გარეშემო შემოვერტყნეთ, მოუჭიროთ, და აწ მფრინვლები მოუტიოთ, ვეჭვ ეს გემართებს დავაპიროთ“.

316. დავემოწმეთ ამ თათბირსა, ჯარი გარე შემოართყა, უბრძანა თუ: „სასიკვდილოდ ჯოხი არვინ არ დაართყა.“ მინდორს იხსდეს გამოჩენით, არ უნდოდა ტყითა ბერტყა, და იპეპღვიდეს მათს დედლებსა, თან არ ახლდათ წერილი ბართყა.

317. გავაზები და ბარები გავჰყარეთ, მაღლა აუშვით. მეფე შავარდნით ცხენფიცხად მიუხდა, ჩვენცა მიუშვით. მიბრძანდა, ზოგნი მივჰყევით და ზოგი ტბაში შეუშვით. და დაფრინდეს, მოუტივაცა, შესძახა, „ვა, თუ გაუშვით!“

318. შავარდნი მასვე წამსა დედალს მოხვდა, შეცაიპყრა, სხვა მფრინვლებიც დედლებს იქერს, მამლებს უწყეს ძირს ჩამოყრა. მეფე მისდევს სიცილითა, მისაშველად იწყო წაყრა. და წაეხვივნეს, დაიქერდეს, ჯარმანც იწყო იქ შემოყრა.

319. გაღანამც გამხიარულდა, მეფეს შეექნა შევბაო, იცინის, ლალობს, „კარგად ვჰქენ ამათი არ გაშვებაო.“ ბაზიერთხუტესს უბრძანა: „დღეს ბევრი გეშოვებაო, და ამისგან უკეთ შექცევა არ ოდეს არ ეგებაო.“

320. მას აქეთ კახეთს მომრავლდა, ოდიშსაც აქათ მოშენდა, ქალს გაატანა ზითევიად: „მოგართმევ, იყოს მო შენდა.“ არა აკლდა რა მას მეფეს, ესეც წყალობით მოშენდა. და ძმანო, იყურეთ, გაიმბობ, ისმინეთ, მოდით მო შენ და.

ძარი ბაზაფხულის ნადირობისა და შეპყვება — მხიარულობისა:

321. იცია, ირაობასა ქოჩობაც თანა მოჰყვება, მაშინდელს ნადირობასა სულ წერილად ვინდა მოჰყვება? ზოგი რამე ვთქვა, უფროსი დამრჩება, გარდამეშვება. და თუცა არ მინდა სათქმელად, მეღექსე არ მომეშვება.

322. ქოჩობის სიხარულითა ყველამ ბოძლები მოლესა, მშვილდსა უგდებდენ ფიცხელსა და ცხენი მოიმალესა; ქვეყანას გახარებულსა, ვსქვრტრდით ახალსა მოლესა, და ბერნიცა გაკაბუქდიან, არ თავი მოემოლესა.

323. ალონ ვიწყით ნადირობა და ქვემოთრე ჩავჰყვებოდით, უკეთ სროლის ბაასითა ერთმანერთსა ავჰყვებოდით; მუნ ნადირი ვინც ვერ დავსციტ, შორს აღარვინ გავჰყვებოდით, და მოვიდით და ლხინად დავხხდით, ვინ ვის რასმე ვლყებოდით.

324. რა აქედამე წავიდით, კარამდის მოვინადირით, მუნ განსვენება სად იყო, იმუშაკებდა ნადი რით? ტყეებსა ვრეკდით ყოველდღე შამურით, ბედიყრის თითრით. და გაზაფხულისა აერი შვენოდა კარგა მუნ ნირით.

325. მცირე ხანს ბაზარს ვდგებოდით სალხინოდ, სათამაშოთა, ჩვენის ბაასის ჯობნაზედ ნუ ჰგონებთ მალ დამაშოთა! სად მამეცალა სალექსოდ, მიბრძანე ბრძენო ფაშოთა!! და კიდევ ბევრს რასმე უამბობ, ხელიდამ არსად უშოთა.

326. მაისი დადგის — ტურფა თვე, ვარდი აყვავდის ბაღებსა, ველნი ყვავილით შეიმკვის, ჰგვანდის წითლითა ნაღებსა, ბულბულთა ყეფა ისმოდის, ვერ ვსჰკრეტდით სულდანაღებსა. და მე ვინ მნახევდის იმ დროსა ულხინოდ, სუფრა ნაღებსა?

327. იქ მოვიდიან ლეკები, მებატონენი კაცები, მოკრძაღვით გულს ხელმოკლობით, მშიშრად, ვით ცხვართა ვაცები; ფეშქაშსა მოცაზიდვიდეს, ვერ რბევით რას მომტაცები. და აწ ნახე სოფლის სიმუხთლე, ჩემზედა კვლა-და-კვლაცები!

328. მინდორს ბალახი მომალდის, ხბოს დამალევდის ნადირთა, იმ წამს მიმართის ირემმა შამბს მალვით მუნ დანაპირთა; ჩვენც თანა გავჰყვით სიმრაელით, გაწყობით, არ მებოძირთა, და ალაზანს გავხდით ნავითა, სასროლად ზედ მინაშურთა.

329. ერთი თამაშა არ სჯობდა ჩვენს მაშინ ნავით გასვლასა, ბაზრიდამ აყრას დიდებით, სამინდოროსა წასვლასა. კაცი ვერ იტყვის ენითა, ვერცა იქს თავის ასვლასა. და დილით მწუხრამდის მხეცს სრვიდეს, ვინ ელის მზისა დასვლასა!

330. ოთხმოცს ყათარსა აქლემსა, ცხენს, ჯორსა, აზავერს გარდა, კარგებს მის მოფენილობით ჰკიდებენ, იღვის მუნ გორ და, ტყუილი ნურვის გონია, მართალი არის, არ ქორ და. და ნუზლიც მრავალი ვიახლით, მინდვრები სოფლებს გაშორდა.

331. შეიდს-რეას დღეს თუ ნავს გავიდით, რაზომ მალე ვისწრაფდითა, გამოღმართსა ჯერგას გარეთ, ოდენ ისრეე გაღმა მხრითა, აქათურიც ნავზედ დამხედის, ნაპირელნი კვერნაქითა. და გვიან ვერვინ მოვიდოდა, მისთვის რომე დავბაქითა.

332. ჯარის სიმრავლე რა გითხრა დიდებულთა თუ მცირეთა: ახალ-ვაჟკაცთა სიმრავლე ვარსკვლავთა გვანდა ციერთა.

ვინ იგ მოშალა უწყალოდ, მან ღმერთი აღარ იღმერთა!
და ვაი, რაზომი სხვა კარგი სოფელმან გაწამიერთა!

333 მუნ იყვის ბედაურთ ცხენთა შეკაზმა, გამოჩვენობა,
შესამოსელთა კეკლუტთა შემოსა, ტურფად ჩვენობა,
ქარქაშის გაწყობილობა, ისარს ორბის ფრთით შევენობა,
და ვაჟკაცებისა ხუმრობა, მუნ ჩვენს ხელთ იყო ჩვენობა.

334. ასე დადგიან კარგები, კაცი თვალს ვერ გარდაწვდენდა,
იყვიან შეებით, მშვიდობით, ვერვინ ვერავის აწყენდა,
მესისხლე ჰყვანდა ვინ ვისმე, მუნ სისხლსა ვით დაადენდა?
და ლეთის წყრომით მოჰხდა, თვარემ და მათ ეგრე რა წაახდენდა?!

335. თორმეტი არის მინდორი სხეებისგან უკეთესების:
ირმის, ჯერნისა, დათვისა, ღორის, ტუ-ის და მგელების,
აფთრისა, შელისა, ფოცხერისა, კურდღლისა, შაჩვისა, მელების.
და ბერს ჯარს რომ მოინდომებდა, მათ საძელები ეს ების.

336. წინა მინდორი შირაქი და ორივე ტარბანები,
ორი ელიდრის მინდორი, ჯერან ჩულურში დაები,
ყაჯირლუხ, ბაიდიგოლი, სამგორი, ჩაღივარები.
და ყარაიაზე დაშერიან მესროლნი. კარგ-სადავები.

337. მივიდით, მინდვრებს მივადგიოთ, დაუწყით ჯერგას რიგება,
შულამისგან უწინვე ნადირთ ვერ ექნა შეგება;
ასრე შეკრიან სამგნითვე, მხეცნი მათ ვერ გარდევება,
და დაიწყის მოსვლა კარზედა, პირს ვერვინ ვერ შეეგება.

338. დილა გათენდის, შეიქნის დაწერით დაკარებანი,
ვინ არ ვიახლი ჩემთანა, ვერა ქმნის მოკარებანი.
შეიქმნის სროლა უცდური, დანაცდენთ ძვირად ძებანი.
და კარგ-სადავენი მომხრედ ვჰყვი, ავისა შორს გაძებანი.

339. ასრე უნდა მშვილდოსანი, არა ჰკრევედეს ყოვლსა ასოს,
მართალს მხარსა შუასა ჰკრას, წინ-გარდამბტალს—თეთრს დაასოს,
მხეცი სადგომს წამოილოს, მწყურვალს მინდორს სისხლი ასოს,
და ერთს გაზაფხულს თიბათვემდის ოთხმოცისგან უფრო ასოს.

340. ნადირზე ასე მივიდეს, ეგონოს შეეძგერაო,
მერმე სადევეს გამოჰკრას, რას ჰქვიან გულის ძგერაო?
ხარსა და კაცსა მოჰკლევდეს, ცუდიო მელა-ძგერაო,
და მოუწონებდეს სიფიცხეს, ინატრონ მისი მხერაო.

341. რა ნადირობა გათავდის, გრემისკენ წავეყრებოდით,
მუნ მოყვარულნი ქალ-ყმანი ერთმანეთს შევეყრებოდით;
ვარდი დაგვიხედის გაშლილი, ვჰკრეფდით და შიგ ვეყრებოდით,
და ასე გვიამის იქ მისვლა, მალ აღარ გავეყრებოდით.

342. გრემსა იყო ბევრის ქვეყნის უცხოები იქ მოსული, ბაღებშიგან კვიპაროზი, ალვის ხითა ამოსული, ფშოდა სული სულნელისა, ყვავილთაგან ამო სული, და მისის ნახვით გაყმდებოდა სიკაბუკის ძალწასული.

343. ერთი ბალი და სასახლე გრემს იღვა ლევან მეფისა, მას შენობაზედ ეტყობის გაცემა სიიფისა;
• ყოვლი ყვაილი, ხეხილი გარმოცულიყო სეფისა,
და განციფრდებოდა მნახავი, იქმნის სიბრძნისა მკარფისა.

ქარი საზაფხულოს ალაგაზინა და შემავა-სიამონისა აგაზი

344. ბალობა იქვე მოვისთელით, მერმე მიემართით ზეგანსა, ბარშიგან დაცხის ამა დრომ, მზე წამოვიდის ზე განსა. ჰოედ ჩააგდე ეს ლექსი და მოგახსენებ ზეგანსა, და არას დაეაგდე უთქმელად, ბანზედ მოვაბამ ზე განსა.

345. უწინ შუამთას მივედით, ცოქას ხანს იქ დაედგებოდით, რა დაცხის უფრო და უფრო, ზედარე შეუდგებოდით; ორს კვირას გომბორს ნამყოფი საერწოდ ავიყრებოდით, და ვმწყერაობდით და გკურდლობდით, სტუმარს წინ მივეგებოდით.

346. ერწოა კაი საკურდლლე, მწყერიც მრავალი დაჯდება, ჩალებში წერო ბევრი სხედს, საკვერცხედ უნდა დადება. წვრიმალს ტყეებში ნადირი ბევრს ჯარს არ უნდა მოდება. და მერმე თიანეთს ვინც მივა, კალმახით იქ გააჯერდება.

347. თიანეთს სხვა მთის ალაგი ვერ შეადარონ მას შურით, სალხინოთა და საბურთლად ერწოდამ იქ მივაშურით, კალმახი დაულენენლი ბადებითა თუ წყალწურით. და ლხინებს ვნახევდით ასეთსა, შორსმყოფთ იქ მოსვლა ვასურით.

348. ლექს ზეით სხვა მთის კაცები იქ მოვიდიან, ვინც მემობდა, დიდონი, თუშნი, ხეცურნი, ფშაველნი ვერ ნეკობრობდა, ქისტნი, ლილივი დი ძურძუკი ერთპირად ძღვენს შემამძღნობდა, და ჩოხა-ნაბაღსა დალისას ფეშქაში არ უნახლობდა.

349. თიანეთს ეს სკირს სიკეთე—დიდია, მერმე გაშლილი, მოედანს მწვანით მოსილსა მობურთალი ჰყავს შეშლილი. მწყერაობაში რას ვარგა უსეფქო კაცი, მოშლილი? და ქალები მკიან ტან-წვრილნი, პირ-თეთრი, შავ-თმა ჩაშლილი.

350. ერთი წყალი საკალმახეთ ეორს არსად შეედროება, სხვა არა სჯობს იმ დროს რამე, იმის წურვას გახარება; მოწყენილმან კაცმან ნახოს, ჯაფრი სხვაგან გაეყრება. და მთილამ ნადირს მოიტანენ, გორა ხორად დაეყრება.

351. აგვისტოსი იქ გათავდის ლხინითა და უკუყრითა,
მერმე კახეთს წავიდოდით, გარიგებით, მუნ აყრითა,
მხიარულად ჩავიდოდით, მექორწილე ვით მაყრითა.
და აწ მზადება დაიწყიან სამყვირალოს შემოყრითა.

352. ლეთისმშობლობასა შუამთას მივიდით, იქ გარდვიხადით,
შევეხვეწით სისოებით, ძის მეოხად იმას ვხადით.
მოძღვართ-მოძღვარს მასპინძლობა იმ დღესა აც ქვევრთა ახდით,
და ჩვენა ვართო ამ ყოფასა, მტერნო, აბა თქვენ კი წახდით!

353. ჯვართამაღლებას ალავერდს ჩავიდით, იქ ავამაღლით,
ფილიპე ალავერდელი ლხინით ვერავინ მოვლადით,
მან საჩუქრითა აავსის მუნ მყოფნი მდაბალ-მაღალით.
და ნაზარხოშენი ვიყვენით არ მთრვალნი, ღვინო მამბალით.

354. ერთს სიტყვასა ის იტყოდა, არ ვარ სხვისგან განაგონაო
ასრე იტყვიო, საქონლითა ვერ გავეძღვებით, ვჰყავართ მონათ,
ამდენი მაქვს, აღარ მინდა, ოქრო მიჩანს ჩალის წონათ.
და ბევრი გასცის უცხო ფერად, იყვის ყოვლთა მოსაწონათ.

355. მაგას ნუ ეპე, რასაც კაცსა ძალად რამე გამოართვის,
ასრე მე ის საშენდობოდ არ მინახავს, არ მომართვის;
მან მამკის და მე რაც მივსცი, კიდევ სხვა რამ ზედ დაურთვის.
და ლოცვა ჰქონდის წესისაებრ, მერმე ჯარის ლხინის წართვის.

356. მოკლელა ვმთქვა, მყვირალობა აღონს ვიწყით მისვე წესით,
უქირველად ვნადირობდით, სენით ვიყვიო არა კენესით.
კაკს ცხენს ზიხარ ჯავახურად, წოტს ხარზედა მოაწევ სით?
და ეს თვეც წავა კაის ყოფით, აწ ზამთარი მოაწევ სით.

357. მოვიართ ტყეები და რაც მინდვრები გითხარ პირველ.
ვირ დრო მქონდა, სიხარულსა ხელი ვჰყარე, მწვერვალს აველ,
მყვირალობა გაგათავე, აწ საჯერნედ მინდვრად წაველ,
და ყარაიას მივადგვიო, გარეჯიდამ მტკერის პირს დაველ.

358. იქ ჯერგას არ წავიტანდი ქვეითს, თუ არ ცხენოსანსა,
ქისიყით წამოიყვანდენ თორმეტჯერათას ოსანსა,
სრულ კარგს ულაყზედ მჯდომელსა; ვინ ნახავს მათ კაკოსანსა?
და მარტო იმ სოფლით იტყოდეს შვიდასსა ჰარმაგოსანსა.

359. ერთის სოფლით ეს მოვიდის, ნახე თუ სხვა რამდენია?
შვიდს წელიწადს ასრე ვიყავ, სათქმელი რამ არ მწყენია,
უტკივრად და უქირველად, ცხვირთა სისხლიც არ მდენია,
და ბოლოს საქმე გამისინჯე, რაზომნი ავნი მსმენია.

360. პირველს ღამესა დიდს-ვარცლას მივიღით სრულად ჯარითა, დაუწყით ჯერგას რიგება ერთმანერთს დასაჯარითა. მაშინ იქ მყოფმან ჯერგამან თავი არ გასაჯა რითა? და გათენებისა მომლოდნემ იქ ძილი იაჯა რითა?

361. აღიონმა აიზიის, შეესხდით ცხენსა დაუქარდით, წყნარა-წყნარა მივჰყვებოდით, ცულ-მუდს არას გაუქარდით; ვისაც ჯოგი მოგვივიდის, კარგ სადავეთ ზედ მივარდით, და სროლითა და სიკვდილითა დავიღალით და დავარდით.

362. სულ დიდი ჯოგი მოვიდის, ანგარიშს ვერ ავიღებდით, ვირ არ მოვიდით ნადირზედ, მშვილდს აქ არ ამოვიღებდით; მივესროდით და მივჭოცდით, მინდორს სისხლითა მივღებდით, და ამდენი მოკვდის ნადირი, სრულ თან ვერ წამოვიღებდით.

363. მაშინდელთ კარგ მშვილდოსანთა ამაღ არ ვამბობ სახელებს. საბატითა კაცთა და ვაჟკაცთა ბევრს ასახელებს, ვაცთა შიგ რჩევით მოჰკლევდეს, ვერ მომკვლელთ მგონ ეს ახელებს, და ზოგს უქებ მშვილდოსნობასა, უცოდნსა დასდებს სახელებს.

364. სხვა მინდვრები ირმით საესე, ყარაიას ჯერანია, კარგს მშვილდოსანს გაახარებს, გულის გასაჯერანია; ვერვინ სრულყოს ჯოგთა რიცხვი, ესე დასაჯერანია. და თუ იმდონს ჯოგს შეეყარო, მოვლე კახი, ჯე[რ] რანია.

365. ზოგნი იტყოდეს: აქა ვჰკრავ, მიყურეთ, უსაცილოდა. სხვამ თქვის, თუ: იმ ვაცს მე მოგჰკლავ, შევეღებო ისრის კილო და, კვლავ ამ დიდს ჯოგში ხუთს მოგჰკლავ, სროლა არ ვითაკილო და, და ძალიანს მშვილდსა მოზევდე, მკლაო, არ ისარ-წერილოდა!

366. მაღალს აკრევედენ ფრთეებსა გრძელს ისრებს მითთა მკლავთასა, იტყოდეს, ახლოს ესე სჯობს, უკეთ იქს ხორცთა ფეთასა; შორს სროლა რა სადავეა, ახლო სჯობს, ეს უკეთასა! და ბევრჯელ მინახავს, იქმოდეს მსხვილ ბარკლის სულ მოკვეთასა.

367. ყმაწვილები არ არჩევედეს არც კვრასა და არც ნადირსა, თუ სადგომსა ბევრს მოვიტანთ, ოსტატობას ჩვენ რა გვრჯისა! დასულღებულს ვინ ნახევდა სიცილითა იმათს პირსა? და ის დრო იყო, რომ წავიდა, სხვა ველარვინ ვერ ეღირსა.

368. მინახავს ბევრჯელ მინდვრებში მოკლული უფრო ათასი, ჩემს მოკლულს სხვანი გეტყვიან, მე მოგახსენო სხვათასი; ერთს ზაფხულს ზამთრის პირამდის ჩემი თქვან, ვეუბნ, სხვათ ასი, და ლხინსა ვნახვიდით ამოსა, ზოგთ ჯამითა სვეს, სხვათ [თ]ასი.

369. ერთს დიდმარხვაში ნაგებს ვდექ, რომელ არს ბოსტან-ქალაქი, აღდგომაც იქ გარდვიხადენ, ჩვენი ახალი პასაქი.

რას აქნევ ინდსა, არაბსა, ესე სჯობს, შენცა ეს აქი!
და ველარ თამამად ბაასობ, დაყურდა ცილების ბაქი.

370. ამ აღდგომის დღის ღვინები ძნელია გამოსათქმელად,
საღვთო წესი და რიგები ნათელ არს, არ დასაბნელად.
ბურთობა, ყაბახის სროლა, გაცემა მქონდა არ ძნელად.
და თუმც კიდეც ბევრჯელ მინდოდა, აღარ დამცალდა საქნელად.

371. კურმუხელთ კახთა სიმრავლე ამით გასინჯე კუხოსი,
ყაბახს ესროლეს ოთხმოცი მარტო ჩერქეზი და ოსი.
მე არ გაუშვი იმ დღესა ჩემი ყმა მუნ შეუმოსი,
და ხილზედა ვსვემდი გავაზურს, ხერცტა არ იყო იქ დოსი.

372. ამ დღეს გავეც სხვას გარდაის ასი ჯილა, ასი ტყავი,
კვლავ ცხენები ბედაური; არ თუ ზურგზედ განატყავი,
ამას გარდა აბრეშუმი სამოცს აქლემს ნატვირთავი,
და არ დავაგდე უბოძვარი, ღარიბები მოურთავი.

373. მანამდის არ ჩამომეხსენ, არ მათქმევიანე მე ვირ ეს,
მიქებდეს მეტად სიუხვეს, არ მიზრახვედეს სიძვირეს.
ქაცი ამ ყოფის პატრონი რად შეგედარო შევირეს?
და ჩამოგვიყარე ყურები ჯობნისა შენ დანაპირეს.

374. თუმც არის წელიწადშიგან ესე დღეც ვასახარონი,
აივსებიან ყოველნი ქურნი და ბელელ-ხარონი,
შიმშილისა და წყურილის არვის აქეს თავის ხარონი,
და სიმსუქნე სკარბობს სიმკლითა, არეინ არს შენაზარონი.

375. სულ გაძლებიან ღარიბნი, გლაზა და მუნ მდიდარია,
თავსაყრელად აქვსთ მთხოვართა მათ მათი სამუდარია,
ანგაართავანც მიიღონ წყალობა-სათხოვარია.
და ამ სიკეთესა მოუსწრო, მერმე ზამთარმა დარია.

376. ვით წესია ამ თვეების, მის-მის დროსა ხელსა ვჰყრიდით.
მყვირალობა რა წავიდის, ქორებს ზარში გამოვჰყრიდით.
ვირემ წყალი არ გაყინის, ვერ მოგვეყონდა სიციხის რიდით.
და რა აცივდის, მოვიყვანით, ფრინველზედა ხელს წავჰყრიდით.

377. აწ ზამთარი შემოვისწრით თოლასა და ბოეთანსა,
შამურსა და ღარნეხშიგა სხვას ვინ ნახავს იმისთანსა?
ყოვლნი რამე სანადირო ასრე ახლავს ინი თანსა.
და მაშინ მე რას ვახსენებდი ხანებსა და ან სულთანსა?

378. სრულ წვილად ვთქვა, ვერ გაუვალ, არც ვინ მართლა დაიჯერებს
თვარემ ვიტყვი ბევრს ასეთსა კაცისაგან ვასაჯერებს:
ცრუი არის ეს სოფელი, ბოლომდისი არ მაჯერებს.
და ფიცით მითქვამს, დამიჯერე, მცილეს ფიცი დააჯერებს.

379. რაც მინდოდა, ყველა მქონდა, მე ნაკლები გულს არ მაქვ. მუნ სიმრავლე სპა-ლაშქართა, ჩემნი მტერნი ყოველგნით ვაძე; ჩემის სახლის მეფეებსა წარვემატე, არ წაებაძე, და ეს კი მაკლდა, მართლად გითხრობ, ძმა არა მყვა და არცა ძე.

380. ჩემის სახლისა ჩემს მეტი კახეთს არ მოიძეოდა, მოწყალემ მომცა ორს წელსა ყმა-შვილი ორი ძეღ და, შემექმნა ლხინ-სიხარული, ვთქვი, დავდეგ ახლა მეო და, და მათის იმედის ქონება, ვა, აღრე დამელეოდა!

381. მაშინდელს მახარობლობას, სრულ კახთა იქ შემოყრასა, მათ გახარება—ლხინებსა, იმათს იმდრომდი მოყრასა, მოსალაოცავთა ტურფათა, თვალ-გუართ თავს გარდაყრასა, და ძეობა, ღამის-თევასა, ძილად არვისგან წაყრასა. -

382. მომეზარდნეს ორნივე შვილნი, ხუთის წლის და მეოთხისა, ტურფანი და კიკეიკანი, ორნი ნორჩნი სამოთხისა; ძლივ ვლირსიყავ, გამეზარდნეს ტანად ნაკეთნი სამოთხისა, და ცხენს სხდებოდეს ყინჩიყურით, ცრემლი ღაწვს არ დაენახისა.

383. ვით წესია სოფლისაგან, ლხინს არავის გაუთაევებს, ჯერეთ მამყვა, მწვეთ მამა, აწ საქმესა მიზამს ავებს, ლხინთა ნაცვლად გლოვასა და სიმღერისა მუქვად მავებს, და ლხინს შემეცვლის გლოვა-ფლასად, წითელ-ყვითელს გამიშაევებს.

მეფის თეიმურაზისაგან დედოფლის გლოვიარობა და მშუხარება.

384. ეამი გარდახდა შვებისა, მოვიდა გლოვა-წუხილი, ლხინმა მიმრიდა, შემექმნა გულს ურვა, თვალთა წუხილი, ღვარი მდიოდა სისხლისა, ცრემლთა ისმოდა ქუხილი, და ნადიმი აღკრბა, სერობა, ველარ მაქამეს წუხილი.

385. მოვსთქვემდი: მზეო, დამავდე, ცეცხლი მომიდევე, წამ ალი, მე, გლახ, უშენოდ ოხერმან შენი ვერ ვპაოვე წამალი, ბროლი და ლალი შეთხზულნი, მიწათა შიგან წა მალი, და სუფევა პაოვე უკვდავი, წმიდათა თანა წამალი.

386. წამწამთა რაზმმან დაფარა თვალნი გიშრისა, დალულა, მშვილდი შავისა კემუხტით. შემოსით ვით მოზეულა, თმა ამბრის ფერი შეწმასნით მიწამდის ჩამოწეულა, და ვითარ ვსთქვა საქმე საზარო, ჩემზედა რა მოწეულა!

387. ბავეს, ვით ვარდის ფურცელსა, აწ ვებდავ გაყვითლებულად, მას შიგნით თეთრსა კბილებსა სადაფ-მარგალიტებულად, ენასა შაქრის უტკბოსსა ვებდავ უძრავად დებულად, და პაი ვაიმე, რაღა ვქმნა, აქა ვზი ცეცხლ-მოდებულად.

388. ცხვირს ზომიერად ჩამოწვდილს სული-ფშვის სურნელებისა, პირი ერთ-პირად შექმნილი, უალოდ გამთეარებისა, რომელმან ენამ აღმოთქვას სინაზე მკლავ-ხელებისა, და ვითა დაასკვენ გაწირვა შენ ჩემი გულ-ნალებისა.

389. ვაიმე წახდა, ვის ჰქონდა, ყელი ბროლისა სურათა, ვერ გამოხატოს მხატვარმან ჩინელმან მისი სურათა, მკვერტელთა სატრფიალოა, უნახთა მოსასურათა. და ვა, რად გამხადე უბრალო სისხლის ცრემლ გასაცურათა.

390. ვა, რად მიეც შავს მიწასა პირი ვარდი, ბროლ-ფიქალი, ბრწყინვალე და შუქთა მფენი, აწ ეთერი ფერ-გამქრქალი, შენს საქციელს ვერ აიღებს ბევრის ცდითა სხვადა ქალი, და შენ გამხადე დასაწვავად, გარ მომეგზნა მე აქ ალი.

391. რად დააგდე ეს სოფელი, რამცა გაკლდა მისი ნივითი? სახელმწიფო, ქმარი, შვილნი რად გაჰხადე ოხრად ვითი? სამუდამო ლოცვა-წირვა, ფსალმუნება, ან დაევითი? და პირსა შენსა შუქი ჰკრთოდა, ეგრე აღრე რად წაირთვი?

392. მე გამწირე, საყვარელო, ლევან რად ჰყავ საბრალობლად? აღექსანდრე ნებიერი, ვით დამიგდე შენ ეს ობლად? შენ უდროოდ ტახტს აოხრებ, თავსა შეიქ საბრალობლად, და მე გამხადე მტერთ გულისად ბედისა და სოფლის მგმობლად.

393. გვირგვინის ნაცვლად ჩაჩს მბურავ, სკიპტრად მამაძლევ შავს ჯოხსა. პორფირად მაცმევ ძაძასა, ტახტად დამიდგამ ბნელს ქოხსა, გამაბედითე, დამაგდე, ვჰკვირვარ მე გუშინ დამნახსა, და უდროოდ ამ ყოფისათვის უბნობენ სოფლის საძრახსა.

394. ვით წესია, გარდვიხადე გლოვა დიდი, სულთ წესები, სულთქმა, ახი სამუდამო და ტკივილი საკენესები, ვიჯექ ბნელსა ცეცხლ-ნადები, ნათელ შრეტით დანავსები. და ნაღველს ვსევმდი სამსალითურთ, გული მქონდა შენავსები.

395. ორმოცამდისი ბნელს ვიჯექ, სინათლეს ძვილ სად ვნახევდი, თავსა ვიცემდი, ვსტიროდი, ცრემლითა დაწვთა ვიხევდი, შენც შემბრალე, არიფო, მოდი და ჩემთან ახევდი, და ნუგეშინის მეც სიტყვითა, ღონეს რას მომინახევდი

მეფის თამარაზის ჰანისაბ ნ დაპატიჟება და მგლოვიარობილამ გამოსვლა

396. მე მგლოვიარე ყაენმა შიმიხმო, შიმიპატიჯა, თუ გლოვით გამოსასვლელად კვლავ უფრო გამიპატიჯა: ახდა მიბრძანა შავისა, ხორციცა მან დამპატიჯა, და უარი არ მათქმევინა, არც ხანი დამიდარიჯა.

397. ვით მართებდა, მასთან მისვლა მე და ჩემსა სიდიდესა, ყოვლითფერი თან ვიახელ, ვინ იცის რა მამინდესა! მას ვმეტობდი გარიგებით, ვინ რომ დავარ მამიდეს ა, და მე რჯულმტკიცედ შეზღუდვილი, იმათ თავი გაინდესა.

398. წაველ, მიველ, მომაგება ომარები კარისკაცნი ბედაურის ცხენებითა, არ იახლა მათ საკაცნი. სიმრავლესა ჯარისასა წინ უძლოდეს, ვითა ვაქანი. და გაეკვირვენს სიკეთესა, ხელთა ჰქონდა მალ-მალ ტკაცნი.

399. მიველ, ვნახე, მიაღერსა ხელმწიფემან ვითა შვილსა, მიბრძანა თუ: „მწოვედ მიმძიმს, გხედავ აგრე შემოსილსა, მაგრამ რა ვჰქნა, რა გავაწყო ღვთის ბრძანებას ვინ მოშლისა? და გლოვაზედა რად წაბაძე შენ, კევიანმან, სხვათ შეშლილსა?“

400. დაჯდა ნაღიმად უცხოდ რამ, მის ლხინს რა გაეწყობოდა! მუნ რამდენთფერი საკრავი ერთმანერთს შეეწყობოდა. გაყრას ვინ მოინდომებდა, გული იქ დაეტყუებოდა. და მას დაფარული მტერობა მაშინ არც შეეტყუბოდა.

401. გათენებაზღი ნაღიმად იჯდა და არც მე გამიშო, მიბრძანა: „გამხიარულდი, ჩემგან არა ხარ საშიშო, ბევრს კარგსა გიზამ, იცოდი, საქმე არ გიყო საიშო, და გულსა სევდა და ნაღველი უკუიყარე, მოიშო!“

402. პირველი ნახვა გათავდა, მერმე მიმიხმო ხალვათათ, მითხრა: „ლუარსაბ მეფესა გამოყვრებ მალე აშლათათ, ორნივ მეფენი გაერთდით, ის შენთვის იყოს, შენ მათათ, და ჩემიცა ქვისლი იქნები, საქმე არ დარჩეს სახლათათ.“

403. მოვახსენე: ხელმწიფეო, ეგ ჩემს რჯულში არ მოჰხდება, ახლო არის ნათესავი, საკანონო დამედება, თუ შევიერთო ნათესავი, საბოლოო წამიხდება. და უარი არ გამიგონა: „ცუდიაო მიდ-მოღება,

404. არ იქნება, დამიჯერე, ქართველთ მეფის უმოყვრება, სხვას უკეთეს ვერ შეირთავ, მეც მასშია დიად ქება, ზურგად მე გყვე, ის მოყვარედ, ვისლა ძალუც შენი ვნება? და მე მწადს, მერმე თქვენ მოგხედებათ ლხინით შეყრა, ერთად ხლება.“

405. კიდევ რამე მოვახსენე: მე ეგ საქმე არ მექნება. არაფერი არ გავიდა უარისა მოხსენება. კვლავ მიბრძანა: „ნულარ იტყვი, თუ არა იქ, არ იქნება“. და რადგან ისრე მოინდომა, რაღა მექნა, დავრთე ნება.

406. მერმე მითხრა: „აბა მამეც აბელის-ძე კარგი აღამ, თუ არ მამეც, არ იქნება, ვერ დაიხსნას მაგისმა დამ“.
გამიჭირდა მისაცემლად იქ მისვლით და მერმე-ხადამ.
და ჩემს სიტყვასა დააქარბა ხელმწიფისა მოსაწადამ.

407. მოვახსენე: ვერ მოგართვამ, ნუ მიბძანებ, ცრემლს ნუ მადენ, ნამსახური კაცი არის მამით, ბიძით, თავით რამდენ!
გამორთმასა ნულარ ბძანებ, წყალობა ქმენ შენი ამდენ, და მამა-მისი პაპა-ჩემსა ძმიან ორნივ თავს დააკვდენ.

408. პასუხს გეტყვი მაგისასო, დაჯექ მანდა, მამიცადე-კარგიო, არ მოგცემო, მართლა სთქვი თუ გამომცადე?
თუ გიყვარვარ, ვიცი მამცემ, წა, მომგვარე, გა მომც ადე!
და მაგრამ კიდევ არ წამოველ, კიდევ ხანი დავაცადე.

409. არაკი მითხრა მართალი, სიტყვა რამ დასაამიო:
ერთს ხელმწიფესა ვეზირნი მუდამ გვერც უსხდეს სამიო, ერთი გვართ და თვითანცა, და ორი არ საამიო,
და უფროსი ყოვლის სიკეთით გულ-ქველი, ვით საამიო.

410. ერთმან მონამან შეჰკადრა ხელმწიფეს ლარიბობითა:
«ათასი მამეც თუმანი, არ მითქვამს სათნოებითა,
ასეთი რამე შეგიმყო, შენ იყო არ ქონებითა;
და რა ის მოგართვა, გაჰკვირდე, ბევრი სხვა მამცე ნებითა».

411. ხელმწიფეს დიდად იამა, უბოძა დაუყოვნელად.
ხანმა რამ წავლო, მოჰგონდა, რაც ჰქონდა საიმედებლად,
ბრძანა: «მომგვარეთ იმითურ, რბილს აკეთებს თუ სალებლად».
და მივიდეს, წამოიყვანეს; პირი შეექმნა ნალებლად.

412. მივიდა მონა, უბრძანა: «რა ჰქენ, რა გამიკეთეო?»
მან მოახსენა: «ხელმწიფევე, გწადს თავი მე მამკვეთეო,
ლარიბობამ და შიმშილმა მიჩივია ეს უკეთეო,
და ყველა დავხარჯე, შევსქამე. გინდა ცეცხლს შემიკეთეო.»

413. სანამდი მქონდა, ამ სოფელს ყველა რამ მე ვიამეო,
თუ ის არ მექნა, აქამდი ვერ მოვაწევდი სამეო;
ამისთვის ვჰქენნი, მეფეო, თუ ღმერთი გიყვარს და მეო,
და თვარე რაც გინდა, იგი ქმენ, შენ მანდ ზიხარ და ა მეო».

414. ერთხან დაფიქრდა, ვეზირთა უბრძანა: «ხედავთ ამასა,
რას არჩევთ, რისხვა რა უყო ერთსა თვალისა წამასა,
ეს მონამ ვით შემომბედოს, შევიღმაც ვერ უყოს მამასა?
და შიშ-თ არა ძრწის, თავს იდებს მისის ტყუილით ქამასა».

415. ხაბაზის შეილმან შეჰკადრა: «თორნეში გამოაცხეო»,
მზარეულისამ ესე თქვა: «შეწვი, ზედ ნავთა წასცხეო»
კვლა გვარიანმა ურჩივა: «მწვეთ კარგად შეინახეო»,—
და მას მიემოწმა ხელმწიფე, ეს უკეთ დაეინახეო!

416. მეც მაგისტვის გთხოვ ამ ადამს, გვარად ვარგა და თავადა.
უგვარო კაცი ასე იქს, თუ ძირად არ ითავადა.
იმ ვეზირთ სიტყვა გასინჯე, რომელმან რამ თქვა ავადა?
და ჩამომავლობით სიკეთე კარგია, ბევრად გავა და.

417. კაცი უნდა ან გვარად და ან სწავლაში გაიზარდოს,
თუ სიბრძნეშიგ გაიწერთნების, უგვარომანც გაივარდოს!
თვარ უგვარო გვარიანსა ცუდათ ვინმე შეუფარდოს,
და უგვარო თუ არას იწრთენის, სიკეთე ვით გაიმაოდოს?»

418. რაზომ ვიტყვოდი უარსა, მან უფრო დაიყინაო,
ტკბილის სიტყვეთა წამართვა, არ ბაქით შემაშინაო,
აღარ მაცალა პასუხი, სულ იმან დამიშინაო.
და მივეც, რა მექნა, ვიტყვოდი: ნეტამც დამეგდო შინაო!

419. განომისტუმრა, წამოველ, კაცი თან გამომატანა,
მეც ნება დავრთე, დავასკვენ მე მისი აქ წამოტანა.
კიდღვე მას მბარებდა, სათუო არ დამატანა.
და მოველ, ვემოყვრე მეფესა. პირად მზემ ალვა მატანა.

420. რა მოვილ, მეოეს ლუარსაბს ვემოყვრე მისის ბძანებით.
მან თურე სხვაფრივ არჩივა და საქმით კიდევანებით,
ჩვენ სულ მართალი გვეჭონა, ვიყვენით სხვის არ მგვენებით.
და ვინ რას მიუხედა, ლიქნით იქს, ან რასმე მონაგვიანებით!

421. ავეშაღე საქორწილოდ, მას ქალს ჩემად მოსაგვარად,
პირველისგან უკეთესზე თავითაც და მერმე გვარად.
ქორწილიცა ეგრეთი ვჰქენ, შესაფერი მის-მისგვარად:
და ყოვლი ნივთი მრავლად იყო, არა მქონდა მოსაგვარად.

422. მას თურე მაშინ უნდოდა, რაც ბოლოს ჰქონდა საქნელად
გუნებაშიგან ნარჩევი, პირად არ გამოსათქმელად:
მაგრამ ორნივე მეფენი ჩვენ უნდით მას დასანთქმელად,
და არ სიყვარულით შეგვიტკობს, ჩვენზედა გული ათქს ნელად.

423. ყაზახის ხანსა მოსწერა: «მეფე ლუარსაბ მოკალო,
თავი აქ გამომიგზავნე, ქართლი ვალეწე ვით კალო!»
მეფეს სხვა წიგნი მოსწერა: «ეგ ხანი მალვით დაკალო,
და შიშით დახეთქე ყაზახნი, შეაქენ თრთოლა-კანკალო».

424. მას ეგონა, თუ ყაზახი ხერხით ამას აჯობებდა,
მოიგონის უცხო რამე, ლიქნით ამას გააგებდა.

მაგრა მეფე არ გაება, ის რომ საფრხეს მოუგებდა:
და მეფემ მოკლა, გაუგზავნა, თავსა შუბზედ აუგებდა.

425. თუ მე მამრალებს პაპისას ძველს რასმე დანაშაუვებსა,
ლუარსაბ მეფეს რადლა ჰქლავს პირად მზეს, არ თუ შაუვებსა?
სვიმონ მეფემან მსახურა, ურუმებს სთხოვდა დავებსა,
და ქართლი სულ ურუმთ ეკირა, გაუყრის მათ ფაშაებსა.

426. ურუმთ ეკირა ქართლი და აღრიბეყანი, შირვანი,
ასრე მათ ეპყრა ციხენი, ვით შიგნით ბასრა, იქ ვანი,
უცილებლად და უომრად არვისგან ჰქონდათ მით ვანი.
და არიგებლიან მათს წესზედ, მათი აქ სწერდა მღივანი.

427. ვინ არ მივიდეს მათთანა, ყენთან მივლენ მჩივანი:
დაიპყრეს არდაველს აქეთ ვრანვლთ მოსაყივანი;
აქა-იქ დაიმალოდეს, ამაყად ველარ მყივანი,
და ზოგნი განერეს, ივლტოდეს, შორს მყოფნი იყენეს სვიანი.

428. ეს როდის იყო, დედასა მცირე ყრმა ჰყვანდა შაბაზს.
სვიმონ მეფესა უბძანა: ტყვეს ხმალი უნდა შაბაბს.
ქართლს გამოგზავნა საომრად, ურჟითა უნდა შაბაბს.
და არას ნალოობდენ სვიმონის, თუ ბოლოს ვინმე დაბაბს.

429. ბეგუმა თქვა: მეფეს სვიმონს შეუძლია გაძებანი,
ამის მეტსა არვის ძალუც გურგასლანის ბაძებანი.
კაცით ჰკადრა: შინ გაგიშვებ, იქმენ ჩემი ძმა-ძებანი,
და მრავალს მოგცემ, რა იქ მიხვალ, აღარ გინდა ჯართ ძებანი.

429ა. სვიმონ მეფემან შესთვალა: საქმე ვქმნა არ უკადრია,
რაცა გმსახურო, მოგესმას, მოწმად მყოფს თქვენი სადრია;
ღვთის ძალით ქართლში ურუმნი მოგსრნე, განვაძო აღრია.
და გმსახურო, არ დამისწავლით, ეს თქვენი რა საკადრია?

430. ძველი რამ ვიცი ამბავი მე ვახტანგ გორგასლისაო,
სპარსთ მეფის ლაშქრად წაყალა და სინდეთს მის მისვლისაო,
მისგან გოლიათთ დახოცა და მერმე ვინ მოშლისაო?
და მასავით მიზამთ, მე ვიცი, მოდგმა გაქვს თქვენ ასლისაო.

431. დიდმან ვახტანგ სინდთ მეფისა გოლიათნი ამოსწყვიდა,
ციხე ხელში გამოუღო, მეფობისგანც გამოსწყვიდა;
მერმე უთხრა სინდთ მეფემან: ვახტანგ, შენთვის ავად ჰყვი და,
და მისი ხელი დაგემართა, საქმესა იქს რას ყვავი და.

432. ერთმან ყვავმა ქორის ქულა ნახა სადმე დავარდნილი,
მიიყვანა თავის ბუდეს, რად შემცდარა ავარდნილი?
მოიზარდა, ყვავმა ნახა ბახალეზზედ მივარდნილი,
და დაუქამა, ახლა დარჩა ყვავზედ დრო შემოვარდნილი.

433. რა ბახალეები დაქამა, გაშალა ბოლო მწვერვალი, ახლა ყუავს გამოღვარდა, მან თავსა დასდვა ეს ვალი. რად მოჰყევ ჩემზე ამასა, გრძლად გქონდა აქეთ სავლი, და მე გამათავა, აწ შენზედ მოიცილის, არ აქვს ზავალი.

434. მისი არ იყოს, მი ვეცი, ჯერ სამსახურსა დამაცლი, ლეთით, მე მგონია, ურუმთა ქართლიდამ ადრე გაგაცლი; ჩემზედ მოიცილით მას უკან, მათგან ციხეთა რა დავესკლი, და გამომიმეტებ ადვილად, წყალობა-პატივს ამაცლი.

435. მათ უთხრეს ფიცი საშიში და გამომგზავნეს ხლმიანი, გამოისტუმრეს მებრძოლი ყაირათ-ნამუსიანი; მოვიდა ბევრჯელ შეება და ურუმთ უყო ზიანი, და მუდამ მას გაემარჯოდა, ბოლოდ ვერ არის სვიანი.

436. რაც ციხე ჰქონდათ, აილო, არცერთი არ დაანება, ურუმნი ქართლით განდევნა, ყაენისა ქნა მან ნება, ქართლი იმათვე უშოვნა, თავის თავს უყო სავენება. და მისი არაკი ლუარსაბს მეფეს არ მოეგონება.

437. გორი, ქალაქი, სამშვილდე, აღჯაყალა და დმანისი ურუმთ ეპირა ერთ-პირად, ვით კარი, ანუ ანისი; სულ სვიმონ მეფემ აილო, რას გარდევია და ან ისი? და მალე ჩაიელის მათ წინა ნაქნარი ეს სვიმანისი.

438. მერმე ურუმთ დაიპირეს მეფე სვიმონ ალგეთს—ფარცხის, ბევრჯელ ომი კარგად მოხნის, ხან დარჩის რომ ვერ დაფარცხის; სისხლი იცხის მტერთა მისთა და თავისი მას გარდასცხის, და ბოლო ამით გარდაუწყდა, ჩაიყვანეს სტამბოლს მარცხ ის.

439. ასრე იყო ნამსახური პაპითა და თვითან თავით, მსახურებდის, აამებდა, არვის ახსოვს მაზედ დავით; არასფერსა არ აწყენდა, მიჰყებოდა ვით სადავით, და მათ რომ ბევრი კარგიც გიყონ, ბოლო მოაქვს ისრევე ავით.

440. ამას ნუ ბრძანებთ ნურავინ, მე მისთვის რამე მეწყინოს, უარი მეთქვას რისამე, ან წყენა მე ღამეჩინოს; მაგრამ ესე სწადს, საკუთრად კახეთი მან დაირჩინოს, და ბაგრატიონნი გასწყვიტოს და არსად არ მოარჩინოს.

441. პირველ მიველ, ძმა მივართვი და მერმე დაც. იქ ჩავგვარე, რაც ყმა მთხოვა, ყველა მიეცე, იმას რამცა წამოვგვარე! არ შემჯერდა არას საქმით, ვერაფერი მოუგვარე, და თუმც უფროსი ავი მიყო, მაგრამ მეც სამ გავაჯავრე.

ამბავი პირველი შაბაზ ჯანისა ქახეთსა და ქართლს მოსვლა, და ორთავ მფხვ
იმერეთს წასვლა—ქართველთ მუჟის ბატონის ლუარსაბისა და ქახთ მუჟის
ბატონის თეიმურაზისა, ბატონაზისა და მამუნის წარმოა, რაგვა, ტყვეობა
და აოხრება მოუკლველი და დაუღვემელი

442. ოდეს შაბაზ ჩემზედა საქმე ქნა ეს მისეული,
აიწყო ჩემი მტერობა, ბოლომდის არ დაღუული,
ქვეყანა ამომიწყვიდა, თავადნი მუნ ბევრეული.
და არ გაძლა ჩემის სისხლითა, ვირემ არ მოკვდა წყეული.

443. განჯას მოვიდა მოპარვით, ამბავი ვერ ვსცანთ მოსვლისა,
სიტყვა რამ შემოეთვალა იქილამ სხვაგან წასვლისა.
გამწარდა საქმე სოფლისა, მზე მიდრკა ქედად დასვლისა,
და გვიპირებს ბნელი დაფარვას, ჟამი ჩანს ნათლის ჩასვლისა.

444. დაიწყო თხოვა შეიღებ[ი]ს, უფროსი ერთს, დედის ერთსა;
მიეცე ყველა, რაცა მთხოვა, არა ვპრიდე ცოდვას მათსა.
დედა-შვილთა გაყრისათვის მარისხებდეს ცათა ღმერთსა.
და ჰგვანდა მაშინ კახეთშიგან მეგვიპტურსა რისხვას ათსა.

445. მაშინც არ იქნა, არ დასცხრა ზღვა ქარით იძულებული,
პირცეცხლიანი, უწყალო, ვეშაპი განძინებული,
მრავალჯერ გამარჯვებული, მტერზედანი აღაღებული,
და მომსრველი, ამომწყვედელი, დამწველი, ცეცხლ-მოღებული.

446. აწ ესელა ვთქვა ამბავი, ვაი ამ დღისა მხსენესა!
რა დიდი მტერი ამკადე, ბოლომდი არ მამხსენ ესა,
რაცა დანასკვე ჩემზედა, აროდეს არ გამხსენ ესა.
და რომელიც დამრჩეს, ჰკითხვედეთ ამისსა თქვენ მომხსენესა.

447. დედა-მისმა ჩემთვის შობა იგი ასრე ჩანასხამი,
მუღმად ჩემის სისხლის მსმელი, გესლიანი ჩანასხამი;
ტახტზედ იჯდა სამესისხლოდ, არ ეხვია ჩან ას-ხამი,
და ტანს იცვემდა სასალუქოს, სხვაგან ეღვა ჩანას-ხამი.

448. სულ მოვიდა ერანითა, თურქ-ლორით და არაბითა,
ზახირა თან მოიტანა ურმებით და არაბითა;
ღვინოს სეემდა სისხლად ჩემდა, თრიაქს სქამდა არ აბითა,
და ჩემიმც ცოდვა თქვენ გვიღია, ვინც მოუშვით, არ აბითა!

449. სპანი ბევრი უამრავი ერანილამ მან მოასხა,
ჩვიონი მოსრნა, ვით ჰეროდემ, მოწიფულნი თან წაასხა;
მან ძველითგან ჩათხეული გესლი მაშინ წარმოასხა,
და ერთგულები დამიხოცა, ორგულთ ტყავი წამოასხა.

450. მოვიდა მძლავრი, უწყალო, არად არ შემობრალეზდა,
დამიწვა სრულად კახეთი, სახმილსა გამიალეზდა;

ვერსად დაუდგა ციხენა, სიმაგრით თუმცა სალებდა.
და მას ქურუმთაგან ნასწავლსა საქმესა მე მებრალეზდა.

451. შეილი ეთხოვნა: მამეცო, გავზრდიო შენებრ სათუთად,
სიტკბოთ და სიყვარულითა, არ მეავედ, ვითა ხართუთად,
მოიწიფოს და მალ მოგცემ ასპარეზსშიგან საბურთად.
და მესროდა მწარეს სიტყვასა, წინ უჯგ სრულად, ვით ბუთად.

452. ვიცოდი არასფერითა დაშლიდა აღარ მოსვლასა,
რაც ქნა, ეს სწადდა საქნელად, ტყუოდა სხვაგან წასვლასა.
მირჩევენ შეილის მიცემას, ჩემთვის მზის შუქთა დასვლასა,
და შეხვეწნას, დედის გაგზავნას, უთუოდ მის წინ მისვლასა.

453. მივაგებე დედაზემი, აღიქსანდრე თან წაგვარა.
„ეს ცოტაა, არ მინდაო“, დაუწუნა, რა მიგვარა.
აწ უფროსი უნდა მივსცე, საქმე ასრე მამიგვარა.
და ეს სწადიან, ამომწყვიტოს თავ-შეილიან, გვარის-გვარა.

454. ეთქვა თუ: „ასე ცოტასა რას ვაქნევ, არ ვარ ძიძაო,
რა გავათ მე გაგზარდო, ვითამ ვჰყოფილვარ ბიძაო“.
გულში სხვა უძევს, ენითა მან ქლაკვი გააქინძაო.
და მწარესაც ტკბილად იტყოდა, ბადენი დამიხინძაო.

455. მეორე კაცი მოვიდა მათის საფიცრით მტკიცითა:
ერთი ღმერთი და მეორე ჩვენ ფელამბარი ვიცითა,
აქაც მყოფი და ყოველგან ქვეყნად და კვალად ვიცითა.
და თუ ლევან მამცე, ეს მოგცე, ეს დამიჯერე ფიცითა“.

456. დედაჩემს შემოეთვალა: „კვლავცა მინახავს ესეო,
წამოსვლა ავად ვარჩიე, მოვიმკე დანათესიო,
უწინ რომ მაპატიებდა, არ არის მის მოწესეო.
და—რას ჰქვიან ეგეც არ მოსცე? თვით არის უკეთეს ეო!“

457. ვიცოდი უსაცილობით, რაც იმას სწადდა საქნელად,
მასრულეზს ამოსაწყვეტლად ამოდ, წყნარად და ნელ-ნელად;
მაშინ თამამად წახდენა მას ჰქონდა გულ-გასაძნელად,
და ორთავე თვალთა სინათლე უნდა შემიქნას მე ბნელად.

458. უთხარ: „კახნო, დამესხენით, თქვენი რჩევა არ ივარგსა,
რა ამასაც გამომართმევს, ჩვენ გავასწრებთ ველარ ბარგსა,
შემოგვიტევს მასვე წამბა, სრულ წარმოსცლის მისსა დარგსა.
და ლევანსა და აღიქსანდრეს რად მიკარგავთ ორსავე კარგსა?!“

459. გარდაიცვებს თავს საბელი, კახთ სულ ასრე დაიყინეს:
„ქვეყნისა და თავისათვის რად არ დასთმო, თქვა ეს ვინ ეს?“
მერამე კიდევ უარი ვსატქვი, გამორჩენით მათ იწყინეს.
და გამომართვეს, გაუგზავნეს, გაზაფხული მამიყინეს.

460. ორივე შვილი გამომართვა, მერმე მეცა დამიბარა.
თუ მეც მასთან მივსულიყავ, ჩემ წილ აქლა დამიბა რა?
რა არ მიველ, შემოვიდა, ბარი მთად ყო, მთა მიბარა,
და სულ კახეთი ამიოხრა, საძირკველიც დამიბარა.

461. დამიჟინეს მეც ზოგ-ზოგმა: „თუ არ მიხვალ, თემი წახნა“-
შიში ათქმევს უქნელს საქმეს, თვარ გუნებას ვინ ვერ ჩახნა?
თუ მეც მასთან მივსულიყავ, კიდევ უფრო არ გაოხრდა?
და აგვერია შიგნით საქმე, ღვთის რისხვითა ასრე მოხნა.

462. მაშინდელი საქმეება არ იმბობის სრულა წვრილად,
ასრე ვამბობ სრულ ნაკლულად, ვითამ იყოს რამე ჩრდილად.
წყნარა-წყნარა მოგვიახლა იგი სადმე სიტყვა-რბილად.
და ვიდრე მართლა არ მოვიდა, მოსვლა ჰქონდათ ზოგთ საცილად..

463. აწ ეგების ეს გეგონოს, მაშინ ვერას ვერ შევსძლებდი?
თავს გავრჯიდი სასიკედილოდ, ზოგს მასაც რას დავაკლებდი,
ქვეყანასა დანდობილსა არც სრულ ისრე ავაკლებდი.
და დაგვამშვიდა ტბილის სიტყვით, ჯებირს არსად არ ვავლებდი.

464. რა შევიტყვე მართლა მოსვლა, სხვა ველარა გავაწყევით,
მუკუზნიდამ ვალმა მთამდი სრულ ჯებირი წავევლევით,
გავჯებირეთ ორს მთას შუა, უკან რაზმი დავაწყევით.
და რა შეიგნა, მოგვაშურა, ვითა შმაგი მოვა წყევით.

465. ზოგი კიდევ მისვლას მირჩევს და ზოგ-ზოგნი არჩევს შებმას,
რჯულისათვის სისხლთა დაღერას, კვლავ საომრად ხლმისა შებმას;
ასე მოაქვს რჩევაშიგა ერთმანერთის სიტყვის აბმას.
და ომი ველარ გაუმართეთ, რა ლამოდეს ჩემს იქ დაბმას.

466. ვინც ან ღმერთი შეიყვარა და ანუ მე მიერდგულა,
წამომყვეს და წამოვედით, ჯებირს კარი დაეგულა.
ვინც იქ დარჩა, სიავეაკით ზოგნი ავად განეგულა.
და ამოსწყდეს და დაცატყვევდეს, დარჩეს დამწვარ-დადაგულა.

აჲა შალუთს ჯარრ ბაუაიგა, წინ დ:ხმდენ მფმსა, და მფმს ბამბარჯვა.

467. რა შეიტყო ჩვენი წასვლა, ჯარი ეალეთს გარდგვაგება;
მივედით და წინ დაგვიხედეს, რაც მათ უხნა, არ ეგება.
მივახლოვდით, შემოგვებნეს, ჩვენიც წინა მიეგება,
და დავამსხვრივეთ ზედ შუბები, მერმე მათიც მათ ეგება.

468. გაგვემარჯვა უზიანოდ, შევანანეთ წინ დახლომა,
წავეიქიეთ წინ მეოტნი, შევაქნენით კლდეთა ხლომა.
თუ კაცი მხნედ დაუხედებათ, აგრე იცის მათმან ტომა,
და პირველ ესრე გაგვემარჯვა, მახალისა ამა ომა.

აჭა მიფე ლუარსაჲ და ჭართველინი ღარბანიანი და მიფე თეიმფრაჲ და კახნი ღარბანიანი შიიჰარანს მუხრანს და არჩინს თაჰისი და ჰჰეჰენის საქჰე. ზოგჰან ზოგი თჰჰა და ზოგჰან ზოგი

469. გავლეთ ერწო და არაგვი, შეეყვარეთ მუხრანს მეფეს, მომილოცა გამარჯვება და მუნ მათსა სისხლთა მჩქეფეს. მერმე მითხრა სიცილითა: „არ უჯობდა შენსა სეფეს, და კარგს დროს დრო რამ ავი შეგვხვდა, ჩვენ ორთავე ვარდთა მკრეფეს“.

470. მიბძანა თუ: „როგორ დახვდი მცირეს სტუმარს უცებ მოსულს? პურადობას იჩემებდი, არ უჭერდი სტუმარსა სულს, მზიარულად დახვდებოდი, აწ გეძებენ სადღაც წასულს, და პურად კარგს და გულად უხვსა, ახლა გხედავ შენ დანასულს“.

471. მოვახსენე: შენც გეწვევა, გაგიჩნდება ვით დახვდები, თუ შენ მაშინც ღიბინს აჩვენებ, ჩემგან უფრო გაუხვდები, ან გაიციდი თვალთა წინა ანუ ხელში მოუხვდები. და ნუ დამციინი, შენმა მზემან, გავს, რომ მარტო ჰე არ ვხდები.

472. შეგვექნა იქაც რჩევა და ერთად რამ შეყრილობანი, გაგრძელდა რჩევა ქართული, სიტყვა და ვაზირობანი, ჩვენს ყმათა მასთან ყოფა და ჩვენ მეფეთ მით შემცრობანი. და უცოდნი გვაბრალებდინ, გვიზარახეს მართ შემცდრობანი.

473. ქართველთა დიდებულთაგან უფროსი იმას ჰყოლოდა, არაგვისა და თვით ქსინისა ერისთავებ კამყოლოდა, ანდუყაფარ და ფეშანგი, აღათანგც მას აჰყოლოდა, და ნოდარ და დავით კახი ჰყვა, შე ვინღა წამამყოლოდა?

474. მორავიდოდა, ესენი უწინვე მასთან წავიდენ. ჩემნი ყმანი რომ ვახსენე, ჩემგან გაგზავნით ჩავიდენ. ესთქვი სიკვილის ვერ აესცილდები, სისხლს ვადენ, ანუ და ვიდენ, და ხორცი აქ მიწად გარდიქცეს, სულეები ზეცად ავიდენ.

475. ვერცა რა ერთად გავაწყვეთ, რადგან ეს სწადლა ღმერთსაო, სხვაზედ რაზედამც ვიქადო, ვაბრალებთ ერთი-ერთსაო. ველარც სად ქართლშიგ დავდეგით და ველარც ქვე ერეთსაო, და ავიყარენით, ვიარეთ, მიემართეთ იმერეთსაო.

476. გარდავლეთ ღიბი, მივედით ადგილსა იმერელთასა. გიორგი მეფე მობძანდა სამყოფსა წერეთელთასა, წინ მოგვეგება, გვესალმა საჩხერეს, ადგილს ველთასა. და დავივანენით სამყოფსა მუნ სახლსა კარგთა ქველთასა.

477. მიგვიბატია ქუთაის[ს] მუნ ტახტსა მეფეთ დგმულეზსა, გვიალერსებდა ვით შეილთა, გვანაცვალებდა გულეზსა,

შეჭირვებისა სევდასა უკუგვეყრის მუნ მისულებსა.
და მასთანა მყოფნი მეფენი ვგვანდით მართ უფლისწულებსა.

ამა შაბაზჳ შანისაგან გორს მოსვლა და მჳრის ბიოგობის მოციჳლოგა

478. მაშინ შაბაზჳ-თან მოგვეყვა, მოვიდა, დადგა ში—გორსა.
მეფეს დაუწყო ელჩს გზაენა: „ნუ შეიხიზნავე შენს გორსა,
რაც გინდა, ფიცით აღგითქვამ, თუ ხელთა მამცემ მაგ ორსა,
და თვალ-მარგალიტსაც ესეთსა, მოედანს ბურთებრ იგორსა.

479. თუ არ მამცემ, უსაცილოდ მთის ძირი მოვალ, სომანეთსა,
კარგი თურმე არ გნდომია, მაშ შევებნეთ ერ-მანერთსა;
სხვა რაზმი რომ აქავ იდგეს, წინა მოვა საკანეთსა,
და მანდ კი ველარ დამიდგები, წაბძანდები ოუ სვანეთსა“.

480. მეფეს ასმოდა მუნ მჯდომსა, კანდარს ქვეშ სდგმოდა სელაი,
გაპკვირვებოდა: „ამაზედ ელჩი რა მოსასვლელია?“
კაცი გაგზავნა. მობძანდენ დადიან-გურიელია,—
და უმათოდ ელჩს არ შევიყრი, მათცა ცნან რა ყრიელია.

481. მოვიდენ გეგუთს, სამნივე მეფენიც მუნვე ჩავედით.
გიორგი მეფე მაშინლა მდიდარი იყო სვე-ბედით.
სხვას მისებრ მჯდომსა ხელმწიფეს ტყუის, ვინ აქებს გაბედით:
და ჯავრი კაეს ჰკრევედა, ცეცხლს ჰყრიდა, ჩვენ მოგვიდებდა აბედით.

482. მერმე ელჩი მოიყვანეს, ჩვენ რამ საქმე ეს მოგვიხდა.
მოახსენა რაც იცოდა, მას სიტყვის თქმა არ მოუხდა.
უბრძანა თუ: „ვაჟო, რა სთქვი, მეფეს აგრე ვინ მოუხდა?
და ნულარ იტყვი მაგ სიტყვასა, ჯავრით გული შემიწუხდა.

483. ვით მოჰხდებდა ეგე აგრე, ძმა და შვილი აღვილ გავსცე,
ლიხს იქითი საქართველო ავილო და პირქვე დავსცე?
ხელდაკრული არათ უნდა, ამათ ყმასა მე ვითა ვსცე,
და სმა, ლხინი და გახარება უამათოდ მე თავსა ვსცე?“

484. არჩივს, მეფემ დაასკვნა თავისის ელჩის გაგზავნა,
აფხაზთა კათალიკოზი, ვინ ანგელოზსა ეგვანა,
სხვა აბაშიძე ლევანცა, თვით სიტყვით მას შეეგვანა.
და დილა გათენდა, ელჩიცა მოიხმეს სად დაეგანა.

485. აბარებდა: მოახსენე ხელმწიფესა მას მალალსა,
სამართალი მეფეთ ეს არს, შენახვეწს კაცს შეიწყალსა.
თუ რამ ამათ. დააშავეს, ვხედავთ თავსა დანაბრალსა,
და რისხვა დიდი გარდაჰხდია, გეხვეწები აწ წამალსა.

486. თვით იცათ დილო ხელმწიფევე, ჩვენცა კაცი ვართ სეფენი,
გვარი გვაქვს დავითიანი, მას მონდა ყოვლი მეფენი;

აწ უპატიოდ ნუ გაგვხვდით, ხეყნით ვართ შემომკეფენი:
და უბოძე ორთავ თვის-თვისი, უცხად ჰქენ სიიფენი.

487. აწ ეს შეიძლევნ ფეშქაშად ხიეწნა და მულარებანი.
შენ, ბრძენო, კარგად ისმინე ეს-ჩემი უმეტრებანი;
უხვად წყალობა მოჰფინე ხმა-ტკბილი, ვითა ებანი,
და პატივი დამდევე, წაბძანდი, ამაო ქნან მანდეთ რებანი.

488. დააბარა ესე სიტყვა, ფეშქაშიცა გაუგზავნა:
„ესე არის ჩემი ხეეწნა, ნულარ არის ძალით თხოვნა.“
სულ არც რბილი შეუთვალა, ნება ძალსა დაავანა.
და „ესეც ჰკადრეთ ბოლო სიტყვა: «არ იქნების ძალად შოვნა».

489. მერმე უთხრა კათალიკოსს, ვის ეწოდა მალაქია:
„მიდი სიტყვა გაუსინჯე, ბრძენი ხარ და მალ აქია.
ამათს ბაღსა ვაროი დარჯე, მოგესწრების მალ აქია,
და ჰკადრე, თუ კი არ უპოძებ, ოხრად გახდეს ქალაქია.“

490. რა მოვიდა, კარგად დახვდა კათალიკოსს და ელჩებსა.
აწ უყურე მას გრძნეულსა ვით მოიხმარს მის ხლათებსა,
უალერსებს ტკბილად რამე, სიტყვას ეტყვის საამებსა.
და ძალის საქმე გარდასწყვიტე, ხელს მიიყოფს ილათებსა.

491. მოახსენეს ელჩო მათი და თვითან არის ამის მთქმელი:
„ლუარსაბის სამდღრავსა, კათალიკოხო, ნუ მელი,
ჩემი არის თვიმურაზ ძველითგანევე სისხლის მსმელი,
და პაპა-მისმა ქალი მამცა, რად წამართვა, რად მყო მელი?

492. რადგან ორნივე აღარ მამცა, მაშ ლუარსაბ შემარიგოს,
თვიმურაზს ნუ აჰყევი, მეფემ ასრე დაარიგოს.
ფიცი მიესცე საშინელი, გრძლად რაც სიტყვა წაარიგოს,
და ქართლიც მივეცე, სხვა წყალობაც, შევანატრო აწ არ იგ ოს.“

493. აავსო საჩუქართა ბერი და ერი ორივე.
ჰოი ბოროტო, მაცთურო, სიმართლეს ვითა ო რივე.
გული დმგვრიმე საკვდავად, ლაზვარი ესრეთ ო რივე.
და ამხანაგსა და მოყვარეს რადა მყრი, ხნით ვართ სწორივე.

494. ესენი გამოსიტუმრა და აწ მიიხმო შადიმან
ბართაშვილი, სუფრაჩი, უბრძანა: „შიგნით შადი“—მან.
მეფე სახელით ახსენა, ცრემლად აღინა შადი მან:
და „ეს რა ქნა ჩემ[შ]ა ლუარსაბ, აღარ მახსენა შად იმან?“

495. უბრძანა: „მისო გამზრდელი, რა უყავ ლუარსაბ-ხანო?
რად ააყოლეთ კახთ მეფეს პირუტყვნო, დასაძრახანო!
ჩემი სევე გული მისი და, ჩემი გულისა საფხანო,
და უბესა მივსებს ცრემლითა სამუდმოდ, არ ხახდახანო.

496. აწ, ამათ წაპყევ, ამ თეცით მაჰმადმცა მამითხრიაო, ლორიმც მის საფლავს ჩამიკლავს და მის წილ ჩამიყრიაო, ის სახელმწიფოს წამართომს და კკევზედ გარდამრიაო“. და სიტყვით ეს უთხრა, დაწერა, რაყამში განამრიაო.

497. მალ მისვლასა აბარებდა: „სხვასაც მივსცემ, ქართლს ვინ უქერს? პაპის მისის შვილის-შვილი აპყოლია რად ის ჩემს მტერს? მას არ ახსოვს, სვირ-ნ ჴეფემ თუ რა უყო ურუმთა ერს? და არა სჯერა ამ საფიცა-ის, იმას მივცემ, რას ის დასწერს“.

498. ერთი ხოჯა მუსაიბი, შანად ხმალი მურასობდა, ამითანეე გამოგზავნა, ერთმანერთთან ამგზავრობდა. არა გვანდა გათავებას, ბოლოდა ჩანს რას აობდა. და დამაც წიგნი მიუწერა, ვინ ყენსა ბაასობდა.

499. რა ეგონა შადიმანსა, კაცი თუ ცრემლს ტყუილად ღერის?! წამოვიდნენ მხიარულნი, თან სელა იწყეს მით წინა მძღერის. გარდმოვიდნენ იმერეთსა დამგდებელნი ქართლის სამძღერის. და ბოლოდა ცნა, ცრემლის წვეთა ჯაჯრით თურე მან აამღერის.

500. რა მოვიდინ, ეს ბრძანება ჩვენ და მეფეს მოგვიტანეს. ლუარსაბის შეწყნარებას სათუო არ დაატანეს. მალ დაჰპირდა ესეც წასვლას, სხვა სიტყვა არ გაატანეს. და მეფე უშლის ასე ძალზედ, მართ ხელებიც წაატანეს.

501. არ დაშალა იმან წასვლა მეფის თქმით და ჩემის კკვითა- — „ამ საფიცარს ვით არ ვენდო, შეუშინდე ნეტარ ვითა? ანუ ქართლი ავაოხრო დახოცით და მერმე წვითა.“ და გვითხრა: „წავალ უსაცილოდ, აბა თქვენ კი აქა სვითა!“

502. ლუარსაბ მეფეს ადამის ერთი არ სჯობდა ნაყოფი, თვალად და ტანად უცხო რამ, მართ მზისა გამონაყოფი, უხვი, ზნე-სრული, მამაცი, ლახერულებრ მტერთა ნაყოფი. და მაგრამ მას დაჟინებაზედ დაედგა მისი სამყოფი.

503. მეფე უშლიდა, უცხოდ რამ შვილებსა იმას არჩევდა, მტერზედა ეხმარებოდა, მის წილად თავსა უსევდა. თვით ლევან დადიანიცა წაუსვლელობას ურჩევდა, და და აძლია და მოყვრობა, მაგრამ ის კიდეე ურჩევდა.

504. რალას, უშველა ამ ამბის ვრცელად თქმა-გამოკიდება, გული განფიცხა, მაშინ ყო ნაეთმა ცეცხლ გამოკიდება; არ დაიშალა, ავად ქნა ჩვენგან მან გამოკიდება. დმ უთხარ: ჩემს ხმალსა უმისოდ აწ, ვით გაამო კიდება?

505. რა ბრალია ბევრს კარგ შიგან მცირე ავი გაეროოს, ანუ რჯულის სრმტიცესა წვალება რამ შეერაოს,

ან რიტორად ლექსის მთქმელსა ზოგან სიტყვა აეროს!
და ზეაობა და ამაყობა სხვას სიკეთეს მიეროს!

506. სიჩქარით კარგად ნაქმარი საქმე არ მოვა ბოლოსა,
ვინც აუჩქარდეს სოფელსა, აკომლდეს, აებოლოსა.
დიუნებასა მოყვასი დაემზოს დ[ა] ებოლოსა.
და სჯობს ავის საქმის შემოცდა, კარგსა არ დაებრკოლოსა.

507. ზოგი სხვა რამ იმწვინა, მისგან იყო არ საწყენი.
მეფე გვიჯდა შუაშიგან, არ ზეზედ წამონაყენი,
ერთხან ქულა მოიხადა, იქმნა ამით მონაწყენი,
და თქვა: „თუ არის ამხანაგი, რად შემექმნა ეს ყაენი?“

508. მოვახსენე: თავის წინა არ სჯობს ეგრე გაიზიდო,
თუ სოფელი შენ არ მოგყვეს, შენ გიხმს მისკე მიიზიდო.
აქანამდი თუ მალლოდი, ახლა ცოტად დაიზიდო,
და გულიც გქონდეს ფოლადისა, ზოგჯერ მშვილდებრ მოიზიდო.

509. რა მომხდარა მაგისთანა, სათუოშიგ თავი ივდო,
შენ წახდე და საბოლოოდ საძრახისი რამ დაიგდო?
დამიჯერე, აგრე გიჯობს გულიდალმე გარდაიგდო,
და ეგზომ მტერი შენნი მოსწყდეს, აღრე შენ დრო შემოიგდო.

510. შიხი-შვილთ და ყიზილბაშთა ამბავი თუ შენ არ იცი,
მამისმინე ყველას ვითხრობ, თუ როგორ სწამს იმით ფიცი;
ძველად უთქვამთ მათ ანდერძად, სიტყვა ესე დანამტკიცე:
და «რითაც მტერი მოატყუო, ნუ უზოგავ და მე ვიცი».

511. ამას ბძანებ: „თუ არ მივალ, ქართლს კახეთებრ წაახდენენ“, —
შენი მისვლით რომ წახდების, თუ არ მიხვალ, არ მაგდენენ.
რას წამს მიხვალ, თან წაგიყვანს თვალთა ცრემლთა დაგადენენ,
და ქრისტიანეთ მეფეთა წილ კვლა ხანებსა დაადენენ.

512. თუ შენს მეტი სხვა პატრონი ქართლს რამ უჩნდეს. შენიანი,
ანუ ძმა გყვეს, ანუ შვილი, გიყვოდეს შენ იანი,
არ დაგიშლი, მაშინ წადი სიტყვა-მქვერი, ენიანი;
და არა გყავს რა თავის მეტი, სოფელია სენიანი.

513. მართ ეგრევე მე გამხადა, რაცა მყვანდა ხელთა მივე,
მაგრამ არათ შემიწყნარა, რაზომ მისკენ მივიზივე.
დაერჩომილვართ ორნივ მარტო, აწ შენც მისკენ გაიწივე,
და თუ ეგ კარგად მოგივიდეს, მემც მოვჰკედე და შენც კი მივე!

514. აწ მეფემან დადიანი, გურიელიც თან იახლა,
მოვიდეს და დაუშალეს, მის წინ იწყეს თავის დახლა:
„ბევრჯელ უწინც მოვახსენეთ, დაგვიჯერე, მოდი, ახლა
და ნუ წახვალ და მოგვეხმარე“. მან ძველივე განაახლა.

515. მან მადლი ჰკადრა მეუესა წესისაებრ მართებული:
„ღმერთმან ადიდოს, ვით დიდ არს, სვე თქვენი დოვლათებული!
ვით შენს სიკეთეს შეჰფერობს, ეგრე ხარ ძმაზედ ძმებული,
და მაგრა, რალა ვქნა მას უკან, ქართლი ყონ ცეცხლ-მოღებული?!

516. კვლაც უთხრეს: „ცუდი მიზეზი აიწყე დაჟინებული,
შენს იქით ქართლს რას ხელსა ჰყრი, რა დარჩე სახლ-დავსებული?
მიხვიდე, მოგკლას, ან ტყვე გყოს, შენ იქნე დანაღვლებული,
და ნუ წახვალ, ეს სჯობს, ხმალი ვჰკრათ, გავაძოთ ვაგლახ-ვებული“.

517. რას უშველა გრძლად სიტყვის თქმა, თუ კაცი არ გაიგონებს?
კაცი ბრძენი, გონიერი ერთის წერთნითაც შეიგონებს.
დაჟინების ეტლზე მჯდომი მისვე მისა წაიგონებს,
და დასჯერდება მის რჩევასა, სხვას აღარას მოიგონებს.

518. დაშლის სიტყვა არ ისმინა, ვერ დაჰყარეს დგომის ღონე.
წამოვიდა, თან გამოჰყვა მეფე, მისი წინამძღონე.
კვლავლა ჰკადრეს: „არ გვისმინე, შენის წასულით დავვალონე,
და რადგან წახველ, გაემჩვენე, თავი კარგად მოაწონე“.

519. გამოგვესალმა, წავიდა, დავგყარან ღვიძლ-დაკოდილნი.
ვინცა გვიჰერეტდეს, იტყოდეს: „ერთად ყოფილან დაზრდილნი“.
შე გარდეთარა გორს სამე, ქვეყანა იქმნეს აჩრდილნი,
და ეგრეთ დაბნელდა ჩემთვის დღე, ბინდად მჩნდა დილა-სადილნი.

520. მივიდა, გორს დვა ყაენი, შექნეს თურ შეყრის ცილება:
„არ მივეგებო ცხენითა, ვით შევქნათ ცივთა თბილება?
მივეგებო და არ ხამდეს, მით საქმე დაიჩრდილება“.
და ეს თურმე გამოარჩიეს, იქეს მათ მათი ზრდილება:

521. „დილას შევსხდეთ სამინდოროთ და მიზეზით ნადირობის.
ისრე ცხენზე შევიყაროთ, ჯარი შესხდეს ერთ-პირობის,
განით სითმე მოვიყვანოთ, ვითამ ზედა მოგვესწრობის,
და მიგებებად ჩამოგვართვამს და სხვათა თქვან არაობის“.

522. შეიყარა ამ წესითა, მიიჩნიათ თავი სწორათ,
პირველ ყველა გაუგონა, სიტყვა მისი არ ყო ორათ,
მუსაიბად ლხინობდიან, არ დაისვის მისგან შორათ.
და თურმე უნდა სასიკვდილოდ დასტურობით, არ თუ ჰკორათ.

523. დაყვეს ხანი გორს მცირელი ლხინითა და დიდის შვებით,
მგოსნებით და მუშაითით, მწუხრი ქნიან გათენებით
აღერსით და ტბილის სიტყვით. ფერობით და მისის თნებით.
და რაც იამის, აამებდის, ხელს უწყობდის მოსვენებით.

524. ვა თუ თავი შეგაწყინე გრძლად სიტყვისა მოხსენებით!
აიყარა გორიდამე, მეფეც მიჰყავს ვითამ ნებით.

აწ შეიქნა მწუხარება, ბევრ-გზის ჯერი, ცხრო და სნებით.
და უთხრა: „ქალაქს დაგადებო მტერთა შენთა მოყიენებით“.

521. ქალაქი დამც წაიტანა ყარაიის სანადიროთ,
უთხრა: „არ მით ვინადიროთ, მნათობთ წინა. თავი ვგმიროთ,
რაც ვისროლოთ ჩვენ ორთავე, კარგ სადავეთ მხეცთა ვგმიროთ,
და ნულარ მოვშლით ამ რჩევასა, ესე ასრე დავაპიროთ“.

526. აიყარნეს და წაეიდნენ, მათ შექნეს მინდორობანი,
გარ შემოერტყნეს ველებსა, ნადირთა უყვეს სწრობანი.
თვითან შუაზედ დაკარდეს, სროლით ქნეს მკლავთა შრობანი,
და ქალნი ჩიხილამ აპვერტნეს, ვინც ქნის ისრისა სობანი.

527. მათ მოსლოდა ჯოგი მრავლად და ესროლათ ქალთა კერეტით.
უცხოდ თურმე მოიწონეს, შექნილიყენენ ცნობა რეტით.
მიემსგავსა, როსტენ მეფეს ენადირა როს სპასპეტით:
და იმ ერძის დღის მეფის მოკლულს დასთელიდიან ოცხედ კენტით.

528. უბძანა, თუ: „მეფე, გხედავ ნანადირევეს კარგ დამალით,
ამ მინდერისა შენ შექცევა დაგავიწყო ყარაბალით.
იქამდიცა თან მიახელ, იქ ვისროლოთ კვლავ ნასალით“.
და რა ეს ესმა, ჩემი სიტყვა მოაგონდა გულსა-დალით.

529. წაიყვანა. დაბრუნება აღარ მოჰხვდა გამოშვებით,
აწ აშრაფი მაზანდარა უქო, ლხინზედ ისხდეს შეგებით:
„ისიც ნახე, ვინადიროთ, იქ ვისროლოთ კვლავ დავებით“.
და ამან სულთქენა: „მე არ მინდა, მაგრამ ვიცი არ მეშვებით“.

530. ყარაბალით ჩვენ წატანა გავიგონეთ დასტურობით,
ეთქვა: „მიკვირს, იმერეთსა რა მიმპირდა მე სტუმრობით!
ღმერთმან იცის, კარგათ მითხრეს ზოგთ კუყით და ზოგთ მოყრობით,
და მაგრამ რა ვქნა, წასულს საქმეს ახლა რითლა მივესწრობით?“

531. მიიყვანა მაზანდარას, მუნ შეიტყო მან სიკვდილი,
მომიტირეთ ცოცხალივე, ვირე გიჩნდეს ჩემი ჩრდილი,
უთხრა თურე მისთა ყმათა: „სიკეთისა ვით ვარ ზრდილი,
და გამიცულდა ყოველი კარგი და ძალისა მე ქაიდილი“.

532. დაჯდა, ყმათა მიუტირეს გამზრდელთა და ვინ ჰყვა ზრდილი:
„ყოვლთ ხელმწიფეთ უმჯობესო, აღგვისრულე ჩვენ წადილი,
უბინდოვ და მოწმენდილო, ვით ღამდები ძოღან დილი?
და ოდეს მოჰსრენ თათარხანი ხელთ მახვილი გქონდა წვედილი“.

533. ეტირათ ვითა მართებდათ, უქეს საქებსა საქები:
„მშვიდო, მდაბალო მოწყალევე, კვლავ ურჩს გალევდა ბაქები,
ვინ შენი მკვერეტი, ეტყოდა მკვერეტთა: «ნუ მიხვალ, აქ ები».
და ყოვლის სიკეთის უკლებო, რალა ვსთქვათ იქით-აქებში“

534. ეზიარა, გარდასწყვიტა სიცოცხლისა მან იმედი, ემღუროდა დაჟინებას, დაიწყევლა ჭკვა და ბედი: „ვინ მირჩიეთ აქ წამოსვლა, რა მწვევ ავად დაიყბედი?“ და ყმათ გაჰყარეს, მზეც ჩავიდა, დააჩრდილა აქეთ ქელი.

535. რაცა სწაღდა, გაათავა, მტერობისა მანა დასო, ხორცი ჩვენი მაძლირე ქამა და სისხლიცა ხარბად ასო, მაგრამ ქართლს და კახეთშიგა საპატრონოდ ვერვინ დასო. და ემღუროდეს მას ქალები, ვით ნესტანჯარ მამიდასო.

ამა ნოღარ ჯორჯაძისაგან ლა. ლავით ასლანის-შვილისაგან ბატონის თემიშურაზის კახეთსჳე ჩაჰყვანა

536. კახეთი ნოდარს და დავითს მან მიბარა სულობით, მაგრამ მათ მისი ბრძანება მალ გაუცუდეს წბილობით; მესამეს თვესა ორთავე მოგზავნეს კაცი ყრილობით: და „მობძანდი შენსავე ტახტზედა, მონა ვართ გვარისშვილობით“.

537. რა მოვიდენ მოციქულნი და ეს სიტყვა გაგვაგონეს, ზოგთა შექნეს სიხარული, ზოგთ იქვი რამ მოიგონეს. მაგრამ მე ესთქვი, ყმათა ჩემთა რად არ თავი დამამონეს? და აწ შეფესაც მოახსენეს, მათნი თქმულნი მოაწონეს.

538. მეფემ ბრძანა: „ქარგად ქნილა ამ ამბისა ასრე მოსვლა, მეცა თანა წამოგყვები, აღრე კვმართებს იქითა სვლა, დადიანს და გურიელსა მალ ვაცნობოთ ჩვენი წასვლა“. და ორთავ კაცი გაუგზავნე, არ ვაცალე მზისა დასვლა.

539. იგინიცა მალ-მობძანდენ მათის ჯარით დაკაზმულნი, თავს შეედვათ ჩვენი სიტყვა, ვერა ვნახეთ ხანდაზმულნი. შეიყარნეს მუნ სიმრავლე დიდებულნი ცხენთა სმულნი. და აღარ ვჰყოვნეთ, წამოვედით, ველარც გენახეს მუნლა სმულნი.

540. გარდმოვიარეთ ლიხის მთა, ქართლისა სიგარძე ჩავლევით, მოვისწრაფოდით მალ მისვლას, არ ხან-ყოვნებით, მალევით. ყოვლგნით გაისმის მისვლის-ხმა, მე მაშინ დავიმალე ვით? და დიდხანს ყოველი ორგული შიშითა მყვანდა ვალევით.

541. თვით არაგვამდის თან მომყვეს მეფე და სხვა ბატონები, იგინიც იქით გაბრუნდეს, მათიც ჯარ-მონატანები. არაგვს გამოველ, გამომყვა მამდა საროტანები, და მითხრა თუ: „მათზე მეტი ვჰქენ, მე არაგვს გამომყვანები“.

542. რა კახეთს ჩაველ, დამიხვდა დამწვარი; გამტერებულნი. ვჰკვირობდი გუნებაშიგა, რად მექმნა ამტერებული? რაც მორჩომოდეს, მოვიდეს მტირალნი, დაშტერებულნი, და ვერას ვარგებდით, თვარემ და ვიყვენით ვაგლახებულნი.

543. რაც ხამდა მაშინ რიგება ჩვენგან ქვეყნისა ჩვენისა, გაფაროვით და გათავდა მუნ სიმძიმელი წყენისა. აწ არავისა ომზედა ხმარება გვიხამს ენისა, და მრავალთ ყიზილბაშთ გაწყვეტა, სისხლი რულ მინადენისა.

ამა მრანის ხელშეწყობა ჰანმა ბაიგონა მფოს თაიფურაზის იმპერატორდა მარდომსვლა და ქახეთს ჩასვლა, და ალიზულიხან და სრულ შიზილბაშნი ბამოგზაჰნა და არავისად წინ ბარდუშენა. შიზილბაშ და გოლოს ბატონს თაიფურაზს გამმარაჰმა

544. ესმა შიბაბაზს მუნ ჩასვლა, გარისხდა უსამართლობით, ალიყულიხან მიხიზო დილას, არ თურე მთვარლობით: „კვლა თეიმურაზ მოსულა, უყურე, თავის ძალობით! და სრულ ყიზილბაშთა გაახლებ, იარე მუხლად-მალობით.

545. მიდი და წინ გარდაუდგე, შეჟარ კარგად გზებია, იმერეთს არ გარდაგასწრას, დაცევე ტყე ან უგზებია; მეც მოვალ აღრე, შევიპყრობთ, ცეცხლით ვჰყოთ ანაგზებია, და მის ყმას მას უჟან სათქმელი რალა აქეს მიზუზებია?“

546. გამოგზავნა ერანითა, არ დააკლო ყულის მეტი, თოფხანა და ჯაბახანა მოემზადა მეტის-მეტი; სხვას საომარს იარალსა მოუმატა რკინის კეტი, და მაგრამ ღმერთი გაურისხდათ, არ ჰფარევედა ნათლის სვეტი.

547. ალიყულიხან არავგზე მოვიდა, დაივანებდა, კარავს და ოთალს იდგემდა, სხვასა წინ მოივანებდა, ვისი ეგონა „შევიპყრობ“, ის უფრო დიდად აენებდა. და ცოტა მაცალე, გიამბობ მოსვლას ვით დანიანებდა!

548. რა შევიგნეთ მისი მოსვლა, ავემზადეთ ჩვენც საომრათ, შეყრილთ მუნვე მივაშურეთ, არ გავყავით ჯარი ორათ; ყარაული დაეყენათ მათ ახლორე, არ თუ შორათ. და მაშინდელი ჩვენი სიმბენ თუ ჰველა ესთქვათ, შენ თქმა კორათ.

549. შუადლისას მიუხედით მათ ცხენილამ გარდამხდართა, მაგრამ მაშინც აღრე იგრძნეს და გაეწყვენეს მარცხნივ მხართა. ჩვენ მივედით, მეწინავე ზედან შეჭხდა დიდთა ჯართა. და ქისიყელთა გაუქირდათ, მიკვირს, ან კი ვით შეჰმართათ?

550. მიეშველნენ მემარცხენი ენისნელთა დროშა მალე, კვლავ შეიქმნა ცემა დიდი, ველარ პოვეს მათ წამალე; ასწავლიდეს ერთმანეთსა: „მკედარშიგ თაეი მო წამალე“. და გულნი მათნი გავაცვილე, ჩემთა ყმათა გავასალე.

551. შეუზახე: ჩემნო ყმანო, თაენი თქვენნი ისაამეთ, მოგონეთ მოწამენი, თქვენც ეწამეთ, ისა ამეთ,

არ ისმინოთ ესე სიტყვა, მიუამშიგან მელადამეთ,
და მათ რომ შუბი ჩვენთვის სწადის, ბარემ თქვენნი თქვენვე დამეთ.

552. მათ მიყვილეს: „ჰე, მეფეო, ნუ ექვ თავნი დაეიზოგოთ;
ამოგსწყვიტოთ უმრავლესნი, არ წვრილად გამოეიზოგოთ;
თუ სრულ თავს ვერ აუვიდეო, ღვთით მგონი რამ გან ვაზოგოთ,
და მკედართა მათთა მხეცნი სკამდეს, არ საფლავი განუგოზოთ“.

553. პირველ შუბი მოვიქნივე, მერმე მიეჭყავე ხმალსა ხელი,
ხმალმოწვილი გავერივე; ვაქნევინე ომ-სახელი;
კვლაცა ლახტი დაეამსხვრიე, ვინ ახლოს მყვა მონახელი,
და სრულ ლაშქარნი გაცაჰკვირდეს თქვეს: „არისო ესე ხელი“.

554. მიმსიენის ერთპირობით, ვითა ვეფხი კანჯრის ჯოგსა,
დახოცნეს და ამოსწყვიტნეს, არათ გვანდეს დანაზოგსა;
მოლებსაცა უწყულად ჰხოცდეს, თილისმიან მათსა მოგვსა.
და ამის მთქმელი მართალს უბნობს, ნურვინ ჰგონებთ ცულად ბოროსა.

555. რაც გარდაგჩა, მალ გავგექენეს, ვინ-ვის წინა წაუსწრობდა.
ჩვენ შეგვექმნა ცა უღრუბლო, მათზედ მეხით ავდარობდა.
გაქეულნი წიწამურის ღელეს ღრმასა აავსებდა,
და ცხენით ზედან გარდვიარეთ, ვით ვაკეზედ ვერე რბოდა.

556. ბინდამდისი არ მოვეშვით, ვჰხოცდით მეტად ჩვენ უწყალოდ,
არ შეგვეწყალოდათ ნაჯავრებთა, რაზომ ვსკრიდით მათ საბრალოდ.
ცხენნი მათნი მუხლად-მალე დაუზანტდეს მათ სამალოდ,
და იარაღსა გარდმოჰყრიდეს, გვითხრეს: „სიკვდილს აღარ მალოდ“.

557. ნაომართა და ნადევნთა გვეტყობის მაშერალობანი,
ვის რა ენების, იშოვნის, ვის განძთა ჰქონდის ცნობანი.
შური იძიეს მტერზედა, ქმნეს მრავლად ლახვარ-სობანი.
და გამარჯვებულთა გვიხარის, რადგან არ გვიყვეს ნლობანი.

558. მამილოცვიდეს, მასხმიდეს ქებასა, არ გინებასა:
„მგონი, მეფეო, ინანდეს ყაენი შენს გაძებასა.
აწ ამას იქით მებრძოლი, ნეტარ, ვსთქვათ, ვინ შეგებასა?
და ნიადგამც გაგმარჯვებია ასე, ნუ შეიქ ვებასა!“

559. მას დღესა შოყმე მართალი დამაკლდა არცერთი არა,
კახთ შეინანეს მათ ლაშქართ მოსვლა, თუ აღრე იარა,
დამწვართა, ამოწყვეტილთა მათ კიჩნი გაეზიარა.
და ამოსწყვიტეს და დახოცეს, ვინ ზეით გამომიარა.

560. უწინ მოსვლას ყაენისას, ვსთქვი თუ, ომსა შეუძლებდით,
აქ გასინჯეთ თუ ვეკვებდი, ან სიტყვასა ცულდათ ვღებდით!
გალახულთ და ამოწყვეტილთ მართო კახთ ქნეს, ვინ სხვა ჰკვდებით?
და ყველა განვლით ამ სოფელსა, თქვენც სახელსა ეძიებდით!

561. აივსნეს სრულად ლაშქარნი საქურქლე, ცხენ-აქლემითა, მერყოდეს: „შებმა კარგად ჰქენ ჯაერთა შენ აქ ლემითა“. სხვა არ ვინდომე მის მეტი, სარდლის კარავი ჰემითა, და სრულ მისის გაწყობილობით ვერავენ დენჩემითა.

562. მიუვიდა ეს ამბავი, საცა იყო ყანეს მყოფსა: ამოსწყვიტა სრულ ლაშქარნი; თეიმურაზ შუა ჰყოფსა, ხმალი ბასრი, მძიმე ლახტი, უფროს მახვილს შუბსა ჰყოფსა, და თუ ვაგზავნი სხვას ლაშქარსა, კიდევ ხმალსა ხელს მიჰყოფსა.

563. ვაგულისდა, წამოვიდა მასვე წამსა გულ-მისისხლე, თქვა, თუ: „ჩემთვის, მისო ხორცო, ივაშლე და გინა ისხლე, თეიმურაზ, თეიმურაზ, კახთა ჯარი აწ გაისხლე“! და ჰე, შააბაზ, ვაგიჩნდება ყიზილბაშნი ვით ისისხლე.

564. რა მოვიდა, განჯას აქეთ გამოსცილდა, დაგვახლოვდა, ვინც შეიძლო, აიყარა, წამოვიდა, მუხლ-მალოვდა. ვინც იქ დარჩეს საბრალონი, თავთა, შეილთა მათთა გლოვდა. და ამოსწყვიტნა სამესისხლოდ. აჰყარა და დაბოლოვდა.

565. კიდევ ბევრი ვადაურჩათ, თეიქარხანს მიბარა. კვლავ ქართლზედა დაუთხანის-შეილი ბაგრატ, ესთქვა, ა ბარა. ორთავ ჩემის მტერობისა საქმე იბან დაუბარა, და თვით გაბრუნდა თავის გზასა, ჩემი იყო ვით უბარა.

მორათ მფვის თეიმურაზისაბან იმართს ბადასვლა.

566. წამოვედით იმერეთსა, ისრევ ჩვენსა სახიზარსა, ჩვენად ლონედ იგივე გვექონდა, ვით ქურს ქონი სახიზარსა. მეფეც წინა მოგვეგების, ჩვენს მისელასა არ იზარსა. და რა მივიდით, მოვისვენით, ვით ქორი ჯდის სახიზარსა.

567. რა დავჰყავით ხანი რამე, სასყიდელი დავვიძვირდა, ვერ ვიშოვნით დიდის ფასით, ნახევრად რომ არა ღირდა. ხვანთქარს ელჩი ვაუგზავნე და ფეშქაში, მნახავთ ჰკვირდა. და მას ებოძა სანჯახები, კიდევ სხვასაც ბევრს დავგვირდა.

568. აქ გასინჯეთ იმერეთსა სასყიდლისა დაძვირება! ველარ ვაგსძლეთ ულომობა, გურიისკენ ვიწყეთ რება. რა მივედით, მუნ მამია გურიელი იფერება, - და რაცა ჰქონდა, არა შურდა, ხელს გვიწყობდა, იფერება.

ამა ზურიილამ საათაბაგოს მისვლა და იპილამ ხვანთქართან წასვლა. ოლთის ამირაზუნახანისაბან დედოფლის თამს დასხმა და ჯორჯაძის, დედოფლის სახლთ-შხუტისაბან, გამარჯვება მათეიდა. უშურით განგაბასა მოსამართლისას თუ რას მტირელის კაცით ბაიგარჯვა.

569. მივედით ოლთის[ს]; დავჰყარეთ მუნ დედოფალი ქალებით, დიდროვანთ კაცთა ჯალაბნი დედამთილ-პატარძალებით,

წყენარნი, მშვიდნი და ტურფანი, საქციელ-განაკრძალებით.
და ნოდარ დაეგდეთ სახლისა გამგებლად, გულით სალებით.

570. დედოფალი ოლთის[ს] იღვა და ვინც ახლდეს ბანოვანი,
თუმც ღარიბად ვის ვეგონეთ, მაგრამ არ გვეყვეს უმცნობანი,
ტურფანი და დარჩეულნი, ლამაზნი და არ სადავენი,
და მლოცავნი და ღვთის მოშიშნი, ცუდის საქმით არსად აენნი.

571. ესე ყველაი შააბაზს მიესმა მართ დასტურობით,
ერევანს ამირგუნნახანს მოსწერა მანაშურობით:
„იქ თეიმურაზ არ ირის, მიუსწარ მტრად, არ სტუმრობით,
და ქალები ვერ შეგებმიან, ვერც დაგხვდენ კაის პურობით“.

572. ესე ჟამი ზამთრის იყო, ჩვენ იმედი თოვლის გვეკონდა,
ერევანს და ოლთის[ს] შუა მთებს შეჰკრავსო, ვთქვით ოლონ და.
ჩვენ ამისსა მოიმედეს არც სრულ გული შეგვიღონდა,
და მაგრამ თოვლის გასათხარათ ნიჩბები თურ თან მოჰქონდა.

573. გარდმოთხარა, სადაც დახვდა თოვლი ცხენთა დასაყენად,
მაგრამ ღმერთი მათვე შეიქს. მხიარულთა მოსაწყენად.
უპურეთ თუ, ვითარ ხედება მათ ჩემი ყმა სისხლთა მდენად,
და მოგახსენებ ამ ამბავთა, ყური უგდე შენ მოსმენად!

574. დედოფალს სიზმარ ჩვენებით ენახა რაც იქნებოდა,
დაბლა ქალაქით ციხეში მას ასელა მონებებოდა,
ვინც ახლდა, თან აეტანა, არვისთვის დაენებოდა,
და ვაი, რომ იქ არ ვიყენით, სცნობდით თუ რა ეენებოდა.

575. ნოდარ იყო სახლთუხუცეს დედოფლისა, განა ჩემი,
მისანდო და გულითადი, არ თუ ცუდი განაჩემი.
მართალია ეს ამბავი, ნუ [გ]გონია განაჩემი,
და იმასა მწვეთ გაემარჯვა, იგინი ქმნა განაჩემი.

576. გამარჯვებოდა მას ასრე, მათ მიჰყოლოდა კარამდი,
ურიათ ჯარიც მშველობდეს იგ რაბანანი კარამდი;
კვლა ზოგნი წინ გარდაუდგეს, გზა უყვეს განაკარამდი,
და შუბი ვინ ნახის, გარდვარდის. მისელამდის, მინაკარამდი.

577. შეიდასი მოყმე ჯილითა და მარქაფებით თან ჩამყვა.
რა მიველ, იბრაიმ სჟოლთან ყიზილბაშთ ბრძოლად არ ამყვა,
სხვის ქვეყნისაკე ლაშქრობდა, მაღალი დაბლა არ დამყვა.
და გამოვბრუნდი და წამოველ, რაც ჩამყვა, თანავ გამამყვა.

578. მიბოძა, საათაბაგოს რაც მაშინ მისთვის ხასობდა:
გონია, ყარაისარი, სხვა სანჯახები ასობდა;
სხვა საბოძვარი ხალათი, თქვეს თუ, ძლივ დაიფასობდა.
და მაგრამ კახთ კახეთის გაყრა გულსა ლახეარსა ასობდა.

579. წამოველ, გზაზედ ჯალალი შეიღჯერ შემებნეს ერთს დღესა, შეიღჯერე შე გამემარჯვა, ვამგზავსე ცუდს მებეგრესა, ვერც ყმა დამაკლეს და ოდენ ვერცაეინ დამიკოდესა, და თუცა მოეგდოთ კარები, იმათვე მალ გააღესა.

580. მივედით ოლთის[ს], დაგვიხედენ უქირვლად ყოვლი საყოლი, იქიო უნებლიე მოვიდეს სულ ჯარი ჩემი თანყოლი, გახარებულნი მადლობდეს, თქვეს: „მოგვეყვა აქეთ წამყოლი“. და აღიდეს ქრისტე მოქენით, მსმენელთა მალ ჩამამყოლი.

581. რა მოვედით, კახთა გული არ დასჯერდა სანჯახებსა, ემღუროდეს ამ სოფელსა: „აქა-იქი გვაჯახებსა, ჩვენ კახეთს ვართ ღზინ-ნაჩევენი, რას ხელსა ვპყრით ჯავახებსა?“. და გულდიდობა ძირად მოუთქს, ეს ასრე სქირს ჩემს კახებსა.

582. წამოვედით ოლთისიდამ, ჩამოვედით გონიასა, კიდევ ბევრი ყმა მიახლა; ნუ ექვ ოთხმოცს, გონ იასა, რუსეთისკენ გავემზადე, ეს რა მოსაგონია, სა? და შავს ზღვაშიგან ნაეში ჯდობა დიდად დასალონიას.

583. ამ ხანშიგან ბაგრატ მეფე სომხითს მოკვდა, გარდიცვალა, ვით თავს ვინმე შემომავლო, ასრე ვითა მენაცვალა, მოურავმან ქართველთ კითხვით ჩემი ჯდობა მან ვაცვალა, და მემსახურა უსაზომოდ, ვა სოფელმან არ ვეცალა.

ამა ჰაენმა მოურავს [და ზურაბ ერისთავს B] ბაბრატის შვილი სვიმონ და შარბი-ხან და უსუფხან ბაგრატანა: კახთ ხათლავი უშაო და ქართველნი აჰყარე და ამ ჩამამისხიო. და განგებამა და უსამართლოვ ძვენის აკოწმებთის მდომებამ რა მოახდინა ისიც ისმინეთ, და ზური მიუჰყარეთ. სიტყვის მსმენელნი.

584. ყაენმა სთქვა მოურავსა: „გული მართლა შე დამყარე, წადი, კახნი ამოსწყვიტე და ქართველნი ამიყარე; კახთა ცოცხალს ნუ დაარჩენ და ქართველნი აქ მოყარე, და შე ამისი ალფირი მიც, შენ გენუკავ ეს წამყარე.“

585. პატარას სვიმონს გაგატან, ვითამ ქართლსა დაიპყრობდეს, ჩემს შეილის-შვილს ყოროჩიბაშის ქალს მიესცემ და შე მოყრობდეს; ყოროჩიბან და უსუფხანცა თან გაახლო, ვინ აზრობდეს, და ამ მიზეზით ვერას მიხედენ, თქვან: „ესენი მათ მყრობდეს“.

586. დაასკენეს და გამოგზავნეს ამ მიზეზით სულ ესენი. აწ უყურეთ მოურავსა, ვით შეჰყაროს მძიმე სენი! ზურაბს თურე იქივ უთხრა: „ვერ სქვრეტ არის რის მთესენი? და შე სხვა რამე გამიგია, ხმალი აქავ მოლოესენი“.

587. რა მოვიდნენ ამ ჯარითა, თქვეს თუ: „ბევრი მაყარია“. მაგრამ სიტყვით დაამაშეს, ეს საწყენი არ არია. კახნი მუხრანს შეიყარნეს, ქართველებში არ არია. და უღალატეს, ამოსწყვიტეს, არ უთხარეს სამარია.

588 უთხრა თურმე მოურავმა: „ზურაბ, კარგად ყური მიგდე, მტერობა და ამოწყვეტა მე ბოლომდის ვით დავიგდე? — კახთა უყავ ყათლაფიო, ქართველთზედა ცხენი იგდე. — და რა ესენიცი იქ ჩავგვარო, მაშინ ვისლა შეურიგდე?“

589. ზურაბს ეთქვა: „რას აპირებ, მითხარ, ბრძანე, გაამხილე, საქნელია, თუ არა ვჰქნა, ჩემი საქმე მუნ იხილე, მაშინ ჩემი სისხლი შესვი, ხორცი ზედან გაიხილე, და ხმალი ჩემი ბასრი არის, გაატყვიე, გამირბილე.“

590. რასაც ვაპირებთ, ეს საქმე არ არის ჩვენგან საქნელი, ამ სოფელს შემარცხვენელი და საუკუნოს დამნთქმელი, მან დაგვატყუა, რად შეგვექნა, ჩვენ ჩვენის ხორცის ამქნელი, და დამამხობელი ქვეყნისა ჩვენის ბოლოსა დამქნელი?“

591. „კახეთი ხომ ამოვსწყვიტეთ, კვლა ქართველნიცი იქ ჩავგვაროთ, მონასტერნი ავაოხრნეთ, შერცხვენილთა ვგვარის-გვაროთ, მაგას ნუ ვიქთ ნურას საქით, სხვაფერ რამე მოვაგვაროთ! და, ჯერ ამ ლაშქარს უღალატოთ, მერმე მეფე აქ მოგვგვაროთ.“

592. ზურაბ უთხრა: „მართალია, მაგრამ რასთვის იქ არ მითხარ, ცოლიც თანა მამეყანა, ავმრჩეველი შენ ამით ხარ! აწ რალა ვჰქნა, ცოლის სირცხვილს თავს მადებ და სამარს მითხარ, და თვარემ ქართველთ სისხლს დავიდებ, არ ვიქნები გასაკითხარ!“

593. „მუნ ამისთვის არ გაცნობე, ცოლს თან არ გამოგატანდენ, ვთქვი: თუ უთხრა და არა ქნას, ბოლოს რასთვის დავინანდენ? იქ მივიყვან, საქართველოს წახდენაზედ ცრემლს დავადენ, და მე შვილს დავსთმობ ქვეყნისათვის, ამან ეს ყოს, იყოს აზდენ.“

594. ტკბილის სიტყვითა ეხვეწა, თავს მას ადებდა ყველასა: „საქართველოსთვის დაცასთმე, დამხსენ ლამესა ბნელასა! ცოლს უკეთესსა გიშოენი ბატონისშვილსა ლელასა, და აქ მოვჰკლავ ყარჩილა-ხანსა, კახეთს ფეიქარ მელასა.“

595. ზურაბ უთხრა: „შენ შვილს დასთმობ, მეც მოვითმენ ქართლისათვის, მაგრამ როგორ გაარიგებ, თქვი მართალი შენ ღვთისათვის!“ უთხრა: „ზურაბ, შენგან მიკვირს, ეგ მიბრძანე მე რისათვის? და გამიგონე, ყური მიგდე, ტკბილი გითხრა მწარისათვის.“

აქა მოუტარებისა და ზურაბ-საბან ჰარჩიხანისა და უსუზხანის ლალატის გამორჩევაჲ, ქართველთ ბანდოგა, ანდუშაფარ ავლახოკის დაჴმარა. ნახეთ, თუ როგორი გამარჯვება მოჴხდებჴს და რას ძნელს ბანსაცდელს მორჩებინან ქანნი და ქართველნი მოწყალის ძალითა და შეფენითა:

596. „ასრე ვჴქნათ, უთხრათ ქართველთა, რაცა ჩვენ დაგებარებია, ვაფიცოთ ღვთით, რომ არა ქნან საქმენი საზარებია; ანდუყაფარ კი შევიპყრათ, უთხრათ: შენ არ შას ებია? და ქართველთ რისხვისა ღრუბელი შეუქნათ ღვთით დარებია.

597. მე ლაშქარშიგან ვიქნები მარტო ოთხისა მოყმითა, ვერას იაზრებს საქმესა, რა სუბათ მნახავს ამითა. როს პეემანი დაგიღვა, თქვენ მოდით შუალამითა, და ღმერთმან მას მისცეს, მოხვიდეთ, გავჴხადო რას სიამითა“.

598. სულ ქართველნი შეიფიცეს, რა ეს საქმე დააპირეს, ანდუყაფარ არაგვზედა წიყყანეს, დაიქირეს. მოურავი ლაშქარშიგან იყო, მათცა მუნით ირეს. და აწ უყურე მას ლომგულსა და ოთხთ მოყმეთ ვით იგმირეს!

599. პაატა ხერხეულიძე, ავთანდილ ძითა თვისითა, ელია დიასამიძე, პაპუნა ვაშაყასითა, — ოთხის კაცითა ესე ქნა, რას ექვ იქმოდა ასითა! და ამის მქნელს კაცსა სხვა ვინმე ვით შეუღარი ფასითა?!

600. მოურავი მანთან დაღვა, ზურაბ ქართველთ წინ წაუძღვა. მიახლოვდეს ლაშქარს, შავად იღგეს, ჰკვირდათ: ვით არს უ ზღვა? ღვთით გეგონია მცირეთა ვისლოთ, დრო მოვიდა კახთ სისხლთ მოზღვა. და რა ამათი ხმა შეიგნა, ყარჩიხანს უწყო დაღვა.

601. გაიგონეს ყიზილბაშთა მათ კიქინა ქართველების, უთხრა: „ჰკადრეთ მოურავსა, ეს ხმა მასცა ეყურების? თეიმურაზს გონიიდამ ასრე მალ ვით მოესვლების?“ და მიუბრუნა მოციქული: „უთხარ, ასერ გაიხლების“.

602. მოურავი შეკაზმული მივა ოთხის ცხენოსნითა. რა მოვიდა სარდალთანა, შემოსძახა მან კენესითა, უთხრა: „მითხარ, რა ხმა არის, ან ამ საქმეს ვით დამხსნითა?“ და ჰკადრა: „არის თეიმურაზ, არ გვეხსენებინ არას ხსნითა“.

603. შეერია რა ლაშქარი, მან შესძახა ყარჩიხანსა, შუბი ჰკრა და მუნვე მოკლა, ჯარს ასმენდა მუნ ჩახანსა; გულს დაასო სამესისხლოდ, არ თუ ცოტად ხორცსა ფხანსა, და გააქცივნა მან ლაშქარნი, არ აყოვნებს მუნვე ხანსა.

604. იმის შეილსა მოურავის შეილმა უყო საქმე ესევე: „მამაჩემ[მ]ა მამაშენი მოკლა, მე შენ სხვას არ გისევე,

საქართველოს ამოწყვეტის მდომნო, ბევრის ავის მთესეგ!“
და მანცა შუბი ძალიანი ჰკრა, შესძახა: „მაგრა ესეგ“.

605. ხმაღს ქვეშ დააღღეს, ლაშქარნი აივსნეს საშოვარითა,
უკან მისძახდეს მეოტთა: „თუ აქეთ გაიარითა,
კიდღე უარეს დაგმართებთ სიცოცხლე გასამწარითა,
და მიღით, შაბაზს შესჩიულეთ, მალ ყაზმინს ჩაუსწარითა“.

აჲა ეს ომი რომ გარდასწავიბთ, ფიქარხანზედ წავიდნენ; ბატონისშვილი ლელა
უნდოდათ ეშოვნათ, მფრის ლუარსაბის და, ზურაბისნათვი შეერთოთ. მელარ
მიუსწრას და ბარდამდინ სდივს, და მრავალი მმეყანა მოარბინს, და დიდად
გამარჯვებულნი და ნაშოვარით სავსანი შემოქცეს ჰართლად.

606. რა ეს ომი გაათავეს, გამობრუნდეს ლომნი მხნედა,
ფეიქარხანს, კახეთს მუჯღომსა, მსწრათლ მიუხდეს იმას ზედა;
ადრე ეგრძნათ, გასწრობოდეს, ვერ მიუსწრეს, დარჩეს ქვედა,
და ზურაბს იგი ვერ უშოვნეს, ფეიქარხანს ვინ ჰყვა მზედა.

607. ვერ მიუსწრეს ფეიქარხანს, უკან სდივეს ბარდამდისა,
მოარბივეს არაზს აქათ, მოსრეს, თქვიან: „სისხლი გვედისა.“
მათ მტერობა ყაენისა თავს დაიდვეს მარადისა,
და თავი კარგად მოიხმარეს, ვერ სცოცხლებდენ აქამდისა.

608. ესე საქმე მოურავმა უცხო ქნა და საყვირგალი,
ვით შემართა ამ საქმესა, არის თუცა გულად რგალი!
ეს ყველასგან უძნელეა, სხვა სახელიც ქნა მრავალი,
და უსაცილოდ მართალია, არ ტყუილი, არ საკრძალი!

609. სახელისთვის მათ ცოლ-შვილი ორთავ დასთმეს, ეს იცოდეთ!
ვინ არ მიჰყვეთ მათ საქმესა, არ იცით რომ დიდად სცოდეთ?
რჯულისა და ქვეყნისათვის რა იქნების, რასაც ჰყოფდეთ?
და აწც ეს ქენით, ქართველებო, ანდერძავით შვილს ეტყოდეთ!

აჲა მოურავმა და ზურაბ და ქართველთ მფრე თინოურაჲ ჩამოიყვანეს გონიდაჲ
და ქართლი და კახეთი ორივე დააბრინეს, ბაბატონნის და დამგორჩილნის, და
მოურავმა მრავალი სახელმფრეო იარაღი მოპროსა და მირცხლისა და კარაგ-
ორხომანი და ბელაურნი ცხანი უმღვნა.

610. გარდასწყვიტეს რა ეს საქმე, გამოგზავნეს ჩემთან კაცი,
მოძძანდიო, გვიპატრონე ჩვენ ლომებსა, არ ვართ ვაცი;
ჩვენ მოვართვით სალარო და საქურჭლენი, თქვენ კი ვასცი.
და მოგვივიდა ღეთის წყალობა გახარება ხელ-სატკაცი.

611. წამოვედით მხიარულნი, რუსეთს წასვლა მოიშალა,
დედოფლიან ქალებითა თმა გიშერი ჩაიშალა,
დაკაზმულნი განჩვენებით ტანსაცმელი არ იშალა,
და ჩვენ ვიმღერდით ბულბულთაებრ, მისის[ს] ვარდი გაეშალა.

612. შიველ მცხეთას, მამილოცეს, ღმერთს ემადლობდრი, მან მაღირსა, მათ მომართვეს ბევრი რამე, თქვიან: „ქართლად ესეც ღირსა“. მერმე მითხრეს: „მიგვისივე, ვინ სამტეროდ ხმალს გაღირსა“. და არ იქალდენ ცუდკაცურად, ათავებენ დანაპირსა.

613. შემომფიცეს დიდებულთა, თავადთა და გინდ მომცროთა: „შენის მეტი, ხელმწიფეო, არ გვინდოდეს ჩვენ შენს დროთა, ვირე გქვრეტდეთ შენ ცოცხალსა პირად მზესა, ტანად ზროთა, და ჩვენი თავი მტერთა ზედა ვამსახუროთ დასაზროთა“.

614. დავიქირე ორივე ტახტი სამეფო და ქვეყნის გარე, უთხარ სოფელს: მუხანათო, გამითავე, მოდი ბარე! ხან სიმაღლე, ხან სიდაბლე, ეს ზნედა გქირს მოსაგვარე, და ახლა ყველა დამაფიწყე, რაც წამართვი, რაც წამგვარე!

615. გამოვიდა ხანი რამე სიმდიდრეს და სიხარულში, ლხინს, ნადიმს და გახარებას, მოსვენებას, ძილს რამ რულში, ბურთობას და ნადირობას, აქა-იქი სიარულში. და ჩვენ კაცისა შეპოება რასა ჰქვიან გექონდა გულში?

ამა შაბაზჲ ჰადენსაბან ისახან ჰოროჩიბაჲსი გამოგზავნა სულ ჰიოილბაჲსი ლაჰკრი-თა და ბამრის ხანეპით. აღბათუჲდ მარაბდის თავს შამბნის ჰართველი თმისა იზნისსა, და ორბნითჲ მრავალი ჰარი დაიხოცა და ამოსუჲდა, და ბოლოს ჰიოილბაჲსთ ბამგარჰჲა.

616. მაგრამ კიდევ ჩვენ შაბაზ არ დავიშვრა მტერობითა, ამ ყოფაზედ ყორჩიბაშა ჩვენ მოგვიხდა მოსწრობითა, სრულ ერანი შეეყარა სოფლებიან მას ობითა, და გაუჩნდების აწ შუბებსა, თუ არ ვატყდეს დასობითა.

617. ის მოვიდა აღგეთზედა, ჩვენ ავედით ტახტმელას, მე გიამბობ, თუ მომისმენთ, ომის საქმეს საქებელას; მოდი, დაჯექ, გაიგონე, ახლო გიდგამ მალალ სელას, და რაც არჩივა ათაბაგმა, ქართველთ და კახთ გეტყვი ყველას.

ამა დავით ასლანისშვილისა და აღათანგის ხირაშულიძის ჰარაულად დაჰნება, რომელი იხვანს კაცნი გომარანი, ორთაჲ თვითო თვალი აქლდა, მარაჲ გულ-სრულად და მხნე-კაცად იბრძოდეს, და ორნიჲ ამ ომში დაიხოცნეს მუწინაჲში მისვლითა

618. დავითსა და აღათანგის ორთაჲ აკლდა თვითო თვალი, ყარაულად იგინი გვეყვეს, რა ჰქვა იყო, თქვი მართალი? შემოსთვალეს: „თუ არ მოხვალთ, ჩვენ შევებმით, არ ვართ მთვრალი“. და არ გიკვირსთ, რომ დავიჯერეთ ნახევარზედ დანათვალი?

619. აღათანგის, ყორნელთა და დავითს ეთქვა გლდანელებით, „შევებნეთო, რა [გ]გონიათ, სიმრავლე აქვთ აქლემებით!“

დაეხოცათ მათ თათრები, გამოგზავნეს მკედარ დილეებით, და წამოღლითო თქვენ ამათგან დაკოდილთა სადილეებით.

620. შეიქნა რჩევა ომისა, იქ შებმისა და მოცდისა, კაცსა მხნესა და ჯაბანსა დღე ამისთანა დასცდისა. ზოგთა უცდურად არჩიეს და ზოგისა კი დასცდისა, და ზენა არს გამმარჯვებელი, თვარემ კაცთ რჩევა მოსცდისა.

რჩევა მოურავის ბიორგისა სააკაძე შიოშის-შვილისა

621. მოურავმა თქვა: „დრო არის მართლის თქმა ხანდახანისა, გეტყვი, კახნო, და ქართველნო, ხან ესე ვსთქვათ და ხან ისა, მაგრამ იცით ხომ, ყანთან ვარ დამყოფელი ხანისა, და სრულ ერანს გამოგზავნიდა, იქ არ დამჭერი ხანისა.“

622 ქვეითობა იქ არ ვარგა, სიცხეა და მისჭირდება, ღმერთმან ნუ ქნას, დაგვიმარცხდეს, სრულ ერთპირად ამოსწყდება. მართლის თქმა სჯობს ტყუილისას, ცუდი არის მიღ-მოღება, და. ეს. არ სჯობდეს, დაისწავლეთ, რჩევა ნურვის დაგვიწყდება.

623. მე ამას ვარჩევ, მინდორად ნუ ჩავალო, ნუ შევებმითა, ჩეენს აქ დგომასა ვერ სცნობენ, თუ აწვი არ წავეებმითა; ქალაქს შემოვლენ თავწვრილად, აქ დაეხვდეთ, შევიქთ ვნებითა, და მე ეს მითქვამს და აწ თქვენ თქვით, თუ იქ ომს არ ეშვებითა“.

რჩევა ზურაბ არაზის-მარისტვისა, ნუგჯარის შვილისა:

624. ზურაბ უთხრა: „კარგად ბძანე, თუ იქ ხანი არ დაჰყოვნოს, მაგრამ იცით მათი საქმე, ხანგრძლივ დგომამ ვერ აღონოს, არ მოვიდენ სიმაგრეთა, კკუა მათი მოგვეწონოს, და ეგ არ მინდა, თულუნითა მინდვრად უკან არ მეღვენოს“.

რჩევა ბარათასი ბარათაშვილისა, როგორი იყო ბარათიანთ სარდალი

625. ბარათა ბარათაშვილი მეწინავეთა სარდალი, კარგ სარდალად იმას აქებდეს, მტერს მალ შეაქმნის ბანდალი: „შეყრილის საქართველოსა ყოენა არს არ სამართალი, და აქა-იქ დაგვეფანტვიან“. უქეს: „ამან თქვა მართალი“.

რჩევა შხარანის ბატონის თეიმურაზისა და მისის ძმის ჭაიხოსროსი და იმამ მსნის-მარისტვისა.

626. თეიმურაზ, ჭაიხოსრომ, ორთავ ძმებმა მუხრანს მჯდომთა, კვლა იესე ერისთავმან, სხვათ ქართველთა ომის მდომთა: „თუ შეგვაბამთ, შეგვაბითო, რას ხელსა გვხდით აქა მდგომთა? და დროა დასდგეთ ერთს რჩევაზედ, თვარემ წავეალთ ჩვენ სადგომთა!“

ჩემვა ბააღწრ ტიცისშვილისა, ღა იმ ბულოვნად შიბა ღა მათვე შიაკაღა

627. ბაადურ თქვა ტიცისშვილმან, ამ რჩევაზედ არ დაქმუნდა:
„ეიმი არის მუნ სიცხისა, შუმ ჰაერი დააბუნდა,
დაგვიმარცხდეს ქვეითობა, საღლა მორჩეს, თქმა არ უნდა,
და(თუ ამოსწყედს გლეხიკაცი, საქართველო დაძაბუნდა“;

ჩემვა ქახთ საბატროს კატთა ღა ღარბანისელთა

628. ქახნი მუნ ომსა ისწრაფდეს, უფროსი ჯაერიც ახსონდა,
თქვეს: „მათ იქიღამ რა დასძრავს, ვნახეთ ზახირა მოჰქონდა;
ორჯელ გაღახულს თათრებსა საომრად ვინ შეუღონდა?
ღა ღიღას შევებნეთ სიგრიღით, ამას სხვა რჩევა არ უნდა“.

629. ქახთა არჩივეს ერთპირად შებმა ღა მათი ომიღა,
თქვეს: „არსად წავღენ მუნითგან, ეს აღვიღ მისახღომიღა;
ორჯელ გაღახულთ შევებნეთ, ვინცა ხართ ომის მნღომიღა,
ღა ზოგთა გეწადს ომი ახალი, ზოგს ბევრი გარდაგვხღომიღა“.

ჩემვა მანუჩარ ათაბაღისა ღა მისთ ღარბანისელთა

630. თვით ათაბაგი მანუჩარ, ურუმთა გამოძებული, ჰემთან მობძანდა იმ ხანად ომ-ნახულ, სახელღებული,
ამ ღღეღებზეღა ნაქები, მრავალჯერ გამარჯვებული,
ღა სამასის მოყმით, არ ბევრით, რაც ახღდა მისებრ ქებულღ.

631. მოახსენეს ათაბაგსა: „რად არ ბრძანებ უმჯობესსა?
თქვენგან უფრო ნაომარი არვინ არის ჩვენში ღღესა!“
მან უბძანა: „კარგად არჩევთ, მე რას ვიტყვი უკეთესა,
ღა მაგრამ ძვეღად ნათქვამიღა, ომი სამზღვარს მესამზღვრესა“.

632. მერმე არის ორი რაზმი, დაახლოღდეს ერთმანერთზეღ,
ვინც მოუხღდეს მეორესა არ ყოვენბით იმაღ ღღეზეღ,
მისი ჯარი გათამამღდეს, მღგომთა ღადღეს ძღვიღა ფეხზეღ.
ღა ხანგრძღივ რჩევა ცული არის, გამარჯვება არის ღმერთზეღ“.

ჩემვა ქახთა ღა ჰართველთა მაჰკატეღისა ღა ომიღა წაღიღი

633. ვაქკაცები ისწრაფოღდეს, თითქმის კბიღთა იმსხვრევეღიან:
„ჰე, რად ჰყოენით მათზეღ მისვღას, ისინი. აქ არ მოღიან;
მეღის შუმეღა, უსაცილოღ ჩვენგან იმათ სისხღნი სღიან,
ღა მინღვრადღა სჯობს ომი ცხენზეღ, სიმაგრეში რასა ჰქვიან?“

634. ამ რჩევაზეღ ბართიანთ წასვღის ეკვი შეგვივიღა,
არ ჰოროღ თქვეს ეს ამბავი, მეღასტურე-მოგვივიღა.

თქვეს თუ: „ღვთის მადლს ამ ჯარშიგა არამც ეს ხმა ვაგვივინდა, და ამაღ' გვიჯობს აღრე შებმა, თუ ესენი წაგვივიდა“.

635. დავასკვნეთ ომი ალგეთზედ, მიემართეთ გულით მაგართა, კაცთა სამების უცნობთა, მაჰმადიანთა, აგართა; ჩვენ ვეზიარნეთ ქრისტესა ხორც-სიხსლსა, მისთა ამართა, და რისხვით მოგვხედნა მოწყალემ, იგ დაცემულნი აღმართა.

636. ავიყარენით, რა მზემა მწუხრად ქმნა დანასულობა, დავდევით ქრისტეს რჯულზედა ჩენი ხორცი და სულობა მზიარულად და თამამად, რას ჰქვიან დანასულობა?! და აწ გამოჩნდების მოყმეთა სიმხნისა მათ ლომ-გულობა.

637. დღისით ჩაეღვიეთ ავი გზა, ღამე ჩავედით ვაკესა, ცოტას ხანს შემოვიცადეთ, არ თუ ყანები დამკესა, კახნი ამბობდეს: „ვიართ, მოუხდეთ ფურებს მაკესა!“ და რაზმი დავაწყვეთ, ვიართ, მეთოფემ ტალი დაკვესა.

638. რა ღამეს ბნელსა ნათელმან მომართა, ამან დარიდა, მზე რა უღრუბლოდ აღმოჰხდა, ქვეყნად მოჰფინა დარი და ამ დღეს მოყმესა მამაცსა სხვას ზნით ვინ შევადარი და? და არ სხვას ზნეობის დრო არის, ეამი არს საომარი და!

639. გათენდა და დავინახეთ ერთმანერთი მუნ შორიდამ, დავაწყვეთ ორთაგ რაზმი, ჩვენ აქათ და მათ იქიდამ. მათი იღვა თვალუწდომი, სიმრავლე სკირს მათ გვარიდამ, და მაგრამ ვერც სულ დავგვალონა სიბევრისა ჩვენ არიდამ.

640. მან თურე ასრე გააწყო მეთოფე თოფხანიანად, ჯერ ზარბაზნები გარშემო მომართა არაბიანად; მას ქვეშ მუხლ-მჯდომი მეთოფე, მეორე ზეზე დგვიანად, და მესამე ცხენოსანია, მეოთხე აქლემიანად.

641. მივახლოვდით, კომლისაგან მზე დაბნელდა, ჰაერიცა, ჰგვანდა, თუცა ჩამოვარდა ცა ქვეყანად, ან დაიქცა; მოწმენდილი მზისა შუქი ჩვენს წინ ღამედ გარდაიქცა, და ვირემ კვამლი არ განქარდა, მათკე ვერვინ ვერ გაიქცა.

642. რა განქარდა თოფის კვამლი, შეუტივეთ ერთპირობით, გულ-სრულად და ჯავრიანად, ვინ ვის წინა წაუსწრობდით, ეზხოცდით, ელწოდით, ჩამოვჰყრიდით, არ ცოცხალთა შევიპყრობდით. და არ მოსწროდა შაბანდახან, სულ ვაწყვეტას სუპირობდით.

643. გვაექცივეთ დიდი რაზმი, ის მოგვიხდა აწ მოგანეთ, მათს ურდოსა გავაცილვეთ, მოსვლა ერთხან შევანანეთ; უკან ჩვენს რაზმს თავრიზელთა უწყეს ცემა, დიდად მავნეთ, და გავგიქციეს უკან ჯარი, დიზახნეს „გაათავენეთ“.

644. ამასზედა „თეიმურაზ (ვინ მუხრანსა პატრონობდა) მოკლეს“ თურე დაიზახეს. ზოგი კაცი ჩემსა სცნობდა, გამობრუნდეს, უფრო ამით გულსა სალსა დამიდნობდა, და გამარჯვების სიხარული აღარ ჩვენთვის დაბდა-ნობდა.

645. ორისავე პაატასი თქვეს, თუ მოვა მოციქულად, ასრე ჯარსა წინ მიგვიძღვენ. დაიჯერე უსაცილად. ვაათავეს თვისი თქმული, სადგომსვე თქვეს დაქაილად, და ორნიე თოფით ჩამოყარეს, სიცოცხლე აქვს არ სიკვდილად.

646. ქვეითობა ურდოშიგა აღაფობდეს, იტვირთოდეს, მათ, გლახ, თურე ის ეგონათ, მარტყოფს შოეს ლარნი ოდეს. დაგვიმარცხდა, გამარჯვებულთ მართ სრულ ვითმე მოისროდეს, და სიცხისაგან ძალწართმულნი, ისარს ველარ მოისროდეს.

647. კვლავ მოისრნეს დიდებულნი ქართველნი და კახნი ბევრი, აღათანგის სახლის კაცი შვიდი მოკვდა, კარგი ვერი, სხვა ბაადურ ციცისშვილი, კახი დავით, გულად სვერი, და კიდევ ბევრი კარგი. მოყმე დამიკაფნეს, ვითა ტვერი.

648. ჩოლაყაშვილი შვიდი და ცხრა კარგი მაჩაბელია, სულ ვინ სთელის აზნაურშვილთა, რაც მოკლეს, საქებელია; სხვა ბევრი იპყრეს ცოცხალი, მოაბეს ყელს საბელია, და ძლიე მორჩა აღავერდელი. გარდაგდეს ხარკაშენელია.

649. ათაბაგი ამირ-გუნხანს იმ დღეს შეხვდა ერეკნისას, შუბი პირველ გასტეხოდა, მინდობოდა ქნევას ხლმისას, სამი, თურე, ზედის-ზედა შემოპკრის და შესძახისას: და „ვარ მანუჩარ ათაბაგი, თავს არ ვფიცავ ყაენისას!“

650. მოურავმა იმ ომზედა მუზარადი არ დაიდგა, თქვა: „რა მიცნას ყიზილბაშმა, ბრძოლად ახლოს ვინ მამიდგა? თუ დავირქვა ანჩაბერი, ველარ მიცნან, ვინც წინ მიდგა, და არ დამიშვრეს ხელი ცულად, სანამ პირში სული მიდგა.“

651. ზურაბ აღრე დაგვიკოდეს, თურე სისხლმან შეაწუხეს, იმისმა ძმამ დათუნამა და ავთანდილ დაიქუხეს. რაზმი განვლეს, უკან სდივეს მუნამდისი, სად დგა მუხეს; და ფრეწდეს მათსა საჭურველსა, ყოფილიყენეს ვითამ უხეს.

652. თუ ჩემიც რამ მოგახსენო, მგონ არ ვიყავ უსუარი, საკვებურად თუ ჩამიგდოთ, ამად თქმისა მაქვს უარი, არა ვთქვა და, ისრე დარჩეს, აღარ იყოს მახსუარი,— და „რა უქნია თეიმურაზს“ თქვან, რად არ თქვა ვით სა ვარი?

653. ამის მეტსა ვერას გეტყვი, რაცა მქონდა საომარი, თუ ყველა არ დამემტვრიოს, ვიქნებმცა მე ომარი,

შუბი, ხმალი, ლახტი გატყდა, მოვიხმარე კვლა ხანჯარი,
და სომეხადმცა ჩაგიგდივარ, მათებრ ვიყო მეომარი.

654. მას დღეს მოკვდა ყიზილბაში ათოთხმეტო ათასიო,
ცხრა ათასი საქართველოს, ზურაბის ყმა ცხრაასიო;
მაშინდელთა დახოცილთა კაცთ ვითა ვთქვა საფასიო?
და ამოგვწყვიტეს, მაგრამ კიდევ მინდა ვინმე მიუსიო.

655. რას ვაგრძელებ, დაგვიმარცხდა და ღეთის რისხვა მოგვევლინა.
არ დაბრუნდეს ღეთის ბრძანება, ერთხელ თუ გამოავლინა.
მადლი მასვე, აღრე ხანად კიდევ მათზედ გაგვევლინა.
და აწ უკურე ქსანზედ მოსულთ, თუცა რაზომ გარდავლინა!

ამა მოუხრავი ბაბრუნდა მესამეს დღეს ნოსტიდავ. ლის[ს] ქალაქისა და ციხე:
თათრები გამოვიდეს. ლისი რომ დაარბიეს, მოუხდა და მოუხრავს გამმარავა

656. ზოურავს ეთქვა: „ციხისა თათრები ლის[ს] დამირბევენ,
ტყვეს წაახსმენ და სახლებსა ზოგს დასწვენ, ზოგს დააქცევენ;
არ უშეელი, საბოლოოს თავს და შვილსა დამიწყევენ.
და მივალ, ვნახავ მინბაშები მეთოფეებს რად მისევენ“.

657. მესამეს დღეს ნოსტი დამე ლის[ს] გაბრუნდა, შიამურა.
არ გიკვირს, რომ ამ დიდს ომსა ბრძოლისაგან არ დაუშვრა?
გარდახედა, ლის[ს] არბევენ, ჯაფრისაგან სისხლი უშრა.
და რა გაქირდეს, სიფიცხე სჯობს სიზანტესა, აჰა, მაშ რა?

658. დახოცა და გააქცივნა, კვლა მისდია ვერემდისა:
„რაც გიქნიათ, ის გეყოფის, მოვიდოდი ვერემდისა.
ასრე თქვენ ვით მიძაბუნეთ, კიდევ სული ამომდისა!
და ყორჩიბაშია გამაქცია, ციხის კაცნო, თქვენ რა გრჯისა?!“

ამა ყორჩიბაშია ანდუყაფარ ამილახორის ცოლის გამოსაყვანად არზიდავ ზურაბ
საზიცარი სთხოვა და მისცა საზიცარი: ძალი მოგცე. და არცა რა ჩემს მამულზე
ლაშქარს დაუშარცხდესო და მოის ჩემს მამულზედ წუ წამოვა ლაშქარი, მსანხ
ჩამორიარნო. დასჯარდა ჰორჩი ბაში და ბაგზავნა თორმეტიათასი კაცი. და
როსტომ რომ მართლს გაბატონდა, დაუთ, სპიმონ ვიფის მისსული, მაშინ
ხოსრო-მირზა მტკვა და ის უთავა. და აწ უშუბრით თუ რას უოფით
ჩამოვივლიან.

659. როს შეიპყრეს ანდუყაფარ, ცოლიც არშას დაუტყოეს,
ყაენისგან მოცემული იყო, ამით შეიტყოეს;
ეს ლაშქარი ამით უფრო გამოგზავნა, ის იპოეს.
და აწ დაუწყეს ლაპარაკი ზურაბის ძმებს, დაუყოეს.

660. შეუთვალა ყორჩიბაშია ზურაბსა და მისსა ძმებსა:
„რად არ იცით შეპყრობილსა ხანუმს ყაენი ეძებსა?

თვით შვილისა-შვილი არის, ურჩევნია თავის ძებსა,
და ეგ მომეცით, გაგებრუნდები, თორემ ვერცინ გამაძებსა.

661. ფიცსა მოგცემ, შენს მამულსა მე ვაწყინო არა რამე,
თქვენც აგრევე შემომფიცეთ, საფიცარი მოგცე რა მე,
ჩემს ლაშქარსა თქვენს მამულში არა ევენოს თქვენიდამე,
და მერმე დიდს ჯარს გამოვგზავნი, გამოვიყვან ციხილამე“.

662. რა მოსლოდათ ეს ამბავი, ეთქვათ: „კაი რჩევა არის“.
მისცეს ამათ საფიცარი. თქვეს თუ: „ფიცად მგონივ კმარის,
ჩვენს მამულში არა ევენოს, მაგრა მოის გზა არ არის,
და მოის ქსანზედ წამოვიდენ, შიში ნუ აქვთ ავის დარის“.

663. გამოგზავნილთა არაგვი შევლეს, მივიდენ არშასა.
გიორგი არჩევს სხვას თათბირს და ერიდება არ შასა,
ისარს დაუწყებს სროლასა, თოფსა დაუძრავს მაშასა,
და ხანებს დაუხოცს ყაენსა, ხონთქარს არც ერთსა ფაშასა.

664. მივიდა არშას ლაშქარი, გამოიყვანეს ხანუმი,
საგძალი არ შეიტანეს, ხან მწვარი ჰამეს, ხან უმი.
აეს დღეს შეასწრო გიორგიმ ქალი გამდელი, ხალუმი.
და რა გამოსცილდეს ლომისას, ხმა არის. მო დასაღუმი.

665. გამოსცილდენ ლომისასა, უკან მოჰყვა მათ გიორგი.
გამოიქცენ, არ უყურეს, რაც მოსდევდა უკან ბარგი;
მოჰხოცდეს და მოსძახოდეს: წინ დამხლომნო, აწ ივარგი!
და ეს სახელი მე მიქნია, ნუგზარის შვილს, ჩემთვის დარგი“.

666. ეს ამად ქნეს, თუმცა ფიცი გასტეხოდათ ამათ არა,
მოსწოდენ სხვის მამულში, დაეზახა იმათ არა.
ყიზილბაშთ ჰკვა დაეცდინათ, არ ხლებოდათ ი მათარა,
და კარვად სჯობდა გაესინჯა, მოეზახა, მოეთარა.

667. წინ დაუხვდა მოურავი და იასე, ქსნის მპყრობელი,
ქაიხოსრო, მუხრანისა ბატონია, ხლმის მსობელი,
ზურაბ, ქველი მეომარი და დათუნა საქებელი,—
და წინ დაუხვდენ გამოქცეულთ, აწყყევენეს მათ მშობელი.

668. ჩაიყარეს ორთავ შუა უკან მამყოლთ, წინ დამხლომთა.
ყორჩიბაშსა. ამ რჩევისთვის აგინებდეს ვერ მიმხლომთა:
„ცოცხალს რაღა მოგვარჩენდა, არშას ციხის ჩვენ მიმხლომთა?“
და უფროს. ჰხოცდეს მახელითა, სხვათ აქა-იქ კლდეზედ მხლტომთა.

669. წასვლის ღონე აღარ ჰქონდათ, მათ მოელოთ სულ ხელ-ფეხი,
გაურისხდათ შემოქმედი, მოველინათ ზეცი ო მენი,
ველარც ხმასა იღებდიან, არ ისმოდა მათგან კეხი,
და ქარქაშიდამ მათს ისრებსა ართმევდიან, ჰქონდისთ ჩეხი.

670. წინ შეუკრეს ასრე გზები, არსით კარი გაეღება,
იგინი ღგეს უჩუმარად, ამათ ხმა არ შეეღება;
სისხლთა მათთა მინადენტთა სამ ღღე ქსანი შეეღება,
ღა ცხენი, მათი საქურველი ამათს სახლში შეიღება.

ამა შორახიბაში წავიღა ღა ბაბრატ მეფის, როსტომ მეფის ძმისწული, პატარა-სვიმოს
ქალაქს ცინხეში დასვა საბატონოღ.

671. ამ საქმეებით გაბრუნდა, სვიმონ-ხან ქალაქს დააღღო,
სხვა ვერა გაარიგა რა, ვერცა ვინ სხვაგან გააღღო,
ქართველთ ღა კახთა დაქერა მართ ისრეე ჩემზეღ მათაღღო,
ღა ისეე დაეიპყარ ორიეე; სვიმონ ქვა ველარ ჩააღღო.

ამა შაბაზუ ჭანის სიკვდილი ღა შასეფის ტახტზეღ დაჯღოღა

672. აწ გარღიცივალა შაბაზუ, ჯოჯოხეთს დაიმიკვიღრებსა,
მის მტერობისა ბორიოს სიკვდილი მომიმჟღღრებსა,
მის შვილის-შვილსა შაჰ-სეფის იმის წილ ამიყუღღებსა,
ღა პირველ წყალობით მომხეღა, ბოლოს კი გაშიციუღღებსა.

ამა მოურავისა ღა ზურაბის დამიშაბაბ ღა მოურავის უჟღღოღა

673. ასრე სკირს საქართველოსას ღიღებულთ, გინა მცირეთა,
ახვაეღღებთან, იტყვიან: „უჩემოთ ვინ იმღღრეთა?“
ღაბაღს კაცს არ ახსენებენ, იტყვიან: „ღამიკირეთა“.
ღა კაცი სჯობს საქმე კეთილი ანგაარ, მოგულძვირეთა.

674. ზურაბ ღა შიოშის-შვილი იყენეს სიძე—ცილის ძმანი,
გაეზარღა მოურავესა, ყოფილიყენეს ვით მამანი.
აწ დაქიშღღღეს უსაზომოღ, შუა დასეგს მათ სამანი,
ღა დაემტერენეს ერთმანერთსა, აღარ მისცეს წამსა მანი.

675. მოურავი უფროსობღა მასზეღა ღა ქართველთაზე,
თუ ეტყოღა, დასხღღებოღენ, თვარ იღღნიან სულ ყვეღა ზე.
ქეშიკშიგაც უწვებოღღეს თაეიფაც ღა სხვა შუაზე.
ღა ვინც შესციოღის, ყვეღამ უთხრის: ღაჰკარგეო, გაღღაღა ზე.

676. მე ზურაბსა მოურავმა დამამოყერა, გამიერთა,
თქვა: „უბოძეთ ზურაბს ქალი, გაიგონეთ სრულ ამერთა“.
მოიყენა მუხღს მაკრცა ღა გამყარა იმიერთა.
ღა მაშინღღელთა იმათს საქმეს სულ ვერ დაღღსწერთ, ცუღათ ვსწერთა.

677. რას უშეღღა, გარღიკიღღენ, მე ზურაბსა მიმიყენა,
სულ ქართველნი შემომძარცივა, ერთიცი აღარ მომიყენა;
ზურაბს უთხრა: „შინ წაბძანღი, ამ სიტყვისა ნუ მიწყენა“.
ღა პირველ იგი გაისტუმრა ღა მეცი უკან წამიყენა.

678. მე ეს მითხრა: „ღმერთმან იცის, ქართლი მოგეცე, ჩემი თავიც, მაგრა რა ვქენა, არ განდომეს ჩემი თავი, მით ვარ ავიცი; მაგით თავსა ვერ მოვიკლოავ, ან გულს დანა როგორ დავიცი? და თქვენც წაბძანდი ზღრაბთანა, იქიც მოვალ მითქვამს და ვიც“.

679. აღარ იყო ვაცლის მეტი ღონე, სხვა რა მომეღონა? გავეცალე ჯავრით სავსე, მისმა საქმემ დამაღონა. მიველ დუშეთს ზურაბისას, იმანც თავი მომაწონა, და მითხრა: „ნახავ, ხელმწიფეო, მათ ყველაზე არ მოწონა?“

აკა მოურავმა იმერელთ გეფხვს გიორგის შვილი სოხრვა ქართლს საბატონოდ. და გეფხვა მამუჟა ბოჭალთუხუცესი, ამილლაბარაბააბაშიძე და ზემოხარის ლაშაარი მოცა, და ათაბაგმა საფარვაშამაც ლაშაარი აშველა; და ქართველნიც მას ახლდნ, ზურაბ მრისთმისა და ირთამ ამილახორის მძიხ მოუხდა მოურავი და რაჟმით შვიბნის ბაჟალეთს.

680. აწ დაუწყო მეფეს თხოვნა შეილს ქართლსა საბატონოდ, აპყვა მეფეც. დაიყოლა, ბრძანა, არ აქეს დასაღონოდ. ათაბაგსაც ჯარი სთხოვა ქრთამით რასმე მოსაწონოდ. და ორთავ მოსცეს მას ლაშქარი ჩემად სამტროდ არ საყოფნოდ.

681. მოვიდა, დუშეთს მოგვიხდა ქართველთ და სხვას ამ ჯარით, საკელავად გამოგვიმეტა გულითა საომართა. უს ხარ ზურაბს და ჩემს კახთა: „ერთს ომად თქვენცა ჰქმარითა, და მე ჩემი ქრისტე შემწედ მყავს, არ ვიბრძვი მე ომართა“.

682. ზურაბ თქვა და ერთპირ კახთა: „ვიცი, ღმერთი გყავს მფარველად, ყმას პატრონზედ გაემარჯოს, არ გვასმია ესე ძველად! თქვენს წინ თავი სასიკვდილოდ დაგვიც, იღვას მძორი ველად, და ღმერთმან ქნას და სამართალმა, გაგეშარჯოს ძოღანდელად“.

683. ეღიშამ თქვა: „ღეთის მადლს, კახნო, ეცადენით, მას ვირ მოხედეთ, საქართველოს ის როგორ რევს, სხვანი ეგრე როგორ წაუხდეთ?! - თუ ვინ მოხედეთ მამაკურად, კარგად გმართებს, რომ მას დახედეთ, და თუ ცოცხალი გარდგვირჩება, კიდევ გაგვრჯის, უნდა ვახდეთ.“

684. თუმც არიან უმრავლესნი ეგრე დგ[ი]ან ვითა ტვერი, ღეთის წინაშე სწორი არის შავი ზღვა და ისერ ძვერი; ბევრს ხუვილსა მოერევის, ჟამერთ გალენს ერთი კვერი, და ერთმან სძლიოს ასეულსა, ორმან მოსრას ბევრის-ბევრი.“

685. რა მოვიდენ, ბაჟალეთსა დაუკიდეს მათ ცეცხლები, ავი დარი დასცემოდა, დახუთოდათ მათ ხელები. დაინახეთ, მსწრაფლ მიემართეთ ჩვენ სახლებსა ნათბილები, და შექურვილთა მეომართა ცხენი გვეყვანდა ფიცხელები.

686. მე მახლდენ ქართლით ესენი: ზურაბ და ამილახორი, ხან წამივიდის იოთამ, ხან დამრჩის მწვე ნამსახური, ზნე-კეთილი და საკვრეტლად სრულ კარგი, არ უსახური, და ხან ჯარით მახლდის, ხან ასრე, თუ შერჩის ორი მსახური.

687. მივედით, ორგნით შეიქნა შეტევა, შემოტივილია... ხმის ბაიბური არ იყო, ზახილი, არცა კივილი. დაუკოდელი ვერ მოვრჩით, იმ წამს არ იყო ტყვილი, და თუმც მაშინ ვერ შევიგნევიტ, მერმე შეგვექნა ჩივილი.

688. მოურავს რა დავენახე, შეპბრალოდა ჩემი კახნი: „ჩემი—ეთქვა—ულურსი ძმა, ამოსწყვიტნა მწიფით მკვანნი“. ღვთით ამათვე მუზარადნი დაუმსხვრიეს, ვითა კვანნი, და დახოცნეს და ხელთ დაიპყრეს, ის წავიდა ცულ-მომკვანნი.

689. გოგორისშვილს დაუთბეგსა მისი კურტაკი ჩააცო, თვისსაე ლურჯსა ცხენსა შესვა, უთხრა: „აბა, კაი კაცო, ზოგი შუბით ჩამოაგდე, ზოგს ზუჩხედა ლახტი სტკაცო“. და ვინ მოვიხდეს, კარგად დახვდი, ვითა გმართებს შენ მამაცო“.

690. პირველზედვე შემიყარა ეს დაუთბეგ, შუბ ხელთ-მქონსა, შუბი ვჰკარით ერთმანერთსა, მაგრამ ვერც ერთს დაგვიმონსა, მერმე საამ კობიას-ძე მოგანებით შუბს მოსწონსა, და მოვიდა და გვერდს შემოსცა მას, მორვეის ჩემსა მეონსა.

691. ველარც იმან ჩამოაგდო და ცოტადრე გარდახარა, მას კვლა ზურაბ შეუხახა: „მოურაო, თქვი თუ ხარა?“ — შიშველს ბარკალს ხმალი დაჰკრა—ეგრე მაგრად რად სდგახარა?“ და სრულ მოჰკვეთა, გარდააგდო, იცოცხლალა მან, გლახ, არა.

692. მერმე შემხვდა აბაშიძე, იგ ღონენა ქვიშხეთელი, თავი ფარში ჩამოეყო, მოეხარა ვითა თელი, ფარის კუბოს შუბი მიკრა, მაგრა ვერ მყო მიწის მთელი, და სამკლავეცა გამიტეხა და დამკრდა მე ნათელი.

693. ელიშას თქმული გათავდა, ეპოვნა მოურავ-ა, გულსრულად თურმე მოვიდა, მან აღასრულა დავია, უმუზარადოთ ომს შესვლა კარგთა კაცთაგან ავია,— და ამანც შუბი ჰკრა, მაგრამე მან კი გაუპო თავია.

694. რა ელიშა ჩამოაგდო, ადგა, უნდა მოეწვა და, მან დაასწრო, თავსა დაჰკრა, ხმალი ძლივდა მოეწვადა, შუა პირი მოეხვედრა, არ თუ მჯილი მოეწვადა; და ეს მოკლა და გარდინევეწა, გლახ, გრძლად წყლული არ ეწვა და.

695. ერთს ომს უფრო გასაჰირსა მართ აღარსად დავხდომივიარ, ჩემს ჯარშიგა დაუკოდი ძვირად მორჩა, და არც მე ვარ.

გამემარჯვა ლეთის ძალითა, არ მოვკვებდი, სულ ომში ვარ, და ყმანი მყვანდეს ნაომარნი, ვით ამირანს მისი სივარ.

696. მამილოცეს იმერელნი, ქართველები, მერმე მესხით, შუუზახე: „დიდებულნო, რას საქმეზედ თავს დამესხით? თქვენგან იყო რა საქნელი, ჩემზედ იმას თქვენ მოესხით?“ და ვბრძანე: „მანდა ნულარ გიდგან, ასრე აქეთ წამოასხით!“

697. ხოსლუა მაქავარიანს, მიყურე, რა მოვაწიო, ყურებს დავსკრი შიგ ძირშიგან, ნუ ექვ ახლოს დავიწვიო, შემეხევეწა: „სულ ნუ დამპრი, ცოტა იქით მიიწიო,“ და როდეს დასკრეს, შ ი მზახა: „არ მეგონე გულბილწიო.“

698. მოურავი ღარ დადგა, ახლა ხონთქარს მიაშურა, ვერ კარგად ქნა ი რგულობა, ვერ ომი და ვერა შურა; ხვანთქარმან ს: ჯ მწვედ პატივი და წყალობა არ უშურა, და ერთს თავს-ვეზირს გარდაისად მას წინ დგომით სხვად უშურა.

699. ქაიხოსრო და იესე, კვლა სხვა ბევრი ქართველები თან გარდაჰყენენ სააკაძეს, თავადები ძირ-ძველები; იქაც ბევრი სახელი ქნა, მაგრამ თავს გარდავევლები, და იქ დახოცეს ქიშპობითა, ვეზირმა ქნა ეს ნაენები.

აპა ზურაბ ბატონს წაუვიდა და სვიმონს მოუვიდა, ქართლი დააპირინა, მისამ მოკლა და თავი ტახტს ბატონს გაუზგაჰმან, და ისევ მიჰყას თაიშურაჲს დააპირინა ქართლი სრულიად.

700. რა წავლეთ ხანი, ზურაბთან დამიწყეს ჩხუბს ჩამოვდება, რად ვერ მოუხედა, ეს მიკვირს, ცრუს კაცს თავისა ავდება? სიძე იყო და შვილად მჩნდა, მახსოვს ვალისა დადება, და აღრე ამყოლი სიტყვისა მე აღარ შეიმედება.

701. გავეცალე, კახეთს ჩაველ, ის სვიმონ-ხანს მიუვიდა, ფიცითა და თავდებითა ქალაქს ციხით გამოვიდა, წამოუძღვნა ზემო-ქართლზე, თან მოჰყვა და წამოვიდა. და თუ მე ზურაბ მიორგულა, რად ვერა სცნა თავს მოსკრიდა?

702. ცოტას ხანს სვიმონ ქართლითა ზურაბს ხელთ ჰქონდა ამარად, ესეც მოსწყინდა, ასრე თქვა: „აწ ეს მაქვს მე საომარად.“ მამას უხმობდა სვიმონ-ხან და ფიცი არ იწამა რად? და მოკლა მან ჩემად უგრძობლად, მიწა ძლივ მისცა სამარად.

703. თავი უფადარს მამწივა ყანთან წასვლის მნდომელსა: „ვით გაგიშვებდი ხელითა, ვირ გხედავ სულთა-მდგომელსა, ყანთან წასვლას ესე სჯობს, ქართლითგან შემომწყრომელსა, და ბოლო არ გაუთავდების ბატონის სისხლში მჯდომელსა.“

704. აღარ წაველ ყაენთანა, ისრეე ქართლსავე მოუბრუნდი, აწ სრულ ერთობირ დავიკირე სომხითიან, არ დავეკმუნდი; ხან სიმაღლეს, ხან სიმდაბლეს მიმცა ვინ მე, ასრე უნდი, და ორსავე კარგად ვიტვირთევედი, არცერთ არას. შეუღლონდი.

705. ამ დროს ვთქვი „ლეილ-მაჯნუნი“, „ზილიხან-იოსებისა“, ქება, შვენება, სიტურფე, მიჯნურთა ცეცხლებრ დებისა, გაკრა მინდორად, ხელობა, გულთა ლახერულად სობისა. ჯა ტბილად რამ აღმოვმეტყველე ლექსები სხივ-შუქებისა.

706. გამოვარჩინე ნათქვამი მე ჩემის მუსიკობისა, არ დაშვრა ენამეტყველი ტბილად მათზედა მკობისა, განმარტვითა ვთქვი ქართულად, თქმული სპარსთ არაკობისა, და არ დამორჩილდა მეძავეს იოსებ იაკობისა.

707. აღარა მყვა მტერი მოღმა, მეომარი შემომბმოდა, დამმორჩილდა ყოელი შრჩი, ყელსაბელი ვითა ბმოდა. ყოელგან ისმა ეს ამბავი და შეიქმნა საამბოდა, და შვება იყო სამუდამო ლხინ-სობათი შეიმკოდა.

აჲ ბატონნა თეიმურაზ ლეილის-წახეთის მიხლომა მოინდომა სარუბაჲს, და ცხენი წამძა, თვითან ვეღარ წავიდა და ზურაბ შთავა ქართველთა და კახთა, და მიუხდენ

708. გამიწყრა ოდეს ყაენი, მას მოჰყვა წახეთს ვინ ზისა, ალიბეგ სახელდებული, პატრონი სარუბაჲისა; მისი მომინდა პასუხი, ჩვენება ჩემის რაზმისა, და მალ შევანანე სიკვდილით მოყოლა შააბაზისა.

709. აღონში ცხენი წამექცა, თავს მტვერი გარდავიყარე, ძალიან დამცა მიწასა, მაჯები ამოვიყარე; ველარ შევიძლე ლაშქრობა, ვერ წაველ, ვერ ავიყარე, და ზურაბ, კახნი და ქართველნი მათად სამტეროდ წავეყარე.

710. ევლოთ, მისლოდეს სარუბაჲს, მას შეუტყობრად მყოფარსა, ასრე შეპარვით მიუვლენ ძალებსა მათსა მყეფარსა. ველარ გაუსწრეს, წახეთსა გარ ჯებირს შემოიფარსა, და ქვეითად შეუხდებიან, აგლეჯენ ხმალსა და ფარსა.

711. ზურაბ ცხენით გარდაუხდა, შეუზახა სრულ ლაშქართა: „გარდმოხედით ყველა ცხენით, ვინ ბრძანებით აჲ ხართა! ვითლა მიხვალთ მეფესთანა, თავს ვერ ნახავთ განახართა? და ესძლევეთ ომითა, ვერ დაგვიდგმენ ხმალ-მოწვედილთა, დანა ფართა“.

712. ამ სარდლობით მალ აელოთ ჯებირი და სხვა სიმბაგრე, თაეი მოსქრეს ალიბეგსა, შეუზახეს: „იდეე აგრე, ვით გმართებდა შექნილიყაე შააბაზის შენ მოსაგრე? და სარუბაჲმა ვერ დაგვიდგა, წა, ზახური გაამაგრე!“

713. მოვიდეს, თავი მომართვეს და საშოვრის ფანჯრიაკი, ექმნათ ბევრი საშოვარი, დაეცალათ ცხეართა ბაკი, მომილოცეს, მიულოცე, თქვეს: „გათავდა თქმული აკი“.
და აწ შეიქნა ნადიმობა, არ თუ ცუდი რამ ტაქ-ტაქი.

აჲა ზურაბ მარისთვის სიჰველილი

714. ენის ძალი შენ გითქვამს და ცოტა მეც რამ მოვახსენო, ტკბილი ასპიტს მოამლოვრებს, მწარე ძირში გარდახსენო. თუ კარგგვარად გაგასინჯო, მგონივ ავად არ მახსენო, და ავმა ენამ საქმე მიყო, ავი, ღვთის მადლს, ჩამომხსენო!

715. ენას აქვს გესლი ბოროტი უმწარე ასპიტისაგან, თვით დამიციდია აგრევე, ვითა მასმია სხვისაგან. წინასწარმეტყველთ ასე თქვეს და მტკიცედ თვის და თვისაგან. და მათი მესმინა, მიჯობდა, ეწვართა აეს ავისაგან.

716. ენა მლიქნელი გონებას მყუდროსა, მშვიდად ღებულსა, გულსა განმსკვალავს და ღვიძლსა გააპობს, სიბრძნით ქებულსა; ანაზღადთ აღსძრავს რისხვასა, შეიქს ცეცხლ-მოკიდებულსა, და აღღულებს ნაღველს ცეცხლთაებრ, ცნობაზედ ზედ მიწებულსა.

717. ყურსა ლახვრულად ეცემა, უმაგრეს გვრდემლ ნაკრავისა, თვალსა აამლოვრეს წმინდასა, ხედვიდეს აეს არ ავისა, თმით აშლის, ხელ-ფეხთ ფრჩხილებსა გასწვავს ცეცხლ-განაკრავისა, და შფოთს ააყოლებს ვინც ისმენს, უმშვიდეს იყოს კრავისა.

718. თუ ვინ ჩავარდეს წყალსა და აღმოხდეს დაუსველებლად? წილში მკვრელი ცეცხლისა ვით დარჩეს დაუმწველებლად? ან ბადეს ვინლა განერეს, აცლიდეს გამოსადებლად? და ვინ ისმენს მლიქნელს ენასა, არ უნდა ცუდად საღებლად.

719. ვისცა არ უნდა აყოლა სიტყვა ავისა, ცუდისა, ვით ნაკვერცხალი კალთასა დაგეცეს, შეშა უდისა, ანაზღად თუ არ გარდაგდებ, ნატისუს ალი უდისა.
და აგრევე ენას თუ უსმენ, დაგრჩება, დაიბუდისა.

720. რადგან ეს ვიცი, რად ავჰყევ ენას ავისა მბობელსა, ლბილისა გამსალეებელსა, ფოლადის დამადნობელსა, უცებთა შეუტყობარსა, ბრძენთაცა ძლივ საცნობელსა, და ყელშიგან წამქირებელსა, საბელსა დამარჩობელსა?

721. რას მიშველა, ვინანი და ღმერთს ვიაჯი მოტყეებას, მაგრამ ძნელად გაეძლების ყმის პატრონზედ აზვაგებას. ორივ ერთად შემეყარა, ამაღ ვერ ვიქ ჯავრთა ვსებას.
და ავი ენა, იგ ამაყი, ასრე შემიქს მე დავსებას.

722. სჯობდა, თუ ორივე დამეთმო ღვთის წინ და ამ სოფლისადა, ვირე ცოცხლვარ, ვინანი, სამუდმოდ კრემლი მდისა და... რად მოვჰკალ, ვით შემოვიკალ, შვილის უმჯობე, ძმისა და, და ნამსახური და კვლავ სიძე, სიკეთე აქვს მოღვმისადა?!

723. ღვთისა მეშინის, კაცთავან მრცხენის ამისსა მყოფელსა, გული გაშმაგდეს და ხელნი შემხმეს მის ლახერის მყოფელსა! სახელმწიფონი ოხრად მიჩნს, რას ვაქნეუ მე საყოფელსა? და იმ სოფელს ნუმც მეკითხება, გარდამხდეს ამავე სოფელსა!

724. ამისგან უკრძედ ამის თქმა ავია, ამაღ გაუშო. გვერდს მიჯდა, ებრძანე სიკედლილი, სისხლი მან ჩემს წინ გაუშო, დედამ მისთანა თავადსა შვილი ველარ ვისლა უშო. და რადგან ის მოვჰკალ ამაყი, არ მმართვეს სხეულა აუშო.

ამას ზეით ლექსები სამისა ერთგვარი იამბიკით რომ თავბოლო ლექსად აქვს, ედევ სხვის იამბაკით ზეით-ქვეითი სტრიქონი და თავბოლო ლექსი აქვს; ცხრუ ლექსი ქებისა ოსეთს არის ნათქვამი, ქრონიკონის ლექსით ორმოცს დღეს.

725. ამას ზეით ოსეთს მითქვამს, ამას ქვეით ვიტყვი რუსეთს, სოფლისაგან არას მიკვირს, მობალხენიც მივლენ მისრეთს. კარგად მიყო, არ ვემდურვი, ასრე უნდა საქმეს ისრეთს. და კიდევ ღმერთი კარგად შესცვლის, მოწყალებით ისრეე იღმერთს.

726. ნაღვლის რასმე საქარეებლად მე ეს საქმე ვიმეგობრე, ქვეყანაა მქიდრო რამე სამესისხლო, სამეკობრე. ზოგთ ვაქებ და ზოგთ ვაძაგებ, ავის საქმის მე დამგმობრე. და ასე ამან შემიქცია, აღარა რამ ვისალმობრე.

აჰა ზეით თეიმურაზისაგან ულუკოსორის მიხლოდა

727. ამას უკან გავილაშქრე და მიუხე ულუკოსორს, თუ ამირან გაბედევდა, არ უქნია ეს არ ნოსორს. სამ-დღე შევლე დალისტანი, ოთხისაგან უფრო მოშორს. და რას ექვ ამის შემმართველი, შევებმოდო დვალს ან ოს ორს?

728. დავსწვი, დავსტეხე კოსორი, უწინ არვისგან ქნილიყო, თუ არ ისევე ჩემგანვე, უთუოდ სხვისგან ძნელ იყო. ნატყვენავი და ალაფი მოის მუხრანსა განიყო. და ველარ მემტერნეს მას აქათ, მერმე მშვიდობა დამიწყო.

აჰა არაჟს აჰათის მორაბევა ზეით თეიმურაზისაგან

729. აწყა ჩაველ, არეზს აქათ მოვაოხრე მოვარბივე, ორგული და ურჩი ჩემი ვინც გამოჩნდა, დავაბივე. ამ ორისავე ტახტის მკერმა მეფეც მოყვრად მოვიბივე, და ურჩსა მივე არაფერი, ერთგულებსა ბევრი მივე.

730. დაუთხან იჯდა განჯასა, უნდილაძე ბეგლარბეგად.
წამოვიდა, მამივიდა, თვით ჩემთანვე იყო მდგეგად;
სრულ ყაჯარი თან იახლა, იორზედა დადგეს ბეგად,
და მერმე კახნი თავს დაასხა მოსასრველად, გარდაგებდა.

731. ყაენმა მთხოვა ბევრითა წყალობა უსაზომითა:
„დასწყნარდი, მამეც დაუთხან, გაძელ ჩემითა ომითა,
წყალობა გიყო მრავალი არ ხერხად შემამდგომითა“.
და ამაღ ვერა ვქენ, ვერ მივეც, რომ ხმალზედ მამენდო მითა.

ამა სააკაძე როსტომხან სპასალარი გამოგზავნა უსაფიზო ჟანმა და როსტომ
ჯატონის სვიმონის ძმის დავითის შვილი, განკობანა ჰართლს ბასაბატონებლად
და კახეთს სალიზხან-

732. აქ სააკაძე როსტომხან ერანზე ასპასალარა,
კვლა დაუთხანის შეილს მისცა, მას როსტომ ეთქვა სალარა,
ქართლი მისცა და სხვაც ბევრი საკურკულე, მას ასალარა.
და მოვიდენ, თუმცა გამაგდეს, მოისვენებდა მალ არა.

733. რა მოვიდენ, ბარათიანთ ფიცი სტეხეს, მიუვიდენ.
რა დათუნა ერისთავი მისის ძმებით შეთაბუნდენ,
ხმალი ველარ გაუმართე, ყმათ რა მიყვეს საქმე ესდენ!
და მეც წაველ და ჩემნი ყმანი იმერეთსვე გარდმოვიდენ.

734. ქართლი როსტომ დაიქირა და კახეთსა დასვეს სალიმ,
ჩემი ქრისტე აღრე მამრევეს, გამიმგაროს ის ვერ ალიმ.
რა მიუბნე, მოარჩინა ცხენმა მისმა მუხლად მალიმ.
და ისრევე ფეხზედ დამაყენის გაბედვამ და ჩემა ძალიმ.

ამა როსტომ მეფისაგან დათუნა მისთვის სიკვდილი, და საერისთოს უხელომა და და-
მარცხება, და ჯაალ მისთვისაგან მეფის თეიმურაზის ანანურს დვალთუა მოყვა .

735. როსტომ მოკლა დათუნა და თავი ყაენს გაუგზავნა,
რა შეუხდა საერისთოს, სხვათ ძმათ აღარ დაეზავნა.
ზაალ, მისმა უმცროსმა ძმამ, გამოქცევით გამოგზავნა,
და რომელიც რამ თან რამ ახლდა, ისიც დარჩა, დიდად აენა.

736. გამოგზავნა ჩემთან კაცი ფრცითა და თავედებითა:
„ვირ ვცოცხალვართ, მუნამდისი ჩვენ ამ პირზედ დავდგებითა,
არ გიტყუოთ არას საქმით, არას მიზეზ დადებითა,
და არ სიტყვით და არა ტრეღით, არ იქი-აქ მოდებითა“.

737. შემოიჯერეს ფიცითა და, წაველ მთისკენ ანანურსა,
დვალეთზე გარდავიარე, რა გზა მექნა სადაურსა.
მამეგებნეს მხიარულად, აღარ გვანდეს დანამდურსა,
და მერმე წვრილად მიამბობდეს მუნ ამბავსა იქიურსა,

738. სალიმისა თქვეს მოსაბრუნს დგომა, სახლისა აგება,
კელავე როსტომის ტფილისსა სამუდმოდ სუფრის დაგება:
„გემართებს როსტომის მტერობა, სალიმის მალ გარდაგება“.
და „მაგრა სალიმის გაგდება“ — ზოგთა თქვეს — სჯობდეს ეგება“.

739. თქვეს, თუ: „როსტომ ციხესა ზის, სალიმ არის კახეთშია“.
ესე მესმა გაჯავრებულს, ლომს ნადირზედ მომემშია.
გარდუხე და გავისტუმრე ფეხშიშველა, უმაშია,
და ჩემთა ყმათა წინ მიმასწრეს, პალური ჰკრეს ღუმეშია.

740. კახეთი იყო უკაცო კვერნაქიანად გაღმართი:
ასე მოგვეპყრნენ თათრები, ვით ისრაელთა წარმართა.
ანანურს ვიდევ სამს წელსა, ვიარე აღმართ-დაღმართი.
და მრავალი მტერი ამიტყდა, მართალი, არ უკულმართი.

აქა ოხიანორჩის დავით ასლანის შვილისა და ბარსევიან ჭავჭავაძის, გულბათის
შვილის, ანანურით სათოფით წასვლა და ლეკების დახლოება

741. ანანურიდამ წავიდენ გარსევან და მამუკაი,
თუმც მამუკა უმჯობეა, მაგრამ არის ისიც კაი,
თვითანც კარგნი მეთოფენი და იმათი სააკაი,
და აქათ მივლენ თვით ესენი, მთიულს დახედა ბაკაკაი.

742. რა მოვიდნენ სანადიროს, ორნივ წავლენ ერთსა მხარეს,
ლეკნი თურე მზირად უსხდეს, ორმოცია არემარეს;
ბუსუნე ქნეს, ჩაცაუსხდენ, არ თუ შორით მოუარეს,
და მათ ერთი ლეკი ხეზედ ჰყავს, ახლოაო, არ თუ შორეს.

743. ლეკი ნახეს ხეზედ მყოფი, მისმა ნახვამ გააცინა,
ერთმანერთსა დაჰპატიეეს სროლა მისი, სისხლთა მდინა.
ჰგავს გარსევანს უსროლია, მგონი, კიდევ დაეცდინა:
და რად ვერ მიხვდენ სხვათაც ყოფნას, კარგნი კაცნი რამ აცდინა?

744. რა თოფის ხმა გაიგონეს, მზირთ ფარული გააცხადეს,
ორნი დარჩეს მოდაბლებით, ლეკნი ზეით წამოადგეს;
გამორიდეს, უკან მოჰყვენეს, ვინც დაეცა ველარ აღდგეს,
და აწ უყურეთ მამუკასა, ჰკუა როგორ გამოადგეს!

745. გარსევანს თოფსა დაცლილსა ფეხი წაუბრკმა, დაეცა;
ერთი უძახის მეორეს: „კა მაგას; დანა დაეცა“.
მამუკა თოფსა აიღებს, არ ესერის, ჰკუა მოეცა.
და გიუნა ნატრობს: „მამუკას ვხლებოდი ნეტაი მეცა!“

746. მამუკასაც თუ ესროლა, მოეკლამცა მას ერთიცა;
მასც მოჰკლავდენ უსაცილოდ, ჩაივლიდა იმათიცა,
კაცმან უნდა იმ დღეს ჰკუა მოიხმაროს და ღმერთიცა:
და მოსულიყო სადგომს, ეთქვა დიდი რამე მას ფიციცა:

747. მამუკა ერთათ სიფიცხით და მერმე ჰკეითაც მოურჩა,
ესე სასირცხოდ დაიდვა, რისთვის გარსევან დაურჩა.
თქვა: „მივსდევ დალისტანამდი, იმას ველარეინ დაურჩა,
და საღ მიიყვანენ, მიეჰყვები, მე თეიმურაზ დამირჩა“.

748. გავიდა გაღმა სოფლებში, დაელო ფშაველი ართანა.
ვინც პოვა, არეინ დაავდო, მან არ იახლა ართანა,
უკან გაუდგა გარსევანს, ამხანაგს ნაომართანა.
და იმ ტოლი კაცი იმ დროსა შე აღარ მყვანდა მისთანა.

749. ლაგოდახად წაეწიენენ, გარსევან ჰყვით ხელშეკრული,
ნახა წინამ ამხანაგმა აუფეთქდა მწოვედ გული.
მამუკამ თქვა: „არ შესძახოთ, დაიღვით ასე სული,
და თორემ იმას იქავ მრჰკლვენ, მეც დავრჩები დაკარგული“.

750. შეეპარნენ ტყის ბედითა, რა მოვიდენ, შეუზახა.
თვითან მიჰა ყველას წინა, სხვა არავინ წაუძახა.
ხლმით დახოცა მან ლეკები, აღარც სულთქვენა, აღარც ახა.
და გარსევანც ლეკი შეიპყრა, რა ესენი დაინახა.

751. ზოგთა თქვეს, თუ: ესე საქმე მამუკამა ვერ ქნა კარგა,
განა თუ არ მოსწეოდა, მას უკან რადლა ვეარგა.
შენ რას იტყვი, მე კი მამწონს, ჩემწინ იმან კარგა დარგა.
და კაი საქმე წახდებოდა, თუ ლეკთ აქ არ დაებარგა.

აქა ვეფხის თეიმურაზისაბან ძახეთში ჩასვლა და შენობის დაბადება

752. რამდენჯერ ლეკთა შეეგები, არ მახსოვს მე სათვალავი,
ან რაზმით, ან წინ დახდომით, ან მღვერად დასალავი;
ვერ წაგვივიდის ჯარი და, ვერცა იქი-აქ მალავი.
და უფროსი ერთხან უჩემოდ ყმანი მყვეს მითი მძალავი.

753. ხისიყის ნაცვალს ჯიმშიტას, ხისიყელთ ირ მოურავსა,
ორჯელ ლეკთ რაზმის ომზედა უყურე სისხლში მცურავსა!
ღნამს სარდლობდა ჯიმშიტა, ომის ოფლს მოიწურავსა,
და ორჯელვე გამარჯვებოდა მას სიხრდლის არ მიწურავსა.

754. კახეთს ჩავედით ბატონყმით მემკვიდრე; არ თუ ახლები:
რასაც ვით გავწვდით, დავსახლდით; დავიდვით ყოვლგან სახლები:
არაგვისა და ქსანისა ერისთვებთანა ნახლები
და იყენეს კანნი და; ისინი ერთმანერთს მოყვარ-მძახლები.

755. ერთგნით ყაენის ლაშქარი მებრძოდა არ ხანდახანდა,
დაუმაღლებდა ჩემს წყენას, ასე სულთნები დახანდა,
მეორედ როსტომ, ქართველი, ვინ კარგი; ან ვინ და ხანდა;
და მესამედ ლეკი მტერობდა, სამუდმოდ ვინც გაშამხანდა.

756. მაგრამ ვერათ შემაწუხეს, ჩემგან იმათ ეშინოდეს,
ვლასქრობდი და ვნადირობდი, ლხინს ვნახავდი მე შინ ოდეს.
„მოვიდაო თეიმურაზ“ — როსტომს კაცი მიუბროდეს,
და ხან გორს იჯდის, ხან ქალაქსა, ციხეებში მწვე ლხინობდეს.

757. ქართველთა ჩემი ერჩია, მაგრა ყაენი მას ება,
არეზს აქეთი ლაშქარი ხან ნაცვლრთ ექეშიკება,
ციხეში იჯდა, ფთხილობდა, გაძნელდა მისი გაძება.
და რა საქმე დაგვიანდებდა, სხვაც რამე დაეწმასნება.

758. ხანდახან დავზავდებოდი, ყაენს შეესძლენიდი ფეშქაშსა,
გამოგზავნიდა ხალათსა, მის შესაფერსა ზარქაშსა.
კვლავ რუსეთიღამც მოვიდის, ფლურით ავსებდნენ ბარქაშსა.
და როსტომ მეფესაც გავრიგდი, უხარის ჩემსა დამაშსა.

აბა ღ ღოეთის მოსაქცეველად წასვლა მიჰვის თეიმურაზისაგან

759. დიდოთ ვსკერეტდი ყოვლთ წარმართხედ უღვთოთა, უუსჯულესსა.
ღვთისგან შორს და მის უცნობლად კვლავ ეშმაკთა მემსხვერპლესა;
არ უსმენდენ ებისკოპოზთ; რაც რომ მათთვის დაეწესა.
და ვთქვი, აწ წავალ, ძალს უჩვენებ სულელთა და კვეამოკლესა

760: ამდ წაველ მათ წარმართხედ, მინდოდა რომ მამექცია,
მერმე, თუ არ დაეჯერათ, ციხეები მამექცია,
ვამე, მათგან კარგთა ყმათა სისხლი კლდეთა წამექცია.
და მათ ასეთი საქმე მიყვეს, დასარჩობლად მამე ქცია.

761. მიველ, ჩაუღეგ, ავიღეთ ზოგზოგის კოშკებიანად,
უთხარ: „არ მოხვალ რუჯულზედან, ყათლანს არ გიზამ გვიანად“.
მათ დაბალი თქვეს ერთხანად, ვთქვი აწ არიან ქკვიანად.
და მერე მომიკლეს მამუკა, სარგებელი ვქენ ზიანად.

762. მამუკა მოკლეს თოფითა, ისროდეს შხამიანებსა
ისარსა მათებრ უქულმა, უცდურად დასანანებსა.
რუსთველი მირჩევს წამოსვლას, მე ვეტყვი მას უარებსა,
და მან მითხრა: „მეფევე, ესე სჯობს ამისგან უუარებსა“.

763. არ დაუჯერე, ავად ვქენ, მიჯობდა გაბრუნებანი.
მათ იხმეს ლეკი საშველად, მალ მოვლენ, ეწნათ რებანი.
შეიქნა ომი სასტიკი, კარგთა ვინ შესძლოს ქებანი?
და საგორავით გამოგვაქციენეს, ზრდალს დაუქარგეს ცნებანი.

764. ალავერდელი, რუსთველი, მოკლეს ჩემს წინა და ახლო,
პაპუა აშრაპიშვილი, კაი ყმა, მუდამ საახლო,
სულხან ბაზიერთ-ხუცესი, ჟამ წარვლილ ვინლა აახლო?
და მასთან ნათანელ მდივანი, მისთვის ვინ შეგკრას ნახლო.

765. რევან ღაქრეს სახლთხუტესი, მე ცხენი ქვეშ გამომიკლეს, კელაჲ თამაზა ჯანდანიძე, მათ იმატეს, ჩვენთა იკლეს. მე ცხენს შემსუა გიორგიმა უკეთესსა, არ მუხლ-მოკლეს. ღა რადგან ბევრი მტერი მყვანდა, რას ვებრძოდი კჳუათ მოკლეს?

766. ებისკოპოზთ, დარბაზის ერთ ამოწყვეტილი შინ მოველ. ისინი ღმერთსა ვერ სცნობენ, ვით გაუმარჯუა სამოველ? დიად დავსუსტიდი მას აქეთ, ცოცხალი რადლა წამოველ? ღა სხეაც ბევრი მოჰკლეს მსახური, მგონივ ერთს ერქვა იოველ.

767. მამუკა ბოქალთხუტეს, ლალობით ეთქვა „იშიო“, იმ ძალთა ვით შეურჩიეს, ღაწეს მცირეს, კანქსა წერილშიო. რევანს ლოყას ჰქრეს ისარი და თამაზასა წვივშიო. ღა აგრე ისპანი ყოფილან, რად არა ჰქონდათ შიშიო?

აჲა ამილახორი ღა ზაალ არაბვის-ერისთავი მფხვს თეიფურაზს ახლდენ. ღა კათალიკოზი დინასამიძე ემფომო, გოჩაშვილი გიორგი და ნოდარ ციცისშვილი შიგნით ბაშურგულდენ როსტომ მფხვსა ღა, სანაშდის ბატონი თეიფურაზ მოასწრობდა, ნოდარ უყუღდა როსტომ მფხვსა, მიასწრო ნოდარულ როსტომ მფხვამ ღა გაემარჯვა.

768. ამილახორი იოთამ ღა ზაალ მაშინც მე მახლდენ, კათალიკოზი ეედემოზ და გოჩაშვილი გაახლდენ, კელავ ციცისშვილი ნოდარ და სხეა ქართველები ვთქვა რამდენ?— ღა მიმიხმეს, ლაშქრით რა წაველ, ჩემად მისელამდის გატულდენ.

769. ნოდარ ფიცეთს შეიყარა, ჩხეიძენიც მასთან იყენენ, როსტომს უთხრეს: „ესე ასრე ნოდარზედ მალ წაიყვანენ, ნუ შეეჰყრითო, მივაშუროთ, თორემ ბოლოს შეინანენ, ღა ვინ მუხრანსა ჰპატრონობდი, ცულ-მადები მოიხმარენ.“

770. მივიდენ ფიცეთს ნოდარზედ უეცად; შეუტყობარად. მას ყარაული არ ჰყვანდა, ნეტაა ზვართა საბარად? ჩხეიძებმა რა ნახეს. ესენი მართ საშუბარად, ღა მოვიდენ, მოიქნივესცა, ზოგთა ჰქრეს მწვე გასამწარად.

771. მეც მუხრანს მიველ, მიმასწრო და გაემარჯვა ნოდარზედ, ბეჟია დარჩა იორამს, მოურავის-შვილს, იმ ომზედ; ოტია თვითან ოტიას რატიშვილს უჯდა. გავაზედ; ღა საციციანო კაცები ცხენს სხედან მათს კვიციანზედ.

აჲა მალაროს მისვლა როსტომ მფხვისაგან დიდის ლაშქრითა.

772. ამ საქმემ გამითამამა როსტომ, წამოდგა საომრად ქართველთა მეფე ქართველით, ჰყვანდა ხანგიც თან ლაშქრად. მე ბაზარს ვიყავ გაზაფხულ სანადიროსა, მათ შორად. ღა მითხრეს: „მოვაო ლაშქარი“, არ დავიჯერე ნაქორად.

773. ქალაქიღამ გამოვიდა, მოვიდაო მედასტურე. მალ დავადღე სანადირო კარგები დი სხეა სატურე,

შეილი ზეით გამოვგზავნე, მუზარადი არ დავხურე,
და ლაშქრისათვის შესაყრელად ვერ მამისწორეს მათ, უყურე!

774. მამაშურეს მათ ხისიყსა, ეგონათ თუ მამისწორებდენ,
მაგრამ კიდევ მე მიუსწარ ცოტას კაცით, ასიოდენ.
რა მე მიველ, იგინიცა კელმეშურში რაზმს აწყობდენ.
და სულ ხისიყელთ ვერ მამისწორეს, რაზომ კაცი კაცზედ რბოდენ.

775. მოვიდენ რაზმ-დაწყობილნი ქოტორის გზითა მალაროს,
სრულ ერთს გზაზედა მოაწვეს, ჯარი სხვას გზაზედ არ აროს.
სკემდეს ქოსსა და ზურნასა, ჰგონებდეს მათ სანალაროს,
და გაბრუნდებიან იმგვარად, ამ გზაზედ მოვლენ აღაროს.

776. შეიქნა სროლა ორგნითვე უმცროთგან უფრო ფიცხადე,
მოკლეს და დაჰრეს ჩვენგანთა, სისხლი შენ გარდაიხადე;
ყაფლანს ჰკრეს ზუჩის საცხვირეს, ხმა გამოვიდა ჯახადე,
და ჯაქვმა დაუდგა სადგომსა, მიჰყავს და მალე აშხადე.

777. ბოვენელსა ეფისკოპოსსა ჰკითხე, რად მოჰყვა ჩემზედა?
მე ქრისტიანე მეფე ვარ, იგ არის თათრის რჯულზედა.
იუ უსამართლო ბერია, ღმერთი გამიივლენს მას ზედა,
და თოფი ჰკრეს, ორივე თვალეში წააყრევინეს ქვაზედა.

778. ორი ქისიყელი კაცი, მსახურები რომ იქ იყვნეს,
გონასა მანგოსაშვილი, ერთად მსროლნი არ გაიყვნეს,
გლენნი იყვნეს, მაგრამ იმ დღეს დარბაისლადაც კმარ იყვნეს,
და იმ დღეს იმდენს მემომართა პირი მართ იმ ორთ დაუყვნეს.

779. გაბრუნდენ, ავად გაყარეს ბარგი და მათარაშეგია,
იმდენთ ლაშქართა ცოტათი ღვთითა მე მალ შევებია;
ქართველნი ახლდენ, სხვა ხანიც, აკლია თუ ფაშებია.
და იტამც გეჰვირტა, ვინ მახლდენ, შენ ვისმე იქ დაეგია!

780. ველარც ლაშქარში მამისწრა და ველარ შვილმა, თორემე
იუ მათ მოესწრო, ან იქა შემყროდა გლენი მერე მე,
მათ ქალაქაშდო მიესდევდი; მაგრა რა შექნა მოარემე?
და იქაღამ გავაქციე და ველარ მიესდოე შორე მე.

ბძა ძვილაძეცა ბასუხი რუსთმეოლისა, რომელი მოახხინა მთვას; თამარ ღვი
და ეუჯაღაც წოდებულის, მის ჰამის ნაჰმარნი ომნი და მის დროთ საძარ
ღვიდებულთ ნაჰმარნი სრულში, რომელნი სწარია ცხომარებასა შინა საძარ
სასა ვრცელად, აწ მე შემოკლებით ვთქვა ლეჰსად

ბასუხი იმ [16].

781. ხელმწიფევე, თქვენი აშბავე ვინმინე, რაც ვამიხსენე,
მეც რას დროსა ვარ შემსწრობი, მიყურე, თქვენც მამიხსენე;
?ეპირებისა საკრველი ინებე, აწ მომიხსენე,
და აუ ტყუილი რამ გიამბო, მაგინე, ავად მიხსენე.

782. მეფეო, გვიკვირს, ეგზომი თავს ლეწლი აწამენითა, არ თუ გვენახოს, ძველადცა ამბად ვართ ძლივ მოსმენითა, მაგრამ მელექსეთ ჯობნება არა ვთქვა აწ ამ ენითა, და თვით მამკლა, ამიონარო სახლ-მარან აწა მენითა.

783. არც მეფედ შეგედარები და არცა ომ-სახელითა, არც ძალად, გულად, სიფიცხით, რომე გკრა ხელსა ხელითა; თუ მელექსედა მედრები, ჩვენა ვართ არ ერთ-ხელითა, და მე რიტორი ვარ, მიჯნურნი შევამკვე ხელი ხელითა.

784. ომნი ძლიერნი ნაქმარნი მიბრძანე სახელოვანი, კირნი, სასჯელთა მოთმენა, მართ მსგავსი იობიანი, ხან დამდაბლება ბედისა, ხან ამაღლება სვიანი, და მეც რამ მოგართვა პასუხი, მისმინე ვთქვა რამ კვიანი.

785. როს თამარ, დიდი ხელმწიფე, სრულ ხმელთა პირსა ნათობდა, სხვათა მნათობდა უმჯობე, მზესა მით ეკამათოდა, ბროლ-მინა ერთად შეთხზნილი, გარშემ გიშერი სათოდა, და მძლეველი მძლავრთა მეფეთა, დამამხობელი მათო და.

786. ამხედრდა ჰუნეს მეფეთას, აღვირი იპყრა ძლიერად, მან ტახტი ხელმწიფობისა შეამკო, კმა მის მიერად; განბრწყინებული განშვენდა სფერო, უღრუბლო აერად, და დაიპყრა შვიდივ სამეფო ლიხთ ამერიოვან იმერად.

787. თორმეტს წელიწადს სიბრძნითა სამეფოს გაარიგებდა, ურჩს შეიპყრობდა, ერთგულთა სვე-ბედით აამაღლებდა, ლაშქართა სარდლებს უჩენდა, ერთს ამირ-სპასალარებდა, და მშვიდი მშვიდთ პატივს უპყრობდა, ამაყთა მოამდაბლებდა.

788. მოესთლო შვება, სიმოთხის სურნელთა სახეობანი, მას მოეფუტკრა ვარდისა დაცვარულ-მობუტკობანი, მცენარეობა ყვავილთა ისფადელ-ნარგისობანი, და ივლიო[ს] ველის შვენება, სიტურფე ნამორავებანი.

789. აჩინა ყოვლი მოხელე, მის მის პატივსა უპყრობდა; წინ-მდგომობისა პატივი ვის პქონდა, ვინ წაუტსრობდა; ამპარტავანთა ღრუბელი განქარდა, ველარ ავდრობდა. და ახლა ისმინე, სამზღვარი საით სადამდის იპყრობდა.

790. პონტოს ზღვით გურგანის ზღვამდის, სპერიდამ დარუბანდამდის, ყოვლნი კავკასნი, იმერნი, ამერნი, ხაზარეთამდის, მთით გელაქუნით, ჩრდილოთ-კერძ მპყრობელი სრულ ყიფჩაყამდის, და ვაი, ვაება მამირთე, უმისოდ სული ამამდის;

791. პირველ ილაშქრა ქვეყანას კარის და კარნიფორისა, სრულ მოარბია ერთპირად სამზღვრამდის პასიანისა; გამარჯვებულნი, ნაშოვნი მოვიდენ წინაშე მისა, და მალალის, გულით მდაბლისა, მეფის ლეთივ განბრძნობილისა.

აჲა ომი კახას-ძის ბამრაქელისა და ბამარჯვება

792. ამის პირველად მოვიდენ ლაშქარნი თურქთა ქვეყნისა, მუნ ბევრეულნი თათარნი გელაქუნელთა არნისა, ქვეყანას პალაკაციოს, ძალლის-ხევ წოდებულისა. და ზედან მიუხდა კახას-ძე სვითა მით ძალ-ძლიერისა.

793. იქ გაემარჯვა გამრეკელს, მცირეთვან დიდნი იძძლიენეს, იორტეს ბანაკი მათი, მომცროთვან ბევრნი იძლიენეს, მათ არმალანი მოიღეს, მეფეს წინ გამოაჩინეს, და კელა სატურფალი ტურფასა თვით ნებით შემოაძლიენეს.

აჲა თურქნი მიუხდეს შავშეთს და გუზან აბულის-ძმან შიჩარა ტბელნი. კლარ ჯელნი. აჲათ შვიგნეს მისხნი და ბამარჯვამთ იმავ ჟამ

794. თურქნი მოვიდეს ამ ჟამად შავშეთს, გამრისნი, შამელნი, კარელნიც თან მოიტანეს, მოარბიეს სრულ კლარჯელნი. აჲათ გუზან აბულის-ძემ შეიყარა ტაოელნი, და კელა ბოცო და სხვანი მესხნი ზედ მიესწრნენ ომ-შემძლენი.

795. თურქთ. მარბიელ გაშეებულთა შეებნენ და გაემარჯვა, **✓** წარიქციეს წინ მეოტნი, რაღაც უნდა მოემარჯვა, დააეიწყეს მათ იმათი მოისურვი, გზის დათარჯვა. და მოულოცა თამარ მეფეს, გუზან შავში მოეკლარჯვა.

796. მოიღეს კაცი მრავალი ცხენითურთ მეფეს წინაშე, მხარ-დაკრულებთა წარმართთა უნახე მათი თამაშე. ხმლით, ისრით, შუბით ვიბრძოდით, არა ვთქვით თოფი დამაშე, და ჩვენ ხარაჯაცა მოგვციან, თქვენ მტერიც ვერ დამაშე.

აჲა საღირ მხარ-ბრძელის შვილთაგან, ზაჲარი და ივანესაგან, დვინის ჰმეყანას მისდომა და ბამარჯვება

797. ამის შემდგომად მხარგრძელნი, ძენი საღირ და ვარამის, ზაჲარია და ივანე და სარგის მნახი ვარამის, ილაშქრეს დვინის ქვეყანას, ქალნი იშოვნეს არამის. და ჯერ ეს მითქვამს და სხვაცა ვთქვა, თქვენ გამხელა სთქვით ბარ ამის

✓ 798. ალაფ-აღებულთ ეწივნეს უკან ლაშქარი მწვე ძნელი,
კმა იყო ვეფხის სიფიცხედ, რაც მათ ორთ ძმათ უნეს საქნელი,
სძლიეს მხარგრძელთა მომწვეთა, მათ ზორცთა ექმნეს ამქნელი
და გამარჯვებულნი მოვიდეს, აქ თამარ დახვდა ნათელი.

აპა ზამო საპართველო ზამ რ.თ, შუანი, შუათ ჰვამონი ჰვამოთ იბრძოდან და
ჟ.ოვალბან ამათ გამმარჯვებოდათ სვითა თამარისათა

799. გამოსელის ხანსა რამესა ლაშქრობდეს ქვემო-ზემონი,
• შუანიც ბევრჯელ იბრძოდეს, არ შეყრის ცულა მომგონი.
სხვასაც ბევრს ვიტყვი ომებსა, თუცა ვიპოვე გამგონი.
და მაშინ თუ ბძანებულყავ, ვეპე, რომე თქუენც დაემონი.

აპა რუსთა გეფისა ძე, რომელი იყო პირველი მხარი თამარისი, ილაშქრა პართის
ჰვამანასა და გორაბია და ციხე აიღო

800. კვალად მეფემან რუსის ძემ, სპათა ჯარისა შემყრელმან,
✓ ბრძანებით თამარისითა ქვეყნისა მოხრებულმან,
მიმართა პართთა ქვეყანას, უყურე ამის მსმენელმან!
და მან ამღებელმან ქალაქის, ვერ უდგნა სიმაგრემ ძნელმან.

801. მუნ შიგან მყოფთა საუნჯეთ და ტყვეთა მოგვრის თამარსა,
✓ სულსა ნათელსა, ბრწყინვალეს; წინაშე მას მის ამარსა:
მას თაყვანისცეს, ვინ იპყრობს ყველასა მისსა დამარსა,
და ესრეთ სვე-ბედთა უკლები თქვიან თუ დაიდამ არსა?

802. ხანდახან მოისვენებდეს ლაშქრობისაგან საშვებად,
გარდავიდიან იმერეთს გულთა ნაღვლისა საშვებად;
• აღჯდის ტახტზედა შუქითა მზე ლომს მაისში აშვებად,
და მოვლის ქვეყანა აფხაზთა, სიმაღლით დაბლა დაშვებად.

• აპა გელაქუნის მოცხრება თამარის ლაშქართაგან, მათგან უკან მოწვევა და
ამათგან გამარჯვება

803. აწ შეიყარა დიდ-ძალი სიმრავლე სპათ-მეომართა,
გელაქუნისა ქვეყანათ, მაგართა, ძნელ საომართა,
თურქმანთა, მაჰმადიანთა, შიათა, გინა ომართა.
და მოსწყვიტეს, მოიალაფეს, მან ასრე საქმე მომართა.

804. ნატყვენავ წამოღებულთა გვეწვიენს თურქმანობანი.
✓ გელაქუნთ წინაძლომითა შეჰყარეს სრულადობანი,
შამელთ დიდებულთ როსტოვ და იალღაზ სულტანობანი.
და უჯობდათ არ მოგვეწოდენ, დაეთმოთ სულადობანი.

805. თამარის სპათა ლომგულთა აღიმსთვეს იმათებურეს,
ზედან მოუხდეს კისკასად, ჩაფხუტი იმათ ებურეს;

უსწრობდა ბერი ყრმასა და ყრმა. ბერსა, ვერ ქნა საბურ ეს
და პატრონი ყმასა, ყმა პატრონს, უფროსი მოსამსახურეს.

806. ამოსწყვიტეს და გაფანტეს მხნეთა, ძლიერთა, ლომებთა,
ცხენთა სიფიცხე წაუხდათ თურქმანთა მუხლად მალებთა,
სხვა უმრავლესნი შეიპყრეს ზურგი-კერძ ლახტით მალებთა.
და მოვედით შეფეს წინაშე, მოყმეთ გვიქებდეს ძალებთა.

აჲა ბრიგოლის ძე ასათ წავიდა ლაშქრითა ბანძას, მთასა მასისისასა, და დიდნი
ომნი ბარდაიხაღნეს და განმარჯვეს ზმრმბითა თამარისათა

807. კიდევ წავედით წვევითა ასათ გრიგოლის ძისათა
განძას ზემო-კერძ, რახისა პირსა, მთა მასისისათა;
მუნცა გარდაგებდა ჩვენ ომი ძლიერი მათ ლაშქრისათა,
და იქ ისახელეს ბუნ-ბერაზთ კვრეტითა თამარისათა.

808. ვარდან და ნამან ორთავე მათ უხუცესთა მსახურთა,
ორთავე მხარგრძელთა, ძლიერთა, მეფეთა მათ ნამსახურთა,
სხვათ დიდებულთ და აზნაურთ, მოყმეთ კარგ, არ უსახურთა.
და გავაქციეთ და მივჰყვეით სახლ-საჯინიბო-ახურთა.

აჲა რუსთა მიფისაჲ მასორია ყვეს და სტამბოლს ბაგზაღნეს.

809. მიჰბაძა რუსმან ევასა, განვარდა სამოთხისაგან,
შესცოდა მზესა მზეთასა სიტყვითა სამ-ოთხისაგან.
ეს სიტყვითა სცდა უცდომსა, ევა ნაყოფით ხისაგან,
და კჳუთი-მყოფელსა, არ-თქმულსა, ნათქვამსა კჳვა-მოთხისაგან.

810. ექსორია ყვეს პატრიაქთ, ქვეყნის ერთ, სულა ქართველთა.
სიტკბო განმწარდა სოფლისა, ლხინთა ზედაზედ წამრთველთა.
რალა გემართებდა მის მეტი. შვებაზედ ქირთა დამრთველთა?
და განაძეს რუსი სტამბოლსა შემოდგომისა თვე სთველთა.

აჲა ოღას რუსი ბანაძეს, თამარს შერთის ოსთა მიფის ძე, თვით ძაცი სრული
სიკითითა. ამისად უმჯობრად იუბახეს ბუზან, პატრონგან ზაჯამთისაგან, სამცხის
სპასალარგან ბოცო მისით მოკიდულთ მესხთ, ყვარყვარამ ცინისჯვრალგა და
მოიყოლეს იმარნი, დადიან-ბურხილი, აზხაზი და სვანი. და მოიყვანეს რუსი და
შემომგზნეს დავითს და ამირთა

811. აწ იქმნა საქმე ბოროტი, უშვერი, მოუწონარი,
არ ლეთის-მოყვარეთ საქნელი, მძიმეა, მოუწონარი.
ამის მოქმედსა ეკალი თვალსა ჰქარ, მოუწო ნარი.
და აწცა თამარის ერთგულთა შეუმკო, მოუწონ არი.

812. გუზან განუდგა, პატრონი შევშეთის, სულა კლარჯისა,
ყვლაჲ სპასალარი სამცხისა ბოცო, არ გიკვირს, რა რჯისა?

სხვა მათი მოკიდულობა ყვარყვარე ციხისჯვარისა.
და მათ უაუგოთ, ორგულთა, ჯვარი ცხოველი გარჯისა.

813. წავიდეს გეგუთს, შეკრიბეს ღიბთ იქით, ვინ არს მყოფარი,
აფხაზნი, სვანნი, მრაველნი, სხვათ მთის კაცთ არ გამყოფარი,
აფიციეს რუსის სამეფოთ, რა ამის განაყოფარი.
და გაგზავნეს, რუსი მოიხმეს, დაადეს არ სამყოფარი.

814. მოვიდა რუსი, გარდვიდეს, გეგუთს შეჰყარეს ლაშქარი,
შემოიყარეს ყოველნი, დადიანცა, შაქარი,
ივინი იქით წამოდგეს, თამარ ნათელი აქ არი.
და მალ წაუხდებათ რჩევისა მინაქარ-მათ-მონაქარი.

815. მათ გარდმოვლეს მთა ღიბისა, ქართლი მოწვეს, მოარბიეს,
არვინ დახვდა მეომარი, ყოვლგან ცხენი მოარბიეს,
გარდიარეს რკინისჯვარი, დასადგურდეს ციხისჯვარეს,
და დაწვეს ქალაქი ოზურხე, ურჩისა თქვეს: „დააბი ეს“.

816. დაასკენეს პირველ აღება ჯავახეთისა თმოგვისა,
თრიალეთს, ახალქალაქის, სომხიოის მიწას მოგვისა.
ავად მოუვიათ ბოლო-ყამს წვა, ოხრობისა, დაგვისა.
და მათ არ მართებდათ ღვთის მცნობთა, ეს საქნელია მოგვისა.

817. მეფეა მშვიდი სიბრძნითა, ძნელის საქმისა შემმართი,
ორგულთა რისხვით მპყრობელი და დრკუთა წამ-ერთ დამმართი.
უბრძანა ერთგულთ ამერთა: „მალ წარვლეთ აღმართ-დაღმართი,
და იქივ ჯავახეთს შეებით, ბედი აქეთ მათ უკუღმართი“.

818. კვლავ უბრძანა გამრეკელსა, მაშინ ამირ-სპასალარსა,
მისთ ერთგულსა ოთხთავ მხარგრძელთ, საქურკლეთა მითა-ლარსა:
„მამაცობა პატრონთანა იცით, კაი მასალ არსა,
და პატრონისა ერთგულობა ყმისთვის დიდი წამალ არსა“.

819. დადევს თავი პატრონისთვის თამამად და უშიშარად,
კარგსა კაცსა ერთგულობა წინა უძეს უშიშ შარად,
მეცა მათი თანმხლებელი ვერ ამიგდო უშიშ არად.
და აღრე დავსთმე თავი ჩემი პატრონისთვის მოსახმარად.

820. აილეს დროშა სვიანი, მალალი, გორგასლიანი,
მის სპათა ღმერთსა ვედრებ[დ]ა თამარ ნათელი მზიანი:
„უფალმან ჩემმან მიჩვენოს, ყმანო, ნუ თქვენი ზიანი“.
და გავლეთ; მივედით ჯავახეთს, თამარ თბილის[ს] დგა სვიანი.

821. ჩვენ იმედი გვაქვს სომხითა, მერმე თამარის სვისაგან.
შეიქნა ომი ფიცხელი იმერთა ამერისაგან,
იყო სროლა და ყივილი აფხაზთა, მეგრელისაგან.
და იმ დღეს სილამემ გაგვყარნა, ეენეს მათ ჩვენგანისაგან.

822. ნახეს სიქველე ჩვენ-კერძი, შეკრებს იმ ღამეს, არჩიეს,
მუნ ომი ველარ გაბედეს, მთას ასვლა გამოარჩიეს;
ტორნაძად სახელდებულსა მიმართეს, ჯარი არიეს.
და ძლევის მომჭირნეთ თამარის მონათა ხელი დარიეს.

823. გავედით ხილსა მტკვრისასა, მივჰყევით, დევნა უყავით,
ლიანის ველსა ვეწიეთ, მათ ხორცთა შუბნი უყავით;
სინგარის წყალზედ მივედით, ჩვენ ჯარი არ გაუყავით.
და ერუშეთსა და თმოგვს შუა ყრიალი იყო მუყა ვით.

824. შეიქნა ომი კისკასი, ვით მართებს იმერთ-ამერთას,
ქვეითნიც მწოვედ იბრძოდეს, სამების მიმნდო ამ ერთას,
მეხეთქეობდა ჰოროლი, ხრმალი ხორცთ სჭრიდა ამ ერთას.
და ძველთ გოლიათთგანც კმაროდა, რაც ომი იქნა წამ-ერთას.

825. ომთა სიგრძესა მიეცა ძლევა ჩვენს ბუმბერაზებსა,
დახოცეს, დაიონრესცა, ტყვე ჰყოფდეს გულით ბრაზებსა,
ჩვენს არვის ევნო მის მეტსა, ივანე ცოტად ივენებსა.
და მოვედით გამარჯვებულნი წინაშე, ვის მზე იმზებსა.

ამა ავბავი ბუზან-კარაღლი შვიძარა თორმეტი დროშა კაცი და მოვიდა კო...
და დახვდა ფანასკერტელი ზამარია და ბამარაჯვა

826. გუზან წარმწყემდმა თავისა ავს ავი მოუმატოსა,
აწ ამტანელმან კარისამ ვაშლოვნის სახლის ტაოსა,
ქვეყანა შარემანისა დაწვა, სიბრიყვე აოსა.
და რეგვენის კაცის წესია საქმე ბოლომდის აოსა.

827. შეჰყარა დროშა თორმეტი, მოვიდა მთასა კოლისას,
მუნ დახვდა ფანასკერტელი, სცნობ ზაქარიას ომისას;
ამან სძლო ცოტას ლაშქრითა მის ლაშქარს კეკელ-მოკლისას,
და ზოგი ხელთ დარჩათ, იტყოდეს: „უფროსი ერთსა მოკლის ას[ს]“.

828. გამარჯვებაში ლაშქრისას ჰსუფევდა თამარ ნათელი,
შმაღლეს ყოვლთა მეფეთა, არვისგან არ განათელი,
არვის უნახავს დავსილი მისის დროშისა სანთელი,
და სვიანი, გამიღრებული, უტკივრად მყოფი, კვლავ მთელი.

ამა თავარს ამ მისცა ღმერთმან და გამის სახელი დახვდა გიორგი და ლაშ
დაუერთო ზედა, რომელი ბამონითარგამანების ამჟამის განმანათლებლად

829. მრეკელთ გამლებმა კარისამ, მიმცემმა სათხოვარისა;
მომფენმა წყალობისამან თამარ პირ-ბაკმულ-მთეარისა,
ქე მისცა დავითიანი, მსგავსი მისისა გვარისა;
და ცა ნათობდა და ქვეყანა, იხარებს მოსაგვარისა.

830. სიმრავლე ქველის საქმეთა არ ითქმის ასე აღვილად,
გლახაკთ სიმღიდრე მიეცა, აეშენეს ვინ ჰყვა პურობილად;

ქვერით შეშრათ ცრემლთა ნაკადი, ობოლნი იქმნნეს დაზრდილად.
და ყრმაწული სახელ გიორგი, ალვისა ნორჩი ჯერ ჩვილად.

831. ლაშა დაერთო გიორგის სახელის მოსამატებლად.
გამოითარგმნა სხეას ენით ქვეყნისა განმანათლებლად.
საქართველო სად კმარიყო უფრორე ასამალღებლად?
და სიმტიეცდ გამამარჯვებლად, სხვათა სახლვართა წამლებლად.

832. მოვიდა მოსალოცავი სულტანთა, ათაბაგთაგან,
ღოდთა ბერძენთა მეფეთა და სპარსთა ამირათაგან,
კმა-საყოფელი ნიჭი და ტურფანი ძველთა განძთაგან,
და ოქრო, მური და გუნდრუკი, ვითა ასმოდათ მოგეთაგან.

აჲა ლაშას ბედზედ ბალაშპრიბა და ბამარჯვება.

833. ლაშას ბედზედან ვილაშქრეთ და მოვარბიეთ ბარდავი,
ციხე-ქალაქი ავიღეთ, გამოგვითხოვეს არ დავი.
ამდენს ლაშქრობას დიუხვდი, მოყმე [გ]კონივარ რად ავი?
და გიორგის თავს შემოავლეს ბევრი ტყვე ჯავრის მდარდავი.

აჲა კარსა და აზრუშვილზედ ბალაშპრიბა და ანადოლის მიშვილება და ომი.

834. ამას შუა არც თვე ერთი გამოსულა, ეს ვილაშქრეთ.
მსწრაფლ წავედით აზრუნზედა, კარისაკენ თავნი ვარეთ,
მოქალაქეთ ციხის მცველთა ყოფა დიად გაუმწარეთ,
და მას შიგნითი ანადოლი ჩვენად სამტროდ შემოვკვარეთ.

835. პირველ დღის ცისკრისა ომსა ულხინა ეამ მწუხარისა,
დილას მოვიდა ლაშქარი, ენახეთ გარდმდგომი კარისა.
ცხენ, ქვეითისა რაზმი ჩნდა, აბჯარი საომარისა.
და დაჰკრეს ბუკსა და დუმბულსა, ხმა არს სახდელი ზარისა.

836. რა ნახა დავით მეფემან, ლაშქართა სპათა მისთამან
დასტეხა მსგავსად მეხისა, დაზვლოს მალნარი ვით მთამან.
რაც მორჩა, ციხეს შეგვასწრეს, იკივლეს ცოლთა მათთამან.
და აავსო გზა და სახლები ნავლევამ მათთა თმათაჲან.

837. ველარც ციხემან დავიღვა, ავიღეთ, ავილაფეთ,
ხმალ-შემოკრულნი იზახდეს: „ნუ მამკლავ, ხორცსა ნუ აფეთ!“
შერცხენილნი და კდემულნი მათ ცოლთან გავათავლაფეთ.
და გამარჯვებულნი მოვბრუნდით თამარის კვლავ სიიფეთ.

აჲა ბელაქუნად ბანვიდეს, ჩაიარის ხაჩიანი, ჩავიდეს ვიღრა კვამნად ყვარყვარისათა,
ბალაყუნი მოარბიის, ამოვლეს ბანძის კარი და დიდი ომი იხადეს და ბაიბარჯვის

838. ოდეს ჟამთა ერთსა შინა შეიყარნეს და გავიდეს
გელაქუნად, ჩაიარეს ხაჩიანი და ჩავიდეს

ქვეყანას ყვარყვარისასა, ბალიყუნამდის წაყიდეს.
და მომრბენი, მოთარეშენი გამარჯვებულნი მოვიდეს.

839. ამოვლეს კარი განძისა, შეიქნა ომი ძლიერი;
გალანამც ვავაქციენით ჩვენ ღვთითა იმათი ერი,
საშოგრითა და ომითა არაყინ დარჩა მშეიერი.
და მოველით მზესა მეფესთან, ვის ჰქვიან სხვა შარიერი.

აჲ მხარბრძელნი იმანე და ზაჲარიან, ძენი სარბის მხარბრძელისანი, წარვიდეს
რახსის პირი მოარბიანს. და დვანელნი ამბეღარელნი სამეკობრედ წამოსულნი და-
ხვდენ, და ბანიმარჯვანს

840. კვალად ლორიდამ წაყიდეს ძენი ორნივე სარგისა,
ზაჲარია და ივანე, არ მქონე მძიმის ბარგისა,
მათ ჰქონდათ ყოვლი სიკეთის სისავსე ბევრის დარგისა.
და ღვთის წყალობა გაქვს, ომის დღეს რამდენჯერ მათ ევარგისა.

841. რახსის პირი მოარბიეს, წამოსრულნი იყენეს შინა;
სამეკობროდ წამოსულთა ქარაყენისად დაეშინა,
დვინელნი და ბაჯანელნი, ამბერდელნი მუნ მაშინა.
და რა ესენი შემოჰყროდეს, ამათ ნახვას შეეშინა.

842. უგრძობელად შემოჰყროდეს მუნ იგინი ურთიერთსა.
ვის მოწყალე ძალს უბოძებს, მალე მორევს ათსა ერთსა,
დიდს საქმესა აღვილად ჰყოფს და ხანგრძელსა წამსა ერთსა.
და ომი დიდი გარდაჰხლოდათ, გაემარჯვა მათთვის ღმერთსა.

აჲ იმანე მხახურთუხუცესება დავით მეფე აფრია ბელაჲუნს, სპარსიაჲ გოჯორის
გორალ ჰმეჲანასა; და მოარბიანს, აიღეს სიმრავლე ტყვისა და პირუტყვისა
შემსგავსებულნი ჰვიშისა

843. ივანე მსახურთხუცესმან დავით სალაშქროდ აწვია,
გელაქუნს, სპარსის ბოზორის გორლა ქვეყანას აწვია
მორბევედ, წარსატყვენელად, უთბრა: „თუ გინდა, დაწვია“.
და წაყიდა. სრულყო ნათქვამი მუნ, ჩემქმან სულმან, რა მწვია!

844. აიღეს ტყვე, ცხენ, აქლემი, ძროხა, სიმრავლე ცხვიარისა,
სიმრავლით შემსგავსებული მღვლოთაებრი კვიშისა,
მათ დღეაწულთა ვერ მშველნი, მოსაგებ იყენეს იმისა,
და ქვეყანას ზარი დასტეხეს მეხებრ მათისა შიშისა.

845. მივიდნენ სპარსის ბოზორის მოედანს შიგან სულტანის,
ხელი ჰყვეს ასპარეზობას თავით თავამდის გატანის;
ესე არვისგან ქნილიყო ცოცხალთა, არც კვდართ ჩატანის.
და ეს ასრე ქნეს და სხვა საქმე მას უკან მოამატანის.

აჲ იგი ბედქრული რუსი მაჲინ. ოდეს ლტოლვილი ხელთა ივლო და არა ავნო და განუტემა. მივიდა ერანს ათაბაბთან და მარ მისცა ჰმეჲანა არანისა; შიჲარა ლაჲჲარი და მოვიდა ჰინისჲს; აჲმამოჲვანს შიზნით მიწლორი მოარბია, წაჲწია მახატელის აჲ ხორნაბუჲჲლი და გაჲმარჲვა

846. რუსი მაჲინ გაქცეული ხელთ ივლო და არა ავნო. საღლა მოვა კვლა საბრძოლად, ან თქვენ მოსდევთ აჲ საღ ავნო? ულურსიძო ბედო მისო, სვე-დოვლათო ერთად ავნო. და არა ხამს, რომ გაგემარჯოს, ავის საქმის შენ მოღაგნო.

847. მივიდა ერანს მყოფელთან, ათაბაგ წოდებულისა; უბოძა არანის ქვეყანა, ხელმწიფეთ შემსგავსულისა. მუნით შემყრელი ლაშქრისა, განძელთა თვით გრძნეულისა, და მოვიდა კამბეჩოანსა შემარცხენელი სულისა.

848. მის გარეშემო ალაგი მოარბია და აილო, სიმრავლე ნაშოვარისა მუნით დიდძალი წაილო, ველარ წაბძანდა მშვიდობით, ვერც შინ ნაშოვნი მიილო. და თუ ასრე გაემარჯოდა, ავად ქნა, ქრთამი გაილო.

849. წაეწია მახატლის-ძე, ხორნაბუჲჲის მკერი საღირ, მცირეს ლაშქრით შეუხახა: „შენ ამ საქმეს როგორა ღირ? ჩემის მეფის მალლის სვისგან ხმალსა ცუდად არ დაგაღირ!“ და რას ვაგრძელებ, სასახელოდ გაემარჯვა, დასო დაღირ.

850. სანატრელია თამარის მუდამ გამარჯვებულობა, უსინჯო მისი სიტურფე, შვენება, კვლავ უსულობა. მინახავს მისთა მკერეტელთა შორს ბნედა, შორს ესულობა, და მხეტთაგანც თავის დაღება, ვით მონა გაერთგულობა.

აჲ ზარვაზისაგან ლომის ბოჲვერის მოკრთმავს თამარ მეფისა

851. შარვანშას ოდეს ბოკვერი გამოეგზავნა ლომისა, დიდი შეიქნა ხარება არმაღნად მოსანდომისა. ივლისის თვესა მოართვეს ლომი მზეს სამისო მისა. და ესრეთ დამონდა, ვით ვამბობ, არ ბრდღვინეთ მნდომი ომისა.

852. მოაყვანინის დარბაზსა საქმისა მოცალეზამან, ჩაუღდვის თავი უბესა, არ ბრჲყალით დასაღეზამან. ჩვენ გაგვაკვირვა ესეთმან ლომისა მოღედღეზამან. და რა გამოჲყრიდეს, ატირის გაყრისა იძღულებამან.

853: ძლივ იბყრობდეს ძალის საქმით იქით-აქათ, ვის ექირა. მყის მივიდეს მოშიზარად ლომუნად მისდა, ვთქვა მეტი რა? რა მოშორდის, ცრემლთა სჩქედის, უნდოდა, რომ ჩვენც გვეტირა. და ლომიც ასრე დაემონა, ჩავაგდო ქალაქმეტი რა!

854. ძველად სასწაულთმოქმედთა ექნათ, იმათგანც კმარიყო. არ მისწვდა მისი სახელი, ხმელზედ ქვეყანა სად იყო. ლაშქრის სიმრავლე, სიდიდე, კმარა თუ ზღვასა არ იყო. და ოთხთა კიდეთა იპყრობდა, თუ აღრე არ მამკვდარიყო.

ამა ირანის მპყრობელი გობაძარ მოვიდა შირვანს, შარვანშა აღსართაჲ ბამოზბაღო, და თამარ მფხვს შემოხვეწა. ამით ილაშქრა და ბაიბარჲჲა

855. სრულად ერანის მპყრობელად ჯდა ამირ-ბუბაქარია, აღსართან შარვაშიანსა უთვალა მან მუქარია. მოვიდა შირვანს, წაელო, თან ახლდა სრულ ლაშქარია. და ვერას ავნებდა შარვანშა ლტოლვილი აწ აქ არია.

856. მოვიდა ხეიწნად თამართან სახლს მეფის დავითისასა. მათ შეიწყალეს, უპყრობენ წყალობას პატივისასა, მისცეს ბორჯალი ლაშქრისა, იმედს იდებდეს ღვთისასა. და ილაშქრეს. არვინ დაეძებს კითხვას მოსაათისასა.

857. სრულ საქართველო აწვიეს, შიკრიკი გაუფრინესა, ლაშქარი იხმეს ყოველგნით, სასწრაფოდ მოაწვივნესა. რა ხელი ჰქონდა მაცდურსა ბობქარს, ვინ ის და ვინ ესა? და ვირე შემოკრბა ლაშქარი, არც ერთს დღეს მოაწყინესა.

858. აცნობეს ბობქარს ნახჭევნელთ, მანც მოაწვია სპარსეთი, ბაღდადეღისა ხალიფას ლაშქარნი დას-და-დასეთი. წავა დავით და ქართველნი, ვით ისრაელნი მოსეთი.. და ჯაბანს კაცს შიშით გახეთქდა, ომი მუნ ვნახე ასეთი.

859. შეკრბეს წინაშე თამარის ყოველნი მისნი ვაზირნი, სარდალნი, ერისთავები, სპანი ლომ-გულნი და გმირნი, ამირ-სპასალრის უწინ თქმის ზაქარიასა შემზირნი. და არჩიეს წასვლა; მიმართეს, სხვის არას არ დანაპირნი.

860. ითხოვეს სიტყვა, დალოცვა გამარჯვებისა, ძღვევისა პირისა მისგან ბრძენისა, ტომ დავითისა ლევისა, წარმძღვანებელი ჯეარისა, ცხოველსყოფელის ძელისა, და კვლავ დროშა გორგასლიანი, ბაგრატიანთა ძველისა.

861. წარსრულთა დაიბანაკეს წყალზედა ელეკეცისას. მუნით ვიარეთ, მივედით სიახლედ სახლ შანქორისას. თვესა ივლისსა, ხუთშაბათს, თენებას პარასკევისას. და რომელსა შინა ქრისტე მყოფს ძღვევას ორთავის გველისას.

862. რა ცნა მეფემ და მისთა სპათ მოსვლა ბობქარის ახლოსა, გაჰკვირდენ წინ მოგებებას, სირეგენეს მის საახლოსა, გამხიარულდენ მტერისას მალ პოვნას არმის სახლოსა. და სიმრავლემ, ლაშქრის სიდიდემ მტერი მტერს არ ამზახლოსა.

863. ერთად თურ ექნა აქ მოსვლა ლაშქრისა სიმრავლისაგან.
მეორედ ხევის შეზღუდვით ძალისა სიმბარისაგან.
რა დაემართოს, ისმინე, რეგვენსა აქ მოსვლისაგან,
და მეფის დავითის სიმხნით და სპათა მისთ ლომ-გულისაგან!

864. მაშინ აღკურნა მეფემან, შეჯდა ზერდაგსა განთქმულსა,
ომი იხადა ძლიერი, მით ბობქარს შეიქს დანთქმულსა.
გმირთაგან სა[ა]ქმიანთა, ძველთაგან ამბადა თქმულსა,
და ჩვენ განვაახლებთ, ვიშოებთ საჯილდოოსა მამულსა.

865. შეჰკადრებდენ ურთიერთსა სიმხნეს, გამარჯვებულობას,
ძველთა მამათ და პაპათას მეფეთა მათ ერთგულობას,
მოწამეთ ღვაწლის თავსდებას, ტანჯვასა, დადაგულობას.
და ქრისტესთვის გვიჯობს სიკედელი ამაოს აქ სულდგმულობას.

866. სპასეტნი სპათა ეტყოდეს, თავ-თავის თავის დამდებნი:
„ამხედრდით ბრძოლის ეტლზედან, მათზედა ცეცხლებრ მამდებნი,
ისტროს ქებისა შემსხმელთა წარგმატოთ ჩვენი საქებნი,
და ხელი ხმაღს მივსცეთ, სულნი ღმერთს, ვართ სხვის ნულარას მომდებნი“.

867. მაშინლა დაჰკრეს სპერი-ჰურს, შეიქმნა რაზმთ წყობილობა,
წინ მბრძოლთა ერთმანერთისა შეტევა, მუნ სირბილობა,
ომი სასტიკი, ფიცხელი, მოყვსობა არ ძმობილობა.
და თავს ლაფი უნდა დაისხას, იმ დღეს ვის ჰქონდეს რბილობა.

868. გაგრძერდა ომი, მუნ ცხენი ბევრს კარგს მეომარს მოუკლეს,
მაგრა იბრძოდეს თამამად, ქვეითობითა არ უკლეს.
ზაქარიამ და ივანემ მხარგრძელთა გზა შეიმოკლეს,
და მიმართეს ფრთოსანს ვეფხთაებრ, ნავარდი არ შემოუკლეს.

869. ცოტალა აკლდა ჩვენს რაზმსა დიდის გაჰირებისაგან
გამობრუნვება, სირცხვილსა აგართ ერთ სიბევერისაგან.
ვნახეთ ივინი მოსულნი, იმ ხან დავეციეთ ღვთისაგან.
და ომი იხადეს ძლიერი, ხმა იყო ლომთ ლომისაგან.

870. მეფეც მოვიდა რაზმითა და დროშა გორგასაღისა,
სინდეთს ნაშოვნი ვახტანგის, შემეკული ძვირ მასალისა.
იყივლა ხმითა მალლითა, ვით გული ჰქონდა საღისა.
და გაიქცეს მაჰმადიანი, რა სიცხე მიხედა აღისა.

871. ისარი სმიდა სისხლსა და ხრმალი შესჰამდა მათს ხორცსა,
მისდევდეს ალაღებულნი, ქართველნი თათრებსა ჰხოცსა,
ერთი იპყრობდა ათსა და ორი ცხრაშეტსა, ან ოცსა.
და მისებრი გამარჯვებასა სიზრმადცა ვერვინ იოცსა.

872. მისწვდა ერთის მხრის მღევარი კერძო განძისა შუამდი,
მეორეს რაზმის წინანი მთა-მალალ გელაქუნამდი.

ჰზოცდეს, იპყრობდეს, მცემელნი ტანს მათსა სისხლთა ბანამდი.
და ამაღლდა მეფის სახელი აწ ომით სვე სვიანამდი.

873. დროშა იშოვნეს ხალიფას ლაზოდრე გამოგზავნილი.
სამი ქალაქი ავიღეთ, სამივ დაგვხვდა კარ-გახსნილი.
ლარ-სალარონი, საქურკლე ვნახეთ ნაბეჭდი, არ ხსნილი.
და ეტლი თამარის ბედისა სიკეთეზედ არს ახსნილი.

874. დაიბანაკეს იმ ლამეს, სად ბობქარ ლაშქრით მდგარიყო.
იღვა სიბევრე ქურქელთა, თუ ვსთქვა სიმრავლით არ იყო.
ჩვენი მებრძოლი ჩვენზედა თამამად არსად არ იყო.
და ისრემც კარგად ხარ, ის ომი ერთ გამარჯვებად კმარიყო.

875. განძას მოვიდა, ქალაქის მუნ მყოფნი მომგებლობდეს,
დიდებულნი და ვაჟარნი ფეშქაშსა მომღებლობდეს,
თაყვანი-სცეს და დალოცეს, თავს ოქროს გარდამყრელობდეს:
და „ღმერთმან განაგენ მეფობა თქვენი, მრავალწელ გრძელობდეს“.

876. ცრემლით მოქენეთ შევედრნეს თავი და მათიანობა,
უფინეს სტავრა ფერხთ ქვეშე, სურნელნი ვარდიანობა.
შევიდა ლალი ქალაქად, შეენოდა პირ-მზიანობა.
და ბრძანა: არ წახდეს ქალაქი, ამათი თემიანობა“.

877. ავიდა, დაჯდა ტახტზედა, თავს თვალთა გარდაასხმიდეს,
ამირ-მირანს და შარვანშას მის-მის ალაგსა დასხმიდეს.
აწ დარბაზობა შეიქნა, ლხინი, და ღვინოსა სმიდეს.
და მეფობისა და სულტნობის მუნ ერთად მქონი დაზმიდეს.

878. შარვანშას ყმათა ყოვლისა და ძისა ათაბაგისა
შესატყუე უამთა ლხინია, შეენ-ს ღიმილი-ბაგისა.
მახარობელი გაგზავნა თამარს წინ, მის დამდაგისა,
და მანდატურთხუცის კიაბრის მის წინ წარგზავნად გამგისა,

879. საქმე გააგო აქეთი, მიმართა ეტლმან მის მზესა,
მეფედ ხმობილსა დედოფალს, მას ხელმწიფესა ზესთ-ზესა.
შეიყარნეს და ბაგენი ერთმანერთს გაუშაზესა.
და იმათი მსგავსი ქალ-ყმანი არ მახსოვს, ვფიცავ მათ მზესა.

880. მოჰყვა საქურკლე ურიცხვი, მრავალი და ბევრჯელ ასი,
დროშა თუთხმეტი ათასი და ერთი თვით ხალიფასი,
იყო უებრო ნაქმარი, არ ითქმის ირისი ფასი,
და მურასა გულქანდელთაგან ფრანგთა ნაქმარი მინასი.

881. ათი ათასი ავაზა, ორმოცი ცხენი ქებული,
არაბთა ჯადბაჯაბობით ჩამოსვლით მუხლ ფიცხებული,
შვიდი ათასი ყათარი აქლემი ლარ-კიდებული—
და მოართვა თამარს, ვინ არის დავითიანი ცხებული.

882. დროშა წარგზავნა ხახულის ლეთის-მშობლის სასოებისა:
„ოღეს დორბეზეს ყაფის მანიაჲ ყელ-მოღებისა
ამბრცველი მამა ჩემი გძონობს ცოდვათა დასავსებისა,
და მეც ხალიფასა დროშასა შეგწირავ კართაგებისა“.

ამა მხარბრძელი იმან მსახურთ ხუცესი ბალაჟუნელთ მიუხდა, განძელი ლაშქარი
დახვდა მანს მიმავალი და გამეარჯვა

883. აწლა ივანე მხარგრძელი წაეიდა ლაშქრით მცირითა,
მბრძოლი ფიცხელი შუბითა და მერმე ისარ-ხშირითა;
განეიდა გელაქუნელად გულითა მტერთა მზირითა,
და ნახა ლაშქარი განძელი ვანს წასვლად განაპირითა.

884. ლაშქარი დახედა უფროსი, უმცროსმან აღარ დახედნა,
ამად რომ, იყო გულ-მხეცი, უმრავლეს მისდა შებედნა,
გააქცია და ასწყვიტა, სადგომნი გაუმეიდნა,
და სილაღე მათი წაულო, მოამშვიდნა და დახედნა.

ამა ნუჭრადინ საბერძნეთისა და პალესტინისა სულთანან ოთხასი-ათასი კაცი
შინყარა და ლაშქრად გამოგზავნა, წინ ელჩი გამოუგზავნა თამარ დედოფალს
და ის უამოუთმვალა:

885. იჯდა სულტანი ნუქრადინ საბერძნეთს, პალესტინესა,
შმაღლეს ყოვლთა, ვით მაშინ მონებდენ კოსტანტინესა.
მიესმა საქმე თამარის, თქვა: „ვინ ქალი და ვინ ესა?“
და ოთხ ასუჯერ-ასსა-ათასსა სპათ შეპყრის მოსაყვივნესა.

886. წიგნი მოსწერა, ეს იყო შიგან წერილი უშეგრი:
„მე ვარ მპყრობელი ქვეყნისა, მაჰმადის თითის მიმშეგრი;
დიაკთ სირეგვენე მოგიდგამთ, შენ მორჩე მარტო მაშ ვერი,
და რად გითქვამს: საქართველოსად, გაწყვიტონ მუსურმანთ ერი?“

887. აწ ებრძანე ლაშქრის წამოსვლა შენზე და შენს ქვეყანასა,
ვინც მოხვალთ ჩემსა რუჯულზედა და მაჰმადს სცემთ თაყვანასა,
ოდენ ის დარჩეს ცოცხალი, სხვანი შეიქმენ ნანასა.
და სულ მოსრვა მიბრძანებია, მომკიან ვითა ყანასა“.

888. მოვიდა ელჩი. გვიამბობს ავს ამბავს საკადრებელთა,
უყურე, სიტყვას რას იტყვის ჩვენ ჯავრით ასანთებელთა,
რახომ უქნელთა საქმეთა, რა ცუდთა მოსადებელთა!
და თქვა: „რუჯულს დააგდებ, შეგირთავს, თვარ, უნდა ახლდე მხლებელთა“.

889. ამირ-სპასალარს რა ესმა, ზაქარიას სიტყვა ესე,
წარმოდგა და პირსა ხელით მწვე უხეტქნა დასაკენესე,
ვითა მკვდარი ქვე დააგდო ავის მოქმელი, ავის მოთესე.
და რა მობრუნდა მოციქული, სიტყვა უთხრა უკეთესე:

890. „თუ არ იყო მოციქული, გიხმსო ენა ამოგართო, მერმე თავიც გაგაშორო, შენ სულტანთან ველარ წართო, ხორცი შენი დასაწველად ნავთ-მოდებულს ცეცხლსა დაერთო; და ვით იკადრეთ უკადრისი, ძალღებო და თქვენა ვირთო“.

891. მერმე შემოსეს ელჩი და გაგზავნეს სიტყვა მწვევითა, იხმეს ლაშქარი ყოველგნით დარუბან- ანაკოფითა. შუა-ყოფნი და იმერნი, ამერთ არ განაყოფითა. და ლმერთმან მტერს მისცეს, ნუქრადინს შევიქთ რასაცა ყოფითა.

892. შემოკრბა ჯარი ჯავახეთს, ვარძიას მივლენ მეფენიც, თვით დავით სოსლან ძლიერი, თამარ ბრწყინვალე, შუქ-მეფენიც; ლეთისმშობელს ლაშქარს ვედრებდა, იქმნა მოწყალე, მომსმენიც; და „ლეთისა დედაო, დამიცვე მე თამარი და ესენიც.“

893. გაისტუმრა ლაშქარი და ესენია მეწინავეთ, ზაქარია სპასალარი და თორელნი არ სიავეთ, ივანე და შალვა, ძმანი ახალციხით; მესხთ უთავეთ და ომზედ დიდსა გასაქირსა, მოსვენებად არ, საავეთ.

894. იგინი იდგეს ბასიანს, ბოლოკე წოდებულისა. ძლივლა იტევდა მინდვრები სიგრძე-გან გაკიდულისა. დააწყევს რაზმი ჩვენგანთა, მივლენ დამდებნი სულისა. და ვიხადეთ ომი ძლიერი ძველთაგან დადებულისა.

895. წინ მბრძოლად იყენეს იგინი, პირველ ვთქვი მათ სახელები, იმიერნი და აფხაზნი, მარჯვენი, ცხენ-ფიცხელები, ამერნი დარუბანდამდინ, მარცხნივ-კერძ თვით კახელები, და შუა დავით დგა ლომგული, მებრძოლი ლომ-თათ-ხელები.

896. აწ იგინიცა წამოდგეს, ბარგ-კარვეები დაუტევეს, მოეგებნეს და საომრად ერთმანერთსა შეუტევეს. ომი იყო პირველემური, გმიჩული და მართ უდევეს. და გამოუკლეს ჩვენებურთა ქვეშ ცხენები კარგ სადევეს.

897. მოუკლეს ცხენი ივანეს, მსახურთხუცე[ს]ა მხარგრძელსა, ახალციხელსა ივანეს, შალვას და ბევრსა თორელსა, დაუდინს თორგველს მხნეს კაცსა, სხვათ თაგადთ მუნ იმერელსა. და ქვეითად დარჩნენ რაზმთ შუა, უყურე მათს სიქველესა!

898. რა ნახეს ყმათა პატრონნი ცხენ-მკვდარ, ქვეითნი მობრძოლნი გარდახდენ ყმანიც პატრონთან, ზოგთ ხელთ აქვს კიდევ ოროლნი; გაწირეს თავი საკვდავად, არ ახსოვს ცოლშვილ, საყოლნი, და მოუდგენ მათთა უფალთა, იბრძოდეს ისართა მსროლნი.

899. დავით იხილა მეფემან მხნენი ქვეითად მსროლელი, მორიდა კერძო მარცხნით ქვეითთა გარ-შემოვლელი.

მუნც ზაქარია მხარგრძელი მარჯვენით იქმნა მომსვლელი.
და ქვეითი არ დაეთრგუნათ, ვერ ჰყოფდა კაცი სულელი.

900. მოუხდენ რაზმთა თათართას, სიმრავლეს მათსა შუასა;
სიფიცხე მათი ამსგავსეს, რა ბარი სცემდეს ბუასა.
ერთი ვით ლომი დავით არს, თათართ აძახებს „უასა“.
და იქითკენ ზაქარიამაც მან თავი ერთი უასა.

901. ვითა მგელნი ცხვართა ჯოგსა, მსწრაფლ მიუხდეს მათ, თამამად
რაზმს აპობდეს სულტანისას, ძლევას ჰყოფდეს ღვთითა ამაღ,
ამათ ჯვარი სცავს ცხოველი, შერცხვენელი იმით მაჰმად.
და ძალსა მალ გაექცევიან, თათართა სქირს გვარ-მოღგამად.

902. განხეთქეს რაზმი, იძლიენეს, სიმრავლით ჰგავდეს მღნართა,
მუნ ხმა ისმოდა დავითის ვით ლომთა, არ თუ ნარნართა.
შავი ტყე მოსქდა მალალს მთას, წარიქცევს შამბთა და ნართა.
და ჰხოცდეს უწყალოდ, უშრომლად უსჯულოთ, ვით სოინართა.

903. რომელნი იყვნეს ქვეითნი, აწ ცხენს ასხდეს, დევნა უყვეს;
ლამემდისინ სდედენ, ჰხოცდენ, ჯარი სულტნისა გააწყვეს;
მობრუნდენ გამარჯვებულნი, მათ სადგომს ხანი რამ დაყვეს.
და კარავსა, სალაფარდებსა შოობდენ, წილით არ გაყვეს.

904. თუცა არის საქართველო ღვთისმშობლისა წილხდომილი,
აქ გასინჯე საფარველი მარიამის მისი ტკბილი!
ვარძილამ წამოვიდენ, საომარად აქათ ვლილი.
და არ მომკვდარა ამ ომზედა კაცი მეფეთ შესწავლილი.

905. აივსო სულად ლაშქარი, რომელ დაჰყარეს კარავთა,
საქურკლე პატიოსანთა, სამოსელთ სარა-სარავთა,
ცხენის ჯოგთა და აქლემის შოენისას ვინა სწერავთა?
და განმდიდრებულნი მდიდართა მოვლენ, ლხინთ ნახვენ არ ავთა.

906. ამახარობლეს თამარს ნათელსა მას, უბინდოსა.
ვით სძლიოს მტერმან ბოროტმან წმინდის ღვთისმშობლის მიმნდოსა?
სხვა არვინ დარჩა უძლევი, მიჰმართოს აწლა ინდოსა. ✓
და მინახავს ძენი მეფეთა, მის სურვილს დაეზნიდოსა.

907. გარდვიდენ ლიხსა, სუფევედენ, ნადირობდენ და ბურთობდენ;
ამალღებულნი ღვთისაგან კილით-კილემდის ნათობდენ;
ქერივთა, ობოლთა სწყალობდენ, მებრძოლთა მალ დაამბობდენ;
და მონასტრებს აღაშენებდენ, ხატთა და ჯვართა ამკობდენ.

908. მიიცვალა სოსლან დავით მეფე, ქმარი თამარისი,
ცრემლი თვალთა დამიბნელებს, ადგილი ვთქვა სამარისი;
გლოვამ მოცო საქართველო, მწუხარებად მგონ კმარ ისი. ✓
და ძაძამ შიგნით მოიქცია ტანი ბროლი, მარმარისი.

909. ვაგი დარჩა, ლაშა ჰქვიან, და მისვე შეილს-ქალს რუსუდან, ჩვენ ვიქმენით ყელ-დაქრილნი უხლმოდა და მერმე უდან; სანადირო ოხერ-იქმნა, უბურთალი მუნ მეიდან, და განიციცხნეს დიდებულნი, ერისთავი რაჰის ბედან.

910. ამ დღეს ვინ დააკლდებოდა დიდთაგან მცირის მონამდი?
V მეფევე, შენც გული იტკივნე, სულთქმიდი, ცრემლსა მონამდი, მოსთქვემდი სიტყვა-მკვეერულად, თამარის მოსაწონამდი. და ზარი, ყვირილი ისმოდა გეგუთით მგონი ონამდი.

აჲ თამარ დედოფალი გავუთს იღვა და მხარგრძელნიცა მუნ ახლდეს. მიუხდა აჲ-დავლის სულ ტანი ანის[ს], როგელი გათენდებოდა აღმსებად, და მოაოხრა, და მოსრა და წარმიდა

911. დვა თამარ მეფე გეგუთსა, მხარგრძელნიც მასთან ხლებოდენ,
V სცნა არდავლისა სულტანმა, პაემანსა სცა ეგოდენ; - მხარგრძელთა ანის[ს] არყოფნა მისთ სპათ ვიმედებოდენ, და ანის[ს] მიუხდა დიდ-შაბათს, არ ითქმის, რაც მათ ვნებოდენ.

912. აღდგომა გათენდებოდა ქრისტეს მეუფის მხსნელისა, მოადგა ციხის გალაენს, კარის გაღებას ელისა; დარეკეს ცისკრის ზარებსა შესაკრებელად ერისა, და გაახენეს ყოვლგნით გალაენის, ვა ჯავრი, კართ გამხმელისა!

913. შეკრბა ერი ეკლესიად, ვით წესია ქრისტიანეთ, ლაშქარიცა თანვე შეჰყვა, იზაზოდეს: „მიატანეთ, რაჯულ-მყარლებო, ამოგწყვიტეთ, ზოგი ცხენქვეშ დაგვატანეთ, და გაგემარჯვათ ვით გინდოდათ, ჩვენი სისხლი გაიტანეთ“.

914. ერთ-ბევრი და ორ-ათასი კაცი ეკლესიას დაკლეს, ქალაქსა და ფლოროცს შიგან, ანუ გარეთ, ვინცა მოკლეს, ჰეროდემ რომ ჩივილნი მოსრნა, უფროსი ქმნეს, არ მოაკლეს. და მაგრამ ლომი ზაქარია პასუხს უზამს კჳუა-მოკლეს.

915. ახალ-კვირასა აცნობეს მეფეს და მხარგრძელთ დასტურად, დაკმუნდა მეფეც, ყველანი, მაგრა იგინი მეტურად; ამზადდენ მათზედ სალაშქროდ არ ცუდ-სომხურად, ტურტურად. და ზაქარიამ თქვა: „სულტანო ვერ გნახო, შემქენ ცოლ-ტურად“.

916. მხარგრძელთა ჰკადრეს მეფესა: „გვეწვივნეს საქმე ბოროტნი, ჩვენის ცოდვის წილ მოისრნეს მუნ მყოფნი, ვერსად მეოტნი.“ თამამად გამოარჩივეს, არ სიტყვა მიროტ-მოროტნი: და „აწ სად წაგვივლენ არდავლით სულტანნი ხრდალნი და ბოტნი.

917. ვესაკა წყალობას ღვთისასა და მერმე ცხოველსა ჯვარსა; აწ შენ, მეფეო, უბრძანე მზადება შენსა სულჯარსა;

მზას იყოს ყოველი ლაშქარი, ჩვენი სააჯო ეს არსა;
და რაჟამს გაცნობოთ, გვიბოძეთ, როს დაგირეკოთ ჩვენ კარსა.

918. ნაცვალი ვაგოთ, სიცრუეე მათი მათზედა მიიქცეს;
თუ ბევრნი წავალთ, გვიგრძნობენ, ვაი თუ სხვაგნით გაიქცეს;
როს რამაზანი დაუდგეს, მთვარე სიახლედ მოიქცეს,
და მაშინ გვიბოძეთ ლაშქარი, მეჩიტში სისხლი მოიქცეს“.

919. ისინი ანის[ს] წავიდენ, აქ ლაშქართ იწყეს მზადება,
ასრე მზას დადგენ ყოველნი, უნდა თუ ლაგმის აღება;
წასვლა გვიხარის, არ გვინდა სირცხვილის თავსა დადება
და დაუდგათ რამაზანი და ჩვენგან ცეცხლისა მოდება.

920. წარმოავლინეს მეფეს წინ კაცი ლაშქრისა მთხოველი
სომხითარნი და სრულ მესხნი, კახნი, არ დიდო ფთხოველი;
ქართველნი არ გაიტანეს, იგრძნობსო, ამას მოველი.
და რაც მათ ეთხოვნა, გაგვგზავნეს ჩვენ ჯარი იქით ყოველი.

921. მივედით ანის[ს], იგინიც დაგვიხედნენ მზას, და ვიარეთ.
ისწრაფდეს ადრე მისვლასა და ჩვენცა არ ვიუარეთ,
გარდავ[ვ]ლეთ გელაქუნის მთა ჩვენის სამზღვრითა მათ არეთ,
და განვედით ზაფურის ხიდსა, არ გარე შემოუარეთ.

922. რამაზნის მარხვა გავიდა, გათენდა მათი აიდი.
არეზს აქათს რომ არბეედი, გაბრძანდი, აბა, იქ მიდი!
ასრე მოვსწყვიტნე თათრები, ხანსაც იმდენსა დაზმიდი!
და თუ ეს ჰქნა, ნაძლევი მოგცე, რასაც გინდოდეს, მიზმიდი.

923. ხმა ყო ქადაგმან ბილწისამ ქადაგებისამ მათისამ,
გახშირდა მუყრთა ყივილი, ბილწებო, ლმერთს რად არ ისამ?
მუნ ვესტუმრენით ასეთს დროს, ველარ გააძლოს არისამ.
და სისხლი აღინოს ღვარული, პასუხმან მათ საკმარისამ.

924. შემოუტიეს მხარგრძელთა და სრულ ერთპირად ლაშქართა,
ეცნეს ანაზდათ ქალაქსა, სიფიცხე გვექონდა ვით ქართა.
როს გაუსწორდათ დღე-ღამე, ამტვრევედენ, სკამდენ შაქართა,
და აუკრეს ხელი მონათა ლანგრებს, სინ—მათ—მინაქართა.

925. იგდეს ქალაქი ხელთა და თვითან სულტანი ცოლშვილით;
აივსნეს საშოვარითა და ოქროს სრულის საჭურჭლით;
აფთხოვდა ზარი ჩვენისა მალლისა ხმისა ყივილით,
და ზოგს ცრემლნიც ჩამოსცვიოდა მათის მოთქმისა ჩივილით.

926. სულტანი მოკლეს, ცოლ-შვილი ტყვე-ყვეს და წამოასხესცა;
მუნ ამოსწყვიტეს სიმრავლე, სისხლი მიზგითას დასცხესცა.
მათი საჭურჭლე, ცოლ-შვილი მათსაც ცხენებზედ ასცხესცა.
და იქ საშოვრისა სრულად თქმა არ ძალუც ჩემს უხუცესცა.

927. აღივსო ჩვენის ქვეყნისა მცირეცა მონა ვერცხლითა, შესამოსლითა ძვირითა, სტავრა, სარასალ, ნახლითა, თვალითა, მარგალიტითა, ოქროს ხალასის ცეცხლითა. და მეფეს მოართმენ სამისოს, მადლს ბძანებს ენა-მერცხლითა.

928. ციხე-ქალაქი მათ ბევრი უბოძა, მეფე უხვია, ზაქარიას და ივანეს ხელთ მისცა, არ წაუხვია, მხიარულითა პირითა, არ არის გულით წუხია. და სომეხები თუ გამოეკცეს, რას გიკვირს, თხისგან-უთხია.

აქა ზაქარია ამირსპასალარმა და მისგან ძმა ივანემ მსახურთუხუცესგან და გაგულ-მან მიჰყნა თამარს ხორასანსად ლაშქრობა გამოუშრიმეს და მიჰყნა ალაშქრა უღვილნი, და ირანი დაარბიან

929. მოვიდნენ სამნივე მეფეს წინ, მათ მოახსენეს: „ძლიერო, ხელმწიფევე მზის შარავანდო, უმჯობევე, უნათლიერო, უფროსო ხმელთა მპყრობელთა, ღვთისაგან თქვენ მადლიერო, და გიხილავს თქვენ სპათ სიკეთე, მძლეველო შენ მათ მიერო.

930. იპოებთან შენს ჯართა არსად არ წინააღმდეგომი, ბრძანე ხორასანს ლაშქრობა, უნახოთ მათი სადგომი, სახელი შენი განეჰფინოთ, არ ვიყენეთ ცუდად დამდგომი; და ვინ დაგემონოს, ვიყურნეთ და დაგემონოთ გამდგომი“.

931. დაემორჩილა მეფეცა რჩევასა მასთა მონათა, განათლდა პირი მთვარისა, სულ არე-მარე მონათა, სიტყვა აღმოთქვა სიბრძნისა ყოვლთათვის გასაგონათა, და არ საწუნარი ბრძანება, ყოველთა მოსაწონათა.

932. მოუწოდა წარჩინებულთ და ყოველთა დიდებულთა. ჰკითხა რჩევა მხარგრძელთაგან მათ მამაცად დადებულთა. სთნდა ყოველთა მათი საქმე თავბოლომდის კიდებულთა. და დაასკვნეს წასვლა ყოველთა ჯერ ნუზლ არ აკიდებულთა..

933. შემოიყარა მეფემა თბილისს[ს], არ საქულბაქეთა, ანაკოფიას მოღმართი და დარუბანდთა აქეთა, ხორასანსა და ერანზედ სარბეველად მუნ სალაშქრეთა. და თუ საქნელად კი კმა-იყო, თქვენც ჩემებრ კარგა აქეთა.

934. ხორასანს მეფემ ალაშქრა ზაქარია და ივანე, მეც მათ თან ვახლდი, ვიშოენე მრავალი, აწ გაგიმტლანენ. ტყუილი მეთქვას, დამარქვი თქვენ დათო, თქვენი მდივანე! და თუ სახლს ეძებ და წაბძანდი, იქ მიდი, იქ დაივანე.

935. შემოკრბენ არეს სთელისასა ყოველნი აბჯარ-კვეთილად. ნახა მეფემან, ეკეთა, ჰქონდა მას მისად წადილად. უქო მის ყმათა სიმხნისა ვით ხმალი ებათ კვეთილად: და უბრძანა: „წადით ხორასანს, დღეს აემზადეთ სადილად.“

936. პირ-ბედნიერმან დალოცა დროშა, ლაშქარი ყოველი:
„შენ გაუმარჯვე ჩემს ჯარსა, მე ამ წყალობას მოველი,
დამიბზევ მტერი ხილული, უჩინო კვლავ სამოველი,
და მე, ქვე მეთრევი, გონების თვალით წინ შენსა მოველი.“

937. შევედრა მასვე ვარძიას ღვთისმშობელს დროშა, დალოცა:
შენ, სულგრძელისა მშობელო და მოწყალისა მალოცა,
შენ თუ მამხედო წყალობით, მტერი მყის დამიბოლოცა,
და რა გინდ ძნელს საქმეს შევმართო, უცოდნი გამიკვალოცა.“

938. წავედით ნახუანის გზას, გავლეთ, მივედით ჯულასა.
სხვაჯერ არვის რა აწყინეს, აზავრებს ჰხოცდეს ბულასა.
ხან საქვეითო გზა მოგვხედის, ფეხთა ვიცმევდით წულასა.
და სადაც მივიდით, იტყოდეს სიტყვას ცრემლთ ასადულასა.

939. ხუთასს რჩეულსა გვიჩინეს მთავრად თმოგველი თაყადინ:
„წინდაწინ ამბის შეტყობად ვირემ ჩვენ ვსცნობდეთ მანამდინ,
თუ ვინმე დაგხვდეს, რას ჰქვიან, შევბათ მოსვლად ჩვენამდან?“
და თქვა ზაქარიათ: „უჩემოდ ცხვირთა სისხლთაცა ნუ აღინა“

940. მარანდის მთაზედ ავედით, მარანდელთ გვითვისაღწუნესა.
ხუთასი კაცი ვიყავით, გვიმცრეს, მით გვიძაბუნესა;
შემოგვიტიეს სასტიკად, მათს მუსათს ჩაუსუნესა.
და ხუთასთავ შუბი დავასვით კაცთა და ზოგმა ჰუნესა.

941. ვის შუბი ესვა, დავსტევეთ, სხვათ უკან ვსდიეთ ხოცადო,
ამოსულიყვნეს ჩვენნიცა ლაშქარნი იქ არ მოცდადო;
ენახათ მკვდარი, ზედ სმოდათ შუბი ოცდახუთ-ოცადო;
და ჩვენ მკვდარი, ვერცა ცოცხალი ვერ გვაპოეს, უჩნთ საოცადო.

942. გაჰკვირებოდნა ლაშქარსა ჩვენი ვერ პოვნა ვერც ერთის,
მუნ ზაქარია მხარგრძელი მწუხარებასა შეერთის.
რა ჩვენ მივედით ნადევნი, კირს სიხარული დაერთის,
და ჯერ გვიწყინა და მერძე თქვა: წყალობა არის ესე ღვთის“.

943. მუნით წავედით: მივედით ქალაქსა თავრეზის კარსა.
განჰკრთეს და ზარმან აიღო, თრთოდეს, იტყოდეს: „ვინ არსა?“
დიდებულნი და ხოჯანი გეძღნობდეს ძღვენს დასამშვიდარსა,
და ოქროს და ვერცხლსა გვიყრიდეს მათის სისხლისა მსყიდარსა.

944. ძვირფასი თვალი. მოჰქონდათ და მარგალიტი მრავალი,
ცხენები ჯოგი-და-ჯოგი, შორის გზისათვის სავალი,
სხვა ფარჩა, შესამოსელნი მათი და სხვათა ნავალი,
და საზრდელი კმა-საყოფელი, პირუტყვი ჩვენკე ნავალი.

945. სხვა არა ავენეს, წავიდნენ, მცველნი დაუდეს ქალაქსა,
მცველთა უბრძანეს: „ნუ უტერთ სამართალთანა კვლა ბაქსა,
ანგარიშს გამოართმიდეთ ზარბაზებსა და საბაქსა,
და ჩვენ წავალთ ხორასანზედა, მათ ჩვენი ხმალნი მალ აქსა.“

946. წავედით და გავიარეთ ადარბეგი, მივალთ მანსა.
ცნა მელიქმა მანისამა, ვერ დავეყოფო მეო ხანსა;
თავრეზელერ მანც მშვიდობა მოითხოვა, ჰყოფს ხვეწნასა,
და ოქრო-ვერცხლი, ქვანი ძვირნი მოუმატა მან წინასა.

947. მანიც დააგდეს მშვიდობით, მივედით ქალაქს ზანგანსა,
ალიზის ზღუდე მაღალი გარეელო არ ერთსა განსა.
გაგვიმაგრდენ და გვესროდენ ისარსა, ვითა საგანსა.
და რ-ც რომ შეეძლოთ, ეცადნენ, თავს გარდმოგვეკრევენდენ არგანსა.

948. განყვეს თემ-თემად ქალაქი ზღუდე გარშემო სათხარად.
კვლავ ზაქარია გაჯავრდა: „მე გამიმაგრდა ეს თხა რად“.
სამ კერძო იმერ-ამერნი და მესხნი იყვნეს სამხარად.
და უწინ მესხთ ზღუდე შევჭხვრიტეთ ნაშენი ხორად-და-ხორად.

949. ვიწყეთ ხოცა მოქალაქეთ, საშოვრითა დავიტვირთეთ.
კვლა სხვათაცა გადმოსტეხეს, ხოცა ხოცას ზედ დაურთეთ;
დავაქციეთ სრულ ქალაქი, ხორცი მათი უხვად ვფითეთ.
და სხვაგან თუ სამ გაგვაჯავრეს, მათი საქმე დაუთითეთ.

950. აქათ ვიარეთ, წარსრულთა ყაზმინს მივედით ღღე შვიდსა,
ვერ წინაღვიდგეს, ივლტოდეს, არც ჩვენ ვყოფთ მათ დასამშვიდსა.
ქარიზი ძაღლით ავესოთ, არ წყალსა ვსვემდით სახიდსა.
და თვალ-მარგალიტსა შოებდენ მრავალსა, არვინა ჰყიდსა.

951. კაცს არ ავენეს, სრულა ტყვე ყვეს, აწ ხორასანს წარემართნეს.
გურგენისა ქალაქამდის, შენს მტერს მისცეს, რაც დამართეს;
მოაოხრეს, ამოსწყვიტეს, ასე საქმე მოუმართეს.
და ქართველთაგან ძნელი არის ხონთქრისაგანც კმარა მართ ეს.

952. ასრე ვიარეთ, ეს გზობა ვერავენ წინა აღგვიდგა,
ვერ ხორასნისა სულტანი, ვერ ერაყისა მოგვიდგა;
ქალაქთა გამაგრებულთა და ვერცა ციხემ დაგვიდგა.
და რა წამოვედით, უკანა მღვევარი ვერ წამოგვიდგა.

953. იქითგამო წამოვედით ღვითთა ესრეთ გამარჯვებით,
საშოვრითა ურიცხვითა, სიხარულით, ლხინით, შვებით:
კაცი ვინმე მოსულიყო მანს მელიქთან ხელ-ჩაშვებით:
და „ამოსწვიტეს ქართველნიო, აწ შეიქენ ცეცხლთა ვსებით.

954. მოვიდა დიდი სულტანი გილანით, წინ გარდაუდგა,
სულ ასრე მოსრნა ქართველნი, აღარც ერთს სული არ უდგა.“
რა მართალს ამბაეს დასჯერდა, ორნივე თვალნი დაუდგა,
და მან შეიჯერა მელიქი, წინარ და წინარ წაუდგა.

955. მელიქმა მცველნი დახოცნა, რომელნი ჩვენ დაუდგინეთ,
ერთი მათგანი გადურჩა დამალვით, აწ მას უსმინეთ.

აწ ჩვენ მივედით, მელიქი წინაშე წარმოვიდგინეთ,
და თუ შევაჩნით ტყუილი, სულ ყველამ მას შეაგინეთ.

956. ზაქარიამ მოიკითხა: „მცველნი თქვენნი სად არიან?“
თქვეს, თუ: „თავრეზს წავიდეს, ამად აქ აღარ არიან.“
მან მოართვა შუა-ზამთარ ყვავილები, ია, ჩიან:
და „ამად ვჰპოვე ამ დროს ესე, დარი იყო აქათ მზიან.“

957. რომელი დამალულიყო, მოვიდა კაცი ჩვენთანა,
ამხილა მელიქს ნაქმარი, ვით დავითს მაშინ ნათანა:
„მცველნი დახოცნა ყოველნი, მე მოვრჩი ერთი მათთანა,
და რად ამოგვეწყვიტე, თათარო, რა იყავ შენ მაგისთანა?“

958. რა ისმინა ზაქარიამ, საზარელად შემოჰყვირა,
შეუზახა: „შენ ძალღ-რჯულო, ესე ასე შენა ჰყვი, რა?“
— გაგულისდა ასრე გვარად, ყოვლი კაცი გააკვირა:
და „აწვე მოგსრა სახლეულით, არ გადროო ერთი კვირა.“

959. ველარა თქვა რა შემცოდემ მელიქმა, ცრუმა, მანისა.
დაჰკიდეს ძელზედ, დაარჩევს, მას უყვეს შესაგვანისა.
სრულ მოაოხრეს ქალაქი, უფრორე, რაც ვთქვით ანისა.
და ყოვლს დამნაშავეს მეფეთას მალაღმან შეანანისა.

960. მუნით ლარ-წამონაღებთა არ იყო რიცხვთა შეგება.
ჩვენ სპარსნი ვერ შემოგვებნეს, თქვენ ლეკიც ბევრჯელ შეგება.
თავს მაშინ უფრო იქებდი, თუ ასე ხმალი შეგება.
და მაშინდელს საქმეს ვერ სწორავე, ახლა კარგი ხარ ეგება.

961. მასვე გზასა წამოვედით, კვლავ გეძღნობდიან უურიცხვეს,
ძლივ მოჰქონდა სრულ ლაშქართა, გამორთმევა არ დაირცხვეს;
მასპინძლობის სიხარულით პური უწინ გამოიცხვეს!
და ზოგთ მშვიდობა დაუჯოვეს, უფროსთ სისხლი ხმალთ მოიცხვეს.

962. რა მოვედით თბილის-ქალაქს, მეფე დაგვხვდა მხიარული,
დაგვიმადლა გამარჯვება, ეგზომ გრძელი სიარული;
ბუკ-დუმბულთა ზარისაგან აღარ იყო თვალთა რული.
და დაჯდა ტახტსა, მიულოცეთ ხმა-ნარნარი, კარგ-უსული.

963. მოვიდენ ყოვლნი თავადნი, დასხდეს მის წესით სელებსა.
მუნ არმალანთა სიმრავლეს ვინ იტყვის მაშინდლელებსა?
მიიღებდიან წინაშე უცხოთა თვალ-ნათელებსა
და შუქნი ჰკრთებოდეს, ვით მზესა, მას პირსა არ ნაბნელებსა.

964. ღმერთსა ჰმადლობდეს გლახაკნი, ყოველი მუნ პოვნიერი,
ლაშქარი გამდიდრებული, აავსო მხნენი, ძლიერი;
უბოძა მის-მის საფერი, საქმე ქნა მან მის-მიერი.
და შეება სამულდმო შეიქნა, მეფე ზის პირ-მშვენიერი.

აბა ზაპარია ამირსპასალარი, ძნ სარბის მხარბრძელისა, მიიცივალა და მის ძმას, ივა-
ნის, მსახურთუხუცესისა, უზოძა ამირსპასალარობა.

965. ძე სარგის ამირსპასალარის, თვით ამირსპასალარია,
იგ ზაქარია მხნე კაცი მართალი, ვითა ლარია,
ზნესრული, საღეთოდ-საკაცოდ ყოვლითურთ უკლებარია,
და გარდაიცვალა. კვლავ მეფემ ლაშქარი არა არია.

966. გაღანამც შეფეს ეწყინა, სრულ საქართველო იგლოვდა,
მისსავე ძმას მისცა სარდლობა, ვინ მტერთა მისებრ სისხლს სწოვდა;
მან იუარა: „არ ღირსეარ, მე მის სახელსა ნუ მძღნოვ და.
და ვინ მის სახელსა მიზახდეს, მე უნდა მისგან მრცხვენოდა.

967. მე მის სახელსა არ ვღირსეარ, პატივ მეც ათაბაგობით,
აქ არ ყოფილა, მაგრამე სულთანთ ჰყავს გამზრდელ-მამობით;
ამით განდიდე წყალობა შენ ჩემზედ, ბრძანე არ გმობით,
და შენით სვე-ბედით ადრე ვყო მე შენი მტერი ხმალ-სობით“.

აბა დიდონი გაუღბს თამარ მიფისა, ივანი ათაბაგი გაუსივა, ხადის მთაზედ ავიდა;
ისა მთა-მთა ჩაიარა, მიუხდა, და ბატახის, დაამძვლა და გამარჯვებული მოვიდა

968. დიდონი არის მოსავე ეშმაკისა და ძაღლისა.
დაუწყეს რბევა ფხოველთა, უფროსთათ მქნელთა ძაღლისა.
განუღვეს მეფეს სიბრიყვით, აღარ მომცემნი მალისა.
და იქ გაუსივეს ივანე, მათ დაიმონებს მალ ისა.

969. ათაბაგს ლაშქარად აახლო სახლი ყოველთა მთიულთა,
ღვალნი, ცხრაზმელნი, მოხვევი, ხადელნი, ცხავატიულთა,
ერწო-თიანელთ ყოველთა, არ ჩაუგდიათ იულთა.
და აღვიდეს მთას ხადისასა მუნითგან იქით წასულთა.

970. წავლეს მალლის მთის თავები აღმოსავლეთათ სიგრძეზე,
მარცხნივ დაურჩათ ძურძუკი, თუშეთი კვლავ მარჯვენაზე.
მოვიდა მეფე ძურძუკთა შემოსამატად ლაშქარზე;
და დიდოთ მიუხდენ, მალლიდამ თავსა წაადგა ესე ზე.

971. დაწვეს, ავად მოარბივეს, შიგ დაუყვეს მათ სამი თვე,
იენის-ივლისი ორივე, მესამე აგვისტოსითვე;
მძევლები მოსცეს, ბეგარა პირველისავე წესითვე.
და მოვიდენ გამარჯვებულნი, აბა თქვენც ისე აღიმსთვე.

972 სხვას მორკმა-დიდებულობას ქართველთ ცხოვრება მოგვითხრობს,
მისის ჟამისა შენობას და იმას აქათ ვით ოხრობს,
მუნ სიხარულსა მის დროსა, შემდგომად ვით გლოვს, ვით ოხრობს.
და სასუფევლისა შოვნასა ქრისტეს წინ მას ვინ წაუსწრობს?

973. მას ვით მონდა საქართველო, ეგრე თავი ვინ გიხარა?
შიშიც ჰქონდათ, წყალობითაც ყოვლმან სულმან. გიხარა;

მის ჩამოის მის გვარშია უმჯობესი შენვე ხარა,
და აქნამდის ჩემი სიტყვა ხამი იყო, აწ იხარა.

974. მზე უღრუბლო დაგვიბნელა. მოწმენდილი, აწ ბინდ არი,
სეე-სვინი გარდიცვალა, მწუხარება ჩვენზედ არი;
მაშინ მყოფთა ყოვლთ პატრონთა უმჯობესა, არვის მდარი,
და აღარ დაჯდეს მის ტახტზედა იმისთანა, იმის ღარი.

975. ვირემ ის მყვანდა ცოცხალი, მანამდის ვერ მითხარ ესა,
მუნ მყოფთა მასთან რად მეცა სამარე არ მითხარესა?
გული დაუბამს ურეასა, ნაღვლის სმას უმწუხარესა,
და მხელავ ოხერსა, მით მიზამ საქმესა გასამწარესა.

976. გმართებს ჩემი სიბრალული იმისივე ამარისა,
მერმე ბინდად გარდაქცევა სხივ-შენება სამ-არისა!
რა საჩინო დაგვიფარა, ვაი ჯავრი სამარისა!
და ბრალი იყო წასახდენად პირი მნათი თამარისა!

პასუხი მუჟისა მიჰვიფებთ.

977. კარგად ბრძანე ყველაკაი, მაგრა თავი რით იმართლე,
ბევრი ვქენო საშოვარი, მოფარბიე მე საფართლე.
სიტყვა-ბრძენმან მეღექსემა რა აანთე, რა განათლე?
და შენ გითქვამს და აწ მეც ვიტყვი, ვინ გამოეჩნდეთ უუმართლე?!

978. მითა ვთქვი ჩემი დიდება, მერმე კირი და სარჯელი,
ორივე გონებას მისტაცებს კელა მეფობის სჯა, სასჯელი.
შენ ვით განმართლდე მაგითა, მესხი ომობს და კლარჯელი?
და თქვენ თამარს გვერცა ახლავხარ, იგ გიზის პირად ნათელი.

979. ბასიანის ომი რომ თქვი, იქ თქვენ სად იყავ მაშინა?
თამართან არ იბლუნძოდი ოძრიხესა, ვითა შინა?
რა გინდ ბევრნი ყოფილიყვნენ, აგრე ვითა შეგეშინა?
და ომის დღესა ქალებთან ხარ, ვა თუ სიხრდლემ ავაქშინა!

980. შენ ეგ რას გიშლის ლექსის თქმას, გვერთ უზი, ვინ მზეს სწუნარობს,
გავხარ ბულბულსა, ვარდინას ჩირგვს ზიხარ, ქიკქიკს მგონარობს,
იძახის ფერად-ფერადად, მისად სამკობლად ონარობს,
და შეპტრფინავს ყოვლი სასმენლად, იგ ასრე მოსაწონარობს.

981. ბევრი გითხარ ჩემი საქმე, აწ ამასაც ყური უგდე,
რადგან სიტყვა ამიშალე, ამად ესეც არ დაგიგდე,
სხვათ ნაქმარი საქმეები პასუხად სთქვი, თუ ამიგდე?
და სხვას ღონესა ნულარ ეძებ, კარი მაგრა წამოიგდე.

პასუხი რუთემლისა

982. თქვენც არ ბრძანებთ მაგისტანა ომები, რომ თქვენ არ იყავთ სხვასაც ბევრსა დაეხდომივარ, დიდ ლაშქარსა ვითარ იყავთ ამას ბრძანებთ, რად არ მოჰქვდით, ან ლახვარი რად არ იყავთ, — და ეგ ვერა ვაქვინ, ბატონი ხარ, რაც გერჩიოს, მუქტად მიყავთ.

პასუხი მფვისა მეთვრამეტე

983. ეს როდის გითხარ, არ მოჰქვდით, უღეთოდ ვინ თავს[ა] მოჰქვდევდეს? ეგ ჰქვამთყოფელმა ვინა ქნა, თუ არ ეშმაკი დასძლევდეს? მაგრამ ლექსის თქმას რას გიშლის, შენს შორს ვინ ვისმე აძლევდეს! და ბატონი ხარ თუ სარდალი, ეგ სხვას. საქმესა ნაძლევდეს.

984. გამგონეთ გაბრქონ მართალი, ვის მართებს, დარჩენ ნაძლევით, არ გამოგართვა, რასა იქ, შენ ჩემი შემონაძლევით? ეგ თუ ზამთარმა მოგისწრას, შემოდგომა გაქვს დაძლევით. და ვინ გვაბაასებს, ის არის შენის სისხლისა დაძლევით.

985. ჩემნი ნაქნარი წინანი გითხარ სარჯელი ამადა, გარჯა, ჯავრი და ნაღველი ცნობას წაუხეამს ავადა; გულს ჯანგად ასრე მოეკერის, ვით ოქროს შავი სავადა. და ბოლოსიც გითხარ ყოველი, საქმე ვინ გამითავა და.

986. მტერი რას უზამს იმდენსა, რომ ყმა პატრონზე მიიღებს?! მძლავრისა მტრისაც კიდევ ერთს რასმე გზასა გაიღებს. თუ კაცი შიგნით საქმესა აიშლის, იმას მოიღებს, და ვინ გარდაჰკიდებს ამათა, ჩემთ სისხლით ხელსა შეიღებს.

987. სახლთხუცესი და სუფრაჯი, განაყოფი სახლელელი, კარგნი კაცნი, კარგ[ნი] ყმანი, ნამსახური და ერთგული, ვინ იმათში ჩხუბს დასთესავს, წაუწყმდება იმას სული და ამით წაეხდით, ღმერთს გარდაის დავრჩი ასრე სახლ ეული.

988. სახლთხუცესი რევან იყო, კაცი სრული ყოველის ზნითა, სამღვთოთა და საკაცობოთ, მერმე ჰქვითა მწვე დაძნითა, ბიძინაცა კარგი კაცი, გულმართალი, ტოლივ ხნითა. და მათ ოთხ-ოთხი შეილი ჰყვანდათ, ერთი დაკალ, მო დანითა!

989. ცული რამე სიტყვა ითქვა, ამაღ ჰკადრეს უკადრისი, რევანისგნით არა თქმული, სუფრაჯის შეილს მანდა რისი; დილას ცხენით კარს მიუხდა, ავ საქმედ ა საკმარისი, და რევან გავა ახალუნით, უმჯობესი სავარისი.

990. უბრალომ კაცმან რა იცის, თუ ავს ვინ რასმე უზმიდეს? ცხენი ჰკრა რევანს ფარემუზ, სხვას ვერას ვერ მოურთვიდეს.

შეიგნეს ჯართა, საშველად ყველა იქ შეკრბა, მივიდეს.
და აღარ მიუშვეს, გაჰყარეს, მოსული ისევ წავიდეს.

991. გავებრქვე, დავსხი სრულ კახნი, არ მარტო ეს პაატო, სუფრაჯს დაედვა სახლთხუტის არ სისხლი, საუპატო; უთხრეს ეს: „მოგცეს მამული და ზოგი ჩვენ გვაპატო, და ჩვენ სულს ქვეშ ამას მიმხედარვართ, აწ ვინდა დასვი რატო“.

992. აღარ იქნა გაშველება, უფრო ჩხუბი გაძლიერდა, კახნიც შუა გაიყარნენ, დიდნი, მცირნი, სულა ერ და, ზოგი მისკენ, სხვა ამისკენ, ვაეკაცები, ან ვინ ბერდა. და რევან წუხდა მის საქმესა, მხიარული არვის მზერდა.

993: იოთამ და ზაალ ორნიც ხან აქ იყვნენ და ხან იქა, მოვიდიან, წავიდიან, დაგმობდიან, ავად იქა, გულმართალი კაცი ყველა უზრახევდა, უფრო მიქა. და ამ ჩხუბმა და მათმა წასვლამ საქმე ასრე გააქიქა.

994. როსტომ მეფე შეიყარა, სამპარად მოვა უღლის, ეს გზა იმან რა იცოდა, ან გაწევა ჩემის უღლის? ვიცოდი, რომ არ შეეძლო მას შემართვა ისრე უღლის, და ბოლოც ამან გამითავა, გაწყვეტა ხამს აწ საუღლის.

995. თიანეთს ვიდექ შეყრილი, რალაც რამ ყმა დამრჩომოდა, ბიძინამა თქვა: „ერწოზედ მოვლენ, აქ ვიყო მეო და, მე ნახევარი ლაშქარი მიბოძე, მივეშველო და.“ და ამბობს რევანის ქიშპობით, მტერობა დაეჩემოდა.

996. უთხრეს ბიძინას: „რას ამბობ, რას ჰკუთით მოგიყვინია, ახლა ლაშქრისა გაყოფა რას ჰკუთის შესაგვანია? შენ ჰკვათამყოფი რად ამბობ მაგ სიტყვას, ვითა სვანია? და აქ კარზედა გვითქს ლაშქარი, ვერა ვართ ათისთავნია“.

997. მან თქვა: „აქ მოგჰკვდე რევანთან, იქ წახდეს ჩემი სახელო, რასთვის ვიქ მაგას, რა არის, დამრჩება არ სასახელო! ეგ თავისას კი ინახავს, მე ჩემი რად გავათხელო? და ეგ თუ თიანეთს მოუარს, მე ერწოს წავალ მით ხელო.“

998. რალას მიშველის, კარს მტერი მომადგა ჩემს უძძღავრესი? წამართვა შვილი, ლაშქარი, საქმე ქნა ავს უარესი; დავრჩით თუ კაცი ათასი, არა ვართ მტერთ საქმარესი. და რა კვი ვალი დამადვა, გაუწყრა საბა ლავრესი.

999. ესენი ერწოს წავიდეს, ისინი უღლის მოადგეს. მოვიდა კაცი: „მოვიდნენ თუ ბატონი ზის, მო აღდგეს!“ შეესხნდით, რანიც ვიყავით, მეთოფეები წინ წადგეს. და მუნ რევან არის სარდალი, თავს მუზარადი დაადგეს.

1000. ყარაულმან თქვა: „ვიაროთ, თვარ მოვლენ უღლის[ს] უწყინა, თუ მოგვისწრობენ, არ ვარგა,—“ ეს სახლთხუცესმა უწყინა, — ეს ავადა ქნა, ჯეზირზედ მეთოფე არ დაუდგინა. და წავედით, იმათ მოგვესწრეს, რევაზ რა ნახა, აგინა.

1001. წადგა რევაზ მეთოფებთან, ასროლინებს, არიგებდა, ბრუნავს ჯარშიგ ხმალმოწედილი, ქარქაშიგან არ იგებდა, ერთხან ჯარი უკუფანტეს. ჩენი შუბსა მათ აგებდა, და გათამამდეს და ისროდეს, ვირე ამას შეიგებდა.

1002. გაგრძელდა ომი, რევაზს ჰკრეს ორი ფინდიხი ტყუბადა, შვილებს უთხრა, თუ: „მაცალეთ, მე ბატონს ვნახავ სუბადა, მივალ, წინ წამოვაყენებ, სისხლი ვადინოთ გუბადა, და ღვთით გამარჯვება ჩენია, წინ წარვიქციოთ ჯგუფადა“.

1003. მოვიდა რევაზ თამამად, მითხრა: „ძლევა შენიაო, მაგას ჯარს ნუ დაახედვებ, უჩემობით შენიაო, წინ წაუდგე, ვარდი მათი მოუყინე, შენ იაო, და შენმც კახეთს ნუ მოეშლები, ოხერი თუ შენიაო“.

1004. მოვიდა, ხელზედ მაკოცა, ვიდრეღა იყო სულდგმულად, მითხრა: „მინახავ პირ-ნათლად, როს ქრისტე დაჯდეს მსაჯულად, შენ ღმერთმან დიდხანს გაცოცხლოს გამარჯვებული, კარგჯულად“.
და გაბრუნდა, საცა თოფი ჰკრეს, მუნვე გარდახდა სიკვდილად.

1005. რა ლაშქარმან დაინახა, რევაზ ცხენით გარდავარდა, ვინცა ნახა, ერთმანერთსა უთხრეს, ყოვლგან ხმა დავარდა. დაგვიმარცხდა, გამოიქცენენ, ერთი თოფიც არ გავარდა. და რა ზურგები დაგვინახეს, მათი ჯარი ზედ მოგვარდა.

1006. ვეღარ დაუდგე თიანეთს და ჩაველ შიგნით კახეთსვე; მომყვეს უკანა ესენიც, მაშინ წამიხდა სრულა სვე. ხისიყსაც ხმა დაგვივარდა, ამბობდეს ლაშქრის მოსვლასვე, და დათუნა იქით გავგზავნე, მტერს ხმალი ვეღარ დავასვე;

1007. აქათ ესენი მოვიდნენ, ხისიყს მოუხდენ ყაზახნი, ამას ვინ ახლდენ მაგდენი სხვა, არ თუ ისევე კახანი? მაგრამ რაც ახლდენ, ყვალანი მამაცნი, გულითა მკვანნი, და სრულ ვაჟაკები დაგროვდენ, არ იყენენ ბევრ ომ-მანახანი.

1008. შეუტივეს იმავ წამსა, ქვეითობას არ აცალეს, ვინ ვის წინა გაასწრობდა, ან ცხენს ვინ ჯდა უმუხლმაღლეს, ხევი დახედათ შუაზედა, მათ თოფები ზედ დასცალეს, და ცოტა ვინმე გაუვიდა, სხვანი ცხენით გარდასცალეს.

1009. ჩემი შვილი ხეგს ასლოდა, სხვას მეთოფეს შემოჰყროდა, შუბი ეკრა ამას მისთვის, იმას თოფი დაესწრო და,

ეკრა გულსა, ჩამოეგდო, ეაი, რას დროს შევესწრო და
და თვით მოკლეს და ყმანი კარგნი იმ დღეს მასთან მოესროდა.

1010. ბიძინა დიასამიძე მიუძღვა მეწინავესა,
უცხოფრად თურმე შეიბა, ელიას გულად გაე ვსა.
ერთი შვილი მყაეს, რად ვზირი, უყურე ჩემს სიავესა?
